



N45 (544) 11/XI-17/XI-2010

ფასი 1 ლარი

ქართული პროზის საგანგებო

ტომი №37 ლევან სანიკიძე

ნაწილი II

შეგიძლიათ შეიძინოთ
„გზის“ ამ ნომერთან ერთად!
წიგნი და „გზა“ ერთად
4 ლარი ღირს

შეძლავთ ტომი

თამაზ ჭილაძე



შვილის გოლი პარტნიორის სიგლი

„სოღვა
რატომ უნდა
ნიჭვიანოს“ ...

რატომ მოხეობდა რუსკა
მეყაშვილის და მის სიკვდილზე

„სიმა არ მომეწონდა“ ...

რა აბრაზებს და რაზე
ტირის ჯაბა ბოჯბუა

ქვეყნის



გადუნიანის ტყვეობიდან
გათავისუფლებული
ქართველის ინტერვიუ



რატომ უფრთხილდებოდნენ
ეგვი აბელი პოლისიელები
ლავა აბრაშიშვილს



„მინი მდგომარეობა
უკეთესობისკენ შეიცვალა“ ...

უზურაძისყოფილი და
ნაცხები ჯარისკაცების
განსიდუმლოებული საქმე



თემა ეპოქისი

ადამიანის სხეულიდან
ეუბაქის განდევნის გზა



მეგობრის ტყვეობა
მოხდარს სანჯაღი

რჩევები მოდის მიმდევარი პატარკლებისთვის

ISSN 1987 - 5029




9 771987 502009



წიგნი

რომელიც უნდა
წაიხიტოს
სანამ ცოცხალი ხარ!



წიგნი I
ონორა და ბალზახი
„შაგინის ტყავი“

15 8-დან -
ნოემბრამდე!


მაგარ გარეკანში,
შემოსაკრავი სუპერით
მხოლოდ „კვირის პალიგრის“
მკითხველისთვის წიგნის
სპეციალური ფასი - 7 ლარი



ჯეკ ლონდონი



შოთა ხუთაველი



ალექსანდრე დიუმა

და სხვა დიდ
წიგნები...
„წიგნი მსწავლის“ ყოველ
მკითხველს ნომერის რაოდენად!

„კვირის პალიგრის“ ხელმძღვრთა საყურადღებოდ! წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით
„ალეა.ჯი“-ს ტელ: 38 26 73; 38 26 74 კურიერი ყოველ წიგნს ადგილზე მოგართმევთ.

თერაფლუ®

ავადმყოფობის დრო არ არის!

ბერაფლუს
სხვადასხვა
ფორმა ბრიჯისა
და გასიეზის
ყველა
სიეზომის
სამკურნალოდ



პრეპარატის გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის
მისაღებად მიმართეთ ექიმს

NOVARTIS
ნოვარტისი, შვეიცარია
გ. ტაბიძის ქ. №18;
ტელ.: 98 27 30;
98 27 50

**ბრიჯისა და
გასიეზის დროს**



განახლებული რესტორანი თეთრი სახლი
გეპატიყებათ ღირსშესანიშნავი თარიღისა და
სადღესასწაულო ღონისძიებების
ატსანიშნავად.



*გაცემრით ყოველი
საღამო
სვინთან ერთად*

- გამორჩეული ქართულ - ევროპული საზარაულო
- სასიამოვნო და აკომფორტული გარემო
- მათლი ხარისხის მომსახურება - დაბალი ფასები
- ცოცხალი მუსიკა

*რესტორნის შიგრი
საწითლოზე ვაიხნს
საბავშვო და თინიჯერყოლი
სალოცხნსაყოლი
სვინტრი*

ღია ყოვალღა
11:00 - სთ-ღან.

მის: მტავრის მარცხენა სანაპირო, ბაღ: 479567, 893907733, 899104344

როღანი - რონაში დასაკლავი უნიკალური საშუალავა!

მისი ღროული მიღავა თავიღან
ავასიღავთ რონაში მავტავასას

- ეყოლოგიუხად სავთვა, ბავახივი ჰყოღავი
- ხადს უშიხ ნახშირწყღავის სნიმავში ბადახვღანს
- ხადს ენყოხ სნიმავის ბოლომღა დაწვას
- აქვითავს მადან ენეხიჩის მომავთავის ფონავ
- როხამღა დაჰყავს სიმსაქნის ჰოხომონი დაჰხინღი
და ჰოღასხიჩინი
- მოხანიშმიღან ბამოაქვს ზადმავი სითხე და
შღავაბი
- ანახიღავს საჰღინს მომნეღავიღი სისხავას

როღანი



მოგვავითხეთ მისამართო:
თბიღისი, რუსთავღლის ბავფ. №28
ან მიმართეთ „როფარმის“ და
„ფი ჰი სის“ საავთიამო ქსავლს,
როგორც თბიღისში, ასავი
ქუთავისსა და ბათუშში.
დაავიკავშირღით ტავლ. რომრავაზი
99 00 14; 895308405;
893 668318; 897 117867;
e-mail - promoita@mail.ru
nikosaniild@mail.ge

მიღავის წინ ბავცანიოთ ინსტრუქციას, ბვირღითი მოვლავების
შესახავ დეტალური ინფორმაციის მისაღავად მიმართეთ მავიშს

mirco
www.mirco.ge მიჩკომ

microlife
A partner for people. For life.

SWISS
DESIGN

BP A100 Plus



ავთოვავარი წევის ავავარი
BLOOD PRESSURE MONITOR

BP W100



შავის ავთოვავარი წევის ავავარი
WRIST BLOOD PRESSURE MONITOR

FR 100



შუბლის თავოვავარი
FOREHEAD THERMOMETER

MT 1751



სანოვაკა თავოვავარი
PACIFIER THERMOMETER

MT 1931



მოქარივილი თავოვავარი
GOLD TIP THERMOMETER

NEB 50



ინავლავარი (ნებულავარი)
NEBULISER

FH 600



ფავის სავთვარი
FOOT WARMER

WS 100



შიფრული სანოოი
ELECTRONIC SCALE

შვს. „მიჩკომ“

მის: ჰეიინის 15.

ტელ: 10 50 11; 37 98 73



როგორ შემოაკვდა უდაბნოში ქართველს ბედუინი

„დღემდე არ ვიცი, საქმე რა მუხლით იყო აღძრული, არ მეუბნებოდნენ. ბოლოს, დეპორტაციით გამომიშვეს. რაც ყველაზე მთავარია, ჩემი ნებისყოფა გამომადგა, სულ ვლოცულობდი“.

7



შვილის გოლი პარტნიორის სიბილი

„ხანდახან სცენარში ისეთი სიტყვები წერია, წასაკითხად შესაძლოა, კარგია, მაგრამ საუბრისას ბუნებრივი არ იყოს, ამიტომ ვცდილობთ, ისეთი სიტყვებით გავათბოთ დიალოგები, რომლებსაც რეალურ ცხოვრებაში ვიყენებთ. ეს კი გმირიდან გამომდინარეობს“.

18



ცხოვრება

მეგზის ბაპარში მომხდარი სასწაულები



„დაწყველილი ადამიანის ოჯახს, მის მოდგმას ეს წყევლა დაერევა, მას აზარალებს და მერე მანყევარს შემოუტრიალდება, მისი ოჯახის წევრების საქმეც ძალიან ცუდად წავა“.


26



- **ზინიაფიურები** 5
უცნაურები
- **ქრელი ვსოფლიო** 6
- **პოლიტიკა** 7
- **საზრდო** 10
საზოგადოების ლიტერატურული
გემოვნების ნაკრები —
„მედიაპალიტრის“ ახალი პროექტი დაიწყო
- **კრივიწალი** 11
როგორ შემოაკვდა უდაბნოში ქართველს ბედუინი
- **პრობლემა** 13
რა ხდება ქართულ შეიარაღებულ ძალებში
- **ეკონომიკა** 15
- **ღვასასწაული** 16
- **ბანდები** 18
- **ნარმაგება** 20
„ნიჭიერიდან“ — „ბრავომდე“
ანუ წარმატებული ნორჩი მომღერალი
- **ღაღაფიშვილები** 22
„მტრად გადაკიდებული“ დები მაყაშვილები
და ექსსიძესთან „გაყოფილი“ სცენა
- **ამკლავი** 24
ახალი ქართული ფილმი და ეკრანიდან
რეალობაში გადმოსული ამბავი
- **თემა** 26
მეტეხის ტაძარში მომხდარი სასწაულები
- **რაქურსი** 29
ექიმი, პოეტი, დედა ანუ გვანცა დარასელიას
პოეტური დედის „დამალული“ ნიჭი
- **გასაჭირი** 31
რა ახარებს და რაზე ტირის ჯაბა ბოჯგუა
- **სულის სიბჭიყისა** 32
საქართველოზე შეყვარებული
რუსი ქალბატონის ამბავი

გზაგნილები

„პატარა ღვთის საჩუქარია“



„ვაიმე, ამ, ხალხს თავში ტვინი აქვს თუ საღეჭი რეზინი?.. გენაცვალე, ლოგინში რომ უგორდებოდი, მაშინ სწავლაზე არ ფიქრობდი? ბავშვი უნდა გააჩინო, აბა, ცოდვას ხომ არ დაიდებ?..“

76

■ ბედის ბორობალი	43
პორტრეტები მოხუცებულთა თავშესაფრიდან	
■ ღიზინიერი	36
როგორ უნდა გამოიყურებოდეს მოდის მიმდევარი	
■ ანტიდეპრესანტი	38
■ ავტო	38
■ ისტორიის ლაბირინთები	40
მიტროპოლიტ ნაზარის მონამებრივი აღსასრული	
■ ტაქარი	43
უსჯულოს მიერ აღიარებული მარცხი	
■ ოსტატი	45
■ საკითხავი ქალბისათვის	47
■ ეს საფარო	49
■ ჯანმრთელობა	51
■ სხანის მიღვა	54
„ჯეოსტარის“ ყოფილი	
კონკურსანტის სახიფათო გატაცება	
■ კოლორიტი	56
■ თინეიჯერული პოეტები	59
გოთური იმიჯი ანუ შავოსნები თეთრი სახეებით	
■ წვეთი პოეზია	62
■ სახსოვარი	63
■ ფანტასტიკური დეზაქტივი	66
რუსუდან ბერიძე. ინტერვიუ	
მიცვალბულთან (გაგრძელება)	
■ რომანი	70
სვეტა კვარაცხელია. რომანტიკა	
თუ დანაშაული?! (გაგრძელება)	
■ ნაშვილი ავგაპი	74
უცნაური მგზავრები	
■ ბზავნილები	76
■ ყველა ერთისათვის	80
■ მოგილი-ზაყია	82
■ მოზაიკა	88
■ პროექტი	90
■ სიხლუ	91
■ ერუდიტი	92
„ტელევიზია ჩემთვის ძლიერი ნარკოტიკია,	
რომელზეც დამოკიდებული გავხდი“	
■ ბასკაროვი	94
■ ასტროლოგია	96
■ სკანოვარი	97
■ საფიროპო კროსკოვარი	98

საფარო



მიტროპოლიტ ნაზარის მონამებრივი აღსასრული

1924 წლის აპრილში მიტროპოლიტი ნაზარი და რამდენიმე სხვა სასულიერო პირი ამნისტიით გაათავისუფლეს, მაგრამ მეუფეს რეზიდენციაში დაბრუნების ნება არ მისცეს.

36

ადამიანი



„ჯეოსტარის“ ყოფილი კონკურსანტის სახიფათო გატაცება

„ამ სფეროში ჯერ დახვეწა მჭირდება — იმედია, მომავალში ჩემგან კარგი რაღისტი ქალი დადგება.“

54

ბიბლუსი




ინტერვიუ შიშვალბულთან

— კიდევ დიდხანს უნდა ვიაროთ?
— გადაულაპარაკა გვარიანად დაქანცულმა ნათიამ ლაშას და მათ წინ მიმავალი შოთიკოს ფართო ზურგს უცნაურად მიაშტერდა.
— სულ ცოტადა დარჩა, — უკან არც კი მოუხედავს, ისე გამოსძახა მას შოთიკომ და გზა განაგრძო.

62

ტაიმ-აუტი



„ტელევიზია ჩემთვის ძლიერი ნარკოტიკია“...

— „ურნალისტი მენავკვა, რომელიც ცოცხის მაგივრად კალამს ხმარობს“.
— ვინ არის ამ გამონათქვამის ავტორი?
— ქართველია? მინიშნება მითხარი, გთხოვ.
— ეს პიროვნება საფრანგეთში 1769-1821 წლებში ცხოვრობდა.
— ნაპოლეონ ბონაპარტი ყოფილა.
— ეთანხმები?
— მის სიტყვებში არის სიმართლის ელემენტები.

88

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით, რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ნანა გიგოლაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**
მისამართი: **თბილისი, იოსებძის ქ. #49**
ტელ: **38-84-44, ფაქსი: 38-08-63, email: gza@palitra.ge**
რეკლამა „გზაში“: **37-78-07; 38-78-70.**

უცნაურები



შსავლის ნაცვლად

ზღაპრული ქვეყანაა საქართველო, ჩემი მეზუთეკლასელი შვილის ინგლისურის მასწავლებელმა მითხრა, იმან — „იმპორტულმა“, ამერიკელი რაა. ჩემს ბიჭს გაუკვირდა — ვა, ლაპარაკი სცოდნაო! რატომ გაგიკვირდა-მეთქი? — და, ყოველ კვირაში შემოდის (კვირაში ერთხელ!), უკანა მერხზე ჯდება, ჩვენს მასწავლებელს (ქართველს) უსმენს და ჭერში იყურება ხოლმე; ჯერ ხმა არ ამოუღიაო. წინა კვირაში რომ გავცდინე, ბავშვებმა მითხრეს, შენ რომ არ იყავი, მასწავლებელმა რომ ლექსის კითხვა დაიწყო, მის ანიტამ თქვა, — „ო, მია გოდი!“-ო, მაგრამ მეგონა, მატყუებდნენო... რა უნდა მეპასუხა, ბავშვია, შეუგნებელი... მეორედ ეგ სისულელე აღარ გაიმეორე, თორემ შაშვინი ბიძია ქამიაში გამოცდას დაგინიშნავს-მეთქი. — ქამიას რომ არ ესწავლობო? — ჰოდა, მაგაშია საქმე-მეთქი. რაღა ექნა, შეეშინდა და გაჩუმიდა...

სახლის გასაღები დავკარგე და სკოლაში იმიტომ მივედი, ბავშვს გამოვართმევ-მეთქი, მაგრამ მარინა მანდატურმა არ შემიშვა, — შესვენებაზე მე გამოგიყვანოთ თქვენს შვილს და გამოართვითო. — კი, ბატონო, დაველოდები, ავგრ სიგარეტს მოვწვევზომში-მეთქი. — არ შეიძლება აქ მოწვევაო. — ის რომ ეწვევა-მეთქი? — „წავიპროვოკატორე“ („ის“ იქვე იჯდა ძელსკამზე (ამერიკელი მასწავლებლების ჩამოყვანამდე „სკამიკას“ რომ ვეძახდით) და რაღაც ძალიან არომატულ სიგარეტს ეწვოდა) — ეგ თქვენი საქმე არ არის, პირადობის მოწმობა თან გაქვთო?! — კი-მეთქი და ჯიბისკენ წავიღე ხელი. — ახლა არ მინდა, მერე, ბავშვს რომ გამოვიყვანო... ვაა, გაგიგონიათ?! გოგოების მერე, ამ სიბერეში, ძლივს „ბიჭის კონსპექტი“ ვიშოვე, გამიჩენია, წამომიზრდია, სკოლაში მიმიყვანია და ახლა, როსტომ წერეთლისა და იმ ფოსტის უფროსის არ იყოს, თუ პირადობის მოწმობა არ ვუჩვენე, მარინა მანდატური შვილს არ მანახებდა...



მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, მივუჯექი გვერდით მის ანიტას და ვიბაასეთ. მაშინ მითხრა, — ზღაპრული ქვეყანაა საქართველო, — ქართულად მითხრა! ჰოდა, „ზღაპრულზე“ გამახსენდა: არ გეგონოთ, რამე მოვიგონე, ყველაფერი ცხადში მოხდა, ზღაპარს კი ახლა ვიამბობთ: იყო და არა იყო რა, იყო ერთი უცნაური ახალგაზრდა კაცი, უცნაური გარეგნობითა და უცნაური ხმის ტემბრით. ცხოვრობდა უცნაურ ქვეყანაში და ბედის უცნაურობამ ისე იწვინა, რომ იმ უცნაური ქვეყნის უცნაური არჩევნების შედეგად უცნაურ პარლამენტში აღმოჩნდა. მანამდეც და მერეც, ბევრი უცნაურობა ჩაიდინა უცნაურმა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს (მგონი, ის დღეც უცნაური იყო) საკუთარ თავსაც კი გადააჭრბა: მეგობარი და მფარველი (არაუცნაური) ქვეყნის ძააალიან უცნაური არჩევნების შედეგად გამარჯვებული კიდევ უფრო ძააალიან უცნაური პრეზიდენტი შეუყვარდა უცნაურად და დაიჟინა: — აუცილებლად უნდა დავარქვათ გაღმელი პრეზიდენტის სახელი რომელიმე უსახელო მწვერვალს. ეს გადაარჩინს ჩვენს უცნაურ ქვეყანასო.

ახლა, ცოტა ხნით ზღაპრიდან გამოვიდეთ: ჩემს მეზობელს, გინდ დაიჯერეთ და გინდ — არა, ლგოვი ჰქვია! ლევი ან ლიოვა კი არა, ლგოვი!!! რატომ და, მამამისს, უკრაინის ამ ქალაქში ჯარში უმსახურია კომუნისტების დროს, ეტყობა, „მაგრად იგრიალა“ და შვილს ის დაარქვა, რაც ყველაზე კარგი ჰქონდა ცხოვრებაში ნანახი... მაგრამ ახლა მთავარს გეტყვით: ამ ლგოვმა, თხუთმეტი წლის წინ, ცოლი ფენხიმედ რომ ჰყავდა, სიზმარი ნახა (თვითონ ასე ამბობს) — შავებში ჩაცმულმა ქალმა („სტოპრო ღვთისმობელი იყო“ — ასე ჰყვება ხოლმე) უთხრა, თუ გინდა, მშობიარობას გართულებები არ მოჰყვეს, ცოლიც და შვილიც ჯანმრთელები იყვნენ, ბავშვსაც ლგოვი დაარქვიო!!! აბა, უარს ხომ არ ეტყოდა, მორწმუნე კაცია...

ახლა ის ბავშვი თოთხმეტი წლისაა და დღემდე ეზოში ვერ ჩადის. ძალიან გაუხარდა მანდატურების ინსტიტუტის შემოღება... ჰო, ისევე ზღაპარს დავუბრუნდეთ: უცნაურმა, ეტყობა, ჩემი მეზობელი ლგოვიც, „სტოპრო“ რაღაც უცნაური სიზმარი ნახა, თორემ ასეთი ახირება?! ქვეწიწე, არ გვინდა მაგის სახელი, მოდი, „ბიძია თომას მწვერვალი“ ან „ტომ სოიერის ძმაცაცი ზანგი ჯიმის პიკი“ დავარქვათო, მაგრამ გაგიგონია?! აღარ გადათქვა — გინდა თუ არა, ლგოვი... უჰ, ობამაო... მთელ ზღაპარს აღარ მოვეყვები, ადგილი აღარ გვაქვს და როგორმე სხვა დროს იყოს, მაგრამ რატომ გავიხსენე ეს ამბავი, მის ანიტასთან ერთად, იცით? რატომ და, ქართულად რომ მითხრა, ზღაპრული ქვეყანა გაქვთო („ლ“-ც სწორად გამოთქვა), — ჯერ სად ხარ, კობა ხაზანის ახირების გამო მწვერვალს თქვენი უცნაური პრეზიდენტის სახელს რომ დავარქმევთ, მერე ნახეთ-მეთქი, — და იცით, რა მითხრა?! — გავკარი ჩემს პრეზიდენტსო! — ქართულად მითხრა!!! რომ დაინახა, თვალები გადმოკვარკლე და ფერი დაკვარგე, — თქვენმა შვილმა მასწავლაო, — დამამწვიდა... კარგი გოგოა მის ანიტა, იმ პიდარასტ ბიჭს კი არ ჰგავს, თავისი პორნოსურათები რომ გამოამზეურა...

P.S. ჰოდა, იმ უცნაურს მინდა ვკითხო — აღარ დაილაღეთ?! აღარ მოგწვინდათ?! ველარ გაიგეთ, რომ მლიქვნელობასა და პირველობასაც პროფესიონალიზმი სჭირდება?! ერთის სახელი რომ დაარქვით ქუჩას და ახლა ისე „გიტყდებოთ“, რომ „ჩერებ თბილისის ზღვა“ დადიხართ აეროპორტში, რომ იმ ქუჩაზე არ გაიაროთ, ეგ არ გყოფნით?! ...დაირეკა ზარი და გამოიყვანა ბავშვი იმან, მკაცრმა. — ჰმ, ვიცოდი, რომ ეს იქნებოდა თქვენო, — ამრეზით მითხრა. მომცა ბავშვმა გასაღები და ვილაპარაკეთ ორი წუთი, თვითონ ახლომასლო იდგა, როგორც წესი და რიგა ალკატრასის ციხეში... ისე, ძია შაშვინ, მეთორმეტე კლასში ქამიისა და ბიოლოგიის გამოცდები რომ დაწინე და ეს საგნები იმ ბავშვებს საერთოდ რომ არ უსწავლიათ, იცი? არ დამიმალო, მარინა მანდატურს გაფიცებ!

პროვოკატორი

ბრიტანელი მამაკაცი კატის წამების გამო დააპატიმრეს



ბრიტანელ კოლინ შერლოკს, საკუთარი კატის წამების გამო 4 თვით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. 44 წლის მამაკაცის წინააღმდეგ საქმე მას შემდეგ აღიძრა, რაც სამართალდამცავ ორგანიზაციებს მობილური ტელეფონით გადაღებული ვიდეოჩანაწერი ჩაუვარდათ ხელში. მასზე ასახულია, თუ როგორ ათავსებს მამაკაცი კატას მიკროტალღურ ღუმელში. მამის შემდეგ შერლოკმა კატა ღუმელიდან გამოიყვანა და ჩართულ სარეცხ მანქანაში შეაგდო, შემდეგ კი 20 წამით — მაცივარში, ბოლოს — წყლით სავსე ჯამში. აღსანიშნავია, რომ ვიდეოჩანაწერი თავად დამნაშავემ გადაიღო და

მეგობრებს გაუგზავნა, ერთ-ერთმა მათგანმა კი ამ ფაქტის შესახებ პოლიციას აცნობა. შერლოკის ადვოკატები ამტკიცებდნენ: კატის წამების მომენტში კოლინ მთვრალი იყო და ახლა ჩადენილს ძალიან ნანობსო. მიუხედავად ამისა, სასამართლომ დამნაშავეს ოთხთვიანი პატიმრობა მიუსაჯა და 10 წლის განმავლობაში შინაურ ცხოველთან მიახლოებაც კი აუკრძალა.

ამჟამად კატა ცხოველთა თავშესაფარშია, სადაც მიყენებული ტრავმის გამო ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას გადის.

ამერიკის მთავარი პარტნიორი ინდოეთი(?!)

„XXI საუკუნეში აშშ-ის მთავარი პარტნიორი ინდოეთია“, — ეს განცხადება ბარაკ ობამამ ინდოეთში სამდღიანი ვიზიტის დროს გააკეთა. ევროპელი ექსპერტების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ინდოეთთან ურთიერთობის განვითარებით ვაშინგტონი ჩინეთის წინააღმდეგ ძლიერ მოკავშირეს შეიძენს. ათდღიანი აზიური ტურნეს დაწყებამდე, ობამა მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ინდოეთის მნიშვნელობის შესახებ ხშირად ლაპარაკობდა. ობამამ ინდური საინფორმაციო სააგენტო PTI-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ისიც აღნიშნა, რომ დელისთან „სტრატეგიული პარტნიორული ურთიერთობის განვითარება“ თეთრი სახლის აზიური პოლიტიკის ქვაკუთხედია. ობამა ინდოეთის პრემიერ-მინისტრ მანმოხან სინგხს დაჰპირდა, რომ ინდოეთი გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი გახდება. აშშ ამ ქვეყანასთან თანამშრომლობას კოსმო-სურ, სამოქალაქო, ბირთვულ და თავდაცვის სფეროებში გააღრმავებს.

იტალიაში რობოტმა პანკრეასის გადაწერვის პირველი ოპერაცია ჩაატარა — 43 წლის ქალბატონს, რომელიც 24 წლის ასაკიდან შაქრიანი დიაბეტით ავადმყოფობდა, კუჭქვეშა ჯირკვალი გადაუწერეს. როგორც ქირურგიული ჯგუფის ხელმძღვანელმა უგო ბოგიმ განაცხადა, პანკრეასის გადაწერვის ოპერაცია ძალიან რთულია; დიდია სისხლდენის რისკიც. საბედნიეროდ, სამსათიანმა ოპერაციამ და სარეაბილიტაციო პერიოდმა გართულების გარეშე ჩაიარა.



Da Vinci SHDI-ის რობოტის დახმარებით კიდევ მრავალი რთული ოპერაციის ჩატარება იგეგმება, მათ შორის — თირკმლისა და საშვილოსნოს ამოკვეთა.

გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები



ჟაკ შირაკს 10-წლიანი პატიმრობა ემუქრება

სულ მალე საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი, ჟაკ შირაკი სასამართლოს წინაშე წარდგება. 77 წლის შირაკს პარიზის მერიის 7 ფიქციური სამუშაო ადგილის შექმნაში და ამ მაქინაციით დაგროვილი ფულით საკუთარი პარტიის დაფინანსებაში ედება ბრალი. თავად შირაკი ბრალდებას უარყოფს და აცხადებს, რომ მისი პრეზიდენტობის დროს კანონი პარტიების ამ სახით დაფინანსებას არ კრძალავდა.

77 წლის პარაშუბისტის სკანდალური გადაწყვეტილება

77 წლის კატალონიელი მონტე მანო, რომელიც პარაშუტით სტომის დიდოსტატია, რეკორდის დამყარებას აპირებს. ეს ქალბატონი უპირატესობას აქტიურ დასვენებას და ჯანმრთელ კვებას ანიჭებს. მონტე მანო პარაშუტით სულ 903-ჯერაა გადმომხტარი. მიუხედავად იმისა, რომ მოხუცს ფეხის პრობლემა აქვს, იგი არ ნებდება და ცდილობს, ახალგაზრდებს არაფერში ჩამორჩეს.





ქვეყანა

დაპირისპირება გიგანტებს შორის და საქართველოს ორაზროვანი მდგომარეობა

„ჩვენი გავლენა და შესაძლებლობები ძალიან მსიერია, მაგრამ მაინც უნდა ვეხსიანოთ“

„ამერიკა ირანზე თავდასხმისთვის ემზადება. ამ საკითხთან დაკავშირებით თეთრ სახლსა და პენტაგონს შორის საგანგებო კონსულტაციები მიმდინარეობს“, „პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ირანის ისლამურ რესპუბლიკაზე სამხედრო ზენოლის ესკალაციის განხორციელების შესახებ განკარგულება უკვე გასცა“. „ამერიკისა და „ნატოს“ ფართომასშტაბიანი სამხედრო ძალები ირანის შეიარაღებული ძალების სრულ განადგურებას გეგმავენ“ — ასეთი ცნობები დასავლურმა მედიამ მას შემდეგ გააფრცულა, რაც ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტს, ჯო ბაიდენს ირანზე ზენოლის გაძლიერება სთხოვა. ბაიდენმა კი საჯაროდ განაცხადა, რომ პრეზიდენტი ობამა არ დაუშვებს, ირანმა ბირთვული არსენალი აწარმოოს და თუ პრობლემა მშვიდობიან გზით არ მოგვარდება, საქმეში შეიარაღებული ძალები ჩაებმებიან...

მაციო სააგენტო „პრეს ტვ“-ს ინფორმაციით, ირანის ბირთვულ პროგრამას მხარი დაუჭირა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმაც. შეგახსენებთ იმასაც, რომ ცოტა ხნის წინ საქართველოსა და ირანს შორის უვიზო რეჟიმი უკვე ოფიციალურად გაფორმდა. რას უნდა ნიშნავდეს ეს ყველაფერი, სავაზაუდოდ, როგორი შეიძლება იყოს ამერიკის ხელისუფლების საბოლოო გადაწყვეტილება ირანთან დაკავშირებით და რა გავლენას იქონიებს საქართველოზე ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გამწვავება? — ამის შესახებ ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში, **პანა მოპოლავილი** გვესაუბრება.

სათუნა პანტურიძე

შეგახსენებთ, რომ აშშ-მა და ისრაელმა ირანს მოუწოდეს, შეეწყვიტა ბირთვული პროგრამა, რომელიც, მათი თქმით, ბირთვული იარაღის შექმნას ისახავს მიზნად. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო, წლეულს იენისში, გაეროს უშიშროების საბჭომ 1929-ე რეზოლუციით, ირანს დამატებითი ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციები დაუწესა. ირანმა არაერთგზის უარყო ბრალდება ბირთვული იარაღის შექმნასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ მისი ატომური პროგრამა მშვიდობიან მიზანს ემსახურება: სულ ახლახან ქალაქ ბუშერში პირველი ატომური ელექტროსადგური გაიხსნა, პრეზიდენტმა მახმუდ ახმადინეჯადმა კი პირობა დადო, რომ მალე ირანის ტერიტორიაზე ურანის გადამამუშავებელი 10 ქარხანა აშენდება.

ნების განვითარების რამდენიმე ვარიანტს უნდა ელოდო და შესაბამისი სამოქმედო გეგმებიც წინასწარ უნდა გკონდეს მომზადებული.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია — მაშინ, როდესაც ამერიკა-ირანის ურთიერთობები უკიდურესად იძაბება, თეირანთან თანამშრომლობას რუსეთი და საქართველო ეტანებიან. პრემიერი პუტინი და საგარეო უწყების ხელმძღვანელი ლავროვი საჯაროდ უჭერენ მხარს ირანის ბირთვულ პროგრამას, რუსეთის სახელმწიფო კორპორაცია „როსატომის“ ხელმძღვანელი სერგეი კირიენკო ბუშერში, ატომური ელექტროსადგურის ამუშავებასთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებაზე ჩადის. ირანის საინფორ-

— ბატონო კახა, როგორ ფიქრობთ — ობამას ადმინისტრაციის მიერ ირანის მისამართით გაკეთებული განცხადებები შელახული იმიჯის აღდგენისა და პოლიტიკური დივიდენდების მოპოვების მიზნითაა გაკეთებული თუ ირანსა და ამერიკას შორის ომის დაწყების საფრთხე რეალურია?

— ვაშინგტონში საკმაოდ დიდი ხნის წინ მიიღეს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ თუ ირანი სანქციებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის ზენოლის მიუხედავად,

ბაიდენის ინიციატივას შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ აშშ-ის თავდაცვის მინისტრი რობერტ გეიტსი არ ეთანხმება. ის მიიჩნევს, რომ პოლიტიკურ-ეკონომიკური სანქციები, ადრე თუ გვიან, შედეგს მაინც გამოიღებს და ირანის ბირთვული პროგრამა შეწყდება. თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ როდესაც საქმე ირანს ეხება, მოვლენ-

ფეხსაცმლის მაღაზია „ტორალი“ მთავაზობთ

100%-იანი მხარაზი

სააფხაზო ფეხსაცმელი

ბრანდიოვული ფასდაკლებები

- ბალი,
- მაგაპინი და
- გაფხვის

ფეხსაცმლის ფართი აკრძებს, ხალხისათვის ფასები, 30 ლაიფანი.

მის ქართვან ნაგებულის გავლ.№92 (მისანთან) ტელ 77 65 82; 858 68 55 48



მინც გააგრძელებდა ბირთვული იარაღის შექმნას, აშშ სამხედრო ძალას გამოიყენებდა ატომური ელექტროსადგურების გასანადგურებლად. თეთრი სახლი ამ გადაწყვეტილების შესახებ დროდადრო, ომხიან განცხადებებს აკეთებს. ჩემი აზრით, ამერიკელ მაღალჩინოსანთა მიერ ბოლო დროს გაკეთებულ განცხადებებს პოლიტიკური სარჩული უდევს საფუძვლად. სენატის არჩევნებში

— დიას. მაშინ მოსკოვმა თერანი სერიოზულად გაანაწყენა. რუსეთის ამ ნაბიჯის მიუხედავად, ჩემი აზრით, ვაშინგტონი მინც მოერიდება კრემლთან ურთიერთობის დაძაბვას, იმიტომ, რომ ძალიან სჭირდება რუსეთის დახმარება ავღანეთში. თეთრი სახლი უკვე დიდი ხანია, ცდილობს, ჩააბნოს მოსკოვი ავღანეთის კონფლიქტში. გარდა იმისა, რომ ვაშინგტონს რუსული სამხედრო და-

ხანია, ერთმანეთს დაუძინებელ მტრებად მიიჩნევენ. იაპონიასთან კარგ ურთიერთობაში მყოფი ქვეყანა ჩინეთისთვის არასდროს იქნება მისაღები პარტნიორად. შესაძლოა, იაპონიასთან ურთიერთობის დაძაბვამ რუსეთს ჩინეთთან ურთიერთობისას დიპლომატიური გამარჯვება მოუტანოს.

— საქართველოს რუსეთის სჭირდება მისი სტრატეგიული პარტნიორის — ამერიკის მტერთან ანუ ირანთან ურთიერთობის დათბობა?

— საქართველოსთვის ირანი ისეთსავე დიდ საფრთხეს წარმოადგენს, როგორცაც რუსეთი. ჩვენ არაფერში გვჭირდება, რომ მეზობლად კიდევ ერთი მტრულად განწყობილი უზარმაზარი ქვეყანა გვყავდეს. მერწმუნეთ, ირანსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის გაუქმება არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს. მე არც ის მგონია, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დათბობა შეერთებულ შტატებს გააღიზიანებს. ვაშინგტონმა შესანიშნავად იცის, რომ საქართველო არასდროს გახდება იმ ბანაკის წევრი, რომელშიც ირანი ან, თუ გნებავთ, რუსეთია. არა მგონია, საქართველოს უწყინარი სურვილი — ირანთან ეკონომიკური ურთიერთობის მოწესრიგება და დაბალანსებული პოლიტიკა — ამერიკის გაღიზიანების მიზეზი გახდეს. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ირანთან მეგობრული ურთიერთობა დავამყაროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოირიცხული არ არის, ამერიკაზე გამწარებულმა ირანმა საქართველოს დასჯა გადაწყვიტოს.

— იმ შემთხვევაში, თუ ამერიკა ირანის წინააღმდეგ სამხედრო ძალას გამოიყენებს, ჩვენ, ამერიკის სტრატეგიული პარტნიორი, შევძლებთ, ამ კონფლიქტისთვის არ დავზარალებდეთ?

— მართლაც, არ გვაძლევს ხელს შეერთებულ შტატებსა და ირანს შორის ომის დაწყება. ჩვენ მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, თუ რაიმე შესაძლებლობა და რესურსი გვაქვს, ეს ომი რეგიონს თავიდან ავაცილოთ.

— ჩვენ რა შეგვიძლია, ბატონო კახა?

— მართალი ხართ, ჩვენი ქვეყნის გავლენა და შესაძლებლობები ძალზე მცირეა, მაგრამ მინც უნდა ვეცადოთ. ამით იმას მინც მივალწევთ, რომ ირანის დარტყმის ობიექტად არ ვიქცევით. საგარეო მდგომარეობის თვალსაზრისით, ძალზე რთული მომენტი გვიდგას, მაგრამ იმედი მაქვს, თავს გავართმევთ.



„დემოკრატების“ დამარცხებამ და „რესპუბლიკელების“ გამარჯვებამ ცხადყო, რომ მოსახლეობის უმრავლესობა „დემოკრატი“ ობამას დამთმობ პოლიტიკურ კურსს არ ინონებს და ხისტი საგარეო პოლიტიკის მომხრეა (როგორც მოგესხენებათ, „რესპუბლიკელები“ ძალისმიერი მეთოდების გამოყენებაზე ხშირად აკეთებენ აქცენტს). ე.ი. სენატის არჩევნების შედეგმა ობამას ადმინისტრაციის რიტორიკა შეცვალა. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ვაშინგტონი საგარეო პოლიტიკას მნიშვნელოვნად შეცვლის. მე იმასაც ვფიქრობ, რომ ობამა ამერიკული ბიზნესისთვისაც ახალი გზების ძიებას დაიწყებს. ალბათ სწორედ ამით იყო განპირობებული ინდოეთში ობამას გამგზავრება.

— ობამას ადმინისტრაციას სწორედ „რესპუბლიკელები“ აკრიტიკებდნენ რუსეთის მიმართ წარმოებული ლოიალური პოლიტიკის გამოც. თუ ოფიციალური მოსკოვის მიერ ირანის ბირთვული პროგრამის მხარდაჭერასაც გავითვალისწინებთ, ხომ არ არის შესაძლებელი, ვაშინგტონმა მოსკოვის მიმართაც შეიცვალოს პოზიცია?

— მედვედევმა უკვე დაუშვა შეცდომა, როდესაც კურილიის კუნძულების გამო იაპონიასთან ურთიერთობა გაამწვავა. გამოირიცხული არ არის, რომ იგივე შეცდომა დაუშვას ირანთან მიმართებითაც. რუსეთი ცდილობს, ირანის წინაშე თავისი საქციელის რეპილიტაცია მოახდინოს.

— რას გულისხმობთ — ირანისთვის სანქციების დაწესების საკითხში აშშ-ს მხარი რომ დაუჭირა?

ლის გამოყენება უნდა, ასევე სურს, პაკისტანის ნაცვლად, რუსეთი გამოიყენოს თავისი სამხედრო ძალების მომარაგებისთვის. პაკისტანის გზა სულ უფრო და უფრო სახიფათო ხდება და მის ერთადერთ ალტერნატივად, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი რჩება. ამერიკისთვის ეს იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის სათავეში რესპუბლიკური პარტიაც რომ იყოს, რუსეთთან ურთიერთობას მინც არ გაამწვავებდა, ყოველ შემთხვევაში — ამ ეტაპზე მინც.

— არც იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი შეცდომებს ისევ დაუშვებს?

— რუსეთი უეჭველად დაუშვებს შეცდომებს და თეთრი სახლის მცდელობის მიუხედავად, საბოლოო ჯამში, რუსულ-ამერიკული ურთიერთობები მინც არ აენწყობა, იმიტომ, რომ ამ ქვეყნების პრიორიტეტები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. მიუხედავად იმისა, რომ ფუნდამენტური ისლამი რუსეთისთვისაც ისეთსავე დიდ საფრთხეს წარმოადგენს, როგორცაც ამერიკისთვის, ისინი ერთმანეთთან მინც ვერ მორიგდებიან. მაგრამ ვიდრე ეს საბოლოოდ გაირკვევა, ბევრი დრო გავა. ისე, არ არის გამოირიცხული, რომ რუსეთმა მალევე გადადგას ამერიკის საწინააღმდეგოდ მიმართული კიდევ რამდენიმე ნაბიჯი, თუ ის პარტნიორული ურთიერთობის დამყარებას შეძლებს ისეთ პერსპექტიულ ქვეყნებთან, როგორებიცაა ჩინეთი და ინდოეთი.

— როგორ ფიქრობთ — რუსეთს იაპონიასთან სიტუაციის გამწვავება რისთვის სჭირდება?

— ჩემი აზრით, ჩინეთის გულის მოსაგებად. ჩინეთი და იაპონია დიდი

საშემოდგომო ფასდაკლება "ავას", "დოლივას" და "ენვიტას" პროდუქტებზე

20%

40%

მთელითხვით სუპერმარკეტებში



გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

საინფორმაციო სამსახური 967 227

www.aversi.ge

საზოგადოების ლიბერალური გამოვლენის ნაკრები — „მედიაპალიტრის“ ახალი პროექტი დაიწყო

„მედიაპალიტრის“ ახალი პროექტი — „50 ნიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“ დაიწყო: 2 კვირაში ერთხელ, გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად, მკითხველებს მსოფლიო ლიტერატურის შედეგების შექმნა ხელმისაწვდომ ფასად შეუძლიათ. რაც მთავარია, პროექტის ფარგლებში, მკითხველი იმ ნაწარმოებებს მიიღებს, რომლებიც გამოკითხვის შედეგად, თავად შეარჩია. გამოკითხვა კვლავაც გრძელდება... პირველი ნიგნი — ონორე დე ბალზაკის „შაგრენის ტყავი“, რომლის შექმნაც, გაზეთთან ერთად, ორი კვირის განმავლობაში 7 ლარად შეგიძლიათ, ბევრმა მკითხველმა უკვე შეიძინა კიდეც.

თუ პირდაპირი

თინათინ ახათიანი, გამომცემლობა „პალიტრა L“-ის დირექტორი:
— ასეთი პროექტი სხვა მრავალ ქვეყანაში განხორციელდა. ჩვენ მიერ ნიგნების პირველი ოცეული უკვე გამოვლენილია.



პირველი ნიგნი — ბალზაკის „შაგრენის ტყავი“ ბევრმა მსურველმა უკვე შეიძინა კიდეც. მეორე ნიგნი — ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენი“, რომელიც საზღვარგარეთიდან გამოგვიგზავნეს (ნიგნები საქართველოში არ იბეჭდება), პრეზენტაციზზე ნიშუშის სახით წარმოვადგინეთ. მას მკითხველი 22 ნოემბერს მიიღებს. პრეზენტაციზზე სკივრიც გვქონდა, რომელშიც „ქართული პროზის საგანძურის“ ნიმუშები მოვთავსეთ. „პალიტრა L“-ის პირველი პროექტი სწორედ „ქართული პროზის საგანძური“ გახლავთ, რომელიც ყურნალ „გზასთან“ ერთად ხორციელდება. ეს პროექტი გრძელდება და იმედია, კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

უცხოური ლიტერატურის ნიმუშების თარგმანებთან დაკავშირებით სიძნელებებს სომ არ აწყდებით?

— ეს ყოველთვის პრობლემა იყო, რადგან ძველად მსოფლიო ლიტერატურას რუსული ენიდან თარგმნიდნენ, რაც ორიგინალთან ცდომილებას იწვევდა. ამიტომ, ხალხის მოთხოვნითა და ჩვენი რედაქტორების რჩევით, გადაწყვიტეთ, რადენიმე ნიგნი თავიდან გვეთარგმნა. ისეთი ნიგნებიც გვაქვს, რომლებიც ქართულ ენაზე ჯერ არ გამოსულა, მაგალითად — დლესდლეო-

ბით ბევრ ქვეყანაში ბესტსელერად ქცეული — „99 ფრანკი“, რომლის ავტორიც მსოფლიოში აღიარებული ფრანგი მწერალი — ფრედერიკ ბეგბედერი გახლავთ. მისი ნაწარმოები მრავალ ენაზე ნათარგმნი და მსოფლიო მასშტაბით, 44 მილიონზე მეტი ეგზემპლარია გაყიდული. რადგან ამ ნიგნის მიმართ საზოგადოებამ დიდი ინტერესი გამოიჩინა, გადაწყვიტეთ, ჩვენს პროექტში თანამედროვე მწერალიც ჩართულიყო. აღნიშნული ნაწარმოები ქართულ ენაზე პირველად ითარგმნა და მას მკითხველს „კვირის პალიტრასთან“ ერთად შევთავაზებთ.

მაინა აღუდაური, „პალიტრა L“-ის მთავარი რედაქტორი:

— აღმოჩნდა, რომ ქართველი მკითხველები ისეთ ნაწარმოებებსაც კითხულობენ, რომლებიც ჯერ ქართულ ბაზარზე არ გამოჩენილა და ორიგინალს ეცნობიან. გამოკითხვის შედეგად, გავარკვიეთ — თავად რა წაიკითხეს და რა სურთ, რომ სხვებმაც წაიკითხონ. პროექტს სოციალური თვალსაზრისითაც, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს: წლების განმავლობაში



საქართველოში გავრცელებული აზრი, რომ ნიგნი ხალხს ალარ აინტერესებს, თურმე სიმართლე არ ყოფილა; ჩვენში ნიგნი აინტერესებდა, კითხულობენ! ამის დადასტურებაა ყურნალ „გზის“ პროექტი — „ქართული პროზის საგანძური“. აღმოჩნდა, რომ ნიგნი ბევრს სურდა, მაგრამ ვერ ყიდულობდა. ჩვენი პროექტები ხალხს ნიგნის შექმნის საშუალებას აძლევს... ცხადია, 50 ნიგნი მსოფლიო ლიტერატურის საგანძურს ვერ დაიტევს, მაგრამ ეს კარგი რჩეულია! ბევრი ისეთი ნიგნი გვაქვს, რომელიც უკვე თარგმნილი, მკითხველის მიერ მოწონებულია, მაგრამ ისეთი ნაწარმოებებიც არის, რომელთა ხელახლა თარგმნა ვარჩიეთ, მაგალითად — მკითხველს მიხაილ ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტას“ ახალ თარგმანს შევთავაზებთ. მთარგმნელს „ძმები კარამაზოვებიც“ შეუპოვებთ.

ეი. საბოლოოდ გადაწყდა, რომ მკითხველს ამ რომანს შესთავაზებთ? როგორც ვიცი, დოსტოვესკის 2 ნაწარმოებს — „ძმები კარამაზოვებსა“ და „დანაშაულსა და სასჯელს“ შორის სერიოზული „ჭიდილი“ მიმდინარეობს.

— კი, ორივე ნაწარმოებს მკითხველთა სმების თითქმის თანაბარი რაოდენობა აქვს, მაგრამ გავითვალისწინეთ, რომ „დანაშაული და სასჯელი“ იოლად ხელმისაწვდომია — ბიბლიოთეკებშიც არის. ამიტომ ვიფიქრეთ, რომ უფრო სამართლიანი იქნება, საზოგადოებას ის ნაწარმოები შევთავაზოთ, რომელიც სურს, მაგრამ ქართულ ენაზე ჯერჯერობით არ გამოსულა.

მარიამ ღარჩია, „მედიაპალიტრის“ კრეატიული დირექტორი:

— ეს პროექტი — მეფელი საზოგადოების ლიტერატურული გემოვნების ნაჭრებია. უკვე 9000 კაცი გამოკითხეთ. გამოკითხვას კვლავაც ვაგრძელებთ, რადგან ბევრ მნიშვნელოვან ავტორს მკითხველების მხარდაჭერა სჭირდება. პროექტი იმ ნაწარმოებებით დაეიწყეთ, რომლებიც გამოკითხვის შედეგად, უდავოდ დანიშნურებულია. მკითხველებს ძალიან კარგ, ხარისხიან ქალაქზე დასტამბულ ნიგნებს (სანიშნეებით) 2 კვირაში ერთხელ, გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად, ძალზე ხელმისაწვდომ ფასში ვთავაზობთ.

გამოკითხვა რამდენ ხანს გაგრძელდება?

— მანამდე, ვიდრე 50 ნიგნის ნუსხა სრულად არ შეივსება. როგორც კი ეს სია შედგება, მეორე უკვე სხვა ეტაპზე გადავატოვებთ — ფსიქოლოგებს, სოციოლოგებს, საზოგადოებას შევაფასებინებთ... კიდევ ბევრ საინტერესო რაღაცას გიმზადებთ. ასე რომ, მიჰყევით ამ პროექტს და ყურადღებით იყავით, რადგან ეს თქვენი არჩეული ნიგნებია... ■



როგორ უამოაკვდა უდაბნოში ქართველს ბედუინი

ეპიკტაში ცყვეობას სასწაულთხრივად დააღწია თავი

32 წლის ლაშა აბრამიშვილს ეგვიპტეში ბედუინი შემოაკვდა. როგორც ამბობდნენ, მას იქაური კანონმდებლობით, სიკვდილით დასჯა ელოდა. იმის საშიშროებაც იყო, რომ ბედუინებს თავად ეძიათ შური. მკვლელობის შემდეგ, 5 ქართველთან ერთად ლაშამ სამშვიდობოს გააღწია და პოლიციაში აღმოჩნდა. მოგვიანებით საქმეში საქართველოს საელჩო ჩაერთო. მისი დახმარებითა და თვითმხილველთა ჩვენებების წყალობით, ორთვიანი პატიმრობის შემდეგ ლაშამ შეძლო დაემტკიცებინა, რომ მკვლელობა თავდაცვის შედეგად მოხდა. ლაშა უკვე თბილისშია. უმძიმესი დღეები გადაიტანა დედამისმაც, რომელიც ყოველდღე საგარეო საქმეთა სამინისტროს კართან იდგა და დახმარებას ითხოვდა.

თავ სურსილავა

ლაშა აბრამიშვილი პროფესიით ეკონომისტი. საზღვარგარეთ წასვლა უმუშევრობამ გადაწყვეტინა. ისრაელში მყოფი მეგობარი სამუშაოს მოძებნაში დახმარებას დაჰპირდა. მთავარი კი იქ მოსახვედრად გზების მოძიება იყო. როგორც ბევრმა ქართველმა, მანაც უცხო ქვეყანაში არალეგალურად ჩასვლა გადაწყვიტა. ისრაელში მცხოვრებ ქართველს დაუკავშირდა, რომელიც მოქალაქეების გადაყვანით იყო დაკავებული, ფასზეც შეთანხმდნენ და, უდაბნოს გავლით, ლაშა ისრაელში უნდა აღმოჩენილიყო. თბილისში სხვა მსურველებიც გამოჩნდნენ. 6-კაციანი ჯგუფი გადაწყვიტა მითითებებს მიჰყვებოდა. ჯერ თურქეთში ჩავიდნენ, იქიდან კაიროში გადაფრინდნენ და ასე აღმოჩნდნენ ბედუინების ხელში. ამას მოჰყვა უდაბნოში 3 უმძიმესი თვის გატარება. დანარჩენს თავად ლაშა აბრამიშვილი მოგვითხრობს:

— თავიდან კარავში ვიყავით, ორი ჯგუფი — 6 ქართველი და 10 მოლდაველი. ერთ-ერთი მათგანი გაიქცა — პირობები არ მოეწონა. დაკავების შემდეგ გავიგეთ, რომ ის სხვა ბედუინს ჩაუვარდა ხელში, იმან კი სახლში ჩაკეტა; რაც ჰქონდა — 100 დოლარი და მობილური — ბედუინმა წაართვა, მოითხოვდა, ახლობლებს გამოსასყიდი გამოეგზავნათ. მოლდაველს უთქვამს, — თუ გინდა, მომკალით, ფულს ვერ გამომიგზავნიანო. როგორც ჩანს, ბედუინსაც მოჰბურდა ეს ყველაფერი და ქუჩაში „მიაგლო“. მერე მოლდაველები ციხეში შეხვდნენ იმ ბიჭს და ერთად დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში... უდაბნოში 3 თვე გავატარეთ. გადაყვანის იმედი აღარ იყო, ბედუინიც მიხვდა და ამიტომ, ფულის შოვნა გადაწყვიტა.

შეთანხმება როგორი იყო?

— ისრაელის საზღვარზე ქართველი უნდა დაგვედროდა, ფულიც იქ უნდა მიეცა. მისგან ვიცოდით, რომ ბედუინებს უნდა გადავეყვანეთ. კაიროში დანიშნულ ადგილას დავექით. მარ-

თლაც, მოვიდა ჯიბი, რომელშიც ორი შეიარაღებული ბედუინი იჯდა. არც კი დაგვლაპარაკებინა, საბარგული გახსნეს და იქ ჩაგვანვინეს, ზემოდან ბრეზენტი გადაგვაფარეს. ირგვლივ საშინელი სიჩუმე სუფევდა. ძალიან მძიმე წუთები იყო. აჩიკომ (ქართველი, რომელიც მასთან ერთად მიდიოდა. — ავტ.) მითხრა, — სხვას ხომ არ ჩაუჯვჭვითო?... სამი საათი ვიარეთ. მერე მანქანა გაჩერდა, გადმოგვყარეს, თითო „ადილა“ მოგვაჩვენეს ხელში და რალაც მინუტში შეგვიყვანეს. იქ თავიდან კარგად გვექცეოდნენ, ბრინჯი, კონსერვები და წყალი მოჰქონდათ. ისრაელმა საზღვრები გაამკაცრა, მესაზღვრეებს სროლის უფლებაც აქვთ. ამიტომ ის გზა, რომლითაც გადაწყავთ, რთული გასაგებელია. მიასლოებული ვიყავით საზღვართან, ვხედავდით ისრაელ მესაზღვრეებს... ჩვენი გადაყვანა რომ ვერ ხერხდებოდა, ამის შემდეგ ბედუინებთან სიტუაცია დაიძაბა. ჩვენთან ერთად, 4 ქართველი ქალი იყო, ალბათ ამიტომ ბედუინმა იფიქრა, ადვილად ვერ გავიქცეოდით და მოლდაველებს უფრო იყო დადარაჯებული — ისინი ერთ ოთახში ჩაკეტა. 20.000 დოლა-



რის გამოგზავნა 2 დღეში მოითხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველდღე თითო უნდა მოეკლა... სასწრაფოდ დაუკავშირდნენ ნათესავებს და დღე-ნახევარში ბედუინმა ფული მიიღო. ყველას წაგვართვა ფული, რაც ჯიბეში გვქონდა, ოქროფული, ტელეფონები.

უბრალოდ აშინება თუ მართლად დასოცავდა?

— ამის გამკეთებელი იყო, ძალა რომ ეჩვენებინა და ადამიანებზე ფსიქოლოგიურად ემოქმედა... სამი დღის შემდეგ თითოეულს დამატებით, თითო ათასი მოსთხოვა. ეს ფულიც უნდა გამოეგზავნათ, მაგრამ წინააღმდეგ გამოვიქცეით ყველანი. საშინელი დღეები გამოვიარეთ, ასეთი რამ ფილმებშიც არ გვინახავს. იარაღს ატრიალებდნენ, შესაშინებლად ბევრჯერ ფეხებში უსვრიათ. ბევრჯერ ჩაგვხედეთ სიკვდილის თვალბეჭდით... იმ დღეს უფროსი ბედუინი ჯიბით მოვიდა, ოთხივე ქალის ძალით წაყვანა სურდა. აჩიკო წინ გადაუდგა, შესაშინებლად, ტყვიები ფეხებში დაგვიმინა და წავიდა.

ერთი ბედუინი ამდენ ადამიანს გატყუორებდა?

— არა, ბევრი იყვნენ, ყოველდღე იცვლებოდნენ. დღისით 3-4 შეიარაღებული მოდიოდა. იქვე საზამთროს ბალები ჰქონდათ და მოლდაველები სამუშაოდ წაიყვანეს. მე და აჩიკო არ გავყვეით. მერე შემოილილი სახით დაბრუნდა. მივხვდით, საქმე ცუდად იყო... გაქცევაზე სულ ვფიქრობდით, მაგრამ ხელსაყრელ დროს ვეძებდით. თან, გვერდით ქალები გვყავდნენ და გვეშინოდა, ამ რთულ გზას ვერ გაუძლებდნენ. იმ ღამეს გაქცევა გადაწყვიტეთ. დარაჯად ერთი ბედუინი იყო, ჩვენ გვერდით ეძინა. რიგრიგობით გამოვედით ოთახიდან. სულ ბოლოს მე გამოვედი. ანერვიულებულს პასპორტი დამჩა და ისევ უკან შებრუნებამ მომიწია. რომ დახვდეთ, მივხვდი — ბედუინს არ ეძინა; როგორც ჩანს, დაგვინახა, გვაცლიდა და ალბათ მერე დაგვიშენდა ტყვიებს. უეცრად გამოქანდა ჩემკენ. მძინარესაც კი დანა სულ თან ჰქონდა, ამჯერადაც ხელში ეჭირა. ერთმანეთს დაგვქიდათ. ამ დროს ოთახში მოლდაველებიც იყვნენ, მაგრამ არ განძრუებულან, შეშინებულბით იყვნენ. ჩხუბის დროს საკუთარი დანა მოხვდა და დაიჭრა; წაიქცა, ისევ წამოდგა და ისევ ჩემკენ იწვედა. ვეუბნებოდი, თავი დაენებებინა, თან შემემინდა, მივხვდი — დაჭრილი იყო, მაგრამ მაინც არ მეშვებოდა. იქვე ქვაბი იდგა. დროებით რომ „გამეთიშა“ და გავქცეულიყავი, ის ქვაბი ავიღე და თავში ჩავარტყი. არ „გაითიშა“. შემემინდა, იარაღთან არ მისულიყო (იქვე მისი ავტომატი ეკიდა); ტყვიები ამოვაცალე; მერე, ტელეფონით მომხდარი სხვებისთვის რომ



არ ეცნობენინა, მობილური ნამოვილე... ამის შემდეგ მოლდაველებმა სასწრაფოდ დატოვეს იქაურობა.

გზაში არაფერ შეგხვედრიათ?

— ლამე იყო. ისეთი შეშინებულები ვიყავით, თავიდან მოვრბოდით. სილაში ნაფხურებს ვტოვებდით. ჩვენს მოსაგნებად ადვილი იქნებოდა, გასაველად კი — რთული იყო. ასე შორს ვერ წავიდოდით, ამიტომ გზაზე გადასვლა გადავწყვიტეთ. მანქანის შუქს როგორც კი დაფინახავდით, გზის პირზე, ძირს ვწვებოდით. უდაბნოში, სილაში ბოთლი ვიპოვეთ; არც მიგვიცქევია ყურადღება იმისთვის, ჭუჭყიანი იყო წყალი თუ — არა, რიგრიგობით დავლიეთ და გზა განვაგრძეთ. იმ ღამით თურმე 40 კილომეტრი გაგვივლია. დილით საგუშაგოს მივაღვეით. იქ პასპორტები ჩამოგვართვეს. ვუთხარით, რომ ტაქსის მძღოლმა „გადაგვადგო“. ეგვიპტის ვიზებიც გვქონდა.

როგორ გაირკვა, დანაშაული თქვენ ჩადენილი რომ იყო?

— იმ ადგილებს, სადაც ბედუინები არიან, პოლიცია ვერ აკონტროლებს. საგუშაგოს უფროსმა გვითხრა, — ახლა ტაქსი მოვა და პოლიციაში წაგიყვანთო. უეცრად ბედუინების ჯიბი მოგვადგა. მოითხოვდნენ, იქ ჩავსხდარიყავით. ერთმანეთთან საუბრისას მკვდრის სახელიც ახსენეს. მივხვდი, საგუშაგო მათთან კავშირში იყო... აქ უკვე ემზაკობა ვინმარე. მართალია, ტელეფონი გათიშული იყო, მაგრამ გავითამაშე, თითქოს ჩვენს ელჩს ველაპარაკებოდი. ინგლისურად ვუთხარი, — ელჩი შეკითხება, რა ტერიტორიაზე ვართ-მეთქი? პასუხი არ გამცეს. იქვე ინგლისური წარწერა დავინახე და ხმამაღლა წავიკითხე; ჯიბის ნომრებიც ამოვიკითხე, მერე ვუთხარი, — ელჩმა მითხრა, იმ მანქანას არ გაჰყვით, ახლა ჩვენს წასაყვანად სხვა მანქანა მოვა-მეთქი. გუშაგმა დაიჯერა და ცოტათი შეშინდა. მერე პოლიცია გამოიძახა და ელ-არისის პოლიციაში აღმოვჩნდით. ერთ საათში იქ მოლდაველებიც მოიყვანეს. ისინი ისევ ბედუინებს ჩავარდნოდნენ ხელში და იმავე ადგილას დაუბრუნებიათ. დილით, როცა სხვა ბედუინები მოვიდნენ, შენობიდან 600 მეტრში იპოვეს მკვდარი. როგორც ჩანს, დაჭრილი გარეთ გამოვიდა. ამის შემდეგ ატყდა განგაში. მოლდაველები ჰყვებოდნენ, — 60 ბედუინი ავტომობილებით შეიარ-

აღებული იყო და უნდოდათ, დავეხოცეთო. ყველანი გააშინველეს, მათ სხეულზე ძალადობის კვალს ეძებდნენ, რომ გაერკვიათ, უშუალოდ რომელმა მოკლა. დაღუპულის ძმა ამბობდა, — ვინმე მინც უნდა მოგკლავო... შეშინებულმა მოლდაველებმა თქვეს, — ეს ქართველებმა ჩაიდინესო. ამ დროს საგუშაგოდან შეიტყვეს, რომ ქართველები იქ ვიყავით და იმ იმედით, რომ ხელში ჩაგვიგდებდნენ, მოლდაველები გამოუშვეს.

ლაშა, როგორ აღიარეთ მკვლელობა?

— თავიდან ყველანი უარყოფდით. მოლდაველებიც კონკრეტულად არ ამბობდნენ, რომლის მოკლული იყო, ჩემი თუ — აჩიკოსი: დავინახეთ, ერთ-ერთმა ქვაბი რომ ჩაარტყა, მაგრამ სიბნელეში სახე ვერ გავარჩიეთო. მანამდე მათთან ნაჩუბრები ვიყავით. წყალი შეზღუდულად გვქონდა; ბუნებრივია, ქალებს ცოტა მეტი სჭირდებოდათ, ეს მოლდაველებმა გააპროტესტეს და ვიჩხუბეთ.

მანამდე როგორც ცხოვრობდით, რითი იკვებებოდით?

— თავიდან ბრინჯი და კონსერვები მოჰქონდათ, მერე შეიზღუდა: ერთ მუჭა ბრინჯს ვხარშავდით და იმას ვინანილებდით. თვითონ კარგი საჭმელები ჰქონდათ; ღამით იმას ვხარავდით... ბოლოს აგურის შენობაში ვიყავით, რომელსაც რკინის კარი ჰქონდა. გამომწყვედური მოლდაველებისთვის 2 დღე წყალიც არ მიუწოდებიათ. ბოლო 15 დღე განსაკუთრებით გაუსაძლისი იყო.

საელჩოსთან დაკავშირება როგორ მოახერხეთ?

— ვითხოვდით საკონსულოსთან დაკავშირებას. ერთ-ერთმა მოლდაველმა არაბული იცოდა და გვეხმარებოდა. პოლიციაში რუსულის მცოდნე თარჯიმანი მოიყვანეს. დანაშაული რომ ვაღიარე, მერე ერთკაციან საკანში გამომკეტეს. მოლდაველები გაათავისუფლეს. ქართველებიც გამგებულები მეგონენ. თურმე კაიროს ციხეში 10 დღე იყვნენ, იქიდან აცნობეს საკონსულოს და ჩემი ადგილსამყოფლის შესახებაც უთხრეს. ელჩი და კონსული ჩამოვიდნენ. მათ იუსტიციის სამინისტროში შევხვდი. ყველა მონშე ერთნაირ ჩვენებას იძლეოდა. ელჩმა მითხრა, — საქმე ძალიან ცუდად არის, როგორ გადავჩნები, არ ვიცი, ჩვენ ვცდებით, ყველანირად დაგეხმაროთ; იმის ფინანსები კი არა გვაქვს,

ძვირად ღირებული ადვოკატი რომ აგვივანოთო... იქ დამინიშნეს ადვოკატი. მერე კონსული დამპირდა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებს დაუკავშირდებოდა და ადვოკატისთვის თანხებს მოიძიებდა. ბოლოს 10.000 დოლარად ადვოკატიც იპოვა, მაგრამ საქმე ისე წარიმართა, რომ მისი ჩართვა საჭირო აღარ გახდა. ბოლო მომენტამდე არ მქონდა იმედი. საელჩოს ჩარევის შემდეგ ციხეში ჩემდამი დამოკიდებულებაც შეიცვალა.

იქაური ციხის პირობები აღგონრებო?

— საკანში 21 კაცი ვიყავით. არც საწოლები იყო და არც სკამები, იატაკზე გვეძინა. კვირაში ერთხელ, 10-15 წუთით დერეფანში გაყავდით სასაეროდ. საჭმელი დღეში ერთხელ შემოჰქონდათ. ყველანი საერთო თევზიდან ვჭამდით, ჩვენ-ჩვენი ულუფა ვიცოდით... იქ მყოფებთან ამანათები მოჰქონდათ; რომ გამიცნეს, მეც მიყოფდნენ. არაბები ძალიან თბილი ხალხია, გეგონება, რაიმე საერთო აქვთ ქართველებთან. ჩვენსავით ციან ყურადღების მიქცევა. მთელმა ციხემ იცოდა, რისთვის ვიჯექი. პატიმართა უმრავლესობა — ბედუინია; სხვა საკნებიდან ვამჩნევდი მათ მტრულ მზერას, მაგრამ მათგან იზოლირებული ვიყავი. სხვებს „აღილები“ ჰქონდათ და იმაზე ინვინ; მერე პატიმრებმა მეც მომცეს. ერთმანეთის გვერდიგვერდ „ჩალაგებულები“ ვინექით. 2 თვე გავატარე იმ საკანში. იყო თავდასხმის, შურისძიების სამიშროება; როცა დერეფანში გაყავდით, პოლიციელები ძალიან ფრთხილდნენ, დაცვა გაძლიერებული იყო. ყველა კატეგორიის დამნაშავე იჯდა ჩემ გვერდით.

დეპრესიაში არ ჩავარდნილხართ?

— უცხო გარემოს ადვილად ვეგუებ, ადამიანებთან ურთიერთობა არ მიჭირს და ეს ცოტათი მშველოდა... ბოლოს ყველა „ჯოჯოჯია, ჯოჯოჯიას“ გაიძახოდა და ისე მაცილებდა, მათ შორის, პოლიციის უფროსიც. ელ-არისიდან კაიროში, 6 საათის სავალზე ხშირად დაგყავდი, დღემდე არ ვიცი — რატომ; არაფერს მეკითხებოდნენ, თვითონ წერდნენ რაღაცას და მერე ისე უკან მაბრუნებდნენ.

საქმის კვალიფიკაცია მერე შეიცვალა?

— დღემდე არ ვიცი, საქმე რა მუხლით იყო აღძრული, არ მეუბნებოდნენ. ბოლოს, დეპორტაციით გამომიშვეს. რაც ყველაზე მთავარია, ჩემი ნებისყოფა გამომადგა, სულ ვლოცულობდი. საკანში ვწერდი იმ საშინელი ამბების შესახებ, რაც თავს გადაგვხვდა. კარგი ფილმი გაკეთდება. ისეთი დღეები გამოვიარეთ, მერწმუნეთ, ფილმებშიც არ ხდება ასეთი რამ. ხვლიკები, გველები ყველგან გვხვდებოდა. ვკლავდით კიდეც. მორიელები დარბოდნენ. ზოგს ფესსაცმელი დაეხა და ქვენარმაველებს რომ არ შევეწუხებინეთ, მას ვწვავდით. ღამით ბედუინები ისე არ იძინებდნენ, სანამ ცეცხლს არ დაანთებდნენ. ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო. ამის გადამოცემა შეუძლებელია.





რა ხდება ქართულ შეიარაღებულ ძალებში

ჯარისკაცების სემის გარეშე გარეგანი კითხვის ნიშნები

შეიარაღებულ ძალებში არსებულ პრობლემებზე, როგორც ჯარისკაცები, ასევე ისინი, ვინც სავალდებულო სამხედრო სამსახური უკვე მოიხადეს, ბოლო დროს სშირად საუბრობენ... მართალია, თავდაცვის სამინისტრო საგულდაგულოდ ცდილობს არსებული ხარვეზების მიჩქმალვას, მაგრამ ზოგჯერ ინფორმაცია მაინც „ჟონავს“... 5 ნოემბერს არასამთავრობო ორგანიზაციის — „ყოფილი პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ — თავმჯდომარემ ნანა კაკაბაძემ გააფრცვლა ინფორმაცია, რომ მე-4 ბრიგადის 42-ე ბატალიონში 15 ჯარისკაცი იყო ნაცემი. მისი თქმით, ყველაფერი იმით დაიწყო, რომ შევებულებიდან დაბრუნებულ კაპრალ ჩოჩელს მასზე რიცხული ცეცხლსასროლი იარაღი ადგილზე არ დახვდა... „კაპრალი ჩოჩელი წარმოშობით გორელია. შევებულებაში იყო გასული და ნაწილში დაბრუნებულს იარაღი დაკარგული დახვდა, რის გამოც მეთაურობამ დაუნდობლად სცემა. მასთან ერთად ნაცემია 15 ჯარისკაცი, რომლებსაც „დუბინკებითა“ და ნიხლებით გაუსწორდნენ. ერთ-ერთმა სერჟანტმა, გვარად კიკნაძემ შეურაცხყოფისგან ენები გადაიჭრა... არსებობს ინფორმაცია, რომ ერთ-ერთი ჯარისკაცი გაუპატიურებულია, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, მის ვინაობას ვერ დავასახელებ... მას შემდეგ, რაც საზოგადოებაში ხმაური ატყდა, მიიმე მდგომარეობაში მყოფი ჯარისკაცები გადამაღეს.“ — აღნიშნა ქალბატონმა ნანამ.

ნილო აფხაზავა

თავდაცვის სამინისტრომ ოფიციალურ განცხადებაში, ინციდენტი დადასტურა, მაგრამ კონკრეტული გვარები არ დაუსახელებია და მეთაურობისგან ჯარისკაცების ცემის ფაქტიც უარყო.

იგივე განაცხადა ნაწილში მისულმა სახალხო დამცველმაც. გიორგი ტულუშის თქმით, ჯარისკაცებს შორის მოხდა შელაპარაკება, რაც ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რის შედეგადაც მათგანი მსუბუქად დაშავდა. „ერთ-ერთ მათგანს აღენიშნებოდა თვითდაზიანების კვალი და ჩემთან საუბრისას განაცხადა, რომ თავად დაისერა ხელი. მომხდართან დაკავშირებით ვესაუბრე ჯარისკაცებსაც და მითხრეს, რომ ინციდენტი უკავშირდება სამხედრო ნაწილის საიარალოდან ერთი ავტომატის დაკარგვას. როგორც ამბობენ, მათ ამის გამო შელაპარაკება მოუხდათ და რომდენიმე ჯარისკაცი მსუბუქად დაზიანდა...“

— როგორ ფიქრობთ, რატომ არ ჩაერია რეგითების ჩსუბში მეთაურობა?

— არ ვიცი, ვერ გეტყვით, ეს მათ უნდა ჰკითხოთ. მაგრამ ყველა ჯარისკაცი, რომლის გვარიც ნაცემთა შორის იყო მოხსენიებული, სამხედრო ნაწილში, სხვა ჯარისკაცებთან ერთად იმყოფებოდა და ნაცემისა და დაზიანების მათ არაფერი ეტყობოდათ. მათთან გასაუბრების შემდეგ დამატებითი სამედიცინო ჩარევის აუცილებლობაც ვერ დავინახე...

მომხდარის გარშემო უამრავი შეკითხვა დაგროვდა და შეიარაღებულ ძალებში არსებული ვითარების გარკვევას კონტრაქტორებისგან შევეცადე. გასაგები მიზეზების გამო, მათ ანონიმურობის გა-

რანტია მომთხოვეს. მათივე თქმით, სამხედრო ნაწილში, სამწუხაროდ, მგავსი არასანდებო შემთხვევა არც ისეთი იშვიათობაა, თუმცა ამის შესახებ ინფორმაცია საზოგადოებაზე რამდენიმე მიზეზის გამო ვერ აღწევს: შეურაცხყოფილი სამხედროები ამის გამოაშკარავენ ვერ ბედავენ, რადგან მათ ზურგს უკან ოჯახები დგას და მათი საარსებო წყარო — კონტრაქტორის ხელფასია.

ზაზა, 23 წლის, ბატალიონ „ალფას“ ნევრი:

— ამ ბატალიონში ჩემი მეგობრები მსახურობენ, მაგრამ მომხდარის შესახებ მათ დეტალურად ვერ გამოვიკითხე, ვინაიდან მათი ნახვის საშუალება არ მომეცა, სატელეფონო საუბრებს კი ვერიდებით — ისმინება... თავდაცვის სამინისტრო ამტკიცებს, რომ იარაღის დაკარგვის გამო შესლა-შემოსლა თავად კაპრალებს შორის მოხდა, რაც დაუფერებელია. ვინც სერჟანტ კიკნაძეს იცნობს, არ დაიჯერებს, რომ შემთხვევით გადაისერავდა ხელს, — საოცრად ფრთხილი ადამიანია; გარდა ამისა, ჯარი ციხე არ არის და იქ შემთხვევით ხელის გადასერვა — სისულელეა. სიმართლე ის არის, რომ მან მეთაურთა მიერ მიყენებული შეურაცხყოფა ვერ აიტანა.

— ბოლო დროს ჯარისკაცები სშირად ლაპარაკობენ მეთაურების მხრიდან შეურაცხყოფაზე რა არის ამის საფუძველი?

— ამას რაიმე განსაკუთრებული საფუძველი არ სჭირდება — ისინი უბრალოდ, სიმკაცრეს იჩენენ და ცდილობენ, ჯარისკაცი მუდმივად სტრესის ქვეშ ამყოფონ. ვერ ვიტყვი, რომ ასე ხდება ყველა ნაწილში, მაგრამ


დღევანდელ ქართულ არმიამი ჯარისკაცის დასჯის მიღებული და აპრობირებული ფორმა ყველას თვალწინ გინება და ზოგჯერ, მიფარებულში ცემაც კი. ნაწილის ხელმძღვანელობაში უმეტესად, გამოუცდელი კადრები მოჰყავთ; ყოფილა შემთხვევები, როცა მეთაურზე მეტი გამოცდილება ჯარისკაცებს ჰქონიათ და ეს რომ არ „შეეჩინა“ ან ვინმეს მისთვის რაიმე არ შეესწორებინა, პირდაპირ აგრესიაზე გადმოსულა... „ალფას“ ბატალიონის წევრთა უმეტესობამ ცხინვალში იბრძოლა და იმ 5-დღიანმა ომმა მათ გამოცდილება მისცა.

— გაფრცვლდა ინფორმაცია, რომ ამ ინციდენტის დროს სამხედროები მე-4 ბრიგადის შტაბის სარდაფში ჩაიყვანეს და პოლიციური რეზინის ხელკეტებით სცემეს...

— არ ვიცი, „საიდუმლო სარდაფის“ შესახებ აქამდე არაფერი მსმენია და არა მგონია, ასეთი ადგილი მეთაურობას სჭირდებოდეს, იმიტომ, რომ ჯარისკაცებს ძირითადად, ყველას წინაშე სცემენ და ამცირებენ. ხშირ შემთხვევაში, დასასჯელს პირდაპირ პლაცზე, ასულის თანდასწრებით ურტყამენ... დამცირებაში ვგულისხმობ დედის, ცოლ-შვილისა და ოჯახის გინებას, ბოლო დროს კი ჩვენი მისამართით ყველაზე შეურაცხყოფელ და ლამის გამანადგურებელ — სიტყვა „პიჟონსაც“ იყენებენ... ასე რომ, თუ „შეგარდნაძის ჯარში“ ჯარისკაცებს ტანსაცმელი არ ჰქონდათ, მშვირები იყვნენ, ახლა ტექნიკური მხარე მოგვარებულია, მაგრამ ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ გვინევს ყოფნა; ცდილობენ, დაგვიმონონ...

— ვიცი, რომ ასეთი პირობების მიუხედავად, სამხედროები მაინც დუმილს ამჯობინებთ; ბევრი ამას სიტყვაფონობითაც სწნს...

— დიახ, მესმის, რასაც შევითხებით. სამწუხაროდ, ამაზე ძალიან ბანალური

 რადიო თავისუფლება

უსმინეთ პროგრამას „თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება — რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, საღამოს ათის ნახევარზე.

radiotavisupleba.ge



პასუხი მაქვს: ბიჭების უმეტესობა რაიონიდან არის, სადაც მოსახლეობის უმეტესობა უმუშევარია, ამიტომ ოჯახში ერთადერთ „შემომტანს“ წარმოადგენს... ჩემთან ერთად ორი ძმა მსახურობს, ორივე კონტრაქტორია; ცოლ-შვილი და მოხუცი დედ-მამა ჰყავთ; ერთი სიტყვით, ოჯახს ხელფასით არჩენენ. ამასთან ერთად, ძალიან ბევრ კონტრაქტორს ჯარისკაცს ბანკიდან სესხი აქვს გამოტანილი და სამსახურის



დაკარგვას არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს... მიჭირს ამის თქმა, მაგრამ უმეტესობა გაძლებს. მეც მაქვს ბანკიდან სესხი გამოტანილი, თუმცა მსგავსი ინციდენტი რომ შემთხვას, ალბათ იმ დღესვე გავწყვეტ კონტრაქტს.

რომანი, 28 წლის:

— 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომში ვმონაწილეობდი. არ ვიცი, რამდენად არის საზოგადოება ინფორმირებული, მაგრამ IV ქვეითმა ბრიგადამ ყველაზე მეტი ჯარისკაცი და სამხედრო პირი დაკარგა. მეთაურობა, რომელიც ახლა, მწვიდობიანი პერიოდის დროს წიხლებით უსწორდება რიგითებს, აგვისტოს ომის ჯოჯოხეთიდან კისრისტებით გამოიქცა, იარაღს აქეთ-იქით ყრიდა და ამისთვის თითქმის არც ერთისთვის მოუთხოვიათ პასუხი, ახლა კი ერთი ავტომატის გამო, ათუთლობით ბიჭს მიაყენეს შეურაცხყოფა. არადა, იმ ბრიგადის ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს!.. დიახ, მესმის, რომ იარაღის დაკარგვა დანაშაულია, მაგრამ ჯარისკაცების ცემა და დედის გინება დანაშაულის პრევენციად შეიძლება ჩაითვალოს?! ვინც ამ სისტემაში ჩახედულია, ეცოდინება, რომ ერთი დანაშაულის გამო მთელ ასულს სჯიან, მაგრამ დასჯაში ნორმატივით გათვალისწინებულზე მეტი ვარჯიში, მთელი ღამე სირბილი, აზიდვები იგულისხმება და არა სასტიკი ცემა და დედის გინება. მეთაურობისთვის სიტყვის შებრუნება ასევე სასტიკად ისჯება, მაგრამ ბოლო დროს ჩვენს შეიარაღებულ ძალებში მეთაურობასა და რიტებს შორის ჩამოყალიბებული ურთ-

იერთობა, ციხის ადმინისტრაციასა და დასასჯელებს შორის არსებულ დამოკიდებულებას ჰგავს...

— თქვენ თუ გსმენიათ ბატალიონის შტაბთან არსებული სარდაფის შესახებ?

— დიახ, მსმენია. სწორედ იქ უსწორდებიან ათვალწუნებულ ჯარისკაცებს — სცემენ და დილაზე ფეხშიშველს ტოვებენ...

— რომან, ბიჭებისგან ვიცი, რომ იარაღი ცოტა უწყნარ ვითარებაში დაიკარგა.

— დიახ, ამ ფაქტით ბიჭებიც გაცნობილი იყვნენ... როგორც წესი, შვებულებაში გასვლაზე, ჯარისკაცი იარაღს საიარაღო განყოფილებაში აბარებს. იქიდან დაბრუნებულ ჩოჩელს კი იარაღი არ დახვდა. შინაგანაწესის თანახმად, პასუხისმგებლობა იარაღის პატრონს კი არა, იმ დღეს განწესში მყოფ ჯარისკაცებს უნდა დაჰკისრებოდათ. აქ კი პირიქით მოხდა — ჩოჩელი ცემით კინაღამ მოკლეს. ისიც ითქვა, რომ მას ადრეც გამოუტანია იარაღი, ამიტომაც ამ ინციდენტის დროს გაჩნდა ეჭვი, რომ ავტომატი საიარაღოდან მანვე გამოიტანა. იმ შემთხვევაში, თუ ჩოჩელს ადრეც ჰქონდა იარაღი გამოტანილი,

ეს ფაქტი მეთაურობას არ უნდა გამოჰპარვოდა და არც გამოუპარებოდა. ვინც ოდნავ მაინც ერკვევა ამ სისტემაში, მიხვდება, რომ საიარაღოდან ავტომატის გამოტანა ასე ადვილი არ არის — იქ მთელი პროცედურებია გასასვლელი. ჩოჩელი საიარაღოდან ავტომატის გამოტანას მარტო ვერ შეძლებდა, აუცილებლად ვიღაცა შეუწყობდა ხელს. ასეთ შემთხვევებში, საქმე სამხედრო პოლიციას უნდა გადასცემოდა...

— დანარჩენები რატომ სცემეს?

— ჯარისკაცებს ამის განსჯა და ანალიზი გვეკრძალება, მაგრამ იმ დღესვე ითქვა, იქ პატარა ბუნტის მცდელობა იყო, — ბიჭები უსამართლოდ ნაცემ ჩოჩელს გამოუსარჩლენენ და ნაწილიდან გამოიქცნენ. მითხრეს, რომ მათ მთელი ღამე ეძებდნენ, ამასობაში კი ნაწილში დარჩენილ ჯარისკაცებს რამდენიმე საათი შიშვლად ავარჯიშებდნენ, თან — სცემდნენ.

ბელა, 32 წლის, პათუმის ქვეითი ბატალიონის სერჟანტი:

— ძალიან უსიამოვნო ფაქტია, მაგრამ ეს არ არის შევარდნაძის დროინდელი შეიარაღებული ძალები, როცა 1.200 დოლარად ნებისმიერი მოდელის ავტომატს აგარჩევინებდნენ და „დიდი ბიზნესი“ ჰქონდათ გაჩაღებული... ჯარისკაცებს კარგი სამხედრო მომზადებაც სჭირდებათ, კარგი კვებაც, ტანსაცმელიც და, დანაშაულის შემთხვევაში, პასუხისმგებლობის აღებასაც გაურბიან. ჯარისკაცებს თუ თავზე ხელი გადაუსვი, ერთ მშვენიერ დღეს უფრო მეტს დაკარგავენ და სამოქალაქო ომი სხვა კი არაფერია.

— ჯარისკაცების ცემის ფაქტი თქვენთვის მისაღებია?

— არა, ცემას არ მივესალმები, მაგრამ ეს ჩემი კომპეტენცია რომ ყოფილიყო, მთელ ასულს მკაცრად დავსჯიდი და ოფიცრებს საყვედურს „დავურიგებდი“.

ირაკლი სოსიაშვილი, სამხედრო ექსპერტი:

— ასეთი ფაქტები ისედაც იმიჯშელახული ჯარის ავტორიტეტსა და მოსამსახურეთა განწყობილებაზე უარყოფითად აისახება და საზოგადოებას შეიარაღებული ძალების მიმართ საბოლოოდ შეუცვლის აზრს...

— ამ შემთხვევაში, არაპროფესიონალიზმთან გვაქვს საქმე თუ მეთაურობის მხრიდან ჯარისკაცების დამონების მცდელობასთან?

— როცა ქვეყნის შეიარაღებული ძალების ცალკეულ ნაწილებში ვიღაც ცდილობს, ჯარში დისციპლინა საკუთარი ლოგიკით დაამყაროს, ბუნებრივია, ის შეცდომას დაუშვებს... ამგვარად განვრთნილი ჯარისკაცი სამშობლოსთვის და მით უმეტეს, მეთაურისთვის თავს არ განირავს. ზოგადად, ქართულ ჯარში არ მისდევნენ იდეოლოგიურ-ალმზრდლობით მუშაობას, უფრო სწორად კი — გაცვეთილ, ზოგადაპატრიოტულ ფრაზებს თუ არ ჩავთვლით, იდეოლოგია საერთოდ აღარ არსებობს. არადა, ნორმალური ქვეყნებში, რომლებსაც ჩვენვე ვბაძავთ, ჯარში მოქმედებს ლირსების კოდექსი და დისციპლინის ნორმები, მოგვარებულია ჯარისკაცებსა და მეთაურობას შორის ურთიერთობა და ყველა ეს საკითხი აღნიშნული კოდექსით რეგულირდება. ასეა მაგალითად, გერმანულ არმიამში...

— ჯარისკაცებიც აღიარებენ, რომ საიარაღოდან ავტომატის დაკარგვა დანაშაულია, მაგრამ მათ მიმართ ასეთი სისასტიკე ალბათ შეუწყნარებელია...

— საქმე ის არის, რომ იარაღის დაკარგვა ინციდენტის დროს კი არა, რამდენიმე დღით ადრე მოხდა, ამიტომაც გასარკვევია, როდის აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, როდის დაინტერესდა ამით სამხედრო პოლიცია და რა მსვლელობა მიეცა... ჯარისკაცები თავიდან ლაპარაკობდნენ, — ჩვენზე ზენოლა ხორციელდება, გვცემენო; შემდეგ ეს გადათქვეს და „აღიარეს“, რომ ჩხუბი მათ შორის მოხდა. ამ შემთხვევაში, ჯარისკაცს სიმართლის სათქმელად ვაჟაკობა არ ჰყოფნის... ასეთი ინციდენტების გახშირებას (მნიშვნელობა არა აქვს, დამალული იქნება ის თუ არა), ისედაც შელახული სამხედროების იმიჯის უფრო მეტად შელახვა მოჰყვება. როცა ასობით ოფიცერი სამსახურიდან დაითხოვენ, მათ თავის დაცვა ვერ შეძლეს და ხმა არ ამოუღიათ, რიგითს რაღა უნდა მოვთხოვოთ?!

P.S. 5 ნომბერს განხილულ ინციდენტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება, რომელსაც სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი აწარმოებს...



პრეზიდენტის ახალი ინიციატივა — გამოსავალი თუ ახალი პრობლემა?

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივამ გლეხები და ფერმერები საგონებელში ჩააგდო. „საქართველოში დაუმუშავებელი მიწის ნაკვეთი არ უნდა არსებობდეს. მთავრობამ ამ პრობლემის მოსაგვარებლად რამდენიმე ნაბიჯი უკვე გადაადგა — ქვეყანაში შემოვიტანეთ იაპონური ტრაქტორები, მოვანსრიგეთ სარწყავი არხები და სათანადო საგადასახადო კოდექსიც მივიღეთ. ბევრი მიწაა დაუმუშავებელი, იმიტომ, რომ შევარდნაძის დროს პროკურორებმა, გამგებლებმა, მინისტრის მოადგილეებმა დაირიგეს მიწები; ახლა ელოდებიან, რომ ფასი მოემატოს და სარფიანად გაყიდონ. ეს არ გამოვა“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

სათუნა გავტყობი

ოფიციალური სტატისტიკით, ქვეყანაში მიწების 30%-ია დაუმუშავებელი, მაგრამ ეკონომიკური ექსპერტების აზრით, ეს მაჩვენებელი რეალურად, ბევრად მეტია — დაახლოებით 60%-ს აღწევს. მათი თქმით, ამჟამად დაახლოებით, 250 ათასი ჰექტარი მუშავდება, რაც ძალიან მცირეა ადრინდელ მაჩვენებლებთან შედარებით, როცა 750 ათას ჰექტარს იყენებდნენ. სოფლის მეურნეობის სამინისტროში დარწმუნებული არიან, რომ დღეს მიწების დიდი ნაწილი ისეთი ხალხის ხელშია, ვინც არ არის დაინტერესებული მიწის დამუშავებით. ამიტომ მომავალი წლიდან ასეთი მიწის მფლობელს გადასახადი დაეკისრება და იძულებული გახდება, მიწა ან თავად დაამუშაოს, ან იჯარით გასცეს, ან გაასხვისოს. მთავრობის გეგმის მიხედვით, შეიქმნება მიწის ბანკი და საინფორმაციო ცენტრი, რათა ინვესტორებმა მარტივად შეძლონ სასურველი მიწის ნაკვეთის შექნა.

სხვათა შორის, ექსპერტები მთავრობის ამ გადაწყვეტილებას ემხრობიან. მათი აზრით, კარგი იქნება, თუ წლობით დაუმუშავებელი და მიტოვებული ფართობები ინვესტორებს გადაეცემათ. ამასთანავე, იმასაც ამბობენ, რომ არსებობს მთელი რიგი პრობლემებისა, რომლის გამოც ფერმერები და გლეხები მიწის დამუშავებას ვერ ახერხებენ. თუ რა პრობლემების წინაშე დგანან მიწის მფლობელები, ამის გარკვევას გლეხებთან და ფერმერებთან საუბრისას შევეცადე. ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში, გია ხუხაშვილი კი იმის შესახებ გვესაუბრება, თუ როგორ შეიძლება მიწის მფლობელების წინაშე არსებული სიძნელების დაძლევა და რამდენად შეამცირებს დაუმუშავებელი მიწების რაოდენობას საჯარიმო სანქციები.

გურამ ხარაიშვილი:

— ოთხი ჰექტარი მიწა მაქვს, მაგრამ ვერ ვამუშავებ, იმიტომ, რომ სანვაგი გაძვირდა, იაპონიიდან ჩამოტანილი ტრაქტორებით კი მე და ჩემმა მეზობლებმა ერთხელაც ვერ ვისარგებლეთ: ათ სოფელზე ერთი ტრაქტორი მოდის. რიგში რომ ჩავდგე, შესაძლოა, იანვრამდე

არ მომიწიოს, მიწა თუ გაიყინა, მერე მოხვანას აზრი აღარ აქვს. გარდა ამისა, ის ტრაქტორი უფასოდ ხომ არ გვემსახურება?! ერთი ჰექტარი მიწა რომ დამიმუშაოს, 50 ლიტრი სანვაგი სჭირდება და 100 ლარი უნდა გადავიხადო. ხორბლის თესლი სპეციალური ნაშლებით უნდა დამუშავდეს, მიწა ნაკელით ან ქიმიური სასუქით უნდა განაოფიერდეს... ეს ყველაფერი საკმაოდ დიდ თანხებს მოითხოვს.

ჰატიონო ბიორაძე:

— მიწის ნაკვეთი, რომელსაც ჩემს ოჯახთან ერთად ვამუშავებდი, სულ ჰექტარ-ნახევარია. მიწის — არა, მაგრამ წყლის გადასახადს ვიხდით. ამის გამო არ ვინუნუნებ, პრობლემა სხვა რამეა: საკმაოდ დიდი თანხა გჭირდება იმისთვის, რომ სანვაგი, თესლი, სასუქი ვიყიდოთ, ტრაქტორი და მუშა ვიქირაოთ. ნერგი სათბურში გამოგყავს, მაგრამ სათბურის გასათბობად დამატებითი ხარჯია საჭირო. მე კიდევ რა

მიჭირს — მეუღლესთან ერთად, ოთხი ვაჟიშვილი მიდგას მხარში, მუშის დაქირავება არ მიჭირდება და, ასე თუ ისე, იოლად გავდივართ. ძალიან ბევრს ვშრომობთ იმისთვის, რომ ადამიანურად ვიცხოვროთ. ჩემს მეზობლებს შორის საკმაოდ ბევრია ისეთი, ვინც ადრე მიწას ამუშავებდა, მაგრამ სანვავის გაძვირების შემდეგ ამ საქმიანობას თავი დაანება. ბევრს ჰგონია, რომ მიწის გადასახადის მოხსნამ რაიმე შედეგით მოგვცა. სინამდვილეში სხვა ყველაფერი, რაც კი მიწის დამუშავებას სჭირდება, ისე გააძვირეს, რომ უდიდესი შრომის შედეგად, ძალიან ცოტა მოგება გვრჩება.

— ტრაქტორით თუ გისარგებლიათ?

— ერთხელაც ვერ ვისარგებლეთ. გამგებობაში რამდენჯერაც ტრაქტორის მოთხოვნით მივედი, იმდენჯერ გვითხრეს, — ახლა სხვას ჰყავს წყვან-ლი და რიგში ჩადექითო. რატომღაც, ეს რიგი არასდროს მთავრდება. მათ რომ ვუყუროთ, მიწა დაუნხავი დარჩება, იენისში ან აგვისტოში ტრაქტორი ვის რად უნდა?!

— როგორც ვიცი, პრეზიდენტის ინიციატივით, სანვაგიცა და სასუქიც რამდენჯერმე დაგირიგეს...

— კი, როგორ არა, ორი თუ სამი წლის წინ 20 ლიტრი სანვაგი მოგვცეს და ერთი ტომარა „სილიტრა“. სულ ეს

<p>საძინებლები</p>  <p>1360 ლარიდან</p>	<p>მაგიდა - სკამები</p> 
<p>ფასდაკლება 10-50%-მდე</p>	
<p>490 ლარი</p>  <p>გასაშლელი დივან-სანოლი</p>	<p>420 ლარი</p>  <p>გასაშლელი დივან-სანოლი</p>
<p>აღ. ყაზაგის გამზ.14^ბ ☎ 38 88 11 ვაჟა-ფშაველას გამზ.25 ☎ 37 11 11</p> 	



იყო, სხვა დანარჩენი ჩვენთვის არავის არაფერი მოუცია.

ნანა ქაბაძე:

— საცხოვრებელი სახლის გვერდით ორი ჰექტარი მიწის ნაკვეთი გვაქვს და, ასე თუ ისე, დაუმუშავებელი არ გვარჩება. ჩემმა შვილმა რამდენიმე წლის წინ 7 თუ 8 ჰექტარი მიწა იყიდა, ტრაქტორიც შეიძინა. ადრე მუშებს ქირაობდა და რაღაც გამოსდიოდა, მაგრამ ახლა საქმე ისე კარგად აღარ მიდის. ერთ სეზონზე სეტყვამ მოსავალი გაუფუჭა, რაც ბუნების სტიქიას გადაურჩა, ისიც ვერ გაყიდა... ხალხი ქართულ პროდუქტს უცხოეთიდან შემოტანილს არჩევს — იაფია და იმიტომ. გაზაფხულზე ჩემმა შვილმა მიწის გაქირავება გადაწყვიტა, მაგრამ მსურველი არ გამოჩნდა, გაყიდვა ჯერ არ უნდა, იქნებ რაიმე შეიცვალოს.

პასტანა ნადიმოძე:

— ყველაფერზე ჯარიმის დაწესება როგორ შეიძლება?! საშუალება რომ მქონდეს, ხელისუფლების მუქარა რად მინდა — ისედაც დიდი სიამოვნებით დავამუშავებდი მიწას. საკმაოდ დიდი ნაკვეთი მაქვს. ერთი პერიოდში პომიდორი მომყავდა და პურის ფული მრჩებოდა, მაგრამ მერე სანვავის, სასუქისა და პროდუქტის ტრანსპორტირების ფასი ისე გაიზარდა, მოგება თითქმის აღარ დამრჩა. იძულებული გავხდი, ხერხი მეხმარა — გადამყიდველისგან ვყიდულობ თურქეთიდან შემოტანილ პომიდორს და იმას ვყიდი. გაცილებით ნაკლები ხარჯი მაქვს, მოგებაც საგრძნობლად მეტია, თანაც, ფიზიკური გარჯაც აღარ მინევს.

— **სამაგიეროდ შესაძლოა, გადამყიდველისგან აღებული პომიდორი ეკოლოგიურად სუფთა არ იყოს.**

— რა ვქნა ახლა?! იმის გამო, რომ სხვები ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტით გამოიკვებონ, მე „ვირის მუშა“ გავხდე?

— **თურქული პომიდვრით თავადაც იკვებებით?**

— აბა, რა ვქნა?! ამბობენ, გენმოდინფიცირებულიაო, მაგრამ იაფია და იოლი გამოსავალია.

ბიბა ხუსნაშვილი, ექსპერტი ეკონომიკური საკითხებში:

— ქვეყნის ბიუჯეტს მართლაც სერიოზულ ზიანს აყენებენ ის ადამიანები, რომლებმაც შევარდნაძის ხელისუფლების დროს, მიწები იაფად ჩაიგდეს ხელში და ამ მიწის ფასის გაზრდას ელიან, რომ შემდგომ სარფიანად გაყიდონ. თუმცა მე მაინც ვფიქრობ, რომ მიწის დაუმუშავებლობის უმთავრესი მიზეზი — სოფლის მეურნეობის განვითარების გაუზარებელი პოლიტიკაა.

— **არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით, ხელისუფლებამ, პრეზიდენტის ინიციატივით „იაფი კრედიტის“ პროგრამა შეიმუშავა ანუ გლეხებს მიწის დამუშავების მიზნით დაბალპროცენტიანი კრედიტი შესთავაზა. თქვენი აზრით, რა-**

ტომ არ გამოილო ამან შედეგი?

— ვერ ვიტყვი, რომ ამ პროგრამამ საერთოდ ვერ იმუშავა. არჩევნების წინ ხელისუფლებამ სწორედ დაბალპროცენტიანი კრედიტით მოიმადლიერა გლეხები. გლეხებმა დიდად ვერ იხიერეს, რადგან ბანკიდან ნასესხები ფულით მოყვანილი პროდუქტი სარფიანად ვერ გაყიდეს. ასე რომ, ხელისუფლებამ იაფი კი არა, 0%-იანი კრედიტით რომ მისცეს გლეხს, თუ ეკონომიკურ საზღვარს არ დაიცავს და ადგილობრივ პროდუქტს იმპორტულით თანაბარ პირობებს მაინც არ შეუქმნის, პრობლემას ვერ მოაგვარებს.

— ეკონომიკური საზღვრის დაცვაში რას გულისხმობთ?

— იმას, რომ ჩვენი ქვეყნის საბაჟოზე აღარ არსებობს სურსათის უვნებლობისა და ფიტოსანიტარიული სამსახური. ქართული ბაზარი ნალექილია უხარისხო, ხშირ შემთხვევაში — გენმოდინფიცირებული პროდუქტით, რომლის თვითღირებულება ძალზე დაბალია და სერიოზულ კონკურენციას უწევს ქართულს, ჯანსაღ პროდუქტს. თუ საბაჟო გადასახადების საკითხს არ მოაგვარებენ, საზღვარზე უხარისხო, ფალსიფიცირებული პროდუქტის შემოტანას არ აკრძალავენ და ქართველ გლეხს თავის მიწაზე მოყვანილი ჯანსაღი პროდუქტის გასაღებისთვის პირობებს არ შეუქმნიან, სიტუაცია ვერ გამოასწორებენ. პრობლემა მართლაც ის არ არის, რომ გლეხს მიწის დასამუშავებლად საჭირო თანხა არა აქვს (თუმცა ესეც სერიოზული პრობლემაა). არიან ფერმერები, რომლებიც ათობით ჰექტარ მიწასაც უპრობლემოდ დამუშავებენ, მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ ამ საქმიდან ხეირს ნახავს. შესაძლოა, სანქციებისა და ჯარიმების შიშით, ვიღაცები მართლაც აიძულონ, გაყიდონ ან გააქირაონ მიწა, მაგრამ მედღეს მეორე მხარეც აქვს: ვინ იყიდის ან ვინ იქირავებს მიწას, თუ მისი დამუშავებით სარგებელს ვერ ნახავს?! ხელისუფლება უკვე მესამე წელია, „წარმატებული რთვლით“ ამყობს, გლეხი კი ხშირად იმაზე იაფად ყიდის ყურძენს, ვიდრე ამ პროდუქტის მოყვანა დაუჯდა.

P.S. იმის გასარკვევად, თუ რა თანხით დაჯარიმდება დაუმუშავებელი მიწის მფლობელი ან იზრუნებს თუ არა ხელისუფლება ეკონომიკური საზღვრის დაცვასა და ადგილობრივი მენარმეებისთვის შესაბამისი პირობების შექმნაზე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელს, გიორგი ჩადუნელს და ვუკავშირდები. მისგან კითხვებზე პასუხები იმ მიზეზით ვერ მივიღე, რომ თურმე, სამინისტრო ამ საკითხებზე ჯერ კიდევ მუშაობს და საბოლოოდ გადამწყვეტილი არაფერია. გლეხების დასამშვიდებლად ის კი გვითხრა, რომ მიწის დამატებით გადასახადს მხოლოდ 5 ჰექტარზე მეტი დაუმუშავებელი მიწის მფლობელები გადაიხდიან.

ირმა სარშილაძე

მათი სიყვარული თაობიდან თაობას უნდა გადაეცეს. ყველამ უნდა იცოდეს, როგორ უყვარდათ იმ საუკუნეში. სიყვარულმა აქცია სვარამზე მეტეხედ და მისაბამ ადამიანად. ვაჟიკას ცხენის ნაფენურების შემოღობვა საოცარი გამოვლენაა ადამიანის სულითაო, — ამბობდა თიანეთის კულტურის სახლში გამართულ „სვარამზე დღეზე“ პოეტი ქალბატონი — **ელა გოჩიაშვილი** და საკუთარ ლექსსაც თითქოს ჯიბრით ადევნებდა XIX საუკუნეს: „არც თვალები მაქვს გიორისა, არც ნაწნავი მცემს წელზედა/ არც იას ვგავარ სინაზით, ტურფას, ამოსულს ვვლზედა/ არც ვუნახივარ არავის ამხედრებული ცხენზედა/ არც არა იგი მინახავს თავგადაკლული ჩემზედა/ დავალ, დავხარი ქვეყანას, ზოგჯერ კი ვჩივი ბედზედა/ მაკლია ნაზი ამბორი მხოლოდ მარცხენა ხელზედა/ თუ გამამწარებს, მოვიჭრი, რად მინდა მეზას მხრებზედა/ თუკი ვაჟაკი, რჩეული, მინც გადამცვლის სხვებზედა/ სისხლად და ცრემლად დაცლილი ჩავეხუტები მინასა/ ამაყად ნავალ იმ ქვეყნად, სიკვდილი ვერას მიზამსა/“ — გიყვარდეთ! სულერთია, როგორ... ოღონდ გიყვარდეთო!

— ქალბატონო ელა, დღეს თქვენ აქ პირველი სვარამზე იყავით...

— გინდათ, რომ რაიმე ვთქვა (ილიმის)?.. ძალიან კი მაფრთხობს ეს თქვენი ჩამწერი...

— სვარამზე რომ მორცხვი და მწიშარა არ არის?!

— რა ვქნა, ეგეთი სვარამზე ვარ... ისე, შენ რა იცი, როგორი იყო სვარამზე მიკროფონთან? მეც არა ვარ მორცხვი — ისეთი გარღვევები და გატყუებები მქონია, მამ (იციანის)!..

ვაჟა-ფშაველას დედის, გულქან ფსიქოლოგიის თანატოლი ყოფილა სვარამზე. ვაჟას ძმას, თედო რაზიკაშვილს კი ძმის თანატოლი ქალიკელ გორზამაულისგან ჩაუნერია სვარამზე ლექსები. ბევრი იკვლევდა თურმე სვარამზე სადაურობას. ფშავეცი და ლიტერატურაშიც „სამუკათ სვარამზე“ იხსენიებენ. „სამუკანი“ ოჯახის სახელი უნდა იყოს, მაგრამ მამის ოჯახის თუ ქმრის — ეს ძნელი დასადგენი აღმოჩნდა. სვარამზე თავისი ლექსებითა და



ელა გოჩიაშვილი



ამოვა სვალას მზე, სვარამზევ!

30 ოქტომბერს თავსება იყო ივრის ფშავში, თავსება, ნისლი და... „ხვარამზევს დღე“. ალბათ მაშინ, ორი საუკუნის წინ, ერთ დღესაც ასე წვიმდა ფშავის სოფელ არტანში, როცა ცხენზე ამხედრებულმა ვაჟიკა ნაკვეთაურმა „სამუკათ ხვარამზევს“ სახლთან ჩაიარა. „ვინა ხარ, ვინ იარები, ლალო, მაგ ლალის ცხენითა, თავს რად არ შამაიბრუნებ, ყანას რად მაძვევ ცრემლითა?“ — იქნებ ჩურჩულით ან იქნებ გულში ეკითხებოდა შინიდან მოთვალთვალე ხვარამზევ ვაჟიკას, მერე კი მისი გაუჩინარები-სთანავე გარეთ გარბოდა და ცხენის ნაფეხურებს ღობავდა, წვიმას რომ არ გადაეშალა...



ბიოგრაფიით, ივრის ფშავში უფრო ცნობილი და პოპულარული ყოფილა, ვიდრე არაგვისაში და, სავარაუდოდ, ივრის ფშავიდან უნდა იყოსო. თითქოს სოფელ სხლოვანში უნდა დაბადებულიყო და არტანში გათხოვილიყო. არტანელები მინდოდაურები ანუ ჭიჩოელები არიან და ხვარამზევს ქმარიც არტანელი მინდოდაური იქნებოდაო. ამის დადასტურებად, არტანელი პურის მცხოვლის, ბარბაღე მინდოდაურისგან ილია ჭავჭავაძის მიერ საგურამოში ჩაწერილი ხვარამზევს ლექსები მოჰყავთ. ამბობენ, ხვარამზევსა და ვაჟიკა ნაკვეთაურს ერთმანეთი შეუყვარდათ, ვაჟიკამ მოხონელიც მიუგზავნა ქალს ოჯახში, მაგრამ იმან ყასიდად უარი შეუთვალა, გაბრაზებულმა ვაჟიკამ კი სხვა ქალი შეირთოო. ხვარამზევც გაუთხოვებიათ მშობლებს ვილაც მდიდარ და ასაკოვან კაცზე, თუმცა ვაჟიკას სიყვარული ქალს სიციცხლის ბოლომდე არ განელებია. იმასაც ამბობენ, ვაჟიკა მშობლებს ვერ შეენიანალმდგა და ამიტომ დაქორწინდა სხვა ქალზეო.

ლაური. დარბაზში დაგვიანებით შემოსული პოეტი ტარიელ ხარხელაურიც მისებურად — პოეტურად მიესალმა მათ, „ვინც გაბედა და ხვარამზევს დღის დაწესება შესთავაზა იორს“: „...მზეო, ამოდი, ეს ბნელი ღამე დღედ ჩამომითენ/ ბორგვას უმატებს იორი, მთვარის სხივს მისცემს ბილიკად/ სიმღერა ვცადე, გაჯავრდა, ნამღერი გამიქილიკა/ მხარზე დაშენო ვარსკვლავი, როგორც ხვარამზის ღირიკა“

გფენია, ფშაველო ქალო — ხვარამზევ/ გულის ხვაშიადს არ ამხელ, ტრფობის კარები ჩარაზეო/“, — მიაგება როსტომ მაჩხოშვილმა.

ხვარამზევობის იდეა მომღერალ თეონა ქუშიაშვილს გასჩენია. გასულ გაზაფხულს,

გაგრძელება იხ. გვ. 89

პირველ ხვარამზევობას ივრის ფშავში მეტი სტუმარი და ნაკლები მასპინძელი კი დაესწრო, მაგრამ ფშაური სითბო და სიყვარული მაინც მოჭარბებულად იგრძნობოდა. ეპისკოპოსმა თადეოზმა, რომელიც თურმე თავად არის უნიჭიერესი პოეტი, ჯერ ლოცვა წაგვაკითხა, მერე დაგვლოცა და „ხვარამზევს დღეც“ მისი კურთხევით დაიწყო. თანამედროვე ხვარამზევებმა ეს დღე ქართული პოეზიის კონკურსად მონათლეს: ყოველწლიურად ჩავატარებთ და საუკეთესო პოეტ ქალს დავაჯილდოებთო. ამ დღესასწაულის სულისჩამდგმელმა და წამყვანმა პოეტმა, მარიამ ხუცყურაულმა, იმავე სანათამ, დარბაზში მყოფ მხატვარ ლევან ხარაბაულს შეაპარა კიდევც, — პრემიისთვის სიმბოლურად გადასაცემი, ლამაზი სიგელი — ხვარამზევ იქნებ დაგვისატოო. კეთილი იყოს ჩვენი ფეხი ამ მიწაზე, ჩვენი გავლა დიდებული წინაპრების ნაფეხურებზე! — თავისებურად დაილოცა მომავალი კონკურსის პირველი ჟიურის თავმჯდომარე, ქალბატონი თამილა გოგო-

მამაცი და თამამი ქალი ყოფილა ხვარამზევ, XIX საუკუნის ფშავში, სადაც ქალისთვის ლექსობა და განათლების მიღება მომავკვირებელ ცოდვად მიაჩნდათ, არათუ გალექსებას, არამედ შეყვარებულისთვის ამ ლექსების შეთვლასაც რომ ბედავდაო, — თქვა სანათამ. ისიც მიაყოლა: ქალმა ქალსა რით აჯობაო? — რითა და ქმრითა და შეილითაო. მარტო ქმრითა და შეილით — არა. აბა, ბევრმა ქმარშვილიანმა ქალმა დაიკვეფოს ხვარამზევობა!.. ხვარამზევობითაც ბევრს აჯობაო. მერე თითქოს იქვე მყოფი „ფშავის ალორძინებისა და განვითარების კავშირის“ თავმჯდომარე, პოეტი როსტომ მაჩხოშვილი „გამოინვია“: ჭორად გავიგე, დილას ხვარამზევს ლექსი დაგანერინათო. „მკერდს ნაძვი გადა-

6.99 ლარი

თამაჩ მამაცაშვილი

შეკითხვა ეპის

მარტივი რეცეპტი მთელი ოჯახისთვის

ეპისის რეცეპტი და მარტივი რეცეპტები მთელი ოჯახისთვის



სახსე

უვილის ტოლი პარტნიორის ხიბლი და გახმოვანებული პერსონაჟის „აჩრდილი“ ანუ სერიალის პირველი სეზონის დასასრული



ნათია ჟივიძა

— დღეს რომელი სეზონის სერებს იღებთ?

ღიმიტრი ტატიშვილი:

— როგორც ცნობილია, ჯერ მხოლოდ 14 სერიაა გადაღებული. ახლა ისევ პირველი სეზონის ორ სერიას ვიღებთ ანუ ერთ ამბავს და ამით პირველი სეზონი დასრულდება. მთელი ზამთრის განმავლობაში კი მეორე სეზონის გადაღებები გვექნება, რომელიც გაზაფხულზე, სავარაუდოდ, მარტში გავა ეთერში. მეორე სეზონშიც 16 სერია შევა. ჯერ ზუსტად არ ვიცით, შესაძლოა, 18 სერიაც გადავიღოთ. ეს იმაზე დამოკიდებულია, თუ რამდენი საინტერესო ამბავი ამოიწვევს არქივიდან.

— რომელ ამბებზეც ახლა გადაიღებთ სერებში, მათ შესახებ სერიალის გადაღებამდე თუ გქონდათ რაიმე ინფორმაცია?

სერიალი „ღეტეკეტეები“ უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს. მას უამრავი მაყურებელი ჰყავს. ამის გამო, დამკვეთებმა გადაწყვიტეს, რომ სერიალი გააგრძელონ და მისი მეორე სეზონიც გადაიღონ.

კრიმინალისტი კესოს როლის შემსრულებელ სალომე ფალავასა და ცინიკოსი ღეტეკეტევი აკაკის შემსრულებელ ღიმიტრი ტატიშვილს ინტერვიუზე გადასალეზ მოედანზე ვენჯივ. ამ დროს ორივეს გრომს უკეთებდნენ, ამიტომ კარგა ხანს მომიხდა ლოდინი...

— ყველაფერი — არა, მაგრამ ბევრი მათგანი გაგონილი მქონდა. მაგალითად, ის, ქალმა ქმრები რომ დახოცა...

სალომე ფალავა:

— თავადვე აღიარა, რომ ერთი მტკვარში გადააგდო, მეორეს თავში რალაც ჩაართყა და ა.შ. მოკლედ, რაც ძალიან გახმაურებული იყო, იმ ამბების შესახებ ინფორმაცია მქონდა. თუმცა არ ვიცოდი ახალგაზრდების შესახებ, რომლებიც ღამის

კლუბებში ექსტაზის სვამდნენ. ეს კი იმის გამო მოხდა, რომ მათმა მშობლებმა მოითხოვეს, ამბავი არ გახმაურებულიყო. ეს ფილმშიც კი აღინიშნა. რუსთაველი მანიაკის ამბავი კი იმდენად კარგად ვიცოდი, რომ მისი მეშინოდა კიდევც.

ღიმიტრი:

— სცენარშიც ისე განვითარდა მოვლენები, რომ სალომეს გმირიც კინაღამ მანიაკის ერთ-ერთი მსხვერპლი გახდა...

— გარდა ფაქტებისა, სერიალის სცენარისტმა ალბათ ფანტაზიაც მოიშველია და ბევრი რამ გაამხატურულა...

— არა, როგორც სერიალშია მოთხრობილი, სინამდვილეშიც ყველაფერი ისე მოხდა...

სალომე:

— შესაძლოა, ადგილი შევცვალოთ — ვთქვათ, წავკისში გადავიღოთ ის, რაც სინამდვილეში კოჯორში მოხდა, ან წყნეთში

გადავიღოთ, თბილისის ნაცვლად. რაც მთავარია, არც ერთი ფაქტი არ არის ტყუილი.

ღიმიტრი:

— რალაც მოვლენები დამატებულია, რალაც კი პირიქით — მოკლებული, რათა მაყურებლისთვის საინტერესო სანახავი იყოს.

— როგორც ვხედავ, საკმაოდ რთულ პერსონაჟში გიხდებთ გადაღება. წინა სერები დიდ სიციხეში გადაიღეთ, ახლა კი საკმაოდ ცივა და თქვენ გარეთ გინწვთ მუშაობა...

— პირველი სეზონის გადაღება რომ დავიწყებთ, „კარგი“ სიცივე იყო, მეორე „კარგი“ სიციხეში „გადავიწვებოთ“...

სალომე:

— საკმაოდ რთულია, შუა ზაფხულში პიჯაკებითა და ფორმით სიარული. ახლა პოლიციელებს პიჯაკები აცვიან და არა უშავთ, მე კი არ მეღირსა ლაბადის ჩაცმა, რადგან კრიმინალისტი ვარ და ფორმა უნდა მეცვას. ასეთ რთულ პირობებში ვმუშაობთ.

ღიმიტრი:

— რა თქმა უნდა, გვინდა, რომ უფრო კომფორტულ პირობებში გვიხდებოდეს მუშაობა, მაგრამ ამას ჯერჯერობით ვერ მივალნივთ. შეგუებული ვარ იმ აზრს, რომ როცა ძალიან ცხელა, მეც მცხელა და როცა ცივა — მეც მცივა, რადგან ძალიან ხშირად გადაღება ისეთ ბინაში გვინწვს, სადაც სიცივეში გათბობა არ არის, ხოლო სიციხეში — კონდიციონერი. თან, კომფორტული პირობები ხმის ჩანერასაც ხელს უშლის. ახლაც, ხომ ხედავ, როგორ ცივა, ჩვენ კი აივანზე უნდა გადავიღოთ სცენა, ვითომ



კარგი ამინდია, თხლად გვაცვია და სუფრასთან ვსხედვართ.

სალომი:

— მწვადი ისე მინდა, ერთი სული მაქვს, გადალება დაიწყო... ისე კი დღევანდელი სიცვიის ყველაზე დიდი მსხვერპლი მე ვარ, რადგან ძალიან ცუდად ვარ, მაგრამ უნდა ვითამაშო, ვითომ კარგად ვარ.

— როცა გადასაღებ მოედანზე მოვედი, ტექსტს იმეორებდით. საერთოდ, შინ სწავლობთ ხოლმე საკუთარ რეპლიკებს თუ გადასაღებ მოედანზეც ასე რჩებით ამას?

დიმიტრი:

— რა თქმა უნდა, სახლში ვსწავლობ. მეექვსეა, ვინმე ტექსტს პირველად გადასაღებ მოედანზე ვითხოვლობდეს.

სალომი:

— ტექსტსაც გააჩნია. დღეს ისეთი ტექსტი მაქვს, ნეტავ, როგორ დავიმასხოვრე (იციანის)?.. სულ ორი სიტყვისგან შედგება... როცა დიდი ტექსტია და სერიოზული მუშაობაა საჭირო, მაშინ, რასაკვირველია, შინ ვმეცადინებო. გადასაღებ მოედანზე კი გადაღების დაწყებამდე ერთმანეთს ვხვდებით, — მოდი, რეპეტიცია გავიაროთ-თქო.

— დიმა, ცოტა ხნის წინ ტექსტს რომ კითხულობდი, რაღაცაზე თქვი, — ამ სიტყვებს არ გავიმეორებო. ხშირად შეგაქვს კორექტივები საკუთარ ტექსტში და ამის გამო რეჟისორს პრობლემები არ ექმნება?

— თუ რაიმე არ მომწონს, აუცილებლად ვუთანხმებ რეჟისორს, მაგრამ თუ „პოს“ ნაცვლად, „კის“ ვიტყვი, ამის გამო შენიშვნას არაფერს მომიტყვის.

სალომი:

— მაგალითად, დღეს ისეთ სცენას ვიღებთ, რომლის დროსაც საქმეზეც ვსაუბრობთ, მაგრამ მინც, ოჯახური სიტუაცია: სუფრასთან ვსხედვართ და თუ მე ვინმეს სცენარით გაუთვალისწინებლად ვტყვი, რა მაგარი წინსაფარი გაქვს-მეთქი, ამას რეჟისორს არ შეუვთანხმებ...

დიმიტრი:

— თუმცა რეპეტიციაზე საბოლოოდ ყველანი ვთანხმდებით, თუ როგორ ვილაპარაკებთ გადაღების დროს. ხანდახან სცენარში ისეთი სიტყვები წერია, წასაკითხად შესაძლოა, კარგია, მაგრამ საუბრისას ბუნებრივი არ იყოს, ამიტომ ვცდილობთ, ისეთი სიტყვებით გავათბოთ დიალოგები, რომლებსაც რეალურ ცხოვრებაში ვიყენებთ. ეს კი გმირიდან გამომდინარეობს, თორემ საკუთარ თავს ხომ არ ვითამაშებო.

— შესაძლოა ვცდები, მაგრამ შენი პერსონაჟი ხშირად მა-

გონებს შენ მიერ გახმოვანებულ ექიმ ჰაუსს. ასეთი სასიათი გაქვს — ჰაუსისგან გამოგყვა ცინიზმი თუ აკაკიც ასეთი ადამიანია?

— ჰაუსისგან ნამდვილად არაფერი გამოიყოლია. შესაძლოა, ზოგს გაზვიადებულად მოეჩვენოს, მაგრამ ნამდვილად ასეა: ვინც მიცნობს, იცის, ხოლო ვინც არ მიცნობს, დაე, იცოდეს, რომ ჰაუსის გახმოვანებისას ბევრი ჩემული რამ გამოვიყენე. ის კაცი ანუ ჰიუ ლორი და მისი გმირი იძლეოდნენ იმის საშუალებას, რომ მაყურებლისთვის ჩემი ვერსია შემეთავაზებინა. როგორც ჩანს, ამან გაამართლა, რადგან მაყურებელს ჰაუსი შეუყვარდა. შეიძლება, სხვას რომ გაეხმოვანებინა, ჩემზე უკეთესად გამოსვლოდა და ეს გმირი უჩემოდაც შეყვარებოდა...

სალომი:

— ეს სერიალი ერთ-ერთ რუსულ არხზეც გადის. ხომ ცნობილია, რომ რუსი კინემატოგრაფისტები ფილმებს კარგად ახმოვანებენ, მაგრამ მათ „ექიმ ჰაუსს“ ვერ ვუყურებ, და ჩემ გარშემოც უამრავმა ადამიანმა აღნიშნა, რომ ეს სერიალი რუსული გახმოვანებით არ მოეწონა; დიმა ხმა სხვანაირად „ჯდება ყურში“...

დიმიტრი:

— სხვა სერიალებისგან „ექიმი ჰაუსი“ მართლა განსხვავებულია, რადგან ჰიუ ლორი ძალიან საინტერესო ტიპია. თვით სერიალიც საგანგებოდ მისთვის შეიქმნა — სცენარი მას მოარგეს. მართლა ნიჭიერი ადამიანია. მუსიკოსია და საკუთარი ბუნდიც ჰყავს, უკრავს სხვადასხვა ინსტრუმენტზე და მუსიკას წერს...

— როგორც ჩანს, ჰიუ ლორის გახმოვანებამ მასთან დაგაახლოვა და მისი ბიოგრაფიაც შეისწავლე.

— ძალუწებურად ასე გამოვიდა. დამაინტერესა და მის შესახებ მასალები მოვიძიე. ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს, როცა მას ვახმოვანებ. ხშირად მუშებნიან, ამ კაცს რაღაცით ჰგავხარო, მაგრამ არ ვუთანხმები, რადგან მგონია, რომ

მასავით „მანაკვი“ არა ვარ.

სალომი:

— პირადად მე მგონია, რომ დიმა და ჰიუ ლორი გარეგნულადაც საკმაოდ ჰგავნან ერთმანეთს.

— ექიმ ჰაუსს თავი დავანებოთ და ის მითხარი — შენს ახლანდელ გმირს, აკაკის რამდენად ჰგავხარ?

— რა ვიცი, შესაძლოა, მას რაღაცით მართლაც, ვგავარ.

სინამდვილეშიც ცინიკოსი ხარ?

— ადრე ვიყავი...

რამ გამოგასწორა?

— დრომ (იციანის). საქმე ის არის, რომ თავიდან აკაკი ასეთ ტიპად არ იყო ჩაფიქრებული, მაგრამ რამდენიმე სერიის შემდეგ, ჩვენი ნათამაშებიდან გამომდინარე, სცენარისტებმა და რეჟისორებმა გადაწყვიტეს, თუ როგორი ხაზით უნდა წაეყვანათ თითოეული გმირის ხასიათი, სპეციალურად ჩვენთვის შექმნეს ისინი და ჩვენ მოგვარგეს. ჩვენი გმირები ჩვენი პოტენცილიდან გამომდინარე განვითარდნენ, ამიტომ შემიძლია ვთქვა, რომ აკაკის რაღაც, პროცენტულად, ჩემი ნამდვილად აქვს.

— აკაკი, სინამდვილეშიც ეჭვიანი კოლი ხომ არ გყავს?

— არა, რას ამბობ?! როცა ეჭვიანობის საბაბს არ ვაძლევ, რატომ უნდა იეჭვიანოს?..

— როგორც ვიცი, ტყუბი ქალიშვილი გყავს.

— მართალია. 20 წლის გოგონები მყავს, სალომეს თანატოლები არიან.

სალომი:

— მაშად მეკუთვინის...

— ერთმანეთი სად და როდის გაიცანით?

— ამ სერიალის კასტინგზე მანამდე დიმა, როგორც მსახიობს, ისე ვიცნობდი და რასაკვირველია, ძალიან მომწონდა მის მიერ ნათამაშები როლები. მიმაჩნია, რომ დიმა ერთ-ერთი უნიჭიერესი მსახიობია.

დიმიტრი:

— მე გავალ და ისე ილაპარაკებ ჩემზე...

სალომი:

— ხელს არ მიშლი.

— მალევე დაბეგობრდით?

დიმიტრი:

— რა თქმა უნდა. ვინც ამ სერიალში ვართ დაკავებული, ყველანი ვმეგობრობთ ერთმანეთთან.

სალომი:

— ასეთი კარგი სიტუაცია რომ არ იყოს აქ და ერთმანეთთან არ ვმეგობრობდეთ, ალბათ სერიალიც არ გამოვიდოდა კარგი.

— სალომე იმის გამო, რომ დიმა შენზე გამოცდილია, პროფესიულ შენიშვნებს ან რჩევებს არ გაძლევს ხოლმე?



გადასაღებ მოედანზე



— რა თქმა უნდა. როგორც კი რომელიმე სცენის გადაღება დამთავრდება, მაშინვე თავადვე ვეკითხები: როგორი იყო? რა შენიშვნები გაქვს-მეთქი?

ღიმიტი:

— სალომე ჩემი მეგობარია და მიმაჩნია, რომ ერთმანეთთან გულახდილები უნდა ვიყოთ. შესაბამისად, რჩევას ხშირად ვაძლევ. ისე კი ნიჭიერი გოგოა და დაკისრებულ მოვალეობას თავადაც არაჩვეულებრივად ართმევს თავს.

— თავის პირად ცხოვრებაზეც ხომ არ გიყვება ხოლმე?

— არა, მგონი, არაფერი მოუყვლია.

სალომა:

— ჩემს პირად ცხოვრებაში საინტერესო არაფერი ხდება და რა მოგიყვებ?.. თუ ისეთი პიროვნება გამოჩნდება, რომელზეც სერიოზულად ვიფიქრებ, ამის თაობაზე აუცილებლად გეტყვი.

ღიმიტი:

— მეც ასე ვფიქრობდი. ალბათ არაფერი სერიოზული არ ხდება, თორემ სხვას ვის ეტყოდა, თუ არა მე-მეთქი?!

— დიმა, მარჯანიშვილის თეატრის ყველა მსახიობი ლევან წულაძის ახალ სპექტაკლში — „დეკემბერი“ თამაშობს. ალბათ შენც ხარ ამ სპექტაკლში დაკავებული...

— კი, უნდა მეთამაშა და რეპეტიციებიც კი დავიწყეთ, მაგრამ სამწუხაროდ, მოუცლელობის გამო, ხშირად მიხდებოდა რეპეტიციის გაცდენა, ამიტომ ბატონ ლევანს ვთხოვე, ამ სპექტაკლიდან გავეთავისუფლებინე. გარდა ამ სერიალისა, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ პროექტშიც ვმონაწილეობ და ხშირად მიწევს ევროპაში მოგზაურობა.

— რა პროექტია?

— ეს არის დოკუმენტური ფილმი, რომელიც საბჭოთა ეპოქის ამბებს ასახავს. მე ფილმში მთხრობელი ვარ. გადაღება მალე დასრულდება და მაყურებელსაც მისი ხილვის საშუალება მიეცემა...

— წარმატებას გისურვებთ!

„ნიჭიერიდან“ — „ბრავოდა“ ანუ წარმატებული ნორჩი მომღერალი

სახალხო პროექტი „ნიჭიერი“ მეორე, უკვე შემდგარი მომღერლების კონკურსმა — „ბრავომ“ შეცვალა. თუკი „ნიჭიერში“ ყველანაირი ნიჭისა და შესაძლებლობის ადამიანი მონაწილეობდა, „ბრავო“ სიმღერის კონკურსია. „ნიჭიერის“ მონაწილეები მთელმა საქართველომ გაიცნო, ორი ნორჩი მომღერალი კი პროფესიონალმა მუსიკოსებმა „აღმოაჩინეს“ და დიდი მომავალიც უწინასწარმეტყველეს მათ. ალბათ, მიხვდით, ეს ორი ვინცაა...

მარიამ ბავუნაშვილი

მარიამ კახელიშვილმა უკვე მიიღო მონაწილეობა „ბრავოს“ პირველივე გადაცემაში და ფინალშიც გავიდა, ანა ხანჩალიანი კი მუსიკალურ მარათონში აწი ჩაებმება. მოგეხსენებათ, ამ კონკურსში თავიანთ ფავორიტებს ცნობილი ადამიანები ირჩევენ, თავადაც მონაწილეობენ: ზოგი მღერის, ზოგი ცეკვავს, ან ფოკუსს უჩვენებს, ან იუმორისტულ სკეტჩს ასრულებს... ერთი სიტყვით, ისინი ცდილობენ, შესრულებული ნომრით თავის ფავორიტს მეტი ხმა შესძინონ.

მარიამი ბავუნაშვილი „ევროვიზიაში“ მონაწილეობს, სულ რეპეტიციასა და ჩანერაზეა, ამიტომაც ვერ მოვიხველეთ. გადავწყვიტე, „ევროვიზიიდან“ დაბრუნების შემდეგ შევხვდე — უფრო მეტ საინტერესო ამბავს გავიგებ მისგან... რაც შეეხება ანას, მან ცოტა ხნის წინ მაკედონიაში ჩატარებულ სიმღერის საერთაშორისო კონკურსში მიიღო მონაწილეობა, პირველი ადგილიც დაიკავა და გამარჯვებული დაგვიბრუნდა.

— ანა, გვიამბე ამ კონკურსის შესახებ.

— მაკედონიაში, ქალაქ სკოპიაში ტარდებოდა კონკურსი, სადაც 6-დან 16 წლამდე ასაკის ბავშვები და



მოზარდები მონაწილეობდნენ. მე უფროს ჯგუფში ვიყავი ანუ — 13-დან 16 წლამდე ასაკის კატეგორიაში. ამ კონკურსზე საერთაშორისო კონკურსების პროდიუსერმა, ევა ჩიტნიშვილმა მიმიწვია.

— რა სიმღერით წარდექ?

— ბუნებრივია, ქართული სიმღერით, რომელიც სპეციალურად ჩემთვის დანერგა კომპოზიტორმა გიორგი შალვაშვილმა. სიმღერას ჰქვია „მშენიერია“.

საკმაოდ მოკლე დროში მოვამზადე და ვფიქრობ, რომ კარგი გამოვიდა. იქაურ მსმენელს ძალიან მოეწონა და ის მთელი წლის განმავლობაში იტრიალებს მაკედონიის რადიოეთერში, როგორც გამარჯვებული სიმღერა. უსაზღვროდ მიხარია, რომ საქართველო ვასახელე. დიპლომიც გადმომცეს და იქვე შემომთავაზეს საერთაშორისო კონკურსებსა და კომერციულ კონცერტებში მონაწილეობა.

— მაკედონიის კონ-





კურსში რამდენი მომღერალი მონაწილეობდა?

— კონკურსზე სხვადასხვა ქვეყნიდან იყვნენ ჩამოსულები — სულ 24 მომღერალი. ისინი ძალიან კარგად იყვნენ მომზადებულები.

— შენ რომელმა მოგხიბლა ყველაზე მეტად?

— ყველაზე მეტად მომეწონა მოსკოველი და ბოსნია და ჰერცეგოვინელი მომღერლები. უძლიერესები იყვნენ... როცა გამარჯვებულად გამოცხადდეს, სიხარულისგან კინალამ გული გამისკდა, ცრემლებს ძლივს ვიკავებდი.

— მარტო წახვედი აქედან?

— ასეთ კონკურს-ფესტივალებზე დაშვებულია, რომ ბავშვებსა და მოზარდებს თან ახლდეთ უფროსი, ოჯახის წევრი ან სხვა ახლობელი. სადაც კი ვყოფილვარ, ყველგან მახლავს ჩემი უფროსი ძმა არტური. ჩვენ მარტო და-ძმა კი არა, მეგობრებიც ვართ და მის გვერდით ყოველთვის იმედიანად და კარგად ვგრძნობ თავს.

— ალბათ ბევრი ადამიანი ახლოს გაიცანი, არა?

— კონკურსი მხოლოდ სამი დღის განმავლობაში გრძელდებოდა, მაგრამ მონაწილეები იქ გაცილებით ადრე ჩავდივით. რეპეტიციებზე ერთმანეთს დაუახლოვდით, თავისუფალ დროს ვთამაშობდით და კარგად ვერთობოდით. პირველ დღეს, როცა სასტუმროში შევიკრიბეთ, კონკურსის დირექტორმა ჯერ საკონკურსო განრიგი გაგვაცნო, ყველაფერი დაწვრილებით აგვისხნა, მერე კი ღიმილით გვითხრა, — 10 დღის განმავლობაში ეს სასტუმრო თქვენს განკარგულებაშია და რაც გინდათ, ის გააკეთეთო. ეს ძალიან გვესიამოვნა და მართლაც, შემდეგ დღეებში სასტუმროს ბატონ-პატრონად მიგვანჩნდა თავი. ერთ საღამოს, როცა რეპეტიციიდან დაბრუნდით, აივანზე შევიკრიბეთ... სახალისო ამბებს ვიგონებდით და ვიცინოდით. ერთ-ერთ მონაწილეს უეცრად ასეთი იდეა მოუვიდა: ახლაც

მოვიფიქროთ ისეთი რამ, რაც მერე ხალისით გაგვასხენდებოდა, და რამდენიმე წუთში თავადვე შემოგვთავაზა, — მოდი, ედინი (ბიჭი ბოსნია და ჰერცეგოვინიდან) გაავხვიოთ ტუალეტის ქალაღში, რომ ვედარ გაინძრესო. ყველა წამოვიშალეთ ამ „მისიის“ შესასრულებლად, აბა, ერთი ადამიანი რას გაგვიმკლავებოდა?! ედინი რომ გაავხვიეთ და სკამზე „დავდეთ“, ახლა სხვისი ჯერი დადგა; მას მესამე და მეოთხეც მიჰყვა და მერე მეც გამახვიეს... ძალიან ბევრი ვიხალისეთ, გვექონდა ერთი ყიჟინა და ორომტრიალი... მეორე დღეს, სასტუმროს პერსონალი ბუზღუნებდა, — ეს რა ცეცხლი და მოუსვენარი ბავშვები ყოფილანო! ჩვენ კი ასე ვინყნარებდით თავს, — კონკურსის დირექტორმა ხომ გვითხრა, რაც გინდათ, ის გააკეთეთო...

— „ბრაგოში“ ვისი ფავორიტი ხარ და რა სიმღერას მღერის?

— ამას ჯერჯერობით საიდუმლოდ დავტოვებ, თუ შეიძლება... მინდა გითხრა, რომ ძალიან ვწერვიულობ. ამ პროექტში უკვე გამოცდილი და პროფესიონალი მომღერლები მონაწილეობენ, თანაც ჩემს ქვეყანაში გამოსვლა ჩემთვის უფრო მეტად საპასუხისმგებლოა, ვიდრე უცხოეთში. აქ ხომ ყოველი მეორე ადამიანი მღერის, ამიტომ შეფასებისას უფრო მკაცრები და მომთხოვნები არიან.

— შენ და მარიაში ერთად ხომ არ გეგმავეთ სიმღერის ჩანერას?

— მე და მარიამმა შეიძლება შევასრულოთ დუეტი. მჯერა, რომ ის „ევროვიზიიდან“ გამარჯვებული დაბრუნდება. მე კი ალბომის ჩანერას ვგეგმავე.

— ნარმატივებს გისურვებ!

„ბომონდის“ ნოახარის ნოახარი
მამუცა ხარეჯოსანი დისკთან ერთად

შეაბროვე
კოლაქსია

ბომონდი

CD #01 ნომერი „206“
CD #02 ნომერი „კავთუღი სხვაში“
CD #03 ნომერი „მისთვისაა ბაიო“
შედეგად შეიძლება გამოვიყენოთ „კომპანია“ მისთვის მარჯვნივით მარჯვნივ.

CD #4

სარმატივი



„მბრად გადაკიდებული“ დები გაყაპვილუბი და ექსსიქესთან „გაყოფილი“ სხენა

„როგორი უთანხმოებას უნდა გვქონდეს, გაყოფილმა ეს არ უნდა შეამჩნიოს“



რუსკა და ნინო

მარი კოპიაპვილი

— რომელი ხართ ასაკით უფროსი?

რუსკა:

— მე ვარ უფროსი.

— გიჯერებს ნინო?

— არც ერთი არ ვუჯერებთ ერთმანეთს (იციინიან). ორივეს ჩვენ-ჩვენი ცხოვრება გვაქვს.

ნინო:

— ბევრი რამ გვაქვს საერთო, მაგრამ მანაც ცალ-ცალკე ვართ.

რუსკა:

— ახლა მე და ნინო ვმეგობრობთ, ადრე სულ ვიხუბობდით.

ნინო:

— ვამბობდი, — ნეტავ, რუსკა მოკვდეს, რომ მისი ტანსაცმელი მე დამრჩეს-მეთქი!..

— რა ბოროტი ბავშვი ყოფილხარ!

— რას ამბობ, ბოროტი კი არა, კეთილი ვიყავი. თვითონ სასწაულებრივ საშინელებებს მიკეთებდა ხოლმე.

— ისეთს რას აკეთებდა, რომ მის სიკვდილზე ოცნებობდი?

— ერთხელ სადღაც იპოვა პატარა ბალონი, რომელშიც გაზი იყო და შემასხა. კინაღამ დაგბრმავდი.

რუსკა:

— მეგონა, ცარიელი იყო; ვიფიქრე, შევამოწმებ-მეთქი, სახესთან მივუტანე და ხელი დავაჭირე. თურმე არ იყო სულ დაცლილი.

ნინო:

— რუსკა რომ ეზოში ჩადიოდა, ბავშვები სახლში ადიოდნენ, მისი ისე ემინოდათ.

რუსკა:

— რაც უნდა მომხდარიყო, ყველაფერს მე ვაშაგებდი, მაგრამ მაშინვე ნინუცას ვაბრალებდი. ყველა იჯერებდა, რომ დამნაშავე ის იყო. ნინუცა გაბრაზებული მოდიოდა და მცემდა.

— ვერ ერეოდი?

დები — რუსკა და ნინო მახაშვილები რუსთაველის თეატრის მსახიობები არიან. ამავე თეატრის დასის წევრია ნინოს ყოფილი მეუღლე — ბესო ზანგურიც. სამივე ერთ სპექტაკლში არიან დაკავებული. რუსკა და ნინო ყველანაირად ცდილობენ, რომ მაყურებელმა დებსა და ყოფილ სიძეს შორის არსებული უთანხმოება არ შეამჩნიოს...

ნინოსა და რუსკას ძმაც ჰყავთ — 3 წლის ელიზბარი ყიფშიძე, რომელსაც რეჟისორობას უწინასწარმეტყველებენ: თურმე ელიზბარი რუსთაველის თეატრის ყველა სპექტაკლს დიდი ინტერესით უყურებს.

— ვერა, ძალით ნინუცა მჯობნიდა. სამაგიეროდ მე ენა მქონდა საშინელი.

ნინო:

— სიტყვებით დამგესლავდა ხოლმე. მე ახლაც არ შემიძლია ადამიანის კბენა. თუ ვინმე მანყენინებს, ძალიან დიდი ხანი უნდა ვიფიქრო, რა და როგორ ვუთხრა. ამიტომ პირდაპირ ცემაზე გადავდივარ. ეს უფრო ადვილია (იციინის).

— რადგან მის სიკვდილს იმიტომ ნატრობდა, რომ ტანსაცმელი დაგრჩენოდა, ეი. ბავშვობაში ტანსაცმლის გამო კამათობდით. ახლაც იგივე სიტუაციაა?

— აღნაგობით განსხვავებულები ვართ და რაც რუსკას უხდება, ის შეიძლება მე საერთოდ არ მომიხდეს.

— დები გარეგნულად მართლაც არ ჰგავხართ ერთმანეთს.

— ამ მხრივ ცოტათი დაბნეულები ვართ. ზოგი გვეუბნება, ძალიან ჰგავხართ ერთმანეთსო; ზოგი პირიქით, საერთოდ, ვერ გვაშსგავსებს.

— თმის ვარცხნილობაც ძალიან განსხვავებული გაქვთ.

— არ შემიძლია, რუსკას რომ აქვს, ასეთ გრძელ თმას მოვუარო. უცბად რომ გამეზარდოს, კიდევ მოვუვლიდი, მაგრამ ლოდინი რომ სჭირდება, ნერვები დამაწყდება. ოდნავ გრძელიც რომ მაქვს, მაშინვე მოკლედ ვიჭრი.

რუსკა:

— ერთხელ, ნინოს რომ აქვს, ამაზე მოკლედ შევიჭრი. მას შემდეგ იგივე რამ არ გამიკეთებია.

— არ გიჭირს გრძელი თმის მოვლა?

— არა, შევეჩვიე. უკვე წლებია, ასეთი გრძელი თმა მაქვს.

ნინო:

— ხანდახან სურვილი მიჩნდება, რომ რომ მივიღე და ჩუმად შევჭრა. მე მუშაობ

ნერვები, როგორ უძლებს ასეთ გრძელ თმას, ვერ ვხვდები.

— რუსკა, ნინომ ჩუმად რომ შეგჭრას თმა, რა მოხდება?

— ვაიი... თავს „მოვაჭრი“.

ნინო:

— მე რომ შევიჭერი, რუსკასაც იმავეს გაკეთება მოუნდა, მაგრამ ვინც ამის შესახებ გაიგო, ყველამ იკვილა. საბოლოოდ, გადააფიქრებინეს.

— ბავშვობის ამბებიც გაიხსენეთ — რომელი უფრო კარგად სწავლობდით?

— ვალიარებ, რომ რუსკა უფრო კარგი მოსწავლე იყო. სკოლაშიც ერთ კლასში ვიყავით და თეატრალურ ინსტიტუტშიც — ერთ ჯგუფში. რუსულ ლიტერატურაში გამოცდას რომ ვაბარებდით, რუსკას დამსახურებით მივიღე ხუთიანი.

რუსკა:

— მე მთელი რუსული ლიტერატურა ნავიკითხე; ნინუცას ვეხვეწებოდი, რამე ნაკითხა, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს დავსვი და ყველა მოთხრობისა და რომანის მოკლე შინაარსი მოვუყევი. ორივემ ერთი ნიშანი მივიღეთ. შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად, მე ათიანი მივიღე.

ნინო:

— მეც შემიძლია სწავლა, უბრალოდ მეზარებოდა. რასაც გულს დავუდებ, არ შეიძლება, ის არ ვისწავლო.

რუსკა:

— სკოლაში რომ შევედი, მე შვიდი წლის ვხდებოდი, ნინო კი ხუთის იყო. ვერაფრით მიხვდა, რა ხდებოდა მის თავს.

— ნინო, რუსკამ რომ მსახიობობა გადაწყვიტა, შენც იმიტომ აირჩიე ეს პროფესია?

— უმაღლესისთვის მომზადება რომ დავიწყეთ, წარმოდგენა არ მქონდა, რას ვაპირებდი. ჯერ კინომცოდნეობა მინდოდა, მერე — თეატრის ისტორიაზე ჩაბარებაზე ვფიქრობდი; ბოლოს მივხვდი, რომ სამსახიობო ფაკულტეტზე ჩარიცხვა მერჩია.

— გიფიქრიათ ოდესმე, რომელ სპექტაკლში ითამაშებდით ერთად?



რუსკა და გიორგი



— ამაზე არ მიფიქრია. სადაც ერთად ვთამაშობთ, ისიც ძალიან მოგწონს. არ არსებობს დიდი და პატარა როლები, მთავარი, როგორ ითამაშებ.

— ორივე დედის გვარზე რატომ ხართ?

რუსკა:

— ეს არჩევანი ჩვენ თვითონ გავაკეთეთ. ისეთი ოჯახი არა გვაქვს, რომ ვინმემ ვინმეს რაიმე დააძალოს. გვაძლევს საშუალებას, ჩვენ თვითონ მივიღოთ გადაწყვეტილებები.

— მამასთან აღარ გაქვთ ურთიერთობა?

— ხანდახან ინტერნეტით ვკონტაქტობით.

ნილო:

— მე ინტერნეტითაც არ ვკონტაქტობი. პატიება შემიძლია, მაგრამ როცა ვხვდები, რომ ნაკლებად განიცდის ჩემს ამბავს, რა საჭიროა ურთიერთობა?

რუსკა:

— ჯობია, ამ თემაზე არ ვილაპარაკოთ.

— მამათყვენი — კოკა ცხვედიანი, როგორც ვიცი, მსატყვარია. რომელიმე დაემსგავსეთ ამ მხრივ — სატყვენი?

— მინდა, მაგრამ ვერ ვხატავ. ნინოზეც იგივე შემიძლია ვთქვა.

— რომელი უფრო კარგი კულინარი ხართ?

— ახლა რუსკა უნდა „ჩაფუშვა“: ინტერვიუში ყოველთვის ჰყვება, რა კარგი კულინარია, მაგრამ არაფრის მომზადება არ იცის, კარტოფილის და კვერცხის შეწვის გარდა.

რუსკა:

— რატომ იტყუები? ყველაფერს ძალიან კარგად ვამზადებ. უბრალოდ, გვიან ვბრუნდები სახლში და საჭმელი გამზადებული მხვდება. როდესაც დამჭირდება დისახლისობა, ყველა დაინახავთ, რა მაგარი ვიქნები. კატლეტის დატრიალება მეც ძალიან კარგად ვიცი.

ნილო:

— კატლეტის დატრიალება კი იცი, მაგრამ მანამდე რა უნდა გააკეთო, ეს არ იცი.

რუსკა:

— მანამდეც ვიცი. არც ეგ არის პრობლემა. თუ დამჭირდება, ბორმის გაკეთებასაც გადასარევი ვისწავლი.

ნილო:

— რუსკა სახლში არაფერს აკეთებს. გვიან მოდის და იძინებს. თან სულ იმას მეჩხუბება, ჩუმად დანეჭიო.

რუსკა:

— ჩემი ადგილი საძინებელში წამართვა. ამასაც არ დასჯერდა: სანამ დანეჭება, ჰაერში ახტება და ისე ეცემა საწოლზე, მგონია, რომ ქვეყანა დაინგრა.

ნილო:

— ნოდარიკოს საწოლი ჩემს ძველ საძინებელში არ ეტყვა. რუსკასთან გადავზარდით ორივე. ძალიან დიდი ბავშვია, საწოლზე მონყევით ვვადებ ხოლმე და რუსკა ამას ყოველთვის აპროტესტებს.

— დები ერთმანეთს სწორად აკრიტიკებთ?

— როცა სპექტაკლში ერთად ვთამაშობთ, ერთმანეთს რაღაცებს ვურჩევთ. ეს

იმას არ ნიშნავს, რომ შენიშვნას ვაძლევთ ერთმანეთს, უბრალოდ, დურად ვურჩევთ, როგორ სჯობია თამაში. ჩემს დას კონკურენტად ვერ მივიჩნევ. თეატრში სულ იმას ამბობენ, — მნიშვნელობა არა აქვს, დები ხართ თუ ძმები; როცა ერთ თეატრში და ერთ სპექტაკლში თამაშობთ, ერთმანეთის კონკურენტები ხართო.

რუსკა:

— იგივე შემიძლია ვთქვა. ნინო ვერანაირად ვერ იქნება ჩემთვის კონკურენტი. თუ რამე ნინოს თამაშში არ მომეწონა, ვუბნები ხოლმე, — აბა, დამ თუ არ უთხრა სიმართლე, სხვა ვინ ეტყვის?

— ნინო, სერიალში — „გოგონა გარეუბნიდან“ — რუსკა მოგწონს?

— ძალიან. ამ შემთხვევაში მისთვის არანაირი რჩევა არ მიმიცია. სერიალში ვისაც თამაშობს, ის აბსოლუტურად არ არის რუსკა; სამაგიეროდ, მისი გმირი ჩვენს მეგობრებს ჰგავს.

— ერთი და იგივე ბიჭი მოგწონებიათ ოდესმე და ამის გამო გიკამათიათ?

რუსკა:

— მოგწონებია, მაგრამ არ გვიკამათია.

— ამ შემთხვევაში ბიჭმა არჩევანი ვის სასარგებლოდ გააკეთა?

ნილო:

— ერთმა — რუსკას, მეორემ — ჩემს სასარგებლოდ (იციინია)...

რუსკა:

— თაყვანისმცემელი ნინოს ყოველთვის უფრო მეტი ჰყავდა, ვიდრე მე. მე სასიყვარულო ამბები ნაკლებად მაინტერესებდა.

ნილო:

— საინტერესო რამ ხდებოდა: თუ ვინმე მოეწონებოდა და მერე ის ბიჭიც დაინტერესდებოდა, რუსკას მაშინვე ეცვლებოდა იმ ბიჭისადმი დამოკიდებულება.

რუსკა:

— არ ვიცი, ასე რატომ მეშინებოდა. ეს ჩვევა ბავშვობაში „დარჩა“.

— რუსკა, როგორც ვიცი, შეყვარებული ხარ.

ნილო:

— არჩვეულებრივი სასიძო მყავს — გიორგი ყიფიანი.

რუსკა:

— შეყვარებული მყავს, მაგრამ გათხოვებას ვერ ვფიქრობთ არ ვაპირებ. გათხოვებას ყოველთვის მოასწრებ, მით უმეტეს, როცა გვერდით საყვარელი ადამიანი გყავს. არსად მეჩქარება.

— როგორ ფიქრობ — ნინოს ოჯახის დანგრევა იმის ბრალი ხომ არ იყო, რომ პატარა გათხოვდა?

— ნინო 20 წლის გათხოვდა. მე ამ ასაკში არაფრით გათხოვდებოდი.

ნილო:

— რუსკა ჩემნაირი არ არის. სანამ რამეს გადაწყვეტს, ბევრს ფიქრობს. თუ არ ეცოდინება, რა ელოდება, არაფერს გააკეთებს.



ბესო ზანგური



ელიზარი

აქამდე თავპარიანი ვიყავი. ჩემთვის მთავარი — მეგობრები და გართობა იყო. სერიოზულად არაფერზე ვფიქრობდი. ბესოსგან რომ წამოვვდი, ბევრ რამეზე დავფიქრდი. ცხოვრებაში არ შეიძლება, დაუფიქრებლად ნაბიჯის გადადგმა. 100%-ით — არა, მაგრამ 97%-ით მინც დარწმუნებული უნდა იყო იმ ადამიანში, ვისაც ცოლად მიჰყვები. ამას ოჯახიდან წამოსვლის შემდეგ მიხვდი. ცხოვრებაში სპონტანურად არაფერი უნდა გადაწყვიტო. ჯერ კარგად უნდა დავფიქრებულყავი, სანამ გავთხოვდებოდი. ახლა ვამბობ, აღარ გავთხოვდები-მეთქი. ყველა მეჩხუბება; მეუბნებიან, — ნუ სულელობ, ვინმე აუცილებლად შეგიყვარდებაო, — მაგრამ მე არ მინდა. ვიქნები მარტოხელა დედა. ჩემს შვილსა და ჩემს კარიერას მინდა მიხეედო, სხვა არაფერი მაინტერესებს.

რუსკა:

— დარწმუნებული ვარ, კარგ ადამიანს უეჭველად შეხვდება. ნინო ბესოსგან რომ წამოვიდა, ამოვივსუნეთქი. როგორც იქნა, ის სახლში დაბრუნდა. არ მინდოდა, ბესოს ცოლი რომ ყოფილიყო.

— ყოფილი სიძე რატომ არ მოგწონდა?

— ადამიანების ამოცნობა ძალიან კარგად ვიცი. ამჯერადაც ჩემს ინტუიციას არ მოვუტყუებოვარ...

— ნინო, შენ ყოფილი მეუღლე ტელეგადაცემა „პროფილში“ გამოვიდა და თქვა, რომ მისი ყველაზე დიდი სიყვარული პირველი ცოლი იყო. ამ ნათქვამმა გული არ აგოჩიყა?

— არანაირად. რაც უნდა, ის თქვას. ეგ ადამიანი ჩემთვის, მხოლოდ ჩემი შვილის მამაა.

— რუსკა, ყოფილ სიძესთან ურთიერთობა გაქვს? თქვენ ხომ ერთ თეატრში მუშაობთ.

— როგორი უთანხმოება უნდა გექონდეს, მაყურებელმა ეს არ უნდა შეამჩნიოს. მე, ნინო და ჩემი ყოფილი სიძე ერთ სპექტაკლში ვთამაშობთ. ვცდილობ, ამ საკითხს პროფესიონალურად მივუდგე. არ ვფიქრობ იმაზე, რომ ამ ადამიანმა ჩემს დას გული ატყინა და ამიტომ, მეც იგივე უნდა გავუკეთო. ის თავისას აუცილებლად მიიღებს.

— ნინო, ბესოს არ გამოუთქვამს შენთან შეროგების სურვილი?

— მესამე ცოლს რომ დაშორდა, მითხრა, უფრო სწორად — მომწერა, შევრიგდეთო, მაგრამ ვიცი, რომ ამას არასდროს გავაკეთებ.

ახალი ქართული ფილმი და აკრანიდან რეალობაში გადმოსული აზვანი

რატი და რემი



ქართულ ფილმოთეკას სულ მალე დათო ბორჩხაძის მისტიკური ფილმი — „სეზონი“ შეემატება. როგორც შემოქმედებითი ჯგუფის წევრები ამბობენ, საზოგადოება უკვე დაინტერესდა „სეზონით“ და პირველი რამდენიმე სეანსის ბილეთებიც წინასწარ გაყიდულა...

„სეზონში“ 4 მთავარი პერსონაჟია. მათგან ორის შემსრულებელი — რეჟიზორი **გომეზილი** და რატი **ბაქრაძე** — არაპროფესიონალი მსახიობია და პირველად წარდგება ეკრანზე მსახიობის ნიშნად. როგორია მათი თვალთ დასახული კინო — ამაზე თავად ბიჭები ისაუბრებენ.

რატი:

— ფილმის რეჟისორი — დათო ბორჩხაძე ჩემი მეგობარია. ერთ დღეს ჩემთან იყო მოსული, ფილმის შესახებ მომიყვა და სცენარიც გამეცნო, რომელმაც ძალიან დამაინტერესა. შესარჩევ ტურზე მივედი და როლი მივიღე. გადაღებები შარშან, 10 სექტემბერს დაიწყო...

— ფილმის გადაღება ამდენ ხანს რატომ გაჭიანურდა?

— იოლად რომ იღებენ, იმიტომაც გამოსდით „იოლი“ ფილმები... ჩვენი ფილმი კი ასეთი ნამდვილად არ არის.

რეჟი:

— ბათუმში ამინდზე ვიყავით დამოკიდებული. მერე თბილისშიც გაგრძელდა გადაღებები, ვიღებდით ზამთარშიც... გადაღებისას ცუდი ამინდები დაგვემთხვა, თან, არც ისე იოლი იყო ბათუმის დაცარიელება მაშინ, როცა მთელი ქალაქი დამსვენებლებით იყო გადავსებული.

— შევიტყვევ, რომ ფილმის სიუჟეტმა თქვენზე საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა, დაგზაფრათ...

— ჯეჯი — ფილმში მონაწილე ერთ-ერთი მსახიობი ხუმრობს ხოლმე, — თქვენ რომ გხედავთ, ასე მგონია, კამერა გვიღებს... ერთხელ მაგარი შიში ვჭამეთ: გადაღებების პერიოდში, გვიან ღამით ბათუმიდან გრიგოლეთში მივდიოდით. გასართობ ცენტრ „ციცინათელასთან“ ნისლი იყო ჩამოწოლილი. მოულოდნელად ჩვენ წინ მიმავალ მანქანას ძაღლმა გადაურბინა, მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, მანქანა მოცურდა და კინალამ შეგვეჯახა. წარმოიდგინეთ — გაჩახახებული „ციცინათელა“, სადაც კაცი ვიწვილი არ ჩანს, გარშემო ნისლია... დაღლილ-დაქანცულები და „დაგრუზულები“ მოვდიოდით და მოულოდნელად ჩვენკენ გამოქანებული მანქანა დავლანდეთ! ყველას გვეგონა, რომ ფილმის სიუჟეტი რეალობაში გადმოვიდა; 2 წუთის განმავლობაში გაოგნებულები ვიყავით... ფილმის გადაღებების ბოლოს, უკვე ძალიან გადაღლილები ვიყავით. დილის

6 საათზე ვდგებოდით, 7 საათზე გადაღებები იწყებოდა და როცა საღამოს 12 საათზე მუშაობას ვამთავრებდით, იმ დღეს სიხარულისგან დავფრინავდით. ზოგჯერ ღამით მხოლოდ ორი საათი გვეძინა. იყო რამდენიმე დღე, როცა 24 საათი გადაბმულად ვიღებდით.

რატი:

— ბოლოს უკვე ყველანი ძალიან „ეჭვადვით“, მაგრამ მე სასწაულებს ვახდენდი — დავდგებოდი და რაღაც ამბებს ვყვებოდი...

რეჟი:

— რატი რომ დაიღლებოდა, ლაპარაკს იწყებდა. ძირითადად, თავის მოგონილ ამბებს ჰყვებოდა და გვაიძულებდა, მისთვის გვესმინა. თუ ყურადღება გაგვეფანტებოდა, მუჯლუგუნს წაგვეკრავდა, ხომ მისმენთო?! ჩვენც სხვა რა გზა გვექონდა?! გამოშტერებული ვუსმენდით და ბოლოს რომ იტყოდა, — მოგატყუეთ, ჩემი მოგონილი ამბავი იყო, — ლამის გაგვეგლიჯა.

— გადაღებისათვის საკმაოდ ცუდი დრო ავირჩევით; როგორ შეძელით ბათუმის „დაცარიელება“?

— მახსოვს, ბათუმში რომ ჩავედით, პირველ დღეს მაგრად დავთვევრით. ვიცოდით, რომ მეორე დღეს გადაღება იწყებოდა და მერე ჩვენს ნებზე ვეღარ მოვილხენდით... პირველ დღეებში საკმაოდ გაგვიჭირდა კამერასთან ურთიერთობა — სულ კამერისკენ გავვირბოდით თვალს, — მაგრამ 1 კვირაში საკმაოდ „გამოვიბრძმედეთ“ და ბათუმის დაცარიელებაში აქტიურად ვმონაწილეობდით. როცა ჩვენი სცენის გადაღება არ იყო, ვიდევით და ქუჩას ვვებავდით. სხვათა შორის, მოსახლეობაც ძალიან გვემხარებოდა. პატრული იყო თუ ადგილობრივი, ყველა გვერდით დავვიდგა. ბათუმელებს სახლიდან მანქანები გამოჰყავდათ და ქუჩებს კვებავდნენ, რომ ესა თუ ის სცენა უპრობლემოდ გადაგვეღო. საკმაოდ რთული იყო — რამდენიმე დუბლი მხოლოდ იმიტომ ჩაგვეშალა, რომ კადრში მტრედმა გაიფრინა... ჩიტებმა და მტრედებმა ჯვარს გვაცვეს!..

რატი:

— 24-საათიან რეჟიმში ვმუშაობდით. მსახიობობის გარდა, გადაღებებზე ჯგუფ-

ილენა ბასილია

რატი:

— პროფესიით ტელევიზორეჟისორი ვარ, პატარ-პატარა სცენარებს ვწერ, ვხატავ...

რეჟი:

— ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი დავამთავრე, ჯერჯერობით უმუშევარი ვარ.

— მოდი, ფილმის შინაარსიც გამეცანიო...

რატი:

— ფილმი მისტიკური შინაარსისაა. ეფექტებით გაფრებულნი, ხარისხიანი ფილმია... 4 მეგობარი ჩავდივართ ბათუმში და დილით, გარეთ გამოსულები აღმოვაჩინეთ, რომ მთელი ქალაქი დაცარიელებულია. წარმოიდგინეთ — ბუზიც კი არ დაფრინავს! არის მხოლოდ ზღვა, ცარიელი ბათუმი, ნევროზი და 4 მეგობარი... ჩემს გმირს რატი ჰქვია, კარგი ბიჭია.

რეჟი:

— სცენარის შესახებ რატიმ მოკლედ უკვე მოგიხსროთ, მე კი ამ სცენარის მიხედვით გადაღებულ ფილმში ვთამაშობ (იღიმის)... ჩემს გმირს ნიკუშა ჰქვია.

— როლზე როგორ დაგამტკიცებს?

— ჩემმა მეგობარმა, ლევან ცირკუშინსკიმ დამირეკა, რომელიც „მეტროფილმში“ მუშაობს და მითხრა, — ჩვენი კომპანია ახალ ფილმს იღებს და იქნებ შესარჩევ ტურზე მოხვიდეთ. მეც მივედი, ერთ-ერთი სცენა ვითამაშე და როლზე დამამტკიცეს.



საც ვეხმარებოდით, ყველაფერში ვმონაწილეობდით... რთული იყო, ხალხისთვის გეტქვა, — ფილმს ვიღებთ და აქ არ გამოიაროთ... მახსოვს, იმ სცენას ვიღებდით, როცა პირველ დღეს გამოვდივართ სადარბაზოდან და გარშემო არავინა... საკმაოდ დიდხანს მოგვინია იქ დგომამ და ერთმა ბავშვმა, რომელიც იქვე იდგა და თვალყურს გვადევნებდა, მოგვაძახა, — ისე დაგიცარიელდეთ ოჯახები, როგორც ჩვენი ბათუმი დააცარიელეთ!..

რაზი:

— ბავშვმა ფაქტობრივად, დაგზიფეველა და სწორედ იმ დღის შემდეგ დაიწყო ცუდი ამინდი... ერთ მასობრივ სცენას ვიღებდით. ამისთვის ბათუმის ქუჩების 11 კვეთა გადავკვეთეთ. 10-წამიანი გადაღება იყო, მაგრამ იმდენი ვინვალეთ... ის იყო, გადაღება დაიწყო და უეცრად ვხედავ, ქუჩაში ერთი ბაბუ ზის და ნება-ნება ყავას შეექცევა; არ ვიცი, ჩვენს ბიჭებს როგორ გამორჩათ... გადაღება დანებებული იყო. სანამ კამერა იმ კაცისკენ მიბრუნდებოდა, ჩვენი მენეჯერები ბაბუს მისცვივდნენ, სკამიანად ხელში აიყვანეს და სასწრაფოდ გააცუნცულეს კადრიდან.

— **ბიჭებო, რას იზამდით, რეალურად რომ მოხვედრილიყავით იმ სიტუაციაში, რომელშიც თქვენმა გმირებმა ამოყვეს თავი?**

რაზი:

— სცენებს ისეთ რეჟიმში ვიღებდით და როლებს ისე ვითავისებდით, როლიდან გამოსვლა გადაღებების დასრულების შემდეგ ძალიან გვიჭირდა. გვეგონა, რომ შეიძლებოდა, რაიმე მსგავსი მართლაც გადაგვხდებოდა თავს... წარმოდგენაც არ მინდა, რომ შეიძლება, ასეთ მდგომარეობაში ვინმე აღმოჩნდეს, მით უმეტეს — მე... რეჟისორმა სრული თავისუფლება მოგვანიჭა, — მთავარია, შინაარსი არ შეცვალოთ და ესა თუ ის ტექსტი შეგიძლიათ, თქვენი სიტყვებით თქვათო, — გვითხრა. არასოდეს არაფერი დაგვიზეპირებია და ამიტომ გამოვიდა ჩვენი თამაში ბუნებრივი.

რაზი:

— თამაში ბუნებრივი რომ გამოსულიყო, სპეციალურად აარჩიეს არაპროფესიონალი მსახიობები. ფილმის 4 მონაწილიდან მხოლოდ ჯეჯია თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტი. ნიკუშა ბახტაძე ბანკში მუშაობს და, ჩემი არ იყოს, მასაც არანაირი შეხება არა

აქვს კინოხელოვნებასთან. იმდენი ვინვალეთ, არაფერი რომ არ გამოგვევლოდა, გადავირეოდით. ჩემი გმირის ადგილზე რომ აღმოვჩენილიყავი, ალბათ ჭკუიდან შევიშლებოდი.

— **წელან აღნიშნეთ, იმ საქმესაც ვაკეთებდით, რაც მსახიობებს არ გვეხებოდაო...**

— კი, იმდენად კარგი ადამიანებისგან შექმნილი გადამღები ჯგუფი გვეყავდა, შეუძლებელი იყო, მხოლოდ გვეთამაშა და არაფერი გვეკეთებინა მამინ, როცა სხვები ათას რამეს ეჭიდებოდნენ. მე ეს არ მეხება და ამას არ გავაკეთებო, — მსგავსი რამ არც ერთ ჩვენგანს არ უთქვამს. ერთობლივი ძალებით უფრო მალე კეთდებოდა საქმე და ვცდილობდით, ყველაფერში მივხმარებოდით ბიჭებს. ერთხელ, ბოტანიკურ ბაღში მანქანა „ხელში აყვანილი“ ვატარეთ...

ეს როგორ?

— ფილმში არის მომენტი, როცა შევეუთ იმას, რომ გარშემო არავინ არის და ვცდილობთ გავერთოთ. ერთ-ერთი ასეთი გართობისას, მწვანე კონცხის ხიდიდან, რომელიც ზღვაშია შეჭრილი, მანქანას ვაგდებთ. მანქანა ხიდადღე რომ მიგვეყვანა, ბოტანიკური ბაღი უნდა გავვევლო, სადაც საამისო გზა არ არის. ჩვენც „ავიტატეთ“ ხელში და მხარზე გადაებული მანქანით, მატარებლის რელსებსა და კიბეზე მივდიოდით... როგორც იქნა, ხიდადღე მივითანეთ და მერე ზღვაში გადავუძახეთ.

რაზი:

— მახსოვს, მეთევზეები აგვიჯანყდნენ, — სასწრაფოდ მოაშორეთ ეს მანქანა ზღვიდან, თორემ ვეღარ ვითევზავებთო... „ნაბანავები“ მანქანა ზღვიდან ჩვენმა ტე-

ქნიკურმა ჯგუფმა ამოიტანა.

— **რეზი, არავის უთქვამს, რომ სერიალ „გაქცევის“ ერთ-ერთ გმირს, ვენტორტ მილერს ჰგავხარ?**

რაზი:

— მგონი, თავად ვენტორტია ჩამოსული და ჩვენ ჯერ ვერ ვხვდებით (იციინან).

რეზი:

— კი, ხანდახან მეუბნებიან, — იმ მსახიობს ჰგავხარ, მაიკლს რომ თამაშობს „გაქცევაში“. მე არ მივიჩნევ, რომ ძალიან ვგავარ, უბრალოდ, თვალების ფერი და თმის ვარცხნილობა დავმთხვავე და ამიტომაც გვამსგავსებენ...

— **შემოთავაზებთ რომ მიიღოთ, კადვე ითამაშებთ რომელიმე ფილმში?**

— ამაზე არასოდეს მიფიქრია. „სეზონში“ თამაშს იმიტომ დავთანხმდი, რომ ჩემი მეგობრები იღებდნენ და თან, სცენარმაც ძალიან დამაინტერესა... მსახიობობა ჩემი საქმე ნამდვილად არ არის. თუმცა არასოდეს ვამბობ — „არასოდეს“.

რაზი:

— სიმართლე გითხრა, ამაზე არც მე მიფიქრია. თავიდან სამსახიობო ფაქულტეტზე მინდოდა ჩაბარება, დიდი ხნის განმავლობაში ვყოყმანობდი, ჩამებარებინა თუ არა. მერე გადაწყვეტილება შევცვალე და სარეჟისოროზე შევიტანე საბუთები. ამ ფილმში ჩემი მონაწილეობა სცენარმა განაპირობა, რომელიც ძალიან მომეწონა და ჩემი გმირის მიმართაც სიმპათიით განვიმსჭვალე. ასე რომ, თუ სცენარი ძალიან მომეწონება, შესაძლებელია, რაიმე როლი მომავალშიც ვითამაშო.

ჩემი საყვარელი ზღაპრები

ყოველ პარასკევს, ჟურნალ „საბავშვო ქარუსელთან“ ერთად პატარების საყვარელი ზღაპრების თითო წიგნი!

ვახანაძის პატარა საყვარელი ზღაპრები!

წიგნის ფასი 4 ლარი (ჟურნალთან ერთად 5 ლარი)

12 ნოემბრიდან 19 ნოემბრამდე

უკანა გამოსული წიგნები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიაში!



ცხოვრება

მეტყვის ტაქარში მომხდარი სასწაულები

SOS – წყევლა და ჯადო არ დაგაზარალო!

სწორად ადამიანები სწუნან იმის გამო, რომ საქმეში წინსვლა არა აქვთ. ცნობისმოყვარენი მკითხავენთან მიდიან და მომავლის განჭვრეტას ცდილობენ, რასაც ეკლესია კატეგორიულად კრძალავს, ეს ნაბიჯი ცოდვად მიიჩნევა. ისიც ფაქტია, რომ ზოგიერთი ქალი, საყვარელი ადამიანის ხელში ჩასაგდებად, შავ მაგიასაც მიმართავს და თურმე, შედეგსაც აღწევს. ალბათ ბევრჯერ გასმენათ, როცა ქალი ოჯახის დანგრევას ჯადოს აბრალებს. ამ დროს ზოგი ბედს ეგუება, ზოგი კი თურმე, ისევ შავი მაგიით ცდილობს ჯადოს მოხსნას, რამაც შეიძლება, მოჯადოებული ადამიანი სიკვდილის პირას მიიყვანოს; ნაწილი გამოსავალს ლოცვით ეძებს.



ვაც — ადამიანი კრულებისგან თუ არ გახსენი, ის წინსვლას ვერ მიიღწევს. ამ ლოცვებთან ერთად, საჭიროა იმარხულოს, ეკლესიურად იცხოვროს. ქრისტე ბრძანებს: „რომელმაც არ მიიღოს ჩემი სისხლი და ხორცი, ჩემთან არა გივს“. როგორი კეთილი ადამიანიც უნდა იყოს, თუ ქრისტეს სისხლსა და ხორცს არ მიიღებს, უფალს ვერ იხილავს, უკვდავნი კი არავინ ვართ. გახსნის ლოცვას ძალიან დიდი

თბა სურსილავა

მეტყვის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის ტაძარი მლოცველებს ვერ იტევს. იქ ყოველდღე კვეთებულის ლოცვა ტარდება. ლოცვებს მორიგეობით, ორი მოძღვარი კითხულობს: ტაძრის წინამძღვარი, მამა აკაკი და მამა რაფაელი... ზოგს ხელში ოჯახის წევრის სამოსი უჭირავს, ზოგს — ფოტოსურათი. ამ გზით ისინი გზაბნეული საყვარელი ადამიანის სწორ გზაზე დაყენებას ცდილობენ. კვეთებულის შემდეგ ტაძარში ჯანმრთელობის ლოცვა აღველინება, მერე მოძღვარი ინდივიდუალურად, ავადმყოფებისთვის, ლახვრით ლოცულობს, მსურველებისთვის კი გახსნის ლოცვა იკითხება.

როგორ გავთავისუფლდეთ ბოროტი თვალისგან, ხილული და უხილავი ჯადოსგან, როგორ მივაღწიოთ წინსვლას საქმეში? — ამ და ბევრ სხვა საინ-

ტერესო საკითხზე დევანოზი, მამა რაფაელი (ხაჭაპურიძე) გვესაუბრება.

— მამაო, კვეთებულის ლოცვაზე დასწრება მოძღვრის კურთხევით სდება?

— კურთხევას თავიანთი მოძღვრებისგან იღებენ. ეს უფრო მისაღებია, ვიდრე თვითნებურად სიარული; ასეთ დროს ლოცვას უფრო დიდი ძალა აქვს. სწორად, ურწმუნო ადამიანები სხვებს წყევლიან ან ჯადოს უკეთებენ; ამ გზით მეორე ადამიანს აუბედურებენ, მაგრამ არ ფიქრობენ იმაზე, რომ წყველა გარკვეული დროის შემდეგ უკან მიუბრუნდებათ. ჯადომ და წყველამ შესაძლოა, ადამიანის ცხოვრება მთლიანად შეცვალოს, ამიტომ გახსნის ლოცვა ყველა ადამიანს სჭირდება: ზოგი წინაპრებისგან არის დაწყვეტილი, არიან ისეთებიც, რომლებიც ადამიანს ხატზე გადასცემენ. ყველა ადამიანმა ხომ უნდა დაიბანოს? ჰოდა, ასეა გახსნის ლოც-

ძალა და მადლი აქვს. წყევლამ და ჯადომ შესაძლოა, ადამიანის მთელი მოდგმა და ოჯახი აზარალოს. ასეთ დროს გახსნის ლოცვის წაკითხვა აუცილებელია.

— ამბობენ, ვაჟებს და გოგონებს გახსნის ლოცვას ოჯახის შესაქმნელად უკითხავენო...

— ჰგონიათ, რომ ეს ლოცვა მხოლოდ იმისთვის იკითხება, რათა ქალი გათხოვდეს და მამაკაცმა ცოლი მოიყვანოს. ადამიანს ცხოვრებაში ხელი რომ მოემართოს, ჯანმრთელად იყოს, საქმეში წარმატება ჰქონდეს და მასზე ღვთის მადლმა იტრიალოს, ამისთვის არის საჭირო ეს ლოცვა. ვინც გრძნობს, რომ რაღაცით შეშოჭილია, ყველას ეკითხება. ვფიქრობ, ლოცვა შვიდგზის მაინც უნდა იქნას წაკითხული. თუ ადამიანი ხედავს, რომ წინსვლა დაეტყო, გარკვეული დროის შემდეგ სჯობს, ისევ წაკითხოს მოძღვარს, რადგან ბოროტი ძალას არ სძინავს. როცა ბედი გწყ-



ალობს, ღვთისაგან მადლს მიიღებ, ეს ბოროტ ადამიანს მოსვენებას უკარგავს და ის ცდილობს, რაღაცით გაუნოს. ასეთებს ავიწყდებათ, რომ მსგავსი ქმედებით ბედნიერები ვერც თავად იქნებიან. მინახავს, ადამიანი ტაძარში ხატის წინ როგორ წყევლიდა მეორე ადამიანს.

— ეს ხომ ხატზე გადაცემაა?!

— ეს უმძიმესი ცოდვაა! პატარა სამებაში მამაკაცი ხატის წინ დადგა და მოვისმინე, როგორ თქვა, — ამოწყვეტ მისი ოჯახი, მოიკვეთოს პირისაგან მინისაო!.. ვეღარ მოვიტყინე და ვეჩხუბე: რას სჩადიხარ-მეთქი?! — მან მძამო მიიკლა და აბა, დავლოცო? — შენს ოჯახს ცუდად დაუბრუნდება-მეთქი. არ გაიგონა, იგივე ბევრჯერ გაიმეორა. ერთ დღეს კი ტირილით მოვიდა, დაიჩოქა და მითხრა, — მამაო, წამიკითხეთ ლოცვა, რომ ეს ცოდვა მომეტევოსო.

— ნაუკითხეთ?

— გულით ნათქვამი იყო მისი სიტყვები და ნაუკითხე. მადლობა ღმერთს, რომ გამოფხიზლდა. ადამიანის წყევლა არ შეიძლება.

— ნათქვამია, წყევლა მანყევარისააო; შეიძლება, ადამიანს დაუმსახურებელმა წყევლამ ავნოს?

— რასაკვირველია! დაწყველილი ადამიანის ოჯახს, მის მოდგმას ეს წყევლა დაერევა, მას აზარალებს და მერე მანყევარს შემოუტრიალდება, მისი ოჯახის წევრების საქმეც ძალიან ცუდად წავა.

— დაწყველილი ოჯახი ბოროტი ადამიანის წყევლისგან როგორ უნდა გათავისუფლდეს?

— ასეთი უგუნური ადამიანი ბევრია, ხშირად უმნიშვნელო წყენასაც გულში ჩაიდებენ და არამც თუ სიტყვით დაწყველიან, არამედ ხატთანაც იწყევლებიან. ეს საშინელებაა და ამის გამკეთებელმა უნდა იცოდეს, რომ ეს წყევლა მის ოჯახს შემოუბრუნდება; ყველას ჯვარი სწერია, თვითონაც ამოწყდება... ყველა დაიფაროს უფალმა, მაგრამ ასეა. არასდროს უნდა გააკეთო ცუდი, პირიქით — უნდა ილოცო, რომ ის ადამიანი გონებაზე მოიყვანო, წესიერ გზაზე დააყენო, რათა გაიგოს, რა არის ღვთის მადლი და წყალობა. წყევლას ძლიერი ზემოქმედება აქვს. როცა ოჯახი ან ადამიანი დაწყველილია, მას სასულიერო პირები კრულებს გახსნის ლოცვებს უკითხავთ. ამასთან, უნდა შეინახონ მარხვები, აღსარება უნდა თქვან, ეზიარონ. მამაკაცები და ქალები ფსკენილებს ატარებენ და ეს მათ იცავს.

— კვეთებულის ლოცვის დროს მრევლს ხელში ახლობლების ტანსაცმელი, ფოტოები უჭირავთ და ლოცვებს ასმენინებენ. ეს მისაღებია?

— კვეთებულის ლოცვაზე თუ პიროვნება მოვა, დადგება და იმას ნაუკითხავ ლოცვას, კარგია, მაგრამ ჯადოგაკეთებელი ადამიანები ტაძარში ვეღარ მოდიან. ამ დროს იმ პიროვნებ-

ის ტანსაცმელი ოჯახის წევრს მოაქვს, მერე მას ნაკურთხ წყალს ვაპურებთ. როცა ტანსაცმელს იმ პიროვნებას ჩააცმევენ, მასზე მადლი გადავა და ბოროტი განიდევნება. ცხადია, ეს უცებ არ ხდება და ტანსაცმლის დასწრება რამდენიმე კვეთებულზე უნდა მოხდეს. ხშირად, კვეთებულის ლოცვაზე ცოლებს მემრუშე ქმრების ჩასაცმელი დააქვთ. იყო შემთხვევა, როცა კაცს ცოლ-შვილი მიტოვებული ჰყავდა და ცოლს ქმრის სამოსი დაჰქონდა; გარკვეული დროის შემდეგ ქმარი ოჯახს დაუბრუნდა, საკუთარი საქციელისთვის ბოდიში მოიხადა. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ოჯახის გამთლიანება ვერ ხერხდება. ბოროტი ზეგავლენის ქვეშ მყოფი ადამიანის შველა იოლი არ არის; მისთვის ჭუჭყის მოსაცილებლად ყველაფერს აკეთებ, მაგრამ ბოროტისგან თავი რომ დააღწიო, რწმენაა საჭირო.

— კვეთებულის ლოცვის ნაკითხვა ინდივიდუალურადაც ხდება?

— ეს უკეთესია. როცა ტაძარში ბევრი ხალხია, შეიძლება, ერთი ადამიანის ცოდვა მეორეზე გადავიდეს და ცუდად გახდეს — ცოდვა მოძრაობს; მერე ლოცვით, ნაკურთხი წყლის პურებით, ჯვარზე მთხვევით გამოდიან მდგომარეობიდან. როცა ინდივიდუალურად იკითხება, უფრო მეტად ხარ დაცული.

— ბოროტი თვალი არსებობს?

— ყველაფერი არსებობს. ბოროტი თვალს შეუძლია, ცხენზე ამხედრებული ადამიანი ძირს დასცეს ან შეიძლება, სულიც განუტევეს ადამიანმა — ასეთი თვალც არსებობს. როგორც ბოროტი თვალი, ისე ბოროტი გულის ადამიანიც არსებობს. ზოგჯერ შეიძლება, ასეთი ადამიანი უბრალოდ შეგხვდეს და თავი ცუდად იგრძნოს; არიან ისეთებიც, რომლებსაც შენთვის კარგი უნდათ, მაგრამ თავისდა უნებურად ატარებენ უარყოფით ძალას. ასეთი ადამიანები ოჯახში რომ შედიან, თავიანთ უარყოფით ენერგიას იქ ტოვებენ, რაც ცხადია, ოჯახის ყველა წევრზე ცუდად მოქმედებს, ამიტომ სახლს კურთხევა ხშირად სჭირდება. ტაძარში ბევრჯერ მიგრძნია, რომ რაღაც უარყოფითი ძალა მომიახლოვდა. უხილავი ბოროტი ძალაც არსებობს; მხოლოდ ლოცვებით, სახარების ნაკითხვით გათავისუფლდება ადამიანი ბოროტისაგან. ადამიანები ზოგჯერ ამბობენ, — ჯადოს ლოცვა არ მინდა, ბარაქა არ ჰქონდეს; ეს უკვე ჯადოს ბრალია. მთავარია, სულიერი სიმშვიდე ჰქონდეს ადამიანს; თუ სულიერი სიმშვიდე გაქვს, მა-

შინ ერთი ლუკმა პურიც რომ გქონდეს, ისიც გიხარია, კარგად ხარ და მადლობას სწირავ უფალს.

— ზოგჯერ პიროვნებას არ სჯერა, რომ ჯადო გაუკეთეს. ასეთ შემთხვევაში მას ოჯახი როგორ უნდა დაეხმაროს?


— თუ ოჯახის წევრი მორწმუნეა, ის მის გონზე მოსაყვანად, ჭეშმარიტ გზაზე დასაყენებლად ტაძარში ილოცებს. კვეთებულის ლოცვით ადამიანები თანდათანობით მოექცევიან... როცა ვინმე რამეს მოცემთ, სანამ მიიღებდეთ, უსაფრთხოების მიზნით, პირჯვარი გადაისახეთ. უნდა შევეცადოთ, საეჭვო ადამიანისგან არაფერი ავილოთ. შეიძლება, ადამიანი გვერდით ამოგიდგეს და სამოსზე რაღაც წაგიცხოს, რის შემდეგაც ბოროტი ძალა იწყებს მოქმედებას. ჯადოსგან, ავი თვალისგან თავის დაღწევა უფლის სახლში ლოცვით, აღსარებით, მარხვით, ზიარებით არის შესაძლებელი.

— თუ არის ისეთი ჯადოები, რომლის მოხსნაც ლოცვით ვერ ხერხდება?

— ყველაფერი რწმენაზეა დამოკიდებული. გული უნდა გაუღო უფალს და შენთან მადლი აუცილებლად შემოვა.

— იქნებ ლახვრით ლოცვის ძალაზეც ვისაუბროთ: ეს ლოცვაც ინდივიდუალურად იკითხება?

— ლახვრით ლოცვა ინდივიდუალურად იკითხება. ლახვრით ჯვარს გადავსახავთ, ოლარს გადავფარებთ და ლოცვას ვამბობთ; ამით ძალიან ბევრი ადამიანი განკურნებულა. ლოცვის დროს ხშირად თითები მერთმევა, ის უარყოფითი ძალა ჩემზე გადმოდის და თითებსაც ვეღარ ვამოძრავებ. ამ დროს ვისვენებ და ლოცვას საკუთარ თავს ვუკითხავ.



გული უნდა გაუღო უფალს და შენთან მადლი აუცილებლად შემოვა



ლოცვას ძალიან დიდი ძალა რომ აქვს, ამას მეტეხის ტაძარში შევრებილი ადამიანები დაგიდასტურებთ. კვეთებულისა და გახსნის ლოცვით მათ თავი დააღწიეს პრობლემებს.

დოლო, 60 წლის:

— საერთოდ, როცა გვიჭირს, უფალი მაშინ გვახსენდება. 12 წლის წინ ვესწრებოდი კვეთებულის ლოცვებს; რამდენიმე ლოცვის შემდეგ ოჯახის წევრებმა სამსახური იშოვეს. მერე კარგა ხანს არ მივიღია, ახლა ისევ გადავწყვიტე მოსვლა და მოძღვრისგან კურთხევა ავიღე. ჯანმრთელობა მანუხებს, ლახვრით ლოცვას ვიტარებ და კვეთებულს ვესწრები. ახლა უკეთ ვარ. მჯერა უფლის წყალობის. აქ საოცარ ფაქტებს ვხედავთ. მაგალითად, როცა ადამიანის ორგანიზმიდან ბოროტის გამოსვლა ხდება, ის გაურკვეველ ხმებს გამოსცემს...

თამარი, 38 წლის:

— მეტეხის ტაძარში სერიოზული პრობლემით მოვედი: ოჯახის წევრი ნარკომანი გახდა და უფლისგან უნდა მეთხოვა შველა. თავიდან თვალცრემლიანი, შოკირებული ვიდექი ხატის წინ და ვლოცულობდი. მამა რაფაელი მამხნევებდა... მას შემდეგ ლოცვებს ყოველდღე ვესწრები. მამა ავაკი და მამა რაფაელი დიდ საქმეს აკეთებენ. ვერ წარმოიდგენთ, აქ რა საოცრებები ხდება. ტაძარი გაშუქებით სახსება მრევლით. ძალიან ბევრი შეპყრობილი ადამიანი მინახავს. ყოფილა შემთხვევა, როცა მამა რაფაელს ასეთი პიროვნებისთვის ნაკურთხი წყალი გადაუხსამს და ამის შემდეგ მას არაადამიანური ყმული შეუწყვეტია, თითქოს ხელახლა დაიბადა. საერთოდ, მოჯადოებული ადამიანები შემზარავ ხმებს გამოსცემენ. ძალიან სერიოზულ ძალასთან გვაქვს საქმე. ვიდეოკამერა რომ მქონოდა, 2 დღის წინ საოცარ კედარს გადავიღებდი, — დავინახე, ჯადოთი შეპყრობილი ორი ადამიანი როგორ ეგდო ძირს. მოძღვარმა მათთვის ლოცვა აღავლინა; ერთი მალე გამოვიდა მდგომარეობიდან, მეორეს კი ბევრი დრო დასჭირდა. შეიძლება, დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი პრობლემაც მოგვარდა — ის, ვის გამოც აქ მოვედი, „წამალს“ აღარ იღებს. მოძღვარს ლახვრის ლოცვას მის სურათზე ვაკეთებინებ, რადგან ჯერჯერობით, ტაძრამდე ვერ მოვიყვანე; ნაკურთხ წყალს, სეფისკვერს იღებს და ლოცვებსაც კითხულობს... თანაც, მას C ჰეპატიტის ურთულესი დიაგნოზი დაუსვეს. როცა გამოკვლევებზე წავიდა, ექიმები გაოგნდნენ — სულ სხვა მდგომარეობა დახვდათ. დიდ მადლობას ვწირავ მამა რაფაელს, საოცარი ადამიანია. კვეთებულის შემდეგ ჯანმრთელობის ლოცვა იკითხება, მერე ლახვრით ლოცვასაც ვესწრები. მინდა, მოსახლეობამ იცოდეს, რომ ამ ტაძარში სასწაულები ხდება.

ელისო, 56 წლის:

— სამი წლის წინ აქ შვილთან დაკავშირებულმა პრობლემამ მომიყვანა. შე-

ძლებულად ვცხოვრობდით, ფულიც გვექონდა და ბიჭი ნარკომანი გახდა. დედისთვის საშინელებაა, როცა ასეთ რამეს იგებს... ეკლესიური ცხოვრება დაიწყე. ტაძრიდან მისული, სახლში ხმამალა ვლოცულობდი, რათა ეს ლოცვა ჩემი ბიჭის ყურამდე მისულიყო. თავიდან აგრესიული გახლდათ და მეუბნებოდა, — ლოცვები მანუხებსო, მაგრამ მე მინც ვაგრძელებდი. უფლის ნებით, შეეგუა, მერე ნაშალი გადააგდო, სამსახურიც დაიწყო და დღეს ლაშაში ოჯახიც აქვს. მას მერე უფლის საოცრად ვინამე... მერე ჩემი მუფლვე ავარიში მოჰყვა; თუ გადარჩებოდა, ვეღარ ილაპარაკებდა, თავის ტვინში ჰემატომები ჰქონდა. ექიმმა მითხრა, — ღმერთი არა ვარ, სასწაული რომ მოვახდინო, ნადით და ილოცეთო. ვლოცულობდი, მუფლვის სახელზე პარაკლისებს ვუშვავდი. ჩემი ლოცვით სასწაული მოხდა — ის განიკურნა. ახლა კვლავ მოვედი მეტეხში: თავად ვარ ცუდად, გამოკვლევებით არანაირი დაავადება არ აღმომაჩნდა, მაგრამ ფეხზე დგომასაც ძლივს ვახერხებ. მამა რაფაელის მრევლი ვიყავი. ვფიქრობ, ტაძარს რომ დავშორდი, ეს ამიტომ დამემართა.

ბევრი სასწაულის მოწმეც ვარ. მაგალითად, ზაფხულში ტაძარში ცხელოდა და მამაო ლოცვას ეზოში ატარებდა. ბავშვი მოიყვანეს. კიოდა, თმას ინუნდა, ვერ აჩერებდნენ. მოძღვრის ლოცვის შემდეგ, ბავშვი დამშვიდდა და სიარული დაიწყო... ერთი პატარა დედას ხშირად მოჰყავდა. აქტიური ბავშვი იყო, ზეთისცხებაზე ყოველთვის პირველი გარბოდა მოძღვართან. ერთხელაც ვილაც ქალბატონს გაეთამაშა. მან ფული მიაწოდა, ბავშვმა არ აიღო. არ ვიცი, რატომ მოიქცა ასე, მაგრამ იმ ქალმა ეს ფული ბავშვს მიუყარა და წავიდა. უეცრად, ჩვენ თვალწინ, ბავშვი ცუდად გახდა. როცა მომჯობინდა, დედამ სახლში წაიყვანა. თურმე, შემინებული იყო და მთელი ღამე ტიროდა. მამა რაფაელის ლოცვ-

ბის შემდეგ სრულიად გამოჯანმრთელდა და ისევ ისე დახტოდა... აი, ამ ახალგაზრდა გოგოს შეხედე, როგორ უჭირს გადაადგილება. დედასა და ძმას მიჰყავთ, მას თურმე, ჯადო გაუკეთეს...

ლოცვის შემდეგ გოგონა ტაძრიდან ძმამ და დედამ, ხელკავით გამოიყვანეს. მათთან მივედი, მაგრამ შეპყრობილის დედამ მომიბოდიშა, — სხვა დროს იყოს. ახლა დაღლილია და სახლში უნდა წავიყვანოო. გოგონას ამბავი ქალბატონმა თამარმა მიაშობო:

— ეს გოგო მორწმუნე ყოფილა. გასულ კვირას ძმამ ტაძარში ხელში აყვანილი შემოიყვანა. ის უცნაურ ხმებს გამოსცემდა, თითქოს მამაკაცი ლაპარაკობდა. ოჯახის წევრები ამბობენ, — ვილაცამ ჯადო გაუკეთაო. თურმე, ჯვარი ყელიდან მოიგლიჯა და ის ჯვარი ძმას მოჰქონდა. ტაძარი რომ ნახა, უფრო გაღიზიანდა... იმ დღეს მამა ავაკიმ ილოცა და კვეთებულის შემდეგ უკეთესობა დაეტყო. მეორე დღეს ლოცვის შემდეგ ჯვარი თავისი ხელით გაიკეთა...

ნელი, 63 წლის:

— პრობლემები მაქვს. 8 წელია, ჩემი შვილი ოჯახთან ერთად, სამუშაოდ საზღვარგარეთ წავიდა. ის მსახიობია და ხშირად სამუშაო არა აქვს, ცხოვრება ვეღარ აიწყო. არ ვიცი, რატომ, მაგრამ იქ ფსიქიატრიულშიც იწვა. მეორე ვაჟიც უცებ შეიცვალა — არადა, სტიქაროსანი იყო, კარგად დედაშვილობა გვექონდა; ლოცვის გარეშე საჭმელს არ ჭამდა, სახლიდან გასვლის წინ მეტყოდა, — დედა, დამლოცო, ახლა კი ჩემი დანახავც არ უნდა. იმედი მაქვს, ლოცვა მიშველის. უცხოეთში მცხოვრებმა ვაჟმა მითხრა, — დედა, ჩემზე ილოცე და დედათა მონასტერში წადიო. კვეთებულის ლოცვებს ჩავამთავრებ და მონასტერშიც წავაღო, მხოლოდ ღვთის წყალობის იმედი მაქვს. დედისთვის შვილების კარგად ყოფნა მთავარი. ადრე ეკლესიური არ ვიყავი და შესაძლოა, ჩემშია პრობლემა. მაპატიოს უფალმა, თუ რამე შევცოდე. მინდა, შვილები კარგად მყავდეს.

ქალბატონი ნაზი ბრეგვაძე 13 წელია, მეტეხის ტაძრის მსახურია. მის თვალწინ უამრავი ფაქტი მომხდარა.

ნაზი ბრეგვაძე:

— აქ ხალხი დიდ შებბას გრძნობს, თითქოს ბედშეკრული ადამიანი იხსნება. როცა ცუდად ვარ და გახსნის ლოცვას მამაო წამიკითხავს, ყველაფრისგან ვთავისუფლდები. ეს ლოცვები სპეციფიკურია და მოძღვრები მას პატრიარქის კურთხევით კითხულობენ. როცა აქ ამდენი, პრობლემით შეწუხებული ადამიანი დგას, მძიმე აურაა. ბევრჯერ უარყოფითი აურა ჩემზე გადმოსულა, სული ვეღარ მომიტყვამს და გარეთ გავვარდნილვარ. მოძღვარს ფსალმუნების კითხვაში ვეხმარები და ისეთი ძლიერი ლოცვებია, მეც ძალას მმატებს. ბევრჯერ, ისეთი შეგრძნება მქონია, ვილაცამ ყელზე ხელი რომ წაგიჭიროს და გახრჩობდეს; სმაც დამიკარგავს.



ნაზი ბრეგვაძე



ექიმი, პოეტი, დედა ანუ გვანცა დარასელიას პოეტური დედის „დაბალური“ ნიჭი



ნატა ღერუაშვილი პროფესიით ექიმი-რადიოლოგია, მაგრამ როგორც მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს, ერთ სფეროში საქმიანობა არ აკმაყოფილებს — მრავალი ლექსის ავტორია, გამოცემული აქვს ორი პოეტური კრებული, თავადაც დაუწერია სიმღერები და სცენაზეც გამოსულა. „ჩემი სიმღერები ამღერებული ლექსებია. ლექსი და სიმღერა ჩემი მეორე სიცოცხლეა“, — ამბობს ნატა. არადა, მას უპირველესად, როგორც გვანცა დარასელიას დედას, ისე იცნობენ... ჰოდა, დიალოგიც სწორედ მასზე საუბრით დავიწყეთ.

ლოცვის დროს ბევრჯერ თვალებიც დამბინდებია და ფსალმუნი ზეპირად მითქვამს... როცა ახლები შემოდინა, ამას ვხვდები — ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს ყინულის კედელი აღიმართა. თუ ადამიანი კარგი აურით შემოდის, სურვილი მიჩნდება, გულში ჩავიკრა. ბევრი ძალით მოჰყავთ. 2 წლის წინ ჩემი შვილის მასწავლებლის შვილი ფაქტობრივად, გაკოჭილი მოიყვანეს. სკამი დაფუდგი, მაგრამ გაიქცა. ისინი მამა რაფაელს სთხოვდნენ, გასსნის ლოცვა შეიძღვის ჩაეტარებინა. მოძღვარმა უთხრა, — შეიძლება, არ დასჭირდესო. პირველი ლოცვის დროს მშობლებს დაჭერილი ჰყავდათ და მეორე დღეს მარტო რომ დავინახე, გამიკვირდა. ცოლთანაც გაყრილი იყო, სამსახურიდან გამოაგდეს... მე რე ცოლსაც შეურიდდა. მეშვიდედ არ მოსულა, რადგან სამსახურიც დაიწყო. მე რე მოვიდა და მითხრა, — მამა რაფაელს ფეხებში უნდა ჩავეყვარდე, მადლობა ვუთხრაო. მერწმუნეთ, ასეთი უამრავი შემთხვევაა... ნალექი კენჭით მქონდა დაფარული. აქ რომ მოვედი, ტაძრის ეზოში არავინ იყო. ისე ცუდად გავხდი, ტკივილისგან ვიკრუნჩხებოდი. ამ დროს მესანთლე და მამა რაფაელი მოვიდნენ. ორჯერ ლახვრით ლოცვის შემდეგ ტკივილი შემისუსტდა, მადლობა უფალს, მიშველა. კარგა ხნის შემდეგ, ექიმთან რომ მივედი, მითხრა, — კენჭი ძალიან დაბატარავდაო. რწმენა უნდა გქონდეს უფლის და სასწაული მოხდებოდა. მეკითხებიან, — რამდენჯერ უნდა დავესწრო კვეთებულის ლოცვასო? ამაზე პასუხს ვერაფერს ვაძლევ, ეს ინდივიდუალურია. თუ ლოცვებს რწმენითა და გონებით მოუსმენ, შედეგი აუცილებლად იქნება.

20 წლის გოგონა მომიახლოვდა და მითხრა, რომ ერთ ამბავს ისიც მომიყვებოდა. ნანო ნაჭყვების ოჯახი ხობში ცხოვრობს, ისინი მეტეხის ტაძარში ძმის ავადმყოფობამ მოიყვანა.

ნანო ნაჭყვების:
— ჩემს ძმას ბავშვობაში აცრა გაუქუთეს და წლების შემდეგ იმ ადგილას სიმსივნე აღმოაჩნდა. გაუშალის ტკივილი ანუხებდა. მამა იოანემ გვიჩრია, მეტეხის ტაძარში ლოცვებს დავსწრებოდი. კვეთებულის, ჯანმრთელობის ლოცვებს, ლახვარს და გასსნის ლოცვას ყოველდღე ვუსმენდი. ჰოდა, ცოტა შევბა იგრძნო. მე და ჩემი დაც სულ მასთან ერთად ვლოცულობთ. ექიმმა გვითხრა, — ავთვისებიანი სიმსივნეა და ოპერაციაც დაგვიანებულობს. ამ ლოცვების შემდეგ მდგომარეობა გაუმჯობესდა და ოპერაცია ჩაუტარდა, სიმსივნე კეთილთვისებიანი აღმოჩნდა. ექიმი გაოცებულია: 33 წელია, ვმუშაობ და ასეთი სასწაული არ მინახავს. ვერ ამისხნია, რა მოხდა ამ ბიჭის ორგანიზმშიო... მოკლედ, ლოცვების წყალობით, უკეთაა. ახლა აქ მოსვლას ვერ ახერხებს, რადგან ახალი ნაოპერაციებია, ამიტომ სურათი და მისი ტანსაცმელი დამაქვს. თვითონ სტიქაროსანია და უფლის სასწაულის გვეჯერა. ■

ლალი ფასია

— როგორ ბავშვი იყო გვანცა და რატომ გადმაცვიტა „მის საქართველოს“ კონკურსში მონაწილეობა?

— ბავშვობაში ერთი ჩვეულებრივი გოგონა იყო — პატარა, საყვარელი არსება... მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ მომავალში მოდელი გახდებოდა. 15 წლის ასაკში უცებ შეეცვალა სხეულის ფორმები... ჩემი დაჟინებული მოთხოვნა იყო, გასულიყო კონკურსზე — „მის საქართველო“ (გადაცემასში „დუბლი 2“ რომ მონაწილეობდა, იქ კარგად დავინახე მისი პოტენციალი). „მის საქართველოს“ კონკურსში მონაწილეობა თავად არ უნდოდა. საბუთები რომ შევიტანეთ, ამის შესახებ ოჯახში ჩვენ გარდა, არავინ იცოდა. ვიფიქრე, — თუ ვასტიგნს წარმატებით გაივლის, ოჯახის წევრებს მერე გავაგებინებ-მეთქი... მიმანია, რომ კონკურსი — „მის საქართველო“ გვანცასთვის ერთგვარი ტრამპლინი აღმოჩნდა.

— მართლაც, საზოგადოებამ რომ გაიცნო, მერე მის კარიერაში ყველაფერი აენჭო, არა?

— კი. ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლობდა და როდესაც „რუსთავი 2“-ში პრაქტიკაზე მოხვდა, იქ უკვე ყველა იცნობდა. ნინო შუბლაძემ დავალება მისცა, გვანცამ შეასრულა. ნინოს მოენონა და ჰკითხა, — რომელ რედაქციაში იმუშავებო? მან „დილის გადაცემა“ აირჩია მოკლედ, საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოჩნდა...

— შვილის ნამუშევრის როგორი შემფასებელი ხარ?

— ძალიან კრიტიკული, რადგანაც მის მიმართ ობიექტური ვარ. ჩემზე კარგად მას არავინ იცნობს...

— ორი თვეა, რაც სიდედრი გახდი. გვანცას გათხოვებას როგორ შეხვდები?

— ჯერ არ მინდოდა, რომ გათხოვილიყო. სურვილი მქონდა, საზღვარგარეთ წასულიყო და მაგისტრატურაში ჩაებარებინა... გვანცა თაყვანისმცემელ ბიჭებს არ სწყალობდა. ვახო რომ გაიცნო, ძალიან შეიცვალა; ვხვდებოდი, მასთან ერთად ბევრ დროს ატარებდა. მომავალი სიძე მეც გავიცანი და ჩემს მეუღლესაც ვაცნობე გვანცას სიყვარულის შესახებ. მანაც გაიცნო და ვახო ყველას მოგვეჩინა. არაჩვეულებრივი ბიჭია, შესანიშნავი ოჯახის შვილი. ყოფილი მორაგბე გახლავთ. დიდხანს თამაშობდა პრაღაში, მერე საქართველოში დაბრუნდა. თბილისის საკრებულოს დეპუტატია.

— ნატა, მოდი, ახლა შენვე ვისაუბროთ. რამ გადაგანწყვეტინა ექიმობა?

— მირზა გელოვანის სახელობის, თიანეთის საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაჯილდოვდა. მედალოსნები კი მაშინ, მოგესენება, უმეტესად, სამედიცინო ინსტიტუტში აბარებდნენ. ამასთან, დეიდა მყავდა საავადმყოფოს მთავარი ექთანის და ბავშვობაში სამედიცინო პერსონალის გვერდით ყოფნა ხშირად მინევედა. ამიტომ, პატარაობიდანვე ვიცოდი, რომ ექიმი გავხდებოდი... სტუდენტობაც არაჩვეულებრივი მქონდა, შესანიშნავი ჯგუფში მოვხვდი. სამედიცინო ინსტიტუტში გატარებული ყოველი წუთი ნამდვილი ფეიერვერკი იყო. თან, სწავლის პარალელურად, მთელი სტუდენტობის მანძილზე სცენაზე ვიდექი. ლექსებს ვკითხულობდი, ვუკრავდი და ვმღეროდი... უკვე 12 წელია, რაც ულტრასონოგრაფიაში ანუ ექოსკოპიაში ვმუშაობ.

— პოეტური მუზა პირველად როდის გენვა?

— ბავშვობაში ყოველთვის ვწერდი ჩანახატებს, მაგრამ ლექსი პირველად, მეორე კურსზე რომ ვსწავლობდი, მაშინ დავწერე; შეყვარებული ვიყავი და ამისთვის ესეც



მადლევდა სტიმულს... თუ რაღაც გრძნობა არ აგემალა, ლექსს ვერ დანერ. ვნერ, როცა მტკივა, როცა მიჭირს, როცა მენატრება... ჩემი ლექსი არასდროს შემისწორებია — რითმა და სტრიქონები როგორც „მო-

სურვილი უნდა ავასრულოო, — და „დრო-შის“ რედაქციაში მდივანი გამაყოლა, რომელმაც პოეტ სუტა ბერულავასთან მიმიყვანა. ბატონმა სუტამ გულში ჩამიკრა და მადლობა გადამიხადა. ძალიან დავიბენი. თავის დროზე თურმე, პირველი ლექსი მისთვის გიორგი ჯიბლაძეს დაუბეჭდავს... ბატონმა სუტამ მითხრა, — ბატონმა გიორგიმ მთხოვა, შენს ლექსებს გავცნობოდი და ნამუშევრები ძალიან მომეწონაო... მან ჟურნალის მთელი გვერდი ჩემს ლექსებს დაუთმო... მოგვიანებით „დროში“ ჩემი ლექსები კიდევ დაიბეჭდა და რედაქციაში „დრო-შის“ შვილობილი“ შემარქვეს... ამის შემდეგ მალე გავთხოვე. ჩემი ქმრის ბებია ხელოვნების მოყვარული ქალბატონი გახლდათ. ერთხელაც მირეკავს და მეუბნება, —

შვილო, „მოამბუმი“ მოვისმინე, გიორგი ცაბაძემ შენს ლექსზე თავისი ახალი სიმღერა შეასრულაო. თურმე კომპოზიტორს ჩემი ლექსი — „ფოთლის აღსარება“ „დროში“ წაუკითხავს და მასზე სიმღერა დაუწერია. გავგიჟდი. დავადგინე მისი ტელეფონის ნომერი და დავურეკე. უი, შვილო, შენი ნახვა მინდოდაო, — მითხრა და თავის კონცერტზე მიმინვია... ავედი სცენაზე, ყვავილები მივართვი და იქვე გავცანი. მაყურებლისკენ მიმბრუნა და, როგორც სიმღერის ავტორი, ისე წარმადგინა პუბლიკის წინაშე... ბატონმა გოგიმ ჩემს ლექსზე კიდევ ერთი სიმღერა, ნანი ბრეგვაძისთვის შექმნა... ჩემს უფროს ვაჟზე, ვანიკოზე ფეხშიძემ რომ ვიყავი, გოგი ცაბაძემ დამირეკა და მითხრა, — რაღაც სიმღერას ვნერ და „ახალი სისხლი“ მჭირდება, რაიმე ტექსტს ხომ ვერ დამინერო? უზარმაზარი მუსიკით მივედი მასთან და მუშაობა დავიწყეთ. კარგი ტექსტი გამოგვივიდა. მასსოფს, შაბათი იყო. ორშაბათს ისევ დავურეკე, მაგრამ სამწუხაროდ, მითხრეს, რომ ბატონი გოგი ცოცხალი აღარ იყო: კვირას, გორში კონცერტი ჰქონდა და სცენაზე გარდაიცვალა...

— საოცარი ამბები მოჰყვო კიდევ რომელ ავტორებს აქვთ შენს ლექსებზე სიმღერები დანეროლი?

— გია მაჭარაშვილმა ჩემს ლექსებზე არაერთი სიმღერა დანერა. მაგალითად, „სტუდენტური ჰომინი“, რომელიც „სტუდენტურ დღეებზე“ კვლავაც უდერს. ჩემს ლექსებზე დანეროლი სიმღერებს მღერია: თვითონ გია მაჭარაშვილი, ევა კვალიაშვილი, ია ჩანტლაძე, მამუკა ონაშვილი; კომპოზიტორ მაიკო გოქსაძეს ჩემს ლექსებზე შექმნილი სიმღერების მთელი ციკლი აქვს... პირველად, ირმა სოხაძის წყალობით აღმოვჩნდი სცენაზე — როგორ?

— ვაკო ვაშალიანიმე არანაყოფის ავტორთან, ბადრი ტერეშაძესთან მიმიყვანა, რომელმაც ჩემი პირველი სიმღერა ჩანერა... მერე ამხანაგებმა ჩემი ლექსები ტელევიზიის ახალგაზრდულ რედაქციაში მიიტანეს. რედაქციამ ჯერ „ახალი სახელების“ რუბრიკაში მიმინვია, მერე მთელი გადაცემა მომიძღვნა, სადაც გიტარაზე ვუკრავდი და ვმღეროდი... მერე მუსიკალურ რედაქციაში, ერთ-ერთი კონცერტისთვის, სიმღერა „ვალსი“ მივიტანე. ის შემთხვევით, ირმა სოხაძემ მოიხილა და „მეტეხში“ მის მიერ მოწყობილ საახალწლო კაფე-სალამოზე მიმინვია, 1993 წელი დგებოდა... ვმონაწილეობდი ხოლმე კონკურსში — „წლის სიმღერა“...

— მაგრამ 2000 წლის შემდეგ, როდესაც შოუბიზნესს გამოცოცხლება დაეცყო, სცენაზე აღარ გამოიჩინებინარ...

— მასინ უკვე ბევრი ფული იყო საჭირო, რაღაცა რომ გაგვეკეთებინა. სიმღერა რომ ჩამენერა, ამისთვის 5.000 დოლარის გადახდა არ მიღირდა, — ანკი რატომ უნდა გადამეხადა, როცა კლინიკაში დღე და ღამე თავგადაკლული ვმრომობდი იმისთვის, რომ შვილებისთვის მიმეხედა?! თან, საყვარელ საქმეს ვმსახურებოდი, პროფესიულად წინ მივდიოდი. თბილისში ერთ-ერთი საუკეთესო კლინიკის წამყვანი სპეციალისტი გავხდი...

— ახლა რა სახლებია შენს ცხოვრებაში?

— მე და გვანცამ ჩემი ახალი სიმღერა — „ორი ბელურა“ ცოტა ხნის წინ დუეტში ჩავწერეთ. გვინდა, ის რადიოეთერში გავუშვათ. პრემიერა ცოტა ხნის წინ, კონცერტზე — „მღერთან და ხუმრობენ ექიმები“ — შედგა.

— როგორც ვიცი, შენი უფროსი ვაჟი — ვანიკოც მღერის.

— კი. საერთოდ, მინდოდა, რომ ვანიკო ექიმი გამხდარიყო, მაგრამ არ დამთანხმდა. ცხოველებზე გიჟდებოდა და ზოოგეტში ჩააბარა. თავისი სპეციალობით, ვეტერინარად მუშაობს. თან მღერის კიდევ — 15 წელია, ანსამბლ „მთიების“ სოლისტი. ედიშერ გარაყაიძის აღზრდილია...

— ბოლოს, ერთი ლექსიც წამიკითხე...

— „მზე გახუნდება, თუ ბოროტმა აჯობა კეთილს/ ზღვა გაჩუმდება, თუ სიკეთეს დასჭირდა თქმა/ რა საჭიროა მოცდა, ფიქრი, ცოტა და მეტი/ რა საჭიროა სიტყვა და ზმნა/ სიკეთე, სიკეთე უნდა ქმნა!“




მაგარაობიდანვე ვიცი, რომ ექიმი გავხდებოდი...

დას“, ისევე რჩება...

— შენს არაერთ ლექსზე შენ თვითონაც და ცნობილ კომპოზიტორებსაც დაგინერათ სიმღერები...

— მართალია. აქ ერთი ამბის გახსენება მინდა. ჩემს ჯგუფში სწავლობდა აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის შვილიშვილი — გოგლივა ჩოგოვაძე, როგორც გარეგნულად, ისე სულიერად, არაჩვეულებრივი ადამიანი. დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ, საუბედუროდ, სამ მეგობართან ერთად, თბილისის ზღვაზე ტრაგიკულად დაიღუპა. ეს ტრაგედია 1983 წლის 23 მაისს მოხდა... მანამდე — მარტში გოგლივამ მითხრა, — შენი ლექსები ძალიან მომწონს და ბაბუაჩემს მინდა წავაკითხოო. გიორგი ჯიბლაძის კრიტიკულ წერილებსა და ესეებზე ვიყავი გაზრდილი და მომეჩიდა, — ჩემი ლექსებით როგორ შევანუხო-მეთქი?! მაგრამ გოგლივამ, მეგობარი გოგონას დახმარებით, მაინც შეძლო ჩემთვის ლექსების გამოთმევა და ბაბუას მიუტანა. მერე მოვიდა და მითხრა, — ბაბუაჩემი გიბარებსო. კინაღამ გული წამივიდა... როგორღაც თავს ძალა დავატანე და მივედი. ბატონ გიორგის ლექსების საქალაქდღეზე ჩემი გვარ-სახელი წაუნერა და თან, ჩემთვის ფსევდონიმიც მოგონებინა, რომელიც ფრჩხილებში ჩაენერა — „ნატო თიანელი“. იმ დღეს ისეთი თბილი სიტყვები მითხრა, რომ მეუხერხულება გავიმეორო... შემდეგ ბატონმა გიორგიმ იგივე სიტყვები ახალგაზრდა შემოქმედთა კლუბში მოწყობილ პოეზიის საღამოზეც თქვა და დასძინა, — ნატოს ლექსები „ლიტერატურულ საქართველოში“ უნდა დაგებეჭდოო... ეს საღამო აპრილში შედგა, მაისში კი გოგლივა დაიღუპა... მისი გარდაცვალებიდან ორმოცი რომ გავიდა, მისმა ძმაცკმა დამირეკა და მითხრა, — გიორგი ჯიბლაძე გიბარებსო. მივედი. ჩემი შვილიშვილის ბოლო



გვანცა მეუღლესთან და ძმასთან ერთად



რა ახარებს და რაზე ტირის ჯაბა ბოჯბუა

1 წელი და 8 თვე გავიდა მას შემდეგ, რაც მომღერალი ჯაბა ბოჯბუა უგონო მდგომარეობაში იმყოფება. ამ ხნის მანძილზე მასზე არაერთი ჭორი გაფრცულდა: ჯერ იყო და, ვიღაცამ თქვა, — ჯაბა გარდაიცვალაო და ეს ამბავი მთელ თბილისს მოედო; მერე ვიღაც ამტკიცებდა, — ამას წინათ დედამისთან ერთად, მაღაზიაში ვნახეო, ვიღაც კი იძახდა, — ყველაფერი ტყუილია! ზუსტად ვიცი, რომ ჯაბა საზღვარგარეთ გაამგზავრესო...

ჩვენ ჯაბას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ არაერთი წერილი მოვამზადეთ. ერთ-ერთ სტატიას თბილისის მერიაც გამოეხმაურა და მომღერალს ოპერაცია დაუფინანსა.

თავუნა კვინიკაძე

მანანა გვასალია, ჯაბა ბოჯბუას დედა:

— ოპერაციის შემდეგ ჯაბას მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა. მას საყლაპავი მილიდან ამოუღეს ზონდი, რომლითაც საკვებს ვაწვდიდით და პირდაპირ კუჭზე მიუერთეს. ჯაბამ უკვე წონაშიც მოიმატა... საკვებს ზონდით მანამდე მივანვდიო, ვიდრე კონტაქტში არ შემოვა. მართალია, ყოველ წელს მისი ამოღება და განმენდაა საჭირო, მაგრამ ეს რთული პროცედურა არ არის. მინდა თქვენც და თბილისის მერიასაც დახმარებისთვის დიდი მადლობა გადაგიხადოთ. დედაჩემმა მოახერხა და ბატონ გიგი უგულავას, როცა ის მოსახლეობას შეხვდა, წერილი გადასცა; ამას „გზაში“ სტატიის გამოქვეყნებაც დაემთხვა და 3 დღის შემდეგ გამოგვეხმაურნენ. მერიამ ოპერაცია სრულად დაგვიფინანსა, შემდეგ 300 ლარის ღირებულების მედიკამენტებითაც დაგვეხმარნენ.

— **ამბობთ, რომ მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა, მაგრამ კონტაქტში შემოსვლა მაინც არ შეუძლია...**

— მას შემდეგ, რაც ციხიდან საავადმყოფოში გადაიყვანეს, მეუბნებოდნენ, — რამდენიმე საათი თუ გაუძლებს, ხვალამდე ვერ იცოცხლებსო, — მაგრამ ხომ ხედავთ, მას შემდეგ 1 წელი და 8 თვე გავიდა. ექიმს ოპერაციის გაკეთებაც არ უნდოდა და ხელი მომანერინა, რომ ჩემი შვილის გარდაცვალების შემთხვევაში მასთან პრეტენზია არ მექნებოდა. საბედნიეროდ, ოპერაციას

ომღერალს პრობაციის სამსახურიდან მიახითხას

არანაირი გართულება არ მოჰყოლია, ნარკოზიდანაც კარგად გამოვიდა. ჯაბას ჯანმრთელი შინაგანი ორგანოები აქვს, არაფერი აწუხებს.

— **მუსიკაზე, ხმაურზე ისევ რეაგირებს?**

— როცა სძინავს და ეზოდან ბავშვების ხმა ისმის, იღვიძებს; ინექციის გაკეთებისას ხელ-ფეხს ვუკავებთ.

— **არადა, ჩვეულებრივ მდგომარეობაში კიდურებს ვერ ამოძრავებს...**


— იმიტომ, რომ მისი ტვინი გათიშულია. რალაცაზე მხოლოდ მაშინ რეაგირებს, როცა ღიზიანდება. დღეს დიდხანს ინვა გულალმა და როგორც ჩანს, დაიღალა. ჰოდა, ისე იშმუშნებოდა, მიმახვედრა, გადაამბრუნეო... რაიმე თუ წამოსტკივდება, ტირის, ხოლო როცა თმას ვუვარცხნი, უხარია.

— **კომაში მყოფ ადამიანს მხოლოდ სძინავს, რეაქცია არაფერზე აქვს...**

— ეს ალბათ, კომის შემდგომი პერიოდი... წელიწად-ნახევარია, კომპიუტერული ტომოგრაფია ვერ გავუკეთე, რადგან 400 ლარი ღირს, 100 ლარი კი ტრანსპორტირებისთვისაა საჭირო. ჯაბას ტვინის ქერქი აქვს დაზიანებული და არ ვიცი, ამ ხნის მანძილზე მდგომარეობა შეიცვალა თუ არა.

— **ამჟამად ჯაბა ისევ პატიმრად მიიჩნევა?**

— ჯაბას პატიმრობის ვადა 5 ოქტომბერს ამოეწურა და „ფორმიანები“ მეორე დღესვე მოგვადგნენ. მითხრეს, — პრობაციის სამსახური-



ჯაბას მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა

დან ვართ, ჯაბა ბოჯბუას ვეძებთო. გავენრვიულდი და ვუთხარი: ჯაბა შინ არ არის, სასეირნოდ წავიდა-მეთქი. სახლში მაინც შემოვიდნენ. ისინი ჩემი შვილის ოთახში შევიყვანე და ვუთხარი: ამას რალა შემომნება უნდა, არ იცით, რა მდგომარეობაშიც არის-მეთქი?! ერთმანეთს გაცივებულები უყურებდნენ, მერე საბუთები გადმომილაგეს, — ხელი მოგვინერეო. სამი დღის შემდეგ ამავე სამსახურიდან ფურცელი მომიტანეს, რომელშიც ეწერა: თუ ხელის მოსაწერად 1 კვირაში არ გამოცხადდებით, პირობითი სასჯელი პატიმრობით შეგეცვლებაო.

— **ვერ გავიგებ ვის აპატიმრებდნენ — თქვენ თუ ჯაბას?**

— ჯაბას. მართალია, ფორმა №100 მათთან ინახება, მაგრამ მთხოვენ, იგივე ფორმა თვეში ერთხელ მივიტანო. ეს ხომ შეუძლებელია! საავადმყოფოში თუ არ დავანვინე, ამ ფორმას ვინ მომცემს? საიდან მივუტანო?.. ბოლოს და ბოლოს, იმ ფორმა №100-ში, რომელიც თავად აქვთ, დიაგნოზის გრაფაში გარკვევით წერია, რომ ჯაბა კომაშია... ვიცი, თუ შევძლებ და ჯაბას კარგ ნევროპათოლოგთან ვუძღურნალებ, საჭირო მედიკამენტებს (ამ შემთხვევაში ტვინის მკვებავს ვგულისხმობ) არ მოვაკლებ, ის მდგომარეობიდან გამოვა. არ მინდა, ჩემი ერთადერთი შვილი იმ ქვეყნად უფულობის გამო, ნაადრევად წავიდეს.

P.S. თუ ჯაბას დახმარების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 8(93) 55.80.05. წინასწარ გიხდით მადლობას.




არ მინდა, ჩემი ერთადერთი შვილი იმ ქვეყნად უფულობის გამო, ნაადრევად წავიდეს



საქართველოზე შეყვარებული რუსი ქალბატონის ამბავი

15 წლის იყო, როცა მოსკოვიდან საქართველოში, მშობლებთან ერთად ჩამოვიდა. ისინი ნაძალადეგში, სამხედრო დასახლებაში ცხოვრობდნენ. მამას „ვილისი“ ჰყავდა და პრეტენზიული გოგონა ყოველ დღით, რუსულ სკოლაში მიჰყავდა, სადაც რუსებთან ერთად ქართველი ბავშვებიც სწავლობდნენ და რა გასაკვირია, რომ პატარა თამარა დოლნიკოვამ ქართულიც ისწავლა. ოჯახში ცხადია, ქართულად არ საუბრობდნენ, ეზოში კი ნამდვილი ინტერნაციონალი იყო — ქართველ და რუს ბავშვებთან ერთად ქურთი, სომეხი, აზერბაიჯანელი და ბერძენი პატარებიც თამაშობდნენ. ამიტომაც, ჩვენმა რესპონდენტმა 6 ენა იცის, ქართულად კი საოცრად გამართულად, უაქცენტოდ ლაპარაკობს. „რომ არა ჩემი „კურნოსა“ ცხვირი და ღია ფერის თმა, ვერავინ მიხვდებოდა ჩემს წარმოშობას“, — მითხრა ღიმილით მოხუცმა... თუმცა ეს არ არის მთავარი მიზეზი, რის გამოც მასთან ინტერვიუს ჩაწერა გადაწყვიტეთ: 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, მისი ოჯახის წევრებმა საფრთხეს თავი აარიდეს, საქართველო დატოვეს და ერევნის გავლით, რუსეთში დაბრუნდნენ. შვილმა მოხუც დედასაც შესთავაზა, ჩვენთან ერთად წამოდიო, მაგრამ გაჯიუტებულმა ქალბატონმა მეორე სამშობლო და მეუღლის საფლავი არ დატოვა...



„რუსეთში დავიბადე, მაგრამ საგოგლოდ საქართველოს მივიჩნევ“

ლალი პაპასკირი

— ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა დედა გარდაემეცვალა. ექიმებმა მას გარე ორსულობა დაუდგინეს და რამდენიმე თვეში გარდაიცვალა კიდევ. მამა სამხედრო პირი გახლდათ, სახლში თითქმის არ მოდიოდა და ყურადღება რომ არ მომკლებოდა, მომვლელად ძალიან თბილი და კეთილი ქართველი დაიქირავა. ჩემს ძიძას ოჯახი არ ჰყავდა და შვილივით შევუყვარდი... იმ პერიოდში, როცა სკოლას ვამთავრებდი, მამა კრასნოდარის ავიასკოლაში, მასშტაბურ სასწავლო წვრთნებში მონაწილეობდა და იქიდან ცოცხალი აღარც დაბრუნებულა, — სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა. მისი დაკრძალვის ხარჯები სახელმწიფომ გაიღო — კრასნოდარიდან პირდაპირ მოსკოვში გადაასვენეს და როგორც სამხედრო პირი, პატივით დაკრძალეს.

— მამის დაკრძალვას არ დასწრებოდა?

— როგორ არა! მისი სამსახურიდან მანქანა გამომიგზავნეს და წამიყვანეს... ქართული ტრადიციისგან განსხვავებით, რუსეთში ნათესავების მიმართ თბილი დამოკიდებულება აუცილებელი არ არის, იქ ყველას თავისი ცხოვრება და პრობლემები აქვს... ნათესავებმა კი მომიხამძიმრეს, მაგრამ ჩემი მეურვეობა და პატრონობა არავინ იკისრა და არც მე შემე-

ნუხებია ვინმე. როგორც კი მამა დაკრძალეს, მის თანამშრომლებს ვთხოვე: უკან, ისევ თბილისში დამაბრუნეთ-მეთქი. მამას ძალიან კარგი უფროსი ჰყავდა, გვარად სეროვი. მან მითხრა, — ნუ ჩქარობთ, ცოტა ხანს შეგიძლიათ ჩემს სახლში დარჩეთო. ღიმილით ვუპასუხე: — არა, გმადლობთ, თბილისში სახლი მაქვს და მირჩევნია, იქ წავიდე-მეთქი... შუალაშვს, თბილისში, ცარიელ ბინაში რომ დავბრუნდი, ცუდად გავხდი და მაშინვე დედობილს დავურევე, — მიშველეთ-მეთქი. ის ჩემი ერთადერთი ნუგეში იყო და მთელი ღამე მის კალთაში თავჩარგული ვტიროდი, — ობოლი ვარ, რა მეშველება-მეთქი?!

— სწავლის გაგრძელება არ გიკვლიათ?

— კი, სამედიცინო ტექნიკუმში ჩავაბარე, სადაც ჩემი მომავალი მეუღლე გავიცანი. შალვა არაჩვეულებრივი ადამიანი იყო. ის ქართული, ინტელიგენტი ოჯახის შვილი გახლდათ და ცხადია, მის მშობლებს რძლად არ ვუნდოდი, — უპატრონოა, თანაც რუსიო... მაგრამ შალვამ მაინც თავისი ბაიტანა და შევუღლდით. მამა-ჩემის ბინაში ვცხოვრობდით, ჩვენს სანახავად ქმრის არც ერთი ნათესავი არ მოსულა...

როგორც გითხარით, დედა აქ გარდაემეცვალა, მამა კი მოსკოვში, სამხედროთა სასაფლაოზე იყო დაკრძალული. ძალიან მინდოდა, ცოლ-ქმარს ერთი საფლავი ჰქონოდა და დედის რუსეთში „დაბრუნება“ გადაწყვიტე...

მამის ჩემი გოგონა რამდენიმე თვის იყო და ბავშვს მზრუნველობა რომ არ მოჰკლებოდა, სამველად ისევ მოხუც დედობილს ვუხმე... დაახლოებით თვენახევრიანი ბრძოლა დამჭირდა იმისთვის, რათა დედის ცხედარი რუსეთში გადაემსვენებინა. მამაჩემს მოსკოვში, ჩემს სახელზე გადაფორმებული ბინა ჰქონდა და ვიფიქრე, — რადგან აქ ვარ, ბარემ ამ საქმესაც მოვაგვარებ-მეთქი... ერთი სიტყვით, იქ გათვლილზე მეტხანს დავრჩი და როცა საქართველოში ჩამოვედი, თავზარდამცემი ამბავი დამხვდა — ჩემი მეუღლე ინფარქტით გარდაცვლილა... ვინაიდან ჩემთან მის არც ერთ ნათესავს ურთიერთობა არ ჰქონდა და არც მოსკოვის მისამართი იცოდნენ, თბილისში ჩამოსულს მეუღლე უკვე დაკრძალული დამხვდა. აღარ ვიცოდი, რა გამეკეთებინა, თვითმკვლელობაც კი ვცადავ. თქვენ წარმოიდგინეთ, შვილის დანახვაც არ მინდოდა... იცით, როცა ადამიანს მეუღლე უკვდება, ეს მისთვის უდიდესი ტრაგედიაა, მაგრამ როცა ქმრის ნათესავები ქვრივს ადამიანდაც აღარ მიიჩნევენ, მის მეუღლედ არ აღიარებენ, ეს კიდევ ცალკე უბედურებაა... მოსკოვში ბინა გაყიდული რომ არ მქონოდა, ალბათ, იმ დღესვე უკან გავბრუნდებოდი, მაგრამ წასასვლელიც აღარსად მქონდა... ერთადერთი, ჩემი ქართველი დედობილი არ მცილდებოდა. როგორც გითხარით, ბავშვი ჯერ მხოლოდ თვეებისა იყო და მისი დანახვაც არ მინდოდა. დე-



დობილმა რამდენჯერმე მთხოვა, — შვილო, ბავშვიც ცოდოა, მიხედვით; მეც მინდა მოხუც მშობლებს მივავითხო და სულ რამდენიმე საათით წავალო. არც კი დაფიქრებულვარ, ისე ვუთხარი: — შეგიძლია, ბავშვი მის ბებია-ბაბუას წაუყვანო. თუ მის მოვლაზე უარი თქვეს, უპატრონო ბავშვთა სახლში ჩააბარე-მეთქი... ძალიან დიდი მონდომების შემდეგ, ძლივს გავიგე, სად იყო დასაფლავებული ჩემი მეუღლე. მის საფლავთან ყოველდღე მივდიოდი, იქიდან კი ვერაზე, ლურჯ მონასტერში ავდიოდი და საღამომდე ვრჩებოდი. მაშინ ხალხი რწმენით არ ცხოვრობდა და ტაძარი თითქმის ცარიელი იყო. მოძღვარიც არ მყავდა, მაგრამ იქ ყოფნა რაღაც ნაირად მანყნარებდა... შემდეგ, დროთა განმავლობაში, როგორღაც ფეხზე წამოვდექი და მივხვდი, რომ გლოვით ვერაფერს შევცვლიდი, ცხოვრება უნდა გამეგრძელებინა... დიდუბეში, შოკოლადის ქარხანაში უბრალო მუშად დავინწყე მუშაობა, რამდენიმე ხნის შემდეგ კი ჯერ ბუღალტრად, მერე კადრების განყოფილებაში გადამიყვანეს. ამასობაში ბავშვიც წამოიზარდა.

— გოგონა გყავთ, არა?

— დიახ. რთული და დაძაბული სამუშაო გრაფიკის გამო, ბავშვი სკოლიდან გახანგრძლივებულ ჯგუფში მიმყავდა და ღამე სახლში ერთად ვბრუნდებოდით. მგონი, თბილისში პირველი მძლოლი ქალი მე ვიყავი, „ზაპოროჟეცი“ მყავდა...

— ოჯახის შექმნაზე აღარ გოფიქრობთ?

— არა! იმდენად კარგი მეუღლე მყავდა, რომ მისი ღალატით გულში არასდროს გამივლია. ვერ გეტყვით, როგორ მოვიქცეოდი, მოსკოვში რომ მეცხოვრა, მაგრამ აქ, თბილისში, იმ გარემოში, სადაც მე და შალვა ერთად ვცხოვრობდით, ამას არ გავაკეთებდი, თუნდაც იმიტომ, რომ ის „უპატრონო რუსი გოგოს“ გამო ღამის მთელმა უბანმა, ქალაქმა და სახლში რომ აითვალწუნა, მაგრამ მან თავის პრინციპებსა და ჩვენს სიყვარულს არ უღალატა... ამ ყველაფრისთვის ხაზის გადასმა, ამის დავინწყება ვერ შევძელი, მით უფრო, რომ მისი სიკვდილის შემდეგ, ჩემს ცხოვრებას ყველანი გამადიდებელი შუშით აკვირდებოდნენ... ნებისმიერ ნაბიჯს მეც მისი საზომით ვზომავდი: შალვას ეს არ ესამოვნებოდა-მეთქი და თანამშრომლებთან ერთად რესტორანში წასვლაზე რამდენჯერმე უარიც კი ვთქვი...

— ეს თითქმის დაუფერებელია...

— ამ ცხოვრებაში არსებობს

რაღაც, რასაც ვილაცამ შეიძლება, კომპლექსი დაარქვას, ვილაცამ კი — ერთგულება... ერთხელ მე და ჩემი გოგონა შინ გვიან დავბრუნდით. წვიმიანი ღამე იყო. აივანზე შავოსანი ქალი დაგვხვდა, რომელიც ტიროდა და ხმას არ იღებდა. როგორც კი ჩემი გოგონა დაინახა, გულში ჩაიკრა, პატიებას სთხოვდა, თან — „ბებოთი“ მიმართავდა. მივხვდი, ჩემი მეუღლის დედა იყო... შემდეგ მამამთილიც მოვიდა. მუღს კარგა ხანს, შორს ეჭირათავი ჩემგან, მაგრამ ერთხელაც, როცა ბებია-ბაბუამ შვილიშვილს დაბადების დღე გადაუხადა, ისიც გვესტუმრა... ერთი სიტყვით, ნორმალური ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. ისინი ცდილობდნენ, ის სიტბო და სიყვარული აენახლათურებინათ, რაც იმ წლებში დაგვაკლეს... ქართველები საოცარი ხალხი ხართ: ადამიანი ან ძალიან გიყვართ, ან მისი დანახვაც არ გინდათ... იმ დღის შემდეგ ჩემი დედამთილი ღამის ჩვენთან გადმოსახლდა და ყოველდღე ცხელ კერძებს მახვედრებდა... მერე სხვებისგან გავიგე, რომ შალვასადმი ჩემი ერთგულებით ძალიან ამყობდა... როცა მოხუცდნენ და ლოგინად ჩავარდნენ, ორივე სახლში წამოვიყვანე და საკუთარი მშობლებივით მოვუარე. ამას ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, უბრალოდ, მისარია, რომ უფლის წყალობით, კეთილი საქმეების კეთების უნარი შემომრჩა.

— თქვენს დედობილზე რას გვეტყვით?

— ისიც გარდაიცვალა... რას ვიზამთ, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ.


— ახლა ისევ მარტო ცხოვრობთ. რატომ?

— ეს ის საკითხია, რომელზე ლაპარაკიც არ მიყვარს, მაგრამ რა

გაენწყობა. მთელი ცხოვრება ქართველ სიძეზე ვოცნებობდი, მაგრამ... სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩემმა ქალიშვილმა სწავლა გერმანიაში განაგრძო და იქვე გაიცნო მომავალი მეუღლე, რომელიც ნახევრად ლიტველია. შეუღლების შემდეგ, რომელიც საერთაშორისო პროექტის ფარგლებში, სამსახურიდან ორივე რუსეთში გაანაწილეს და ბინაც იქ შეიძინეს. როცა მოვხუცდი და მართო ცხოვრება გამიჭირდა, საქართველოში ჩამოვიდნენ. სამი შვილი-იშვილი მყავს, სტუდენტები არიან... 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს ჩემმა სიძემ თქვა, — იქნებ, ცოტა ხნით მაინც, ყველანი პეტერბურგში წავიდეთო. მართლია, მოხუცი ვარ, მაგრამ საკუთარ ცხოვრებას ჯერ კიდევ დამოუკიდებლად ვუძღვები და ვუთხარი: — შეგიძლიათ, თქვენი ცოლ-შვილი წაიყვანოთ, მე კი აქ დავრჩები-მეთქი. საქართველოდან წასვლის შემდეგ ქალიშვილმა რამდენჯერმე დაამრეკა, — ალბათ, უკან დაბრუნებას ვერ შევძლებთ და იქნებ, ჩამოხვიდეთო, — მაგრამ უარი ვუთხარი... ტელეფონში სიძის სიტყვებიც მესმოდა, — რა უცნაურია ეს დედაშენი, მისი ხალხი საქართველოს ბოშავს, ის კი ღამის საუკუნის წინ გარდაცვლილი ქმრის საფლავს ვერ შორდებარო... ომის დროს ძალიან ვნერვიულობდი. ცხოვრებაში ბევრი განსაცდელი მიმნახავს და გამომივლია, მაგრამ იმ დღეებმა 1990-იან წლებში გამოვლილი სიმწარეც კი დამავინწყა... რუსეთში დავიბადე და გავიზარდე, მაგრამ ჩემს სამშობლოდ საქართველოს მივიჩნევე. აგვისტოს იმ საშინელ დღეებში, როცა ჩემს პატარა ქვეყანას ჯიჯგინდნენ, საშინლად ცუდად ვიყავი; რამდენჯერმე მუხათგვერდის ძმთა სასაფლაოზე ავედი და ბიჭებს სანთელი დავუწვთე. ჩემი გარეგნობის გამო, ვცდილობდი, სასაფლაოზე ისეთ დღეებში ავსულეყავი, როცა იქ არავინ იყო... სიძეს რა უნდა მოვთხოვო, როცა ის არც ქართველია და არც ჩემი შვილი, მაგრამ მერწმუნეთ, ბიჭი რომ მყოლოდა, მას ომში აუცილებლად გავუშვებდი!..

— როგორც მივხვდი, თქვენი ქალიშვილი საქართველოში ჩამოსვლას არ გეზმავს. საინტერესოა, თქვენ რას აპირებთ?

— ჯერჯერობით, საკუთარი თავის მოვლა შემიძლია, მერე კი ალბათ, მოხუცთა თავმჯდომარეში წავალ; იმედია, მიმიღებენ... ■



ლურჯ მონასტერში ავდიოდი და საღამომდე ვრჩებოდი. მაშინ ხალხი რწმენით არ ცხოვრობდა და ტაძარი თითქმის ცარიელი იყო



პორტრეტები მოხუცებულთა თავშესაფრიდან

ნარილი მეორე

(პირველი ნერილი იხ. „გზა“, №44)

30 წლის წინ თბილისში, თემქაზე გახსნილი პანსიონატი თურმე ერთადერთი იყო მთელ კავკასიაში, სადაც ე.წ. საკავშირო მნიშვნელობის პერსონალურ პენსიონერებს უნდა ეცხოვრა. ინიციატივა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს, ქალბატონ ნინა ჟვანიას ეკუთვნოდა.

თბა სურსილავა

მურმან ხაჭაპურიძე

— ბოლო წლები სოციალურად დაუცველი ადამიანების დახმარების ფერხულში ვიყავი ჩაბმული, მერე მეც აღმოვჩნდი სოციალურად დაუცველი და აქ მოხვდი. პანსიონატში მცხოვრები ადამიანების წარსული თავიდანვე მაინტერესებდა. აღმოჩნდა, რომ აქ ბევრი საინტერესო პიროვნება ცხოვრობდა და სწორედ ამან მიბიძგა იმიტომ, რომ ნარკვევების ციკლი დამეწერა. იმდენმა საინტერესო ამბავმა მოიყარა თავი, გადავწყვიტე, წიგნად გამომეცა. იმხანად დირექტორად ქალბატონი თამთა დემურიშვილი მუშაობდა. მისგან მხარდაჭერა მქონდა: 200-გვერდიანი წიგნი მომზადდა და ნოტარიუსთა პალატამ დაკაბადონებისთვის საჭირო თანხა გაიღო. ახლა წიგნის გამოსაცემად სპონსორს ვეძებ. ეს მართლაც, მთელი ისტორიაა და ეძღვნება არა მარტო ამჟამინდელ ბინადრებს, არამედ მათაც, ვისაც აქ ოდესმე უცხოვრიათ. მაგალითად, აქ ცხოვრობდა საბჭოთა კავშირის გმირი, ლეგენდარული მფრინავი ზაქარია ხიტალიშვილი. სხვათა შორის, დღესაც მის სახელს ატარებს ველი (პოლტავის ოლქში), სადაც მეორე მსოფლიო ომის დროს ზაქარიას დაცხრილული თვითმფრინავი ჩამოვარდა. იმდენად დიდი მფრინავი იყო, რომ ავიადივიზიის უფროსი ენდობოდა და მეთაურის გარეშეც შეეძლო გაფრენილიყო საბრძოლო დავალებზე. მისი თვითმფრინავი ლამის ბრძოლისას დაზინდა, დაეშვა. თვითონაც დაჭრილი იყო, სისხლი სდიოდა და გრძობდაკარგული, ადგილობრივმა მოსახლეებმა შეიფარეს. მას ექთანი ქალი, ნატაშა უვლიდა, რომელმაც სიკვდილს გადაარჩინა. მოგვიანებით ზაქარია თავის ავიადივიზიას დაუბრუნდა. შემდ-

გომ, როცა ქალიშვილი შეეძინა, იმ ქალის პატივსაცემად ნატალია დაარქვა. ხიტალიშვილი 63 წლის ასაკში გარდაიცვალა და დიდი პატივით დაკრძალეს მშობლიურ დაუშეთის რაიონში, სოფელ არამისში. მთიანი სოფელია და ზაქარია თურმე ამბობდა, — მფრინავობისკენ ჩემმა მთებმა მიბიძგაო... საბჭოთა კავშირის გმირებს შორის, ორგზის გმირი არავინ გვყავს; ბატონი ზაქარია უნდა გამხდარიყო — ნარუდგენიანთ კიდევ და სტალინს ხელი უნდა მოეწერა, მაგრამ მანამდე ცოტა ხნით ადრე, მფრინავს ავიადივიზიის ახალ უფროსთან ინციდენტი მოუხდა და თურმე, იარაღიც იძრო; სიტუაცია მალე განმუხტეს, მაგრამ ეს ფაქტი სტალინის ყურამდეც მივიდა; მართალია, მან ზაქარია ციხეში არ ჩასვა, თუმცა მისთვის გმირის წოდების მეორედ მინიჭებისგან თავი შეიკავა...

პირველი ქართველი მფრინავი ქალი — რუსუდან ჟორდანიაც ამ პანსიონატის ბინადარი იყო. ის ოდესაში დაიბადა და ზუგდიდში გაიზარდა. კონსერვატორიაშიც

სწავლობდა, პედაგოგიური განათლებაც მიიღო. 1937 წლიდან მოსკოვში ცხოვრობდა და სამოქალაქო ავიაციის სისტემაში მფრინავად მუშაობდა. ოცზე მეტი მფრინავი მოამზადა. დაჯილდოებული იყო მრავალი მედლითა და სამახსოვრო საჩუქრით; უავარიო ფრენისთვისაც გადაეცა ჯილდო. ამ ქალბატონმა რთული ცხოვრება განვლო: მშობლები ადრე დაკარგა, მერე ერთადერთი ულამაზესი ქალიშვილი — პიანისტი ცისანა ჟორდანიას გამოეცალა ხელიდან, მარტო დარჩა და იძულებული გახდა, პანსიონატში დასახლებულიყო. მას მდიდარი პირადი არქივი ჰქონდა. ჩანაწერებში იხსენებს: „დადგა დღე, როცა სამხედრო თვითმფრინავზე ფრენის უფლება მომეცა. საბრძოლო თვითმფრინავი სულ სხვა ტრანსპორტის თვითმფრინავთან შედარებით; როდესაც საბრძოლო თვითმფრინავზე პილოტაჟს აწარმოებ, სრულიად ერთიანდები თვითმფრინავთან და გეჩვენება, თითქოს საკუთარი სხეულით ჭრი ჰაერს. რეაქტიული თვითმფრინავი კი საერთოდ, საოცრება ამ მხრივ. ფრენის არაჩვეულებრივი სიმსუბუქე, სივრცის უსასრულობის შეგრძნება და ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს ერთი თითითაც კი შეიძლება მანქანის მართვა. 1957 წელს ჯანმრთელობის გამო, პენსიაზე გავედი და აღარ მიფრენია, მაგრამ ჩემში მუდამ ცოცხლობს ის ძნელი და მაინც ბედნიერი წლები...“ 1946 წელს საქართველოს დელეგაცია

მურმან ხაჭაპურიძე



სტალინთან მიღებაზე იყო, სადაც სრულიად ახალგაზრდა ქალმა, რომელმაც რუსული ბრწყინვალედ იცოდა, ავიაციისა და კოსმონავტიკის საკითხებზე ისე იმსჯელა, რომ ყველა გააოცა... რუსუდან ჟორდანიას პირადი არქივი პანსიონატის თანამშრომელმა, ქალბატონმა ლუსია ყალიჩავამ მომანოდა. სხვათა შორის, ის დღესაც დადის რუსუდანიის საფლავზე...

მწერალმა კიტა ბუაჩიძემ აქ დაწერა თავისი „შავი წიგნი“. ამ პანსიონატში ცხოვრობდა ლეგენდარული რადიოდიქტორი — ქეთო ლანდია. რაღაც პერიოდის განმავლობაში, მე მის ოთახში მომიხდა ცხოვრება. სამწუხ-



აროდ, ამ ქალს ოჯახი არ ჰქონდა... ამჟამად, ქართული კინოს მემატინის, ქალბატონი როზა ჯიკაევის ოთახში ვცხოვრობ. ის მონტაჟის რეჟისორი გახლდათ, ნახევარი საუკუნე ქართულ კინემატოგრაფში იმუშავა — მიხეილ ჭიაურელთან, ნიკოლოზ სანიშვილთან, რეზო ჩხეიძესთან, დოდო აბაშიძესთან... ის ქეთი დოლიძეს შვილობილად მიიჩნევდა. აქ შვილთან ერთად ცხოვრობდა. მოულოდნელად, გულის შეტევით, ჯერ შვილი გარდაეცვალა, ერთი წლის წინ კი, 81 წლის ასაკში — ქალბატონი როზაც გამოგვეცალა ხელიდან. დედა-შვილი ერთმანეთის გვერდიგვერდ დაკრძალეს. აქ მყოფი ქალები ხშირად გულდანყვეტილი ამბობენ, — მისმა სიკვდილმა ბურჯი გამოგვაცალაო: ყველას დამხმარე იყო. როზას დაკრძალვაზე ბატონი რეზო ჩხეიძე და მთელი კინოსტუდია მოვიდა, იმ ქვეყნად დიდი პატივით გავისტუმრეთ.

აქ ცხოვრობდნენ: ცნობილი მწერალი და მეცნიერი, პროფესორი აკაკი თოფური; ჟურნალისტი თინა ჟვანია; პოეტი, დამსახურებული მხატვარი ლია სვანიძე; კალათბურთელი, სპორტის ოსტატი ჯუმბერ ჭკუასელი; ხეზე კვეთის ოსტატი სევერიანე ჯალაღონია; სამხედრო ექიმი, პოლკოვნიკი ნინა კვირიკაშვილი; სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ლექტორი მიხეილ სომხიშვილი; მხატვარი ელენე დიდებულისძე... ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. განსაკუთრებით მინდა გამოვყო დამსახურებული არტისტი, მხატვრული კითხვის ოსტატი ზაზა ბანელაშვილი — რუსთაველის თეატრის მსახიობი, დიდებული პოეტი. ის თავის პოემებს პირადად მიკითხავდა. ოთხი კრებულის ავტორი გახლდათ. საუბარს რომ დაიწყებდა, გეგონებოდათ, აკაკი ხორავა ლაპარაკობსო. ხორავას გაზრდილი იყო, თეატრალური ინსტიტუტი წითელ დიპლომზე დაამთავრა. მძიმე ცხოვრება ჰქონდა გავლილი — ბავშვთა სახლში აღიზარდა. როცა თეატრალურ ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებს აბარებდა, ხორავა რექტორი და მიმღები კომისიის თავმჯდომარე ყოფილა. მას უთქვამს, — ამ ახალგაზრდის ხმა ჩემი ხმის გამეორებაა და მე უნდა გავზარდოო... ზაზა აკაკი ხორავას საზოგადოების დამფუძნებელი და სიკვდილამდე, მისი პრეზიდენტი გახლდათ. ინსულტი მესამედ დაემართა. ბოლოს მართალია, ლაპარაკი უჭირდა, მაგრამ მეუბნებოდა ხოლმე, —

მურმან, ლაპარაკი უნდა დავინყო, სცენაზე გასვლა მინდაო. ვერ მეტყველებდა, მაგრამ საოცრება ხდებოდა: ვეფხვისა და მოყმის ამბავს, საკუთარ ლექსებსა და ქართული პოეზიის შედეგებს ზეპირად ისე წაიკითხავდა, ერთხელაც არ წაიბორძიკებდა... გამუდმებით თავის ორ შვილიშვილს ახსენებდა და ამბობდა, — ლომის ბოკერები არიანო!.. აქ მოხვედრის საკითხის გადაწყვეტისას, რეზო მიშველაძე დაეხმარა, სულ 3 წელი იცხოვრა და შარშან, 70 წლის ასაკში გარდაიცვალა. სამახსოვროდ, ლექსი დამიტოვა — „უცხო გემირი ხარ“. თითქოს, საკუთარ თავზე აქვს დანერვილი... მეგობრებმა თავის მშობლიურ კუთხეში წაასვენეს და იქ დაკრძალეს...

ირაკლი ხმალიძე — მეცნიერებათა კანდიდატი ჯერ აქ მუშაობდა, მერე პანსიონატის ბინადარი გახდა... ამჟამად მეორე მსოფლიო ომის ორი მონაწილე — დავით ჯიშკარიანი და შალვა ბოჟაძე გვყავს. ბოჟაძეს კავკასიის მსადაგომებიდან ბერლინამდე უბრძოლია... არ შემიძლია არ გიაპბოთ ყარამან ყიფშიძეზე. ის პოეზიის დიდი მოტრფიალე იყო, უამრავი ლექსი იცოდა ზეპირად. ერთხელ მითხრა, — გრიგოლ რობაქიძის ლექსი უნდა წაგიკითხოო. მაშინ რობაქიძეს, როგორც მწერალსა და კრიტიკოსს, ისე ვიცნობდი და გამიკვირდა, საიდან მოიძია ეს ლექსი?..


ვცდილობ, წუთიერად გავაცოცხლო ისინი, რომ მათი სახელები და საქმე დაუფიქრარი იყოს... თურმე, არეულობის წლებში მაშინდელმა დირექტორმა, მერი გოგოლმა კბილებით დაიცვა შენობა და მოხუცები. მაშინ კიტოვანის გვარდია თბილისის ზღვაზე იყო დაბანაკებული და შენობის ნაწილის დაკავება სურდათ. ქალბატონი მერი დღე და ღამე შენობის შესასვლელთან იდგა, აქ არავის უშვებდა, რათა მოხუცები არ შენუხებულყვნენ. სახურავიდან თურმე, წყალი ჩამოდიოდა, უშუქობა იყო და თანაც — დენის დავალიანება ჰქონდათ; მერი გოგოლს სიუჟეტი გაუკეთებია და ის დღედა ქართველმა მეცენატმა, ბიძინა ივანიშვილმა ტელევიზორზე ნახა. ჰოდა, სახსრები გამოჰყო — შენობა გადახურეს, დენის დავალიანება დაფარეს და იმ დღიდან მოყოლებული, როგორც ვიცი, ელექტროენერჯის საფასურსაც იხდის.

— ბატონო მურმან, თქვენს ცხოვრებაზეც გვიამბეთ, აქ როგორ გაგყავთ დრო?

— ვმუშაობ და აქ ამისთვის ძალიან კარგი პირობებია. დირექტორი, ქალბატონი ნინო პროფესიით ჟურნალისტი, რამდენიმე ჟურნალის რედაქტორი იყო და კარგად ესმის ჩემი (ჩემი, როგორც ჟურნალისტის გამზრდელი გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორი, გივი მეფისაშვილი გახლდათ). აქ სრული თავისუფლებაა. თეატრში, გამოყენებზე დავდივარ, ძალიან მიყვარს ღვინის აღმართზე სეირნობა, „საჩინოდან“ გადმოხედვა; სამების ტაძრის ხშირი სტუმარი ვარ. ხანდაზმულთა საერთაშორისო დღეს მინისტრი, ანდრია ურუშაძე გვესტუმრა და გვითხრა, — ჩვენი კარი ყოველთვის ღია იქნება ყველა მოხუცისთვისო. ძალიან გვიწონდა პანსიონატს ქალბატონ ნინა ჟვანიას სახელი მიენიჭოს. ცხოვრება ისეთია, შვილო, კაცმა ფარ-ხმალი არ უნდა დაყაროს... ჩემი საქმე მაქვს, სიმყუდროვეა და თუ მუზა მენწევა, სათქმელი ფურცლებზე გადამაქვს. იცოდეთ, მოხუცს ძალიან სიამოვნებს თბილი სიტყვა, ყურადღება და მზრუნველობა.

ბატონ მურმანთან საუბრის შემდეგ კიდევ რამდენიმე მოხუცს გამოველაპარაკე. საოცარია, მაგრამ ამ პანსიონატის ბინადრია ის ინიცირი ქალბატონიც, რომელმაც 30 წლის წინ ამ შენობის აგებამი უდიდესი წვლილი შეიტანა.

უსმენ გულისყურით მოხუცებს და ხედები, ყველას თავისი ტკივილი აქვს. ბევრს უკან დარჩა ბედნიერებით სავსე წლები, თბილი ოჯახური გარემო, კარიერა; ზოგს, სამწუხაროდ, არც ახალგაზრდობა ჰქონდა დაღბნიებული... დღეს ბავშვით სათუთები არიან, გულახდილად ჰყვებიან თავიანთ ცხოვრებაზე; ბევრს ცრემლიც ჩამოუგორდა... ზოგი ავადმყოფობამ სარეცელს მიაჯაჭვა, ნაწილი აკანკალებული ხელის ფათურით გადაადგილდება ოთახში, ნაწილი კი ისევ მხნედაა. ფაქტია — მათ ყველაზე მეტად, შვილების, ახლობლების სიტბო და მზრუნველობა ესაჭიროებათ. ჩვენი „მოთხრობების“ ციკლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანიც ის არის, რომ მათი ყურადღება მივიპყროთ: ყური დაუგდეთ თქვენი ეულად დარჩენილი მოხუცების ნაამბობს და გაიხსენეთ წლების წინ თქვენზე განუული ამბავი!.. მომდევნო ნომრებში განვაგრძობთ თხრობას პანსიონატის სხვა მობინადრეთა შესახებ.



სამყარო

როგორ უნდა გამოიყურებოდეს მოდის მიმდევარი პატარძალი

როგორც ცნობილია, ნოემბრის ბოლომდე (საშობაო მარხვის დან-ყებად) საქართველოში საქორწილო სეზონია. ამ ბედნიერი დღისთვის თითოეული ადამიანი განსაკუთრებულად ემზადება. ქორწილისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალი საქორწილო კაბაა, რომელიც ყველაზე ლამაზი უნდა იყოს. გარდა ამისა, უკვე აცივდა და ხალხს თბილად ჩაცმა უწევს. თბილ სამოსში გაპრანჭვა და მოდურად ყოფნა კი ცოტა რთულია. ამ საკითხებზე რჩევების მისაღებად დიზაინერ ნანა მელქაძის ვენჯიე, რომელსაც ერთი თვის წინ მეორე შვილი, გიორგი შეეძინა. მიუხედავად ამისა, ნანა სამუშაოს მალევე დაუბრუნდა და კვლავ აქტიურად ჩაერთო მოდის სფეროში.

ნათია ჟივიკა

— ნანა, პირველ რიგში გიორგის დაბადებას გილოცავ... უკვე სამჯერ ჩატარდა „თბილისი ფეშენ ვიკი“, შენ არც ერთ მათგანში არ მონაწილეობდი. რა არის ამის მიზეზი?

— ორსულად ვიყავი და სექტემბერში მეორე შვილი შემეძინა. შესაბამისად, ზაფხულში ჩატარებულ მოდის კვირეულში ჩემი მდგომარეობის გამო ვერ ვმონაწილეობდი. ბოლო „ფეშენ ვიკზე“ კი — მშობიარობის გამო. ახალი კოლექციის შექმნა ვერ მოვასწარი. ამის გამო არ ვწუხვარ, რადგან მიმაჩნია, რომ მეორე შვილის გაჩენით ბევრად უფრო კარგი საქმე გავაკეთე...

— კოლექცია ვერ შეკერე, თუმცა, როგორც ჩემთვის ცნობილია, ახალი კოლექციის ესკიზები უკვე მზად გაქვს...

— მართალია. ესკიზები უკვე გამზადებული მაქვს და მათი შეკერვაც დავიწყეთ. გაზაფხულის მოდის კვირეულში აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ჩემი გიორგი საკმაოდ პატარაა, მუშაობის გაგრძელება მაინც მალევე მომიხდა. ახლა უკვე კვლავ აქტიურად ვარ ჩაბმული ჩემს საქმიანობაში და მომავალ „ფეშენ ვიკზე“ მაყურებელს ჩემს ახალ კოლექციასაც წარვუდგენ.

— რომელი სეზონის კოლექციაზე მუშაობ?

— 2011 წლის შემოდგომა-ზამთრის. მასში ძირითადად, ბენჯეულს გამოვიყენებ, რომელიც შარშანაც და შარშანწინაც საკმაოდ მოდური იყო, მაგრამ ამ სეზონზე გაცილებით აქტუალურია. ბენჯს ტანსაცმლის გასაწყობადაც გამოვიყენებ, მისი საშუალებით აქსესუარებსაც შევქმნი, მაგრამ ძირითად აქცენტს მაინც ბენჯის შემოსაცმელებზე გავაკეთებ.

— რომელი ცხოველის ბენჯია წელს მოდაში?

— ყველაზე მოთხოვნადი შავი მელიის ბენჯია. სხვათა შორის, მართლაც ძალიან ლამაზია. ასევე



მოდურია შინშილა, სხვადასხვა ფერის კურდღლის ბენჯი და „ნორკა“, ოღონდ მისგან ისეთ ქურქებს კი არ ვკერავთ, ადრე რომ იყო. სპორტული სტილის „ნორკა“ ძალზე ავანგარდული და ეფექტურია.

— როგორც ჩემთვის ცნობილია, ბენჯის ერთადერთი შემომტანი საქართველოში თქვენ ხართ.

— მართალია. ჩემი სალონი ერთადერთია, რომელიც ბენჯზე სტაბილურად მუშაობს.

— შენს ახალ კოლექციას ალბათ აქსესუარებშიც დასჭირდება, რომლებზეც თავადვე ზრუნავ. რა სახის აქსესუარებს შემოგვთავაზებ ახალ სეზონზე?

— ამის შესახებ დანვრილებით საუბარი არ მსურს. რალაც სიურპრიზად ხომ უნდა მოვიტოვო?

— თქვენი სალონის სახე — მოდელი კრისტი ყიფშიძეა. რატომ გააკეთეთ მასზე არჩევანი?

— საერთოდ, სამოდელო სააგენტო „ნატალისთან“ ვთანამშრომლობ. ყველა ფოტოსესიაზე მათ მოდელებს ვინწევ. ასე მოხდა კრისტის შემთხვევაშიც, რომელიც ძალიან მომეწონა. არაჩვეულებრივად მუშაობს კამერასთან. თავისი საქმე კარგად იცის. ვიზუალურადაც ძალზე ლამაზია, სხეულის ფორმებით სტანდარტებს აკმაყოფილებს და მართლა კარგი ადამიანია. ჩემთვის ადამიანებთან ურთიერთობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია.

— ადრე საკმაოდ სშირად მართავდი ჩვენებას, ბოლო პერიოდში კი ხანგრძლივი პაუზა გამოგივიდა. რა არის ამის მიზეზი?

— ბოლო სამი წელია, ჩვენება არ გამიმართავს, რადგან საჭიროდ არ მივიჩნიე. არ იყო ჩვენს ქვეყანაში ისეთი პირობები, რომ გრანდიოზული სანახაობა მომეწყო. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემს შემო-



ქმედებაში სიახლეები არ ყოფილა. ახალ კოლექციას ყოველ სეზონზე ვქმნი და მერე ამ კოლექციის ფოტოსესიას ვანყობ. გარდა ამისა, ინდივიდუალურ კლიენტებზეც ვმუშაობ და მათ ნაკლებობას ნამდვილად არ ვუჩივი.

— ამაში გეთანხმები, რადგან შენს სალონში მართლაც უამრავი ადამიანი ვნახე, თანაც მათი უმრავლესობა საქორწილო კაბას იკერავდა. საქორწილო კაბის ესკიზს თვითონ ქმნი თუ პატარძალი შენთან რომ მოდის, უკვე ჩამოყალიბებულია და იცის, რა უნდა?

— მართლაც უამრავი პატარძალი მყავს და ძალზე დაკავებული ვარ. კიდევ კარგი, ჩემი საქმე ძალიან მიყვარს და მობილიზებული ვარ, თორემ ყველასთვის კაბის შეკერვას ნამდვილად ვერ მოვახერხებდი. თან დამხმარე კადრიც მყავს. რაც შეეხება საქორწილო კაბის დიზაინს, პატარძლებს მოაქვთ თავიანთი მოდელები, მაგრამ საბოლოო ჯამში ჩემი კორექტივები მაინც შემაქვს. ეს იმაზეა დამოკიდებული, პატარძალს რა უფრო მოუხდება. საბედნიეროდ, კლიენტები ჩემს აზრს ყოველთვის ითვალისწინებენ.

— საქორწილო კაბებს რომელი ქსოვილებით ქმნი?

— წელს ყველაზე მოდური შიფონის ქსოვილებია. გარდა ამისა, აქტუალურია ძვირფასი „გიპოურები“, რომლებიც სვაროვსკის თვლებით არის განწყობილი. საჭიროების შემთხვევაში, ძვირფასი თვლებით ნაჭერს ხელითაც ვქარგავთ და ეს საკმაოდ შრომატევადი საქმეა.

— გარდა კაბისა, პატარძალს გასალამაზებლად კიდევ უამრავი დეტალი სჭირდება...

— აბსოლუტურად ყველაფერზე ჩვენ ვზრუნავთ, გარდა ფეხსაცმლისა. ჩემი ოცნებაა, რომ მალე ჩემს სალონში ფეხსაცმელიც იკერებოდეს, მაგრამ ჯერ ეს ოცნება ვერ ავიხდინე. იმედია, ამ ჩანაფიქრს უახლოეს მომავალში ფრთებს შევასხამ. რაც შეეხება პატარძლის მორთვას, მის მოსაცმელსაც ჩვენ ვკერავთ, აქსესუარებსაც ვუკეთებთ, მის ქისასა თუ ჩანთაზეც ვზრუნავთ. მოკლედ, თუ მისი სურვილია, აბსოლუტურად ყველაფრით უზრუნველყოფთ. მაგალითად, ამ ბოლოს გვქონდა შემთხვევა, ერთ-ერთმა ჩვენმა პატარძალმა გვაჩვენა პიჯაკი და თქვა, რომ ქორწილში ეს პიჯაკი უნდა შემოეცვა. მოვასინჯეთ და აღმოჩნდა, რომ ის აბსოლუტურად არ უხდებოდა მის საქორწილო კაბას. კაბის სილამაზე საერ-

თოდ დაკარგა. ვურჩიე, მე შეგიკერავ შემოსაცმელს, რომელსაც კაბის დეტალებით გავანყობთ-მეთქი. დამთანხმდა და ჩემი ნამუშევრით ძალიან კმაყოფილი დარჩა.

— ამას წინათ, შენს სალონში პატარძალი ვნახე, რომელსაც მთელი მაწირონი თან წამოეყვანა და ყველას შენთან სურდა ტანსაცმლის შეკერვა. ასეთი შემთხვევა ხშირია?

— არცთუ ისე იშვიათად, პატარძალს დედა, მეჯვარე, დედამთილი და სანათესავო მოჰყვება და ყველა მათგანი ჩვენთან იმოსება.

— მეჯვარე როგორ უნდა გამოიყურებოდეს?

— პატარძალს არ უნდა სჯობდეს (იცინის). ისეთი კაბა უნდა შეარჩიოს, რომ თვითონ არ დაემსგავსოს პატარძალს. ამიტომ მეჯვარეებს თეთრ და კრემისფერ კაბებს არ ვურჩევ. შავი ფერის კაბაც არ მომწონს, მაგრამ მათი დაჟინებული მოთხოვნით ხშირად შემიკერავს, თუმცა საბოლოო ჯამში, იმ შავ კაბასაც ისეთი დეტალით გავანყობ ხოლმე, რომ სადღესასწაულო იერი მიიღოს და არა — სამგლოვიარო. ისე, მეჯვარის კაბა პატარძლის კაბასთან შეხამებული უნდა იყოს.

— ალბათ სიძის ჩაცმულობასაც აქვს მნიშვნელობა.

— რასაკვირველია. სიძის პერანგს და პალტოსს, პიჯაკს და შარვალს ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. სხვათა შორის, ამ ბოლო დროს, სიძეებიც ჩვენთან მოდიან და მათ მეუღლის კაბასთან შეხამებით ვუკერავთ ტანსაცმელს.

— პატარძლის კაბასთან დარბაზის და ტორტის დიზაინიც თუ უნდა შევასამოთ?

— რა თქმა უნდა. არაერთხელ ვყოფილვარ ქორწილში. ერთი და იმავე რესტორანში ორ ქორწილში მომიხდა წასვლა და არც ერთხელ არ მომეწონა მისი დიზაინი. საერთოდ არ ეტყობოდა, თუ იქ საქორწილო განწყობილება იყო. მესამედ კიდევ მომიხდა იმ რესტორანში წასვლა და გავოგნდი — თურმე რა კარგი დარბაზი ჰქონიათ. გაფორმებას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ტორტი სპილოსძვლისფერი იყო, იასამნისფერი ყვავილებით განწყობილი. სავარძლები კი სპილოსძვლისფერი შალითებით იყო შეფუთული, რომლებსაც იასამნისფერი ბაფთები ამშვენებდა. ასევე იყო ფარდებიც. მართლაც ულამაზესი იყო. პატარძლისთვის თაიგულსაც მნიშვნელობა აქვს. აუცილებლად უნდა შეუხამონ კაბას. ახლა უფრო მოდური

ატმის ყვავილისფერი თაიგულებია. — თეთრი საქორწილო კაბა მოდაში აღარ არის?



— თეთრს უკვე იშვიათად იკერავენ. უფრო სპილოსძვლისფერი და მისი გარდამავალი ტონებია მოდაში.

— პატარძალი არ ვარ, ამიტომ ახლა ის მასწავლავ, ამ სეზონზე რა უნდა ჩავიცვა, რა არის მოდური?

— პატარძალი არ ხარ, მაგრამ ხომ შეიცლება, ქორწილში მოგიხდეს წასვლა? ამიტომ გირჩევ, რომ უპირატესობა შიფონს მიანიჭო. სალამოს კაბა უნდა იყოს მაქსიმალურად გრძელი, რომელსაც სხვადასხვა დეტალით გავანყობ. მაგალითად, მძივებით. მოდურია ლურჯი და ატმის ყვავილისფერი შიფონი. კოქტეილის კაბები მუხლს ზემოთ სიგრძის უნდა იყოს. რაც შეეხება შარვლებს, მოდაში „ბუტილკა“ და ოდნავ გალიფები რჩება. პიჯაკების სახელოებმა ცვლილებები განიცადა და უცნაური ფორმის გახდა. თანაც, პიჯაკი მოკლე არ უნდა იყოს. მისი სიგრძე თემომდეც შეიძლება რომ ჩავიდეს. მაქმანებითა და გიპიურებით განწყობილი პერანგები კვლავაც აქტუალურია. ასევე, საკმაოდ მოდურია ნაქსოვი ტანსაცმელი: კაბები, ჟაკეტები, შემოსაცმელები. ტანსაცმლის ხელით მოქსოვა საკმაოდ რთული და შრომატევადია, მაგრამ შედეგი ეფექტური გამოდის.

გზაში საკითხავი კოლაქი

ჭკადეურელი ოქუბ ივანიძე

1. ბრონტოლოგია მეცნიერებაა, რომელიც ჭქვა-ჭუნის შესწავლის.
2. ახალ ზელანდიაში გველები არ ბი-ნადრობენ.
3. ერთ სკაში საშუალოდ, 60-დან 120 ათასამდე ფუტკარია.
4. ზოოლოგები ზვიგენებს წყალქვეშა ელიტას ეძახიან.
5. ჩვენს პლანეტაზე მინის ზედაპირის ერთი მესამედი უდაბნოებს უჭირავს.
6. ჩიკაგოს სიმფონიური ორკესტრი ერთ-ერთი საუკეთესოა მთელ მსოფლიოში.
7. ტულაეტის ქალადი 1857 წელს, ნიუ-იორკელმა ჯოზეფ ჰაიეტმა გამოიგონა.
8. ერთი გრამი დინამიტი, აფეთქებისას დაახლოებით ერთ ლიტრ გაზს წარმოქმნის.
9. ხელოვნური განაყოფიერების შედეგად ბავშვი პირველად 1978 წელს, ბრიტანეთში დაიბადა.
10. პენტაგონში 23 ათასი ადამიანი მუშაობს. ეს ყველაზე დიდი ადმინისტრაციული შენობაა მსოფლიოში.
11. ავსტრია პირველი სუვერენული სახელმწიფო იყო, რომელიც პიტლერმა მესამე რაიხის შემადგენლობაში შეიყვანა.
12. ლას-ვეგასის ყველა ნეონის ნათურის მილი რომ გაასწორო და ერთმანეთს გადააბა, დედამიწას ორჯერ შემოერტყება გარშემო.
13. ხმაურიანი გველგესლა ცოცხლადმშობი გველია. იგი რეკორდსმენია, სერხემლიანებს შორის ერთ ჯერზე ნაშობ ნაშიერთა რაოდენობით. მის რეკორდს 153 წინილი შეადგენს.
14. აშშ-ის პრეზიდენტ ბენჯამინ ჰარისონს საშინლად სძულდა ელექტრონული შუქი. თეთრ სახლში მისი ყოფნის დროს ადმინისტრაცია იძულებული იყო, ნათურები გამოერთო და სანთლები აენთო.
15. სეტყვის ყველაზე დიდი გრანულა, რომელიც ოფიციალურად იქნა დაფიქსირებული, კოფევილოში, კანზასის შტატში ჩამოვარდა. იგი 700 გრამს იწონიდა.
16. მუჰამედ ალის ყველაზე მრისხანე მოწინააღმდეგე ჯო ფრეიზერი დღეს ფილადელფიაში ცხოვრობს. ძველ მოკრივეს სპორტული დარბაზის თავზე განლაგებული პატარა ოთახი უკავია.
17. ჩინელები ჩაის ფოთლებს პრესავენ, კვერბად ახმოებენ და წლების განმავლობაში ინახავენ. რაც უფრო ძველია ასეთი კვერი, მით უფრო ძვირი ღირს. ჩაის 15-20 წლის ბრიკეტები ჩინეთში 70-80 დოლარად იყიდება.



უფრო ძველია ასეთი კვერი, მით უფრო ძვირი ღირს. ჩაის 15-20 წლის ბრიკეტები ჩინეთში 70-80 დოლარად იყიდება.

„მორგანის“ სამთვალა მოღელი

ექსკლუზიური სპორტავტომობილის ბრიტანულმა მწარმოებელმა „მორგანმა“ ოფიციალურად წარმოადგინა ახალი მოღელი — სამთვალა ავტომობილი, რომელიც ფირმის მიერ 1909 და 1953 წლებში გამოშვებული, ანალოგიური კონსტრუქციის თანამედროვე ინტერპრეტაციაა. სიახლე „მაზდის“ სიჩქარის გადაცემათა 5-საფეხურიანი, მექანიკური კოლოფით და 100 ცხმ-ის სიმძლავრის, 1800 კუბური სმ-ის ბენზინის ძრავათა ალჭურვილი, რომელიც Harley Davidson-ის მოტოციკლებზე გამოიყენება. 0-დან 96 კმ/სთ სიჩქარეს ავტო 4,5 წამში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 185 კმ/სთ-ია. ორადგილიანი მანქანის საფუძველს მილის კარკასი წარმოადგენს, ხოლო მისი ძარას პანელები ალუმინისგანაა დამზადებული. სამთვალა „მორგანის“ მასა 500 კგ-ია. „ძველი“ სამთვალა „მორგანის“ არსებობის განმავლობაში, 30



ათასი ასეთი ავტომობილი გამოუშვეს. გასულ წლამდე ამ მანქანების წარმოების ლიცენზია ამერიკელ ინჟინერს, პიტ ლარსენს ეკუთვნოდა. ამჟამად ავტომობილზე ყველა უფლება კვლავ მის თავდაპირველ მფლობელ კომპანიას, „მორგანს“ ეკუთვნის. წინასწარი ინფორმაციით, დიდ ბრიტანეთში სიახლეზე ფასები 46 ათასი გირვანქა სტერლინგიდან დაიწყება.



დაკარგულ „აულის“ ტელეფონით მოკახნია

კომპანია „აუდიმ“ ამერიკულ ტიუნინგ-გამოფენაზე, — SEMA, — ტელეფონისთვის, — iPhone, — ახალი დეტალი წარადგინა, რომელიც მის მფლობელს ავტოსადგომზე გაჩერებული საკუთარი მანქანის ძებნაში დაეხმარება. უახლოეს მომავალში ეს პროგრამა ამერიკელი მძღოლებისთვის იქნება ხელმისაწვდომი. ტელეფონისა და ავტომობილის სინქრონიზაცია საბორტო დიაგნოსტიკის საშუალებით ხორციელდება, რომლის დახმარებითაც სერვისცენტრებში მანქანების გამართულობას ამოწმებენ. ეს პროგრამა ტელეფონს მანქანაში ჩამონტაჟებული GPS-ნავიგატორის მეშვეობით მისი ადგილმდებარეობის დადგენის შესაძლებლობას აძლევს. მანქანის მოძრაობისას პროგრამა ტელეფონს ჰაერში ნახშირორჟანგის გამონაბოლქვის დონისა და ძრავას მუშაობის შესახებ ცნობებს აწვდის; მათ შორის იმას, თუ როგორ იცვლება მოტორის ბრუნვის სიხშირე. ადრე „აიფონის“ ტელეფონებისთვის თავიანთი პროგრამების შესახებ BMW-მ და „ჯენერალ მოტორსმა“ გააკეთეს ანონსი. მათ მიერ წარმოებული პროგრამები მძღოლებს თავიანთი ავტომობილების მდებარეობაზე, ასევე მოძრაობისას ხარვეზებზე ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას აძლევს.





3 თვალზე „პიაგიოს“ გაივლის

„ვესპას“ სახელით ცნობილი სკუტერების მწარმოებელი იტალიური კომპანია „პიაგიო“ უახლოესი 3 წლის განმავლობაში პატარა სამთვალა, მცირედიტრაჟიანი ავტომობილის წარმოებას აპირებს. ამის შესახებ კომპანიის ხელმძღვანელმა, რობერტო კოლანინომ მილანის მოტოსალონზე მანქანის პროტოტიპის პრეზენტაციისას განაცხადა. კონცეპტუალური ავტომობილი, რომლის სამუშაო სახელწოდებაც NT3-ა, მძღოლსა და უკან მჯდომ 2 მგზავრზეა გათვლილი. წინასწარი ინფორმაციით, მანქანის სერიული ვერსია სამ ვარიანტად გამოვა — ბენზინის, ჰიბრიდული და ელექტროაძვრისა. ბენზინის მოდიფიკაციას 200-დან 300 კუბურ სმ-მდე მოცულობის მოტორით აღჭურვავენ. მანქანის მაქსიმალური სიჩქარე 60 კმ/სთ-ია. კომპანია „პიაგიოს“ ჯერ არ გადაუწყვეტია, თუ რომელი ბაზრებისთვის გამოვა სერიული ავტომობილები. თუმცა, ცნობილია, რომ ავტომობილი ევროპისა და აზიის მსხვილი ქალაქების, კერძოდ, ინდოელ მყიდველებზე იქნება გათვლილი. როგორც მოსალოდნელია, მისი წარმოება ინდოეთსა და ვიეტნამში მდებარე „პიაგიოს“ ქარხნებში განხორციელდება. ავტომობილის საორიენტაციო ფასი ამ ეტაპზე უცნობია. მანქანათმშენებელი „პიაგიო“ მოტოციკლების, სკუტერებისა და მცირე ზომის ავტომობილების წარმოებითა დაკავებული. ყველაზე ცნობილი ბრენდი, რომელიც კომპანიის შემადგენლობაში შედის, — Vespa, — 1946 წლიდან არსებობს და ამავე სახელწოდების სკუტერებს უშვებს.



კომპაქტური ჰერბეკი „რენოსაგან“



მანქანების გარჩევა ნისლის სანინალმდეგო ფარებს შორის და უკანა ხედვის სარკეების კორპუსებზე თეთრი ფერით, ახალი უკანა სპოილერით, აგრეთვე 15-დუიმიანი ბორბლების დისკებითაა შესაძლებელი. სიახლის სალონში განსხვავებული ცისფერი და შავი ფერის ტყავგადაკრული, სპორტული სავარძლები, კარის პანელების განსხვავებული გაფორმება და ცენტრალური კონსოლი, სხვა ტაჰომეტრი და სატერფულზე ალუმინის ფირფიტები იქნება თვალში საცემი. „გორდონის“ მოდიფიკაციის პეჩბეკი Renault Twingo ხელმისაწვდომია 100 ცხძ-ის სიმძლავრის, 1,2-ლიტრიანი ბენზინის ძრავათი და 85 ცხძ-იანი, 1,5 ლ მოცულობის დიზელით. Renaultsport-ის ვერსია 133 ცხძ-ის, 1,6-ლიტრიანი მოტორით აღიჭურვება. „რენოში“ „გორდონის“ ხაზის ავტომობილებზე ასეთ დიდ მოთხოვნას არ მოელოდნენ. Twingo RS-ის დაახლოებით 2/3 და Clio RS-ის 1/3 სწორედ ამ ვერსიით გაიყიდება. საფრანგეთში Twingo Gordini-ს ფასი 14,8 ათასი ევროდან დაიწყება.

კომპანია „რენომ“ ავტომობილების, — Gordini, — ხაზს კომპაქტური ჰერბეკის, — Twingo, — ახალი მოდიფიკაცია დაამატა, რომლის ინდექსიცაა GT. ასეთი მანქანა სამოდელო ხაზში ყველა სტანდარტული ვერსიის სათავეში, მაგრამ ერთი საფეხურით Renaultsport Twingo Gordini-ს ქვევით იქნება, რომელიც ევროპული კლიენტებისთვის გასული წლიდანაა ხელმისაწვდომი. „გორდონის“ ვერსიები სტანდარტული ავტომობილებისგან ძარას განსაკუთრებული ფერებით გამოირჩევა. ესაა საფირმო ცისფერი, თეთრი, „სარბოლო“ ხაზებით (აგრეთვე შავი ან თეთრი ფერიც ხელმისაწვდომია). ამ

გზაში საკითხავი კოლაქი

ქეპტერელი თქუპ ივანიძე

18. სანდრო ჟორჟოლიანი 1968 წელს, 81 წლის ასაკში გარდაიცვალა. კომედიური ჟანრის მსახიობმა სიკვდილის წინ დაიბარა, პანაშვიდებზე სახეზე სუდარა გადამაფარეთ, სამძიმარზე მოსულთაგან ვინმეს უნებურად სიცილი რომ არ წასკდესო.

19. კოლინეუმში მხეცებისა და გლადატორების ბრძოლას, სანახაობითი მხარის გარდა, პროპაგანდული დატვირთვაც ჰქონდა. მაყურებელს არენაზე მტაცებლებთან ერთად უამრავი ეგზოტიკური ცხოველის, მათ შორის ბეჭემოთების, ნიანგებისა და სირაქლეების ნახვაც კი შეეძლო. იმპერიის ყველა კუთხიდან ჩამოყვანილ ეგზოტიკურ ცხოველთა მრავალფეროვნება კი ხაზს უსვამდა რომის ძლიერებას და ქვეყნის საზღვრების უკიდვანობაზე მიუთითებდა.

20. ერნესტო ჩე გეგარა არგენტინაში, 1928 წლის 14 მაისს დაიბადა, თუმცა ამ დღეს მას არასდროს უზენიან საკუთარი დაბადების დღე, რადგან მის დაბადების მონუმბაში მამამისმა სულ სხვა თარიღი ჩაანერინა. ამ გზით იგი მეუღლის ქორწინებამდე ფეხმძიმობის დამალვას ცდილობდა.

21. 1935 წელს მოპოვებული გრანპრი ილიკო სუხიშვილს ინგლისის დედოფალმა გადასცა. ქართველმა მოცეკვავემ არად ჩააგდო საბჭოთა მოქალაქისათვის სავალდებულო ეტიკეტი და ელისაბედ II-ს ხელზე ემთხვია.

22. როცა საბჭოთა კავშირმა კოსმოსში ლაიკა გაუშვა, ამერიკელმა ქალებმა რუსებს ნერილი გამოუგზავნეს, რომელშიც ცხოველებისადმი სასტიკ მოპყრობას აპროტესტებდნენ და სთავაზობდნენ: თუ მაინცდამაინც ცოცხალ არსებებზე გჭირდებათ ცდების ჩატარება, ჩვენს ქალაქში უამრავი ზანგი გვყავსო.

23. მხატვარი ავთო ვარაზი თავის ძმისშვილს ეწეზებოდა, ჩემთან სტუმრად მოსვლისას ნატურმორტისთვის მომზადებულ ხილს ნუ მიჭამო. ერთხელ დასცინა კიდევ, შენ რომ პეროვის ძმისშვილი ყოფილიყავი, მის ტილოს „გოგონა ატმებით“ კი არა, „გოგონა ატმის კურკებით“ ერქმეოდაო.

24. მიტროფანე ლალიძეს 1906 წელს მხოლოდ იმის გამო უკრეს ჟანდარმერიაში თავი, რომ საკუთარი მალაზიის თავზე ჯერ ქართული წარწერა გააკეთებინა და შემდეგ რუსული. მიტროფანე ილია ჭავჭავაძემ ხსნა. მწერლის თაოსნობით უამრავი ხელმწიფე აგროვდა ქართველი მეცნიერისა და მენარმის გათავისუფლების მოთხოვნით, რის შემდეგაც ლალიძე გაათავისუფლეს.





მიტროპოლიტ ნაზარის მოწამებრივი აღსასრული

მიხეილ ლაბაძე

1922 წლის 7 თებერვალს, საქართველოს იმჟამინდელმა კათოლიკოს-პატრიარქმა, წმ. ამბროსი აღმსარებელმა იტალიის ქ. გენუაში მიმდინარე მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციას თავისი ცნობილი მიმართვა გაუგზავნა, რომელშიც საქართველოს ბოლშევიკურ ოკუპაციას გმობდა და მსოფლიო საზოგადოებრიობასაც მოუწოდებდა, ოკუპაციის აღსაკვეთად, საბჭოთა რუსეთზე დიპლომატიური ზეწოლა მოეხდინა. სხვათა შორის, მაშინ ბოლშევიკურ ხელისუფლებას მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა ჯერ კიდევ არ ცნობდა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამ ნაბიჯმა კრემლის მესვეურები უკიდურესად გააცოვია.

თავად რუსეთში იმ დროს მართლმადიდებლური ეკლესია ძალზე დასუსტებული იყო. მიუხედავად იმისა, რომ 1917 წლის 21 ნოემბერს (4 დეკემბერს) პეტრე I-ის მიერ გაუქმებული საპატრიარქო მმართველობა აღდგა და ახალ პატრიარქად ვილნოს (ამჟამინდელი ვილნიუსის) მიტროპოლიტი, ტიხონი აირჩიეს, მღვდელმთავრებმა მაშინ არსებული ვითარების გამო, ეკლესიის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრა ვერ მოახერხეს. ამას თან დაერთო ისიც, რომ ხელისუფლებაში მოსულმა ბოლშე-

„ობნოვლენცების“ მოძრაობა გაძლიერდა, რაც ცხადია, პატრიარქ ტიხონის გავლენის შესასუსტებლად და მორწმუნეთა დასასუსტებლად იყო გამიზნული. სხვათა შორის, „ობნოვლენცების“ ერთ-ერთი ლიდერი დეკანოზი (შემდგომში მიტროპოლიტი) ალექსანდრე (ბოიარსკი) — ცნობილი რუსი მსახიობისა და მომღერლის, მიხაილ ბოიარსკის ბაბუა იყო.

1922 წლის დასაწყისში, როცა ბოლშევიკებმა პატრიარქი ტიხონი და მისი მომხრე სასულიერო პირები დააპატიმრეს, „ობნოვლენცებმა“ თითქმის მთელი ეკლესია ხელთ იგდეს; მათი მეშვეობით კი კრემლის მესვეურები მთელსაეკლესიო ქონებას უკვე „ლეგიტიმურად“ დაუპატრონდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლშევიკებმა ამგვარი მანიპულაციები საქართველოში ვეღარ განახორციელეს, რადგანაც ჩვენს ეკლესიაში განხეთქილების მოხდენა შეუძლებელი აღმოჩნდა. ამიტომ სხვა გზას მიმართეს და ეკლესიას აშკარად დაუპირისპირდნენ; წმ. ამბროსი აღმსარებლის მიმართვის გარდა, დაპირისპირების საბაბად მათ კიდევ ერთი ფაქტი გამოიყენეს: 1921 წლის თებერვალში, როდესაც ბოლშევიკებთან რომ მიმდინარეობდა, ქუთათელმა მიტროპოლიტმა ნაზარმა სიონიდან და სვეტიცხოვლიდან მთელი საეკლესიო განძეულობა ქუთაისში გადაიტანა და ბაგრატიის ტაძრის ეზოში, საკუთარი რეზიდენციის ახლოს ჩამარხა. 1922 წლის თებერვალში, წმ. ამბროსი აღმსარებლის მიერ გენუის კონფერენციაზე მიმართვის გაგზავნის შემდგომ, „ჩვენამ“ საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ კომპრომატების შეგროვება დაიწყო; სწორედ მაშინ მიტროპოლიტი ნაზარი ვილაცამ დაასმინა, რის შედეგადაც ის დააპატიმრეს, დახვრეტაც მიუხაჯეს, თუმცა განაჩენი მალე შეცვალეს.

1924 წლის აპრილში მიტროპოლიტი ნაზარი და რამდენიმე სხვა სასულიერო პირი ამნისტიით გაათავისუფლეს, მაგრამ მეუფეს რეზიდენციაში დაბრუნების ნება არ მისცეს. იმხანად ეკლესიის წინააღმდეგ უკვე აშკარა ბრძოლა მიმდინარეობდა. არსებობდა ე.წ. „საბჭოთა კავშირის მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“ და მისი აქტივისტები მთავრობის დავალებით, ფიზიკურად უსწორდებოდნენ სასულიერო პირებს; ხურავდნენ ან საერთოდ ანგრევდნენ ტაძრებს და უბრალო მოსახლეობაში მწვავე ანტირელიგიურ აგიტაციასაც ეწეოდნენ. ისინი საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე თავიანთ ჟურნალს — „მებრძოლი უღმერთო“ — გამოსცემდნენ, რომელიც სავესტო იყო ამგვარი ლოზუნგებით: „წითელ ინტელიგენტს ღმერთი არაფერში არგია“, „რელიგია ხალხისთვის ოპიუმი“, „ეკლესია კონტრრევოლუციონერთა ბუდეა“ და ა.შ. იქვე ქვეყნდებოდა სტატიები იმის შესახებ, თუ როგორ



წმინდა მღვდელმოწამე, მიტროპოლიტი ნაზარი

ანარმობდნენ „მებრძოლი უღმერთობი“ ანტირელიგიურ აგიტაციასა და პროპაგანდას საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკაში.

ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი (ერისკაცობაში — იოსებ ლეჟავა) იმთავითვე ცნობილი იყო, როგორც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მგზნებარე მომხრე და ბოლშევიზმთან შეურთიგებელი მებრძოლი. დაიბადა იმერეთში, სოფელ დიდჯიხაში; დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი და თბილისის სასულიერო სემინარია, 1893 წელს მღვდლად ეურთხა, 1904 წელს კი ბერად აღიკვეცა. 1911 წელს ქუთათელ მიტროპოლიტად დადგინდა. მეუფე ნაზარს იოსებ სტალინი პირადადაც კი იცნობდა და დაუზუსტებელი ცნობებით, დახვრეტის განაჩენი ამიტომაც შეუცვალა, შემდეგ კი ამნისტირებულთა შორის მოაყოლა. სტალინმა ისიც კარგად იცოდა, რომ საქართველოში არსებულ სიტუაციას მეუფე ვერაფრით შეეგუებოდა და მთავრობას გუნდრუქს არ უკმევდა. ამიტომაც, ციხიდან გაათავისუფლებულ მიტროპოლიტს დიდმა დიქტატორმა სამუდამო მეთვალყურეობა დაუწესა. ამავედროულად, საქართველოში მოქმედმა „მებრძოლმა უღმერთობამ“ მიიღეს საგანგებო დავალება — მიტროპოლიტ ნაზარისათვის ქუთაისის ეპარქიის არც ერთ ტაძარში წირვალოცვის გამართვისა და ქადაგების საშუალება არ უნდა მიეცათ.

აქედან გამომდინარე, საპატიმროდან გაათავისუფლების შემდგომ, მეუფე ნაზარი ღვთისმსახურების აღვლენას თითქმის ვეღარ ახერხებდა. ყოველთვის, როცა ამა თუ იმ ტაძარში მიზრძანებას დააპირებდა, „მებრძოლ უღმერთოთა“

„მებრძოლი უღმერთობი“ ქუთაისის ერთ-ერთ ტაძარს ჯვარს ხსნიან; 1924 წელი



ვიკებმა მათ მიმართ იმთავითვე უკიდურესად მტრული პოზიცია დაიკავეს; საპასუხოდ კი, 1918 წლის 19 იანვარს, პატრიარქმა ტიხონმა ბოლშევიზმის ყველა მიმდევარი ზიარებიდან განაყენა და ანათემას გადასცა. უკვე 20-იანი წლების დასაწყისში, ლენინის პირადი კონტროლით, რუსეთის ეკლესიაში ე.წ.



ბრბო გზას უკეთავდა და ყვირილითა და ლანძღვა-გინებით მის დამინებას ცდილობდა. ბევრჯერ ფიზიკური შეურაცხყოფაც კი მიაყენეს, მაგრამ მიტროპოლიტი არ დრკებოდა, კვლავ სიდინჯეს ინარჩუნებდა და თავდამსხმელთა სულენისთვის ლოცულობდა. უბრალო მორწმუნეთა აქტიური მხარდაჭერის წყალობით, ქუთაისის ეპარქიის ტაძრებში წირვა-ლოცვას მაინც ალაველენდა და მრევლს სულიერი სიმტკიცის მაგალითს უჩვენებდა. საინტერესოა, რომ მეუფე ნაზარის ძალისხმევით, დედაეკლესიას რამდენიმე „მებრძოლი უღმერთოც“ კი დაუბრუნდა. „მიტროპოლიტი ნაზარი მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და მისი წაქეზებით, ხალხი უარს აცხადებს ხელისუფლებისადმი მორჩილებაზე. თვით ზოგი კომკავშირელიც კი უკვე მაგას უჯერებს“ — წერდნენ „ჩეკას“ ინფორმატორები.

1924 წლის ზაფხულში, როცა საქართველოში ეროვნული აჯანყებისთვის მზადება მიმდინარეობდა, „ჩეკამ“ მიტროპოლიტი ნაზარის მეთვალყურეობა გააძლიერა. მეუფეს „ჩეკისტები“ უკვე აშკარადაც კი დაჰყვებოდნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ, რომ თავისუფალი გადაადგილების საშუალება არ მიეცათ. ხშირად, „შემომების“ მიზნით, მიტროპოლიტს ოთახშიც უცვივებდნენ. მას შემდეგ, რაც რეზიდენციაში შესვლა აუკრძალეს, მეუფე ნაზარი თავს ძმასთან აფარებდა. „ჩეკისტები“ ამ უკანასკნელის დაშინებასაც ცდილობდნენ, რათა მას მიტროპოლიტისათვის თავმესაფრის მიცემაზე უარი ეთქვა. ბოლოს, საქმე იქამდეც მივიდა, რომ ძმის ოჯახის გადასარჩენად, მეუფე ნაზარმა ღამეების გათევა მრევლის წევრებთან დაიწყო. ამასთანავე, ერთსა და იმავე ოჯახს ორჯერ არასოდეს სტუმრობდა, რათა მასპინძლები ხიფათში არ ჩაეგდო. ასეთ ყოფას ჩვეული არ იყო, მაგრამ ყველაფერს უდიდესი მოთმინებით იტანდა.

1924 წლის ივლისის ბოლოს, მიტროპოლიტ ნაზარს აშუამინდელი ზესტაფონის რ-ნის სოფელ როდინოულიდან ადგილობრივი საეკლესიო საბჭოს წარმომადგენელი ეახლა და სთხოვა, რომ უახლოეს დღეებში სოფელში მდგარი აჯამეთის მაცხოვრის ეკლესია ეკურთხებინა. აღსანიშნავია, რომ ეს ეკლესია ბოლშევიკებმა ჯერ კიდევ 1921 წელს თეატრად გადააკეთეს, მაგრამ როდინოულელ მორწმუნეთა ძალისხმევით, ორი წლის შემდეგ, მთავრობა როგორც იყო დათანხმდა იმაზე, რომ ეკლესია ძველი სახით აღდგენილიყო და იქ წირვა-ლოცვა განახლებულიყო. ამის შემდეგ როდინოულის თემის საეკლესიო საბჭოც შეიქმნა, რომელმაც სარემონტო სამუშაოების ჩატარება ითავა და როგორც კი რემონტი დასრულდა,

ცხადია, კურთხევაც საჭირო გახდა.

მიტროპოლიტმა ნაზარმა როდინოულის საეკლესიო საბჭოს წარმომადგენელთან რამდენიმე საათის განმავლობაში ისაუბრა, კარგად გამოჰკითხა მას რემონტთან და სხვა ამგვარ საკითხებთან დაკავშირებული ამბები და აღუთქვა, რომ როდინოულში 1924 წლის 2 აგვისტოს, შაბათს ჩამოვიდოდა; ეკლესიას იმ დღესვე აკურთხებდა, ხოლო მეორე დღეს — კვირას — წირვასაც დააყენებდა. როდინოულიდან ჩამოსული სტუმარი მეუფემ მოსალაშობებულზე თავადვე გააცილა. რამდენიმე დღეში — 30 ივლისს, მას კვლავ ეწვია სტუმარი — როდინოულის ეკლესიის მღვდელი, მამა დომენტი (გიორგაძე). მიტროპოლიტმა ის ქუთაისის საკათედრო კრებულის წინამძღვართან, დეკანოზ ბასილ დოლაბერიძესთან გაგზავნა და დააბარა, რომ ამ უკანასკნელისთვის გადაეცა — 1-ელი აგვისტოსთვის, „მასალით და ბარგიით“ მზად იყავი როდინოულში წამოსასვლელად, სხვა ხუცეებს კი ყველაფერი დღესვე აცნობე, რათა 2 აგვისტოს დილით, ადრინადაც გაემგზავროთ.

დეკანოზმა ბასილ დოლაბერიძემ მიტროპოლიტ ნაზარის დანაბარები 31 ივლისს დეკანოზ გერმანე ჯაჯანიძესა და მთავარდიაკონ სვანიძეს გადასცა, 1-ელ აგვისტოს კი დეკანოზ ირათეოზ ნიკოლაძეს და პროტოდიაკონ ბესარიონ კუხიანიძეს. გააფრთხილა სხვა მღვდლებიც; მეორე დღეს — 1924 წლის 2 აგვისტოს, დილის 10 საათზე, ყველამ ქუთაისის სადგურში მოიყარა თავი. მიტროპოლიტს თან ახლდნენ ძმისშვილებიც — არჩილი და ნიკოლოზი. მგალობლად მონაწილე მღვდელ ლავრენტი კაპანაძეს თავისი ათივე შვილი წამო-

ყევანა. სასულიერო პირებს შეუერთდნენ საერონიც.

მიტროპოლიტ ნაზარს და მის მსლებლებს მატარებელში ჩასხდომისთანავე გარს შემოერთყნენ შეიარაღებული „ჩეკისტები“, რომლებიც ე.წ. „მანდატების“ წარმოდგენას ითხოვდნენ. „მანდატი“ ანუ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა მხოლოდ მეუფე ნაზარს აღმოაჩნდა. „ჩეკისტებმა“ მას უბრძანეს, წასულიყო, დანარჩენები კი დააკავეს. ცხადია, მიტროპოლიტმა მსლებლები გასაჭირში არ მიატოვა და „ჩეკისტებს“ აცნობა, რომ მათი უფროსობა ადრევე ჰყავდა გაფრთხილებული: „ჩვენ სოფელ როდინოულში მივიდივართ, გულში ცუდი არა გვიძევს რა, ტაძარი უნდა ვაკურთხოთ!“ — ეუბნებოდა მიტროპოლიტი „ჩეკისტებს“ და სთხოვდა, დაკავებულები გაეშვათ. ბოლოს, მეუფის დაჟინებული მოთხოვნით, ისინი უფროსობას დაუკავშირდნენ. გაარკვიეს ყველაფერი და ყველა დაკავებული გაუშვეს.

სალამოს ხუთ საათზე მიტროპოლიტი და სასულიერო პირთა კრებული სადგურ სვირში ჩამოვიდნენ, სადაც მათ ცხენებითა და ორი ურმით დახვდნენ ადგილობრივი მღვდელი, მამა პოლიექსტოს ვარდოსანიძე, როდინოულის საეკლესიო საბჭოს წევრი გრიგოლ ჩუბინიძე და მედავითენ გიორგი საცერაძე. მეუფე სვირში აღარ შეჩერებულა, რადგან გვიანი იყო და ყველანი საჩქაროდ როდინოულში წავიდნენ. ერთ საათში უკვე ადგილზე იყვნენ. მიტროპოლიტმა ეკლესია აკურთხა, ერთ-ერთი როდინოულელის სახლში მოისვენა და მორწმუნეებს სალამოს ლოცვაზე უხმო.

აღსანიშნავია, რომ მეუფემ ლოცვაზე საგანგებოდ მოიწვია სვირის წმ. გიორ-



მიტროპოლიტი ნაზარი (მარცხნივ) და კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი, მონაზვნებსა და მრევლთან ერთად



გის ეკლესიის ყოფილი მღვდელი, საბჭოთა ხელისუფლების მიერ „არასაიმედო ელემენტად“ შერაცხილი მამა სვიმონ მჭედლიძე, რომელიც 1908-1916 წლებში მართლმადიდებლურ გაზეთ „შინაური საქმეების“ გამომცემელ-რედაქტორი და ასევე, დასავლეთის ეპარ-



„მებრძოლ უღმერთო“ პროპაგანდისტული პლაკატი

ქიის სასულიერო სასწავლებლების ზედამხედველი იყო. იმხანად კი მამა სვიმონი სვირში, საკუთარ სახლში, შინაპატიმრობაში იმყოფებოდა და ყველა სამოქალაქო უფლებაც ჩამორთმეული ჰქონდა, თუმცა ღვთისმსახურებას მალულად მაინც აღასრულებდა.

ეკლესიის კურთხევაზე მოსულ საერო პირთა შორის, მორწმუნეთა გარდა, რალა თქმა უნდა, „ჩეკას“ აგენტებიც ბევრი იყვნენ; ერთ-ერთმა მათგანმა, მღვდელ სვიმონ მჭედლიძის დანახვისთანავე, „ჩეკაში“ წერილი აფრინა (სტილი დაცულია): „დღესე აქა, როდინოულის თემში ჩამევიდა მღვდლები, ასთენენ კრებებს ამელამ და მიაქცივეთ სასტრაფოთ ყურადღება. მეთვალყურე“. წერილს რეზოლუცია დაადო სოფ. სვირის მილიციის განყოფილების უფროსმა, ვინმე ბარნაბა მალლაკელიძემ და რაიალმასკომის თავმჯდომარეს, ვინმე ჯულელს გადაუგზავნა. ამ უკანასკნელმა იგივე მალლაკელიძეს დაავალა, სასწრაფოდვე მიეღო ზომები და როდინოულში მყოფი ყველა სასულიერო პირი იმ დამეხვე „ფაქტზე აეყვანა“.

მილიციის უფროსმა, ბარნაბა მალლაკელიძემ ინფორმატორებისგან დაადგინა, რომ ლოცვის დამთავრების შემდგომ მიტროპოლიტი ნაზარი და მისი ყველა მსუბუქი ეკლესიასთან ახლოს მცხოვრები მათე ჩუბინიძის სახლში უნდა გაჩერებულიყვნენ და როგორც წესი, ღვთისმსახურებას მეორე დღეს ადრე

განაგრძობდნენ. მართლაც, ცხრა საათისთვის ლოცვა დასრულდა და სასულიერო პირთა კრებულმა მათე ჩუბინიძის ოჯახს მიაშურა. მხოლოდ სვირელი მღვდელი, მამა პოლიევქტოს ვარდოსანიძე წავიდა ღამის გასათევად ცოლოურებში, რომლებიც როდინოულშივე ცხოვრობდნენ.

მიტროპოლიტმა ნაზარმა და მეორე დღით მწირველმა მღვდლებმა — მამა გერმანე ჯაჯანიძემ, მამა სვიმონ მჭედლიძემ და მამა დომენტი გიორგაძემ ზიარების ლოცვები წავიკითხეს და მხოლოდ თორმეტი საათისთვის დანვინ დასაძინებლად. „ჩეკისტებს“ ამ დროს ჩუბინიძის სახლისთვის უკვე ალყა ჰქონდათ შემორტყმული და ელოდნენ, როდის დაიძინებდა ყველა. საბოლოოდ, ღამის პირველის ნახევარზე, სვირის მილიციის განყოფილების უფროსი, ბარნაბა მალლაკელიძე და თემსაბჭოს თავმჯდომარე, ვინმე ს. ხაჭაპურიძე, რამდენიმე „ჩეკისტთან“ ერთად სახლში შეიჭრნენ, მძინარე მოძღვრებს თავს დაადგნენ და მაუზერები დაუმირნეს: „გამეიყვანეთ, ბიჭო, ღვდლების უფროსი!“ — აგდებულად უთქვამს მამა გერმანესათვის მალლაკელიძეს. „მანდატები გვიჩვენეთ, მართლაც მილიციიდან ხართ?“ — მოუთხოვია მამა გერმანეს; ამაზე კი ს. ხაჭაპურიძეს დაუყვირია: „მანდატები ჩვენ თვითონ ვართ, ბრძანება შეასრულეთ!“

საბოლოოდ, მძინარე მიტროპოლიტ ნაზართან პროტოდიაკონი კუხიანიძე შევიდა: „შევედი და მოვასხენე, რომ მთავრობის კაცები უნდა იყვნენ, თხოულობენ ნაყოლას და მანდატს კი არ გვაჩვენებენ-მეთქი... ამ დროს ორი თოფანი კაცი შემოვარდა ოთახში, მისცა წინადადება, რომ ახლავე ჩაიცივი და წამოდიო. ნაზარმა უთხრა, სანამ მანდატებს არ გვაჩვენებთ, არსადაც არ წამოვალო... სტაცეს ხელი და ძალათი, ასე პერანგისამარა გამოაგდენ ზალაში...“ — ასე განუცხადა მოგვიანებით პროტოდიაკონმა დაკითხვაზე გამოძიებელს. „ჩეკისტებმა“ მიტროპოლიტიც და მოძღვრებიც სახლიდან გამოიყვანეს. გარეთ მათ როდინოულელი მორწმუნეების მრავალრიცხოვანი ჯგუფი დახვდა, რომელიც მიტროპოლიტის დაპატიმრებას აპროტესტებდა და „ჩეკისტებს“ სთხოვდა, სასულიერო პირებისთვის თავი დაენებებინათ: „მოიცადეთ დილაძე და თუ რამე გასარკვევი გაქვთ, მერე გაარკვეით!“ — ეუბნებოდნენ ბარნაბა მალლაკელიძეს.

სვირის მილიციის განყოფილების უფროსს ალექსებულ მორწმუნეთა რისხვის შეეშინდა; მიტროპოლიტი ნაზარი ჩუბინიძის სახლში დატოვა და ყარაულიც დაუყენა, სხვები — დეკანოზები: გერმანე ჯაჯანიძე, ბასილ დოლაბერიძე, ირათეოზ ნიკოლაძე, მღვდლები: სვიმონ ჯაჯანიძე, დომენტი გიორგაძე; დიაკვნები: ბესარიონ კუხიანიძე და ისიდორე სვანიძე — სასწრაფოდ სვირში

წაიყვანა, თან მკაცრად გააფრთხილა: ვინც გაქცევას დააპირებს, დაუნებლად დაეხვრეტო. ამ ფაქტის შემსწრეთა გადმოცემით, დაპატიმრებულებს განსაკუთრებით სასტიკად თემსაბჭოს თავმჯდომარე, 28 წლის ს. ხაჭაპურიძე ექცეოდა — ხელში მაუზერი ეჭირა და დროდადრო, მოძღვრებს ფეხებში ესროდა.

საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ დეკანოზ გერმანე ჯაჯანიძეს დაპატიმრებისთანავე ბორკილების დადება მოუთხოვია, რაზედაც ბარნაბა მალლაკელიძეს მიუგია, საბჭოთა პატიმარს ბორკილებს არ ვადებთო. „მამონ, ბანარი ხომ გაქვთ, გადაგვებით და ისე წაგვიყვანეთ!“ — დაჟინებით ითხოვდა მამა გერმანე. საქმე ის იყო, რომ იმხანად „ჩეკა“ საშიშ პატიმრებს გაქცევის საშუალებას სპეციალურად აძლევდა, რათა შემდეგ მათი ლიკვიდირება მოეხდინათ და თავი ემართლებინათ — გაქცევის დროს შემოგვაკვდაო; ამიტომაც „ჩეკისტებს“ სიცილიც კი აუტყვავთ: მღვდელს სიკვდილის ეშინიაო; არადა, გერმანე ჯაჯანიძე ქრისტეს მონაშემრივ გზას ჰბაძავდა. ბოლოს, მოძღვრები სვირში ჩაიყვანეს და დილეგში ჩამწყვდნენ. სულ რაღაც ნახევარ საათში მათთან სასტიკად ნანაშები მეუფე ნაზარიც მიიყვანეს.

„მიტროპოლიტი გამოვიყვანეთ სახლიდან ტიტველი და დაგვით ურემზე... ისე არ გაჩერდა და იძულებული გავხდით, დაგვება. რომ მოვდიოდით, ყვიროდა: მე მანამებენ ურჯულოები ქრისტეს სიყვარულისთვისო... გამოვიარეთ ცხადაძის სახლში, მღვდელი ვარდოსანიძე გამოვიყვანეთ და დავაბით ისიც ურემზე“, — ამგვარად წერია ჩვენებაში, რომელიც მოგვიანებით ბარნაბა მალლაკელიძემ სასამართლოს მისცა. მიტროპოლიტი და მოძღვრები იმავე საღამოს ქუთაისში გადაიყვანეს და ოფიციალურად წაუყენეს მძიმე ბრალდება — საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად შეთქმულების მომზადება. ბრალდებულების თქმით, ეკლესიის კურთხევა მხოლოდ საბაბი იყო არალეგალური კრების მოსაწყობად, რომელზეც საბჭოთა ხელისუფლების დამხობის საკითხი უნდა განეხილათ.

1924 წლის 1-ელ სექტემბერს, გარიჟრაჟზე, „სამეულის“ მიერ გამოტანილი განაჩენის თანახმად, საფიჩხიაზე, ებრაელთა სასაფლაოს ბოლოში, მიტროპოლიტი ნაზარი და ოთხი მოძღვარი: დეკანოზები გერმანე ჯაჯანიძე და ირათეოზ ნიკოლაძე, მღვდელი სვიმონ მჭედლიძე და პროტოდიაკონი ბესარიონ კუხიანიძე დახვრიტეს. დანარჩენები კი ციმბირში გადაასახლეს...

P.S. 1995 წლის 18 სექტემბერს, ბოლშევიკთა მიერ დახვრეტილი მიტროპოლიტი ნაზარი და მოძღვრები საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა წმიდა მღვდელმონაშეთა სახელით, წმინდანებად შერაცხა.



ტობაჰს შორის გამოჩინებული ღვთისმშობლის ხატი, ქვაზე დატოვებული ფეხის ანაბეჭდი და უსჯულოს მიერ აღიარებული მარცხი

განვაგრძობთ თხრობას ღვთისმშობლის სასწაულოქმადი ხატებისა და მათ მიერ აღსრულებული სასწაულების შესახებ

შორანა მერკვილიაძე

აქსაის ღვთისმშობლის ხატი

აქსაის ღვთისმშობლის ხატის გამოჩინების შესახებ მოთხრობილი აქვს წმინდა ნიკოლოზ სერბს თავის წერილებში: 1830 წელს დონზე, ქალაქ აქსაიში ქოლერა მძევნარებდა. შიშმა და ძრწოლამ მოიცვა ქალაქი. ერთ-ერთ ღარიბ ქალბატონს სიზმრად ღვთისმშობელი გამოეცხადა და უთხრა: ქალაქგარეთ, ნაგავსაყრელში ხატია ჩამარხული, გადაეცი იქაურებს, მინა გათხარონ, ხატი ამოიღონ და ქოლერაც შეწყდებაო. ქალი გაღვიძებისთანავე მღვდელთან მივიდა და ჩვენების შესახებ აუწყა, მაგრამ მას ყურადღება არ მიუქცევია. ქალბატონს კვლავ გამოეცხადა ღვთისმშობელი და იგივე აუწყა. მაშინ მოძღვარმა ხალხი იხმო და ქალის ნაამბობისამებრ მოიქცა. ნაგავსაყრელის გათხრის შემდეგ მართლაც იპოვეს ღვთისმშობლის ხატი. სინწინდე გაასუფთავეს და ლიტანიობით შემოატარეს ქალაქის გარშემო, შემდეგ ტაძარში მიაბრძანეს და ადგილი კანკელის წინ მიუჩინეს. მას აქსაის ღვთისმშობლის ხატი ეწოდა. მალე ქოლერაც შეწყდა. ღვთისმშობლის ხატის მიერ მას შემდეგაც არაერთი სასწაული აღესრულა.

იხრომის ღვთისმშობლის ხატი

ხატი ვლადიმირის ეპარქიაში, კოსმას სახელობის მამათა მონასტერშია დაცული. სინწინდე 1482 წელს გამოუჩნდა ერთ-ერთ ყმანვილს — კოსმას, რომელიც ერთ სნეულს მიაცილებდა. როდესაც მდინარე იახრომის ნაპირს მიადგნენ, დასვენება განიზრახეს. მგზავრობით დაღლილ სნეულს ღრმად ჩაეძინა. მოულოდნელად, კოსმამ უჩვეულო ნათელი შენიშნა და მოესმა ხმა: „დაიმახსოვრე ეს სიტყვები: მთელი შენი სიცოცხლის მანძილზე ღვთისთვის სათნოდ იცხოვრე, მართლებს სიხარული მიანიჭე და მარადიული სიკეთე მოგელის“. შემდეგ ნათელი გაფერმკრთალდა და ყმანვილმა ხის ტოტებს შორის ღვთისმშობლის ხატი დანახა. კოსმამ კრძალვით აიღო ხატი, სნეულთან მიიტანა და ის მაშინვე განიკურნა. ღვთივჩაგონებით კოსმა უჩუქრად განემორა განკურნებულ ამხანაგს, რადგან მას იგი უკვე აღარ სჭირდებოდა და ზეციური მინიშნებით კიევში, ჰეორის ლავრაში მივიდა, სადაც ყმანვილის წინაშე გამოჩინებული ხატის ორიგ-

ინალი იმყოფებოდა. თან ჰქონდა იახრომის სანაპიროზე გამოჩინებული ხატიც. ბერებმა სიხარულით მიიღეს კოსმა და ყოვლადწმინდა ქალწულის ხატი დიდი პატივით დააბრძანეს მონასტერში. კოსმა ბერად აღიკვეცა და რამდენიმე წლის მანძილზე ჰეორის ლავრაში მოღვაწეობდა. შემდეგ, კვლავ ღვთიური ჩაგონებით, საიდუმლოდ მიატოვა სავენე ღვთისმშობლის ხატთან ერთად. სინწინდე იმავე ადგილზე მიიტანა, სადაც თავდაპირველად გამოუჩნდა. იქ ღვთისმშობლის



მიძინების სახელზე ტაძარი ააგო. იქვე დააბრძანა ღვთისმშობლის ხატიც, რომელსაც იახრომისა ეწოდა. მამა კოსმა განდევილურ მოღვაწეობას შეუდგა. მალე მისი მოღვაწეობის ადგილზე კოსმას სავენეც დაარსდა.

პოჩაივის ღვთისმშობლის ხატი

ხატი პოჩაივის მიძინების ლავრაშია დაბრძანებული. ლავრა მალაღ მთაზეა გაშენებული და თავისი ბუნებრივად გამოკვეთილი გამოქვაბულებით იქცევს ყურადღებას. თავდაპირველად მონასტერში ორი ბერი მოღვაწეობდა. ერთ-ერთი მოღვაწე ერთხელაც ღამით, წესისამებრ მთის მწვერვალზე ავიდა სალოცავად. მოულოდნელად, ცეცხლის სვეტში ქვაზე მდგარი ღვთისმშობელი იხილა. ბერმა მოკრძალებით სცა თავყვანი დედა ღვთისას და თანამოღვაწე ბერიც იხმო. ორივე ღვთისმომიშებით უცქერდა წმინდა ქალ-

წულს. გამთენიისას ხილვა ერთმა მწყემსმაც შენიშნა, რომელიც თავის ვაჟებთან ერთად მთის ძირში ცხვრებს აძოვებდა. მწყემსი მთაზე ამოვიდა. იქ ბერებს შეხვდა, რომლებიც ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ადიდებდნენ. უცერად შენიშნეს, რომ ღვთისმშობელს ქვაზე ფეხის ანაბეჭდი დაეტოვებინა. ქვა ცვილივით დარბილებულიყო და წმინდა ქალწულის ფეხის ანაბეჭდში კამკამა წყალი იდგა. ანაბეჭდში წყალი დღემდე არ იიღვა, მიუხედავად იმისა, რომ მორწმუნენი გამუდმებით იღებენ წყალს, რათა მისი მეშვეობით კურნება მიიღონ. ეს სასწაული 1340 წელს მოხდა. ამ დროიდან პოჩაივის ლავრამ განდიდება დაიწყო. 1595 წელს, კონსტანტინოპოლის მიტროპოლიტი ნეოფიტე რუსეთში მოგზაურობდა. მას ერთ-ერთმა ღვთისმოსავმა მემამულე ქალბატონმა, ანა გოისკომ უმასპინძლა. სტუმართმოყვარეობისთვის მადლიერების ნიშნად, მიტროპოლიტიმ კონსტანტინოპოლიდან ჩამოტანილი ღვთისმშობლის ხატი აჩუქა. იმ დროისათვის სინწინდე განდიდებული და ცნობილი არ ყოფილა. ქალმა ხატი შინ დააბრძანა. ერთხელაც, მის წინაშე ღოცვის დროს ანას ნათლით გაბრწყინებული ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გამოეცხადა. მალე ხატის მადლითა და მის წინაშე ღოცვით განიკურნა მემამულე ქალბატონის დაბადებიდან ბრმა ძმა, ფილიპე. ქალს ამის შემდეგ სასწაულოქმედი ხატის შინ დატოვებისა შეეშინდა. 1597 წელს ხატი მრავალრიცხოვანი ხალხის თანხლებით, პარაკლისის გალობით გადააბრძანეს პოჩაივის მონასტერში და იქ მოღვაწე ბერებს გადასცეს. ღვთისმშობლის ხატი მონასტერში დედაბრძანეს. მას პოჩაივის ღვთისმშობლის ხატი ეწოდა. მალე მემამულე ქალბატონის შეწირულობით პოჩაივის მონასტერში ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი აიგო და სინწინდეც იქ დააბრძანეს. მემამულე ქალბატონის, ანა გოისკოს გარდაცვალების შემდეგ, მისი ქონება, მამულები და პოჩაივის მთა, სადაც პოჩაივის ღვთისმშობლის სასწაულოქმედი ხატი იყო დაბრძანებული, მეშვიდერობით იმ მხარეში მცხოვრებ, აღმსარებლობით ლუთერან ანდრია ფირლეს ერგო. მან მონასტერში მოღვაწე ბერებს სენაკები გადაუწვია. შემდეგ თანამზრახველებთან ერთად მონასტერს თავს დაესხა და მისი განძი, მათ შორის ღვთისმშობლის ხატიც გაიტაცა. ესეც არ იკმარა, ცოლს უბრძანა, რომ საეკლესიო შესამოსელი ჩაეცვა, თვითონ



წმინდა ბარძიმი აიღო, მოქეიფეთა შორის ჩადგა და ღვთისმშობლის ხატისა და მართლმადიდებლური სარწმუნოების გმობა დაიწყო. მის ცოლს მაშინვე ენია სასჯე-



ლი — ბოროტმა სულმა შეიპყრო და საშინლად ტანჯავდა, ვიდრე ფირლიემ ხატი მონასტერს არ დაუბრუნა. მას შემდეგ მონასტერს და მის სინმინდეს აღარ შეხებია, ღვთისმშობლის ხატი კი უფრო მეტად განდიდდა სასწაულებით. პოჩაევის ღვთისმშობლის მიერ აღსრულებულ სასწაულთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი 1675 წელს აღსრულებული სასწაულია: მონასტრის კედლებს თურქები მისდგომიან. ღვთისმშობლის შეწმენობას მინდობილი ბერები მთელი ღამე ლოცულობდნენ პოჩაევოს სასწაულმოქმედი ხატის წინაშე და ღვთისმშობლის დაუჯდომელს გალობდნენ. როდესაც ის ზესთამბრძოლად მოიხსენიეს, გამოჩნდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, ნათელი სამოსით მოსილი. შიშველბლანი ანგელოზებით გარშემორტყმული, თურქთათვის სახილველად. თურქები შიშმა შეიპყრო და გაიქცნენ.

ღვთისმშობლის ხატი — „მსწრაფლშამსახალი“

ხატი ათონის წმინდა მთაზე არსებულ დოჰიარის მონასტერშია დაბრძანებული. როგორც მონასტრის მატრიანე მოგვითხრობს, მონასტრის სატრაპეზოს შესასვლელში, მის გარეთა კედელში (ნიშში) უსსოვარი დროიდან დანერვილი იყო ღვთისმშობის ხატი. წმინდა მამები ხატის დანერვის დროდ X საუკუნეს მიიჩნევენ, როდესაც წმინდა ნეოფიტეს მიერ დოჰიარის მონასტერი იქნა დაარსებული.

ღვთისმშობლის ხატის წინ, დერეფანში, რომლის გავლითაც სატრაპეზოში დადიოდნენ, თავისი მოვალეობის გამო ყველაზე ხშირად მეტრაპეზეს უხდებოდა გავლა. ხშირად — ღამითაც და ზოგჯერ ანთებული კვარით ჩაივლიდა ხოლმე მის წინაშე. ერთხელაც, როდესაც ღვთისმშობლის ხატის წინ ანთებული ჩირაღდნით ჩაიარა, ხატისგან ესმა ხმა: „მეტად ნულარ გამოივლი აქ ანთებული კვარით და ნულარ გაჭვარტლავ ჩემს ხატს“. ტრაპეზარს ჯერ შეეშინდა, რადგან იცოდა,

რომ სატრაპეზოში არავინ იმყოფებოდა, მაგრამ შემდეგ მიიჩნია, რომ ეს სიტყვები რომელიმე ძმამ ნარმოთქვა და ყურადღება აღარ მიუქცევია. იგი კვლავ ძველებურად აგრძელებდა ღვთისმშობლის ხატის წინ ანთებული კვარით სიარულს. რამდენიმე ხნის შემდეგ ტრაპეზარმა კვლავ გაიგონა ხატის მხრიდან მომდინარე სიტყვები: „ბერო, რომელიც უღირსი ხარ ატარო ეს სახელი! კიდევ დიდხანს გააგრძელებ ჩემი ხატის დაბინძურებას?!“ ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ იგი დაბრმავდა. მხოლოდ ახალა გაახსენდა პირველი გაფრთხილება და მიხვდა, რომ ესოდენ მიძიმე სასჯელი ღვთისმშობლის სიტყვების უგულვებლყოფის გამო დაატყდა თავს. მხედველობაწართმეული ბერი ხატის წინ დაემხო და ამ მდგომარეობაში მყოფი ლოცულობდა დიღამდე. როდესაც მონასტრის ბერებმა დილით ხატის წინ დამხობილი, დაბრმავებული ბერი იხილეს და მისგან მომხდარის შესახებ მოსინინეს, კრძალვით მოიყარეს მუხლი დედა ღვთისას ხატის წინაშე და მაშინვე აუნთეს უქრობი კანდელი. მამა ნილოსი (სხე ერქვა ტრაპეზარს) დღედაღამ ლოცულობდა ღვთისმშობლის მიმართ, სამართლიანად მოწვეული სასჯელისგან გათავისუფლებას ევედრებოდა. ერთხელაც, როდესაც იგი ერემელებით ევედრებოდა ზეციურ დედოფალს შენდობასა და ხსნას, ხატისგან მოწყალე ხმა ესმა: „ნილოს! შენი ლოცვა შესმენილია, ცოდავი მიგეტყვა და შენი თვალები კვლავ იხილავს დღის ნათელს. აუნყე ძმებს, რომ მე ვარ საფარველი, მზრუნველი და მცველი მათი სავანისა... ამიერიდან ამ ჩემს ხატს მსწრაფლშემსმენელი ეწოდოს, რამეთუ მსწრაფლ მოკუვლენ მისდამი შევრდომილთ წყალობას და მალე შევისმენ მათ ლოცვას“. ამ სიტყვების დასრულების შემდეგ ბერს თვალისჩინი დაუბრუნდა. მონასტრის ძმებმა ამ სასწაულის გამო კიდევ ერთხელ განადიდეს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, შემდეგ სატრაპეზოში გასასვლელი, სადაც ღვთისმშობილს ხატი იყო დავანებული, იმგვარად გადაკეტეს, რომ სამლოცველოს დასვავსებოდა. მალე, სატრაპეზოში შესასვლელის მეორე მხარეს, ღვთისმშობლის „მსწრაფლშემსმენელის“ ხატის სახელზე ტაძარი ააგეს.

იმ დროიდან მოყოლებული, დოჰიარის მონასტერში ასეთი ჩვეულება დამკვიდრდა: ირჩევენ ყველაზე ღვთისმოშიშ და გამოცდილ მღვდელმონაზონს, რომელსაც „მსწრაფლშემსმენელის“ ხატის სამლოცველოდან გამოუსვლელად ყოფნა და სასწაულმოქმედი ხატის წინაშე ყოველდღიურად პარაკლისის აღვლენა ევალება. ამასთან, ყოვე-

ლი სამშაბათისა და ხუთშაბათის საღამო ჟამს, საღამოს ლოცვის დასრულების შემდეგ, მონასტრის მთავარი ტაძრიდან მონასტერში მოღვანე მამანი და ძმანი ერთ მსკრივად გამოდიან ტაძრიდან და მიემართებიან ღვთისმშობლის „მსწრაფლშემსმენელის“ ხატისკენ და მის წინაშე ღვთისმშობლის კანონს გალობენ. მღვდელი კი ნარმოთქვამს კვერქეს, რომელზეც მოიხსენიება ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი და აღველინება ლოცვა მსოფლიოს მშვიდობისთვის. სამლოცველოში მყოფ ბერს კი, პარაკლისების აღსრულების გარდა, ევალება იზრუნოს სისუფთავისა და წესრიგზე, როგორც „მსწრაფლშემსმენელის“ ხატის სამლოცველოში, ასევე მისი პატივის მისაგებად აგებულ ეკლესიაშიც, სადაც კვირაში ორჯერ სრულდება საღვთო ლიტურგია. იგი ასევე ვალდებულია ფიზიკლად ადვენოს თვალყური საკვირველმოქმედი ხატის წინ ანთებულ კანდელს, რათა მათი ნათელი არასოდეს დაიშრეტოს. ათონის მთაზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის თხოვნით, ათონელმა ბერებმა საგანგებოდ შექმნეს ღვთისმშობლის „მსწრაფლშემსმენელის“ ხატის ასლი. როდესაც დოჰიარის მონასტრის წინამძღვარმა, ილუმენმა გრიგოლმა საქართველოს პატრიარქის თხოვნა შეიტყო, სურვილი გამოთქვა „მსწრაფლშემსმენელის“ ხატის ასლი უსასყიდლოდ შეენირა საქართველოსთვის. მანვე ითავა ხატისთვის პერანგის დამზადება და ამისთვის სპონსორიც მოიძია. სინმინდე 2005 წელს ჩამოაბრძანეს საქართველოში. იგი სამების საპატრიარქო ტაძარში დააბრძანეს.

ღვთისმშობლის ხატი „მირაბიოდისა“

ხატი კუნძულ კიფირაზეა დაბრძანებული. გადმოცემის თანახმად, სინმინდე დაბა მირტიდამი გამოჩნდა: ერთ ღვთისმოსავ მწყემსს, მგზნებარე ლოცვის დროს მოესმა ხმა: „თუ მიმოიხედავ შენ ირგე-





ლივ, იპოვი ჩემს ხატს. უკვე დიდი ხანია აქ ვიმყოფები და მსურს, რომ დავეხმარო ამ ადგილს“.

მწყემსმა მაშინვე დაიწყო ხატის ძებნა და მართლაც იპოვა ხეებს შორის ღვთისმშობლის ხატი. იგი მოკრძალებით მიეხსალა სინმინდეს და თავის ქოხში წააბრძანა. მეორე დღით მწყემსს ღვთისმშობლის ხატი ადგილზე არ დახვდა. ის კვლავ იმ ადგილზე იპოვა, სადაც პირველად გამო- უჩნდა. მწყემსმა იმ ადგილზე პატარა სამლოცველო ააგო და სინმინდეს იქვე დააბრძანა. ღვთისმშობლის ხატს „მირტიოდისსა“ ეწოდა, რადგან დაბა მირტიოდაში იქნა ნაპოვნი. ხატზე ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ყრმა მაცხოვართან ერთადაა გამოსახული, მასზე გამოსახული ღვთისმშობლისა და მაცხოვრის სახის ნაკვეთები ძნელად გასარჩევია, თუმცა ზოგჯერ ღვთისმშობლის სახე უეცრად იცვლის ფერს და ვარდისფერი ხდება, ტუჩებზე მომხიბვლელი ღიმილი დასთამაშებს, თვალეში საოცარი სხივი უდგას. ამგვარი რამ რამდენიმე წამი გრძელდება, შემდეგ კი ხატზე გამოსახული დედა ღვთისა ჩვეულ, ნაღვლიან გამომეტყველებას იღებს...

კუნძულ კიფირაზე ხშირად გვალვა. გვალვა ყველაფერს ახმობს. ასეთ დროს კუნძულის მცხოვრებნი ღვთისმშობლის სასწაულოქმედი ხატის „მირტიოდისსა“ ლიტანიობით შემოატარებენ კუნძულის გარშემო და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ევედრებიან შემწეობას. ზეციური დედოფალი ყოველთვის მოუვლენს წყალობას — წვიმის მივლინების სახით. ერთხელაც, გვალვის დროს, როდესაც კუნძულ კიფირას მცხოვრებნი ლიტანიობისთვის ემზადებოდნენ, კუნძულზე კვიპროსიდან ჩამოსული თურქი მოხვდა. როდესაც ტაძრის წინ შეკრებილი ხალხი იხილა, ხალხმრავლობის მიზეზი იკითხა: „ხალხი ლიტანიობისთვის ემზადება. უკვე რამდენიმე თვეა წვიმა არ მოსულა, ახლა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატს „მირტიოდისსა“ გამოვაბრძანებთ, მისი წმინდა ლოცვის შემწეობით ღვთის რისხვა შეწყდეს და გვალვა დასრულდეს“, — მიუგეს მას. თურქს გაეცინა, რადგან ცაზე ერთი ღრუბელიც კი არ ჩანდა. თუმცა წარმოთქვა: თუ წვიმა მართლაც წამოვა, მე „მირტიოდისსა“ ხატს ბრილიანტის სამკაულს შევწირავო — იმ იმედით, რომ დარწმუნებული იყო, იმ დღეს არ განვიმდებოდა. ლიტანიობის დასრულების შემდეგ ხალხმა მუხლი მოიყარა და ღვთისმშობლისადმი ერთობლივი ლოცვა აღავლინეს.

ტაძრისკენ დაბრუნებისას ცაზე ღრუბლებმა იწყო თავმოყრა, ხოლო როდესაც ხალხი ღვთისმშობლის ხატთან ერთად ტაძარში დაბრუნდა, კოკისპირული წვიმა წამოვიდა. უსჯულო თურქი გაოცებული იდგა. მან თავისი მარცხი აღიარა და ხატს საოცარი სილამაზის, ნახევარმთვარის ფორმის ბრილიანტის ყელსაბამი შესწირა. სამკაული დღემდე ამშვენებს „მირტიოდისსა“ ხატს.

მონას აბაჟურები, „ჯაჭვკასები“ და „დულილით“ მოსული გუზა

პროფესიით მხატვარს, ბატონ დავით მონავერდისაშვილს სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული, მაგრამ ძალები ხელოვნების არაერთ სფეროში მოუხინჯავს. წლების განმავლობაში ოპერისა და ბალეტის თეატრის დამდგმელი მხატვარი გახლდათ, გაფორმებული აქვს უამრავი სპექტაკლი როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ. ამას გარდა, ბატონი დავითი არაჩვეულებრივ ნამუშევრებს ქმნის. მასთან სტუმრობისას შთაბეჭდილებები დიდი ხნის განმავლობაში გაგყვებათ და აღმოაჩნთ, რომ ჯართის მიმღები პუნქტიდან ნამოღებული ნივთებით ულამაზესი ნამუშევრების შექმნაა შესაძლებელი.

ელენე ბასილიძე



— არც მასსოვს, ჩემი საქმე როდის ვიპოვე. ბავშვობიდანვე ვიცოდი, თუ რა იყო ჩემი მონოდება. ისევე, როგორც თითქმის ყველა ბავშვი, მეც ვხატავდი და მშობლებმა პიონერთა სასახლეში ძერწვის წრეზე მიმიყვანეს. რამდენიმე ხნის შემდეგ, ჩემმა პედაგოგმა, ბატონმა ზაქრო კრანაშვილმა ჩემს მშობლებს უთხრა, თქვენნი ვაჟი გაცილებით უკეთ ხატავს, ვიდრე ძერწავს და აჯობებდა, ხატვაზე მიგყვანათო... სიმართლე რომ გითხრათ, ჩემთვის სულერთი იყო, დავხატავდი თუ გამოვძერწავდი. ორივე საქმე ძალიან მიყვარდა. ჩხირკედელაც ვიყავი, ყველაფერი მაინტერესებდა... პიონერთა სასახლეში ავიამოდელების ჯგუფშიც დავდიოდი, სადაც პულტიანი თვითმფრინავების გაკეთებას ვსწავლობდი. ბოლოს, სამხატვრო აკადემიაში გრაფიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე. მაშინ სამხატვრო აკადემია სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან ვერ გვათავისუფლებდა და 1882 წელს მე და რამდენიმე ბიჭი ჯარში, ტულის ოლქში წაგვიყვანეს. სწორედ იქ ვისწავლე ხეზე ჭრა და ელექტრომედულება. ჩემს ნაწილში ხშირად ვანყოფი პატარა-პატარა

ნაკეთობებს და ინსტრუმენტების სათხოვნელად იმ მუშებთან მივდიოდი, რომლებიც ადრე პეტრე პირველის მიერ დაარსებულ, იარაღის ქარხანაში მუშაობდნენ. ჯარიდან უკვე დაოსტატებული ჩამოვედი და საქართველოში განვაგრძე მუშაობა.

— პირველი ნამუშევარი თუ გახსოვთ?

— ბავშვობაში ბამბუკით ესპანური გემი — „კარაველა“ გავაკეთე. მასსოვს, ის ბამბუკი სპეციალურად დავასველე და ყალიბში ჩავდე, რომ ჩემთვის სასურველი ფორმა მიეღო.

— ვიცი, რომ წლების განმავლობაში მხატვრულად აფორმებით ოპერისა და ბალეტის თეატრში დამდგმულ სპექტაკლებს...

— თეატრის მხატვრობა სინთეზური ხელოვნებაა. თეატრის კარგი მხატვარი რომ იყო, მის თითოეულ დეტალში უნდა ერკვეოდე. უნდა იყო მონუმენტური ფერმწერი, მოქანდაკე, დიზაინერი და გამნათებელიც კი... დამდგმელი მხატვრის პროფესია საკმაოდ რთულია, მაგრამ ძალიან საინტერესო.

— შეგიძლიათ ჩამოთვალოთ, რამდენ მასალაზე მუშაობთ?

— ძალიან ბევრზე... თანამედროვე ხელოვნება ძალიან მრავალფეროვანია. არ აქვს მნიშვნელობა, რა მასალით მუშაობ. მთავარია, რომ სათქმელი „ითქვას“. ერთ ნამუშევარს ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული მასალით ვქმნი. ძველი სანოლის ნაწილი, სამოვრის სახელური, ჩემოდნისა და ფანჯრის საკეტები ერთმანეთს ეხამება და ერთ დასრულებულ კო-





მოზიციას ქმნის. ჩემ მიერ არჩეულ მიმართულებაში ხატვაც მჭირდება და ქანდაკების ცოდნაც. მავთულს ისე ვერ მოლუნავ, თუ ანატომია არ იცი. ჩემი ქან-



დაკუბები უფრო ნახატებია, ვიდრე ფორმები. ეს აბაჟური წულის რამდენიმე ფენისგანაა შექმნილი და ფაქტობრივად, გამჭვირვალე ფერწერა გამოვიდა, რომელიც მერე ბისერებით მოვქარგე... მიყვარს, როცა ჩემი ნამუშევრები მრავალფუნქციური: არის ქანდაკებაც, ასლებური დიზაინი პოპარტის ელემენტებით და ამასთან ერთად, თეატრალური და პრაქტიკული დანიშნულებაც ენიჭება. შეიძლება, კედელზე არაჩვეულებრივი ფერწერული ტილო გეკიდოს, მაგრამ დღის განმავლობაში იშვიათად შეხედო. ჩემს ნამუშევრებს კი ყოველდღიურ ცხოვრებაში ვიყენებ.

მეოცე საუკუნის ცირკის თემაზე თქვენ მიერ შექმნილი ნამუშევრები დღეს თბილისის ცირკს ამშვენებს...

— ესაა 10 ნამუშევარი, რომელიც 3-4 მეტრიანია და თითოეული მასხარა რეალური პიროვნება და მათი საშუალებით, ჩემი თვალით დანახული XX საუკუნე წარვუდგინე საზოგადოებას.

როგორც მიგზვდი, სერიებად მუშაობთ, არა?

— კი, ხშირად ასე ხდება... ეს განსხვავებული სავარძლებიც სერიად გავაკეთე. ერთ-ერთი — ადამიანი-სავარძელი ჩემი პორტრეტი, მას ისეთივე იარაღი უჭირავს, რომელსაც მე ვიყენებ მუშაობისას. მისი დასრულების შემდეგ კი, კიდევ 3 სიმბოლური ადამიანი-სავარძელი შევქმენი: მასხარა, რომელიც დროსთანაა ასოცირებული, კალენდარი უჭირავს ხელში და ჩაფიქრებული ზის; იუდა და ცდუნება. ცდუნებას ხელში მშვილდი და ისრები უჭირავს, თავზე კი პატარა ოქროს რქები აქვს. ოქროს რქები სიმბოლურია, სადაც ოქროა, იქ ხომ ცდუნებაცაა (ილიმის). საკმაოდ ბევრი ნამუშევარი მაქვს რელიგიის თემაზე. ამას წინათ შევქმენი „ისო ქრისტეს იერუსალიმში შესვლა“, რომელსაც უკან მთელი ცხვრის ფარა მიჰყვება...

თქვენს ნამუშევრებში ჯაჭვებისგან შექმნილი ადამიანის ქან-

დაკვაც შევნიშნე, ესეც რომელიმე სერიიდანაა?

— დიახ, ეს ძველი აღთქმის თემაზე გაკეთებული ნამუშევრების სერიიდანაა. ეგვიპტეში დამონებული ებრაელის ბიუსტია, რომელიც ჯაჭვებისგანაა შექმნილი და ზედ ბოქლომები ადევს... ამავე სერიიდანაა მოსეს ბიუსტი. მისი სახე ხეშია გამოკვეთილი, როგორც მხედართმთავარს, თავზე ცხენის უნაგირის ქუდი ახურავს, ხოლო ტანი ერთმანეთზე შედუღებული ჯაჭვებითაა შექმნილი. მოსე დამონებული ხალხის წინამძღოლი იყო და მეც ჯაჭვებსა და მონობაზე „ამოვზარდე“. თითოეულ ნამუშევარს თავისებური სიმბოლური დატვირთვა აქვს. მაქვს ლურსმნებისგან შექმნილი ჯვარი, რომლის ნახვისას ადამიანებს იესო ქრისტეს ჯვარცმის სცენა ახსენდებათ... თითოეული ნამუშევარი იდეურად ბევრ რამეს უკავშირდება და სხვადასხვა ადამიანს თავისებური წარმოდგენა ექმნება მათზე.

ეს კაცი და ქალი აბაჟური ერთმანეთთანაა დაკავშირებული, მამაკაცს ხელში ძალაუფლების სიმბოლოები, ხმალი და კვერთხი უჭირავს. ქალი უფრო ნაზი ქმნილებაა, ტელეფონი და ყავის საფეკავი დევს „მასზე“ და დიდ გასაღებსაც ინახავს, რომლითაც თავისუფლად შეუძლია მამაკაცის „საიდუმლო კარისა და განჯინის“ გაღება. მათი აბაჟურები სვაროვსკის თვლებით მაქვს მოქარგული. თითოეულ ბისერს თავად ვამაგრებ „წულზე“.

თქვენს ნამუშევრებში შავ-თეთრ ფოტოებს ხშირად იყენებთ. რა დატვირთვა აქვთ მათ?

— ძველ ფოტოებს ძალიან სასიამოვნო აურა აქვთ. შეიძლება იმ ადამიანებიდან არც ერთი აღარ იყოს ცოცხალი, მაგრამ მათ ჩემი ნამუშევრები „აცოცხლებენ“.

თქვენს ნამუშევრებში გამოყენებული მასალა ერთი შეხედვით, გამოუსადეგარი ნივთებია...

— მართალია. ამ მავთულით, რომლის საშუალებითაც თხა და ქალის ფეხები გავაკეთე, ელიავზე მუშები ბადეებს წნავენ... მათ ხშირად რჩებათ 30-40-სანტიმეტრიანი მონაჭრები და ფაქტობრივად, ჩემი ნამუშევრები იმ ნარჩენებისგანაა გაკეთებული. ხშირად დავდივარ ჯარის ცენტრებში, ადამიანები სახლიდან გამოუსადეგარ ნივთებს რომ იშორებენ, მე ვყიდულობ და სახლში მომაქვს (ილიმის). მერე კი ეს ნივთები ჩემს ხელში განიცდიან ტრანსფორმაციას...

ბატონო დავით, თქვენი მუზა რაზე დამოკიდებული?

— ჩემთვის ყოველი დღე თავიდან დაბადებაა და როცა ვიღვიძებ, შეიძლება სრულიად უმნიშვნელო მოვლენამ მომანოდოს იდეა. გერმანიაში მუშაობისას, იქაური ხელოვნები სხვადასხვა ქვეყ-

ანაში მოგზაურობდნენ სამუშაო მუხტის მისაღებად, რომელიც რაიმეს შექმნას აიძულებდათ. საქართველოში სადაც უნდა გაიხედო, ყოველი მხრიდან რაღაც მუხტი მოდის, რომელიც მუშაობის ხალხის მაძღვეს. არ აქვს მნიშვნელობა, ეს მუხტი დადებითი იქნება თუ უარყოფითი... ალბათ ყველას ახსოვს უშუქობის პერიოდი. რამდენიმე ნამუშევრის შექმნისკენ სწორედ იმ დრომ მიბიძგა. რაღაც პროცესები საქართველოში დღემდე „დულს“ და ხელოვნისთვის სწორედ ეს „დულილია“ საინტერესო.

ნამუშევრებს თქვენეულ ხელმონერას თუ უკეთებთ?

— სკოლაში, გვარიდან გამომდინარე, მონას მეძახდნენ და ჩემს ნამუშევრებსაც „მონას“ ვაწერ.

სამუშაოდ განსაკუთრებული გარემო თუ გჭირდებათ?

— ადრე, როცა გრაფიკაზე ვმუშაობდი, ოთახის კარიც რომ ყოფილიყო ღია, ვერაფერს ვაკეთებდი, მაგრამ თეატრმა ხალხმრავლობაში მუშაობას შემაჩვია და ახლა შემიძლია ვისაუბრო და თან საქმე ვაკეთო.

ალბათ საკუთარ ნამუშევრებს გასაყიდად იოლად ვერ იმეტებთ...

— ხელოვნისთვის ეს ყველაზე რთულია. ეს „აბაჟური მამაკაცი“, რომელზედაც წელან გესაუბრეთ, ზამთარში გავაკეთე. თითქმის ღია ცის ქვეშ, მთელი 4 თვის განმავლობაში ვამუშავებდი ლითონს და მერე „შევმოსე“. როცა რომელიმე ნამუშევრის შექმნაში მთელი 5 თვის ცხოვრებას „ჩადებ“, მისი გასხვისება იოლი არ არის...

შეკვთა ხშირად გაქვთ?

— რამდენიმე რესტორანი გავფორმე, 1995-1996 წლებში გერმანიაში დიზაინსა და გაფორმებაზე ვმუშაობდი. ქართველები გემოვნებიანი ხალხი ვართ, მაგრამ ცოტა ფული გვაკლია (ილიმის), არიან ადამიანები, რომლებსაც ფული აქვთ, მაგრამ ორიგინალური კი არა, „როკოკოს“ ავეჯით ინტერესდებიან. ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებში ძალიან უყვართ ინტერიერის ექსკლუზიური ნამუშევრებით განკუთვნილი გარემო. მაგალითად, ფულიანი გერმანელი სერიული წარმოების ავეჯის ყიდვას ურჩეობს და ერთი ნივთი მაინც ექნება, რომელიც მხოლოდ მისთვის იქნება შექმნილი.

დღეს რაზე მუშაობთ?

— ეს არის ლითონის უბოინი კაცი, რომელსაც ხელში სკივრი უჭირავს... მას ტანი არ ექნება. ტანის მაგვირობას სკივრი გასწევს. უკვე თვე-ნახევარია, რაც ვმუშაობ. ვცდილობ, მანამდე დავასრულო, სანამ აცივდება. ზამთარში მუშაობა უფრო რთულია (ილიმის).





ურთიერთობა ჩისში რომ არ მოექცეს...



თქვენი ურთიერთობა უსასრულოდ გაიწვია და მოსაწყენმა ერთფეროვნებამ დაისადგურა. უკვე კარგა ხანია, აღარაფერი იცვლება, ყოველი დღე მომბეზრებლად ერთნაირია. ბოლო ხანებში უფრო და უფრო ხშირად გრძნობ, რომ ეს ყველაფერი გალიზიანებთ, მაგრამ...

იქნებ დროა, დაფიქრდეთ და ქვეყნის სტილი შეიცვალოთ?

ქვემოთ მოყვანილ მასალაში იმ ტიპურ შეცდომებზე გვექნება ლაპარაკი, რომლებსაც ქალები მამაკაცებთან ურთიერთობისას უშვებენ. თუკი ნაცნობ სიტუაციას წააწყდებით, ნუ გაბრაზდებით საკუთარ თავზე. ჩვენი რჩევების მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ის არის, რომ კიდევ ერთხელ გააცნობიეროთ შემდეგი: თქვენ შეგიძლიათ, გონიერება გამოიჩინოთ და სიტუაცია თქვენდა სასიკეთოდ შეატრიალოთ.

თუკი ფიქრობთ, რომ უმამაკაცოდაც მშვენივრად გრძნობთ თავს და სიყვარული მხოლოდ პოეტების მოგონილია — ეს, არც მეტი, არც ნაკლები, გულსტკივილისგან თავის დაძვრენის მეთოდია. მაგრამ თუკი გგონიათ, რომ ნამდვილი სიყვარული არასოდეს გენწევათ, ეს უკვე საგანგაშოა: შესაძლოა, მართლაც ასე მოხდეს. დაიმახსოვრეთ! რაც უფრო პოზიტიურად იაზროვნებთ, მით უფრო იოლად იპოვით ნამდვილ სიყვარულს.

აღბათ ცხოვრებაში შეხვედრის-ართ ისეთ მამაკაცს, რომელსაც დანაპირების შესრულება არ სჩვევია. ნუ შეეგუებით ამგვარ გარემოებას და ეცადეთ, რაც შეიძლება მალე დაივინყოთ ის პიროვნება. ამოიგდეთ თავიდან აზრი, რომ ყველა მამაკაცი ერთნაირია; ნურც თვითგვემას მიეცემით — რომ ყველაფერი თქვენი ბრალია და ვინაიდან ასე მოგექცნენ, უკეთესს არც არაფერს იმსახურებთ. კარგად გაიაზრეთ, როგორი უნდა იყოს ნამდვილი მამაკაცი, როგორს იმსახურებთ თავად და ამის მიხედვით შეაფასეთ სიტუაცია.

სიყვარული კონტროლს არ ექვემდებარება. სურვილი იმისა, რომ მამაკაცი 24 საათის განმავლობაში თქვენ გვერდით იყოს, არარეალურია. თავს მარტოსულად მიიჩნევთ, როდესაც ის ბილიარდის სათამაშოდ ან ფეხბურთის მატჩის საყურებლად მიდის? — სულ ტყუილად. შეგიძლიათ შემთხვევით ისარგებლოთ და კოსმეტიკურ პროცედურებს დაუთმოთ ის ძვირფასი დრო, რომელიც საამისოდ „არასოდეს გყოფნით“.

საერთოდ, უნდა იცოდეთ, რომ პერიოდულად ცალ-ცალკე ყოფნაში ცუდი არაფერია, პირიქით: ის წყვილები, რომელთაც ჰარმონიული

ურთიერთობა აქვთ, ანგარიშს უწვენ ერთმანეთის სურვილებს და ურთიერთს განმარტოების საშუალებას აძლევენ. ამგვარი დამოკიდებულება მათ უფრო მეტად აახლოებს და ერთმანეთისთვის ახალ-ახალი შთაბეჭდილებების გაზიარების საშუალებასაც აძლევს.

ნუ განახორციელებთ ემოციურ „ცვლილებებს“. თუკი მთელ თქვენს შთაბეჭდილებებს, დაფუშვით, თანამშრომელ მამაკაცს გაუზიარებთ, მაშინ რაღა უნდა მოუყვეთ თქვენს რჩეულს? თუკი მთელ დროსა და ენერგიას სხვა ადამიანზე დახარჯავთ, მისთვის რაღა დაგრჩებათ?! თუ ასე გააგრძელებთ, დროთა განმავლობაში თქვენი ურთიერთობა ჩისში მოემწყვდევს; დაკარგავთ ემოციურ კავშირს პარტნიორთან და

იგი აღარ იქნება იმ „პირველთაგანი“, რომელმაც მართლაც რომ პირველმა უნდა გაიზიაროს თქვენი მწუხარება თუ სიხარული. ამის შემდეგ კი, ძალიან მალე, ერთმანეთისთვის სრულიად უცხო ადამიანები გახდებით.

ცდებით, როცა გსურთ, იყოთ მუდამ მართალი. ეს იმას ნიშნავს, რომ არასოდეს იხდით ბოდიშს და ყოველთვის იტოვებთ უფლებას, თავად მიიღოთ გადაწყვეტილება. ასეთი თავდაჯერებულობა, ერთი მხრივ, ყველანაირი დაბრკოლებისგან თავის დაღწევაში უდავოდ დაგეხმარებათ, მაგრამ მეორე მხრივ, არასოდეს მოგიტანთ სრულ კმაყოფილებას. უნდა გახსოვდეთ, რომ დროულად ბოდიშის მოხდა სულაც არ გახლავთ სისუსტის გამოვლინება.

რჩევები ღიასახლისებს

* ბურღულეული, შაქრის ფხვნილი, ფქვილი ადვილად იღებს სუნს, ამიტომ ამ პროდუქტების სიახლოვეს არ მოათავსოთ საპონი, თუთუნის, დაფნის ფოთოლი. ასეთი პროდუქტები თავდახურულ ჭურჭელში უნდა შეინახოთ.



* სალათისათვის კარტოფილი უმჯობესია მოხარშოთ მარილწყალში, გათლილი. მოიხარშება თუ არა, გადაღვარეთ წყალი, მოათავსეთ საწურზე, დატოვეთ მცირე ხნით თავლია, შეაგრილეთ და მერე დაჭირით.



* ბოსტნეულის კერძების მომზადებისას დიდი მნიშვნელობა აქვს მათ თანამიმდევრობით ჩაყრას მოსახარშად. ჭარხალი იხარშება დაახლოებით 1 საათსა და თხუთმეტ წუთში, სტაფილო 20-30 წუთში, კომბოსტო 30-50 წუთში.

როლის ბიქმნით ფული დისკომფორტს?

თქვენს გაცნობას ბევრი მამაკაცი ცდილობს, რადგან მიმზიდველი და საკმაოდ თავდაჯერებული ქალბატონი ბრძანდებით. გაქვთ ბინა, საკმარისი ფული, გყავთ მანქანა... მამაკაცებმა, რომლებსაც თქვენი გაცნობა სურთ, ჯერ ბოლომდე არ იციან, რას წარმოადგენთ. ისინი სიმპათიურები, ზედმინევენით გემოვნებით ჩაცმულები არიან, მაგრამ მოგვიანებით ირკვევა, რომ თქვენზე გაცილებით ნაკლები შემოსავალი ჰქონათ...

თავის მხრივ, როდესაც მამაკაცები შეიტყობენ, რომ საკმაოდ რესპექტაბელური ქალბატონი ბრძანდებით და მათთან შედარებით, დიდი უპირატესობით სარგებლობთ, მოულოდნელად სადღაც ქრებიან. როგორც ფსიქოლოგები ხსნიან, ასეთ შემთხვევაში, მამაკაცს შიში იპყრობს: შეძლებს კი მომავალში ასეთი ქალის გვერდით თავი ნამდვილ მამაკაცად იგრძნოს? ანუ არა მართო შეუცვლელი და ერთადერთი იყოს, არამედ ქალი უზრუნველყოს, გაანებივროს? ეს მამაკაცის აქილევსის ქუსლია; ბევრ მათგანს თავმოყვარეობა ელახება და ქალზე ფინანსურ დამოკიდებულებას ძალზე მტკივნეულად განიცდის.

თქვენზე გაცილებით შეძლებულ მამაკაცთან ურთიერთობის დროს, მთავარია, ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვა მოახერხოთ და იმ აზრს შეეგუოთ, რომ ფინანსურად



მასზე ხართ დამოკიდებული. ერთი მხრივ, დამოუკიდებელ ქალს, რომელიც საკუთარი შრომით ფულის გამოიმუშავებდას და თავის რჩენასაა მიჩვეული, ცოტა არ იყოს, უჭირს ამ როლის მორგება. ის კი არა და, ხშირად ეს თავის დამცირ-

ებადაც მიაჩნია, რასაც საყვარელ მამაკაცთან ურთიერთობაში დაძაბულობა შეაქვს და უკუფეექტს იძლევა. თუმცა, რატომ უნდა თქვათ ამ ყველაფერზე უარი, როცა შეგიძლიათ მოდუნდეთ, თავი ნამდვილ ქალად იგრძნოთ და ცხოვრებით დატკბეთ?

გაითვალისწინეთ:

მნიშვნელოვანი ის კი არ არის, ვისი შემოსავალი უფრო მაღალია, მთავარია, რამდენად სწორად აღიქვამთ და აფასებთ სიტუაციას. მაგრამ თუ გული გეთანაღრებათ, ორჭოფობთ და გაურკვეველ მდგომარეობაში ხართ, საკუთარ თავს დაეკითხეთ: როგორი ადამიანია თქვენ გვერდით მყოფი მამაკაცი — რამდენად კეთილი, ყურადღებიანი და ნაზი? საინტერესოა თუ არა თქვენთვის მის გვერდით ყოფნა? მოგწონთ თუ არა ის როლი, რომელიც ერთმანეთის მიმართ გაკისრიათ? თუ ურთიერთობა სიყვარულსა და ურთიერთნდობას ეფუძნება, არც ერთ და არც მეორე შემთხვევაში, დამამცირებელი ნამდვილად არაფერია. ■



ცხიმოვანი თმის სამკურნალოდ გამოიყენეთ მუხის ქერქის ნახარში (3 სკ მუხის ქერქს დაასხით 1 ლ წყალი და ადუღეთ 15 წუთის განმავლობაში). გაგრილებული და გადაწურული ნახარში გამოიყენება თავის დასაბანად.

მშრალი თმა, დაბანის წინ დამუშავეთ აბუსალათინის, ნუშის ან ზეთუნის ზეთით. შემდეგ თავზე შემოიხვიეთ ცხელი პირსახოცი. ერთი საათის შემდეგ კი შეგიძლიათ თავი ჩამოიბანოთ და შეიზილოთ 1 კვერცხი ან ამჟავებული რძე. ბოლოს კი თმაზე გადაივლეთ ჩაის, გვირილის ან ცაცხვის ნაყენი.

ნიღბები მშრალი და ცხიმოვანი თმისთვის

ნიღბები ცხიმოვანი თმისთვის

■ ერთი კვერცხის გულს შეურიეთ 1 ჩკ წყალი. შემდეგ კი ჩამოიბანეთ. კვერცხის გული სასარგებლოა იმით, რომ მასში არის ქოლესტერინი, რომელიც ხელს უშლის ზედმეტი ცხიმის წარმოქმნას.

■ 1-2 კვერცხის ცილა ათქვიფეთ კარგად, ქაფის წარმოქმნამდე შეიზილეთ თმაში და გაიჩერეთ, ვიდრე კარგად არ გაშრება. შემდეგ თმა გოგირდის შემცველი საბინით ჩამოიბანეთ.

100-150 გ შავი პური ან მისი ქერქი დაფშვნილი და დაასხით ადუღებული ცხელი წყალი. როცა წყალი ოთახის ტემპერატურამდე გაგრილდება, მომზადებული ნარევი შეიზილეთ თმაში, შემოიხვიეთ პოლიეთილენის თავსაფარი და გაიჩერეთ 20-30 წთ. შემდეგ კი უსაპნოდ ჩამოიბანეთ.

ნიღბები მშრალი თმისთვის

■ ათქვეფილი კვერცხის გული ფრთხილად შეიზილეთ თმაში. 10-15 წუთით შეიფუთეთ და შემდეგ ჩამოიბანეთ.

■ ორ დაბანას შორის, თმა პერიოდულად შეგიძლიათ კვებოთ ზეთების ნარევი (1 წილი აბუსალათინის და 3 წილი ნუშის ზეთი). ამ ნარევით დაისველეთ ხელისგულები და ნაზი მოძრაობით წაისვით თმაზე. შემდეგ ჩამოიბანეთ. ■





მსოფლიოს მხიარული დღესასწაულები

დელავერში (აშშ) ყოველწლიურად, ჰელოუინის დღესასწაულზე (31 ოქტომბერს აღნიშნავენ) გოგონის სროლაში ეწყობა შეჯიბრება. სხვათა შორის, შეჯიბრებას ოფიციალურად „გოგონების სროლის საერთაშორისო ფესტივალი“ ჰქვია. სპორტული შერკინების გამარჯვებული ისაა, ვისი გოგრა ც ყველაზე შორს გადავარდება.

გაზაფხულის დადგომისთანავე **ნუ-დელიში** (ინდოეთი) ფერების დღესასწაულს აღნიშნავენ. ლეგენდის თანახმად, ამ დღეს ბოროტი დემონი, ხოლიკა დაამარცხეს. ბოროტების პერიოდის დასრულების აღსანიშნავად, ინდოეთის ყოველ ქალაქში ღამე კოცონს ანთებენ. დილით ადამიანები ერთმანეთს შეფერადებულ წყალს ასხამენ. ეს ყველაზე ფერადი დღესასწაულია, — გამვლელები და ქუჩები ცისარტყელის ფერებში არიან შეღებილი.

ლეგენდის თანახმად, ღმერთ რამას მრავალრიცხოვანი მტრის დამარცხებაში მიაიმუნები დახმარნენ. ამიტომ, მადლიერი მოსახლეობა მიაიმუნებისთვის **ლამბურაში** (ინდოეთი) ნადიმს მართავს. სუფრაზე სხვადასხვა ხილი, თხილი, ბოსტნეული და სასუსნავია დახვავებული.

დღესასწაულს ყოველწლიურად 600-ზე მეტი მიაიმუნი სტუმრობს.

ესპანეთის პატარა სოფელ **ბუნიოლში** ყოველწლიურად ტომატინა — „პომიდვრებით ბრძოლის“ დღესასწაული ეწყობა. სოფელი ფესტივალისთვის 35 ათას სტუმარს მასპინ-



ტივალის დასასრულს ყველას სპეციალურად ამ დღისთვის აგებული საშხაპეში ეპატიჟებიან.

იტალიის ქალაქ **ივრეაში** მოსახლეობა ერთმანეთს ფორთოხალს ესვრის. „ფორთოხლებით დუელს“ საფუძველი XII საუკუნეში ჩაეყარა. ფესტივალის მონაწილეები ორ ჯგუფად იყოფიან და ერთმანეთს ფორთოხლებს ესვრიან. სხვათა შორის, ტომატის ფესტივალისგან განსხვავებით, იტალიელები საკმაოდ ზიანდებიან. თუ ფესტივალში მონაწილეობა არ გსურთ, ნითელი ქუდი უნდა დაიხუროთ და ფორთოხალიც აცდებათ.



ძლობს. სპეციალურად ამ დღისთვის 100 ტონა პომიდორი იკრიფება. აღსანიშნავია, რომ სროლის წინ პომიდორი კარგად უნდა მოიჭყლიტოს, რათა ადამიანები არ დაშავდნენ. ფეს-

ტივალის დასასრულს ყველას სპეციალურად ამ დღისთვის აგებული საშხაპეში ეპატიჟებიან. იტალიის ქალაქ ივრეაში მოსახლეობა ერთმანეთს ფორთოხალს ესვრის. „ფორთოხლებით დუელს“ საფუძველი XII საუკუნეში ჩაეყარა. ფესტივალის მონაწილეები ორ ჯგუფად იყოფიან და ერთმანეთს ფორთოხლებს ესვრიან. სხვათა შორის, ტომატის ფესტივალისგან განსხვავებით, იტალიელები საკმაოდ ზიანდებიან. თუ ფესტივალში მონაწილეობა არ გსურთ, ნითელი ქუდი უნდა დაიხუროთ და ფორთოხალიც აცდებათ.

ზუზა საუკუნეების ნადიმი



მდიდარი დიდგვაროვნები ხშირად აწყობდნენ მდიდრულ ნადიმებს. საკუთარ სასახლეში ნათესავებს, მეგობრებსა და ნაცნობებს დაოქმულ დროზე ბუკის ხმით უხმობდნენ. წვეულებაზე ყველას მდიდრულად უნდა სცმოდა. არისტოკრატები ბენჯით, აბრეშუშითა და ძვირფასი თვლებით განწყობილი ტანსაცმლით იწონებდნენ თავს. წვეულებამდე მანდილოსნებს ვარცხნილობა უნდა გაეკეთებინათ. იმ პერიოდში ქალები ორ გრძელ ნაწნავში ოქროსა და ვერცხლის ძაფებით მოქარგულ ლენტებს იწნავდნენ. ვისაც ცუდი თმა ჰქონდა, შინიონს იკეთებდა. სუფრას სასახლის ყველაზე დიდ ოთახში შლიდნენ.

სტუმარს რკინის ფართო თევზის გარშემო კოვზს, დანასა და სასმისს (ვერცხლის ან ოქროს) უდგამდნენ (მაშინდელ ევროპაში ჩანგალი ჯერ არ გამოიყენებოდა). სტუმრებს მაგიდასთან იწვევდნენ. მსახური სტუმრებთან თასითა და წყლით დადიოდა და ხელებს აბანინებდა. უფროსი მზარეული სუფრაზე კერძების მიტანას განაგებდა და ყველა კერძს პირველი სინჯავდა.

ძირითადი კერძი ხორცისგან მზადდებოდა. მაგალითად, შემწვარი ირმის, გედის, ფარშავანგის (გარეული საქონელი შესაძლოა მასპინძლის მონადირეებზე ყოფილიყო); აგრეთვე, ჩირით (ძირითადად ქიშმიშით), სუნელებითა და ხილით (ვაშლი, კომში, ქლიავი) შეზავებული კურდღლის, ცხვრის, ტახისა და შინაური ფრინველის ხორცი. დესერტად ხილი და ღვეზელები ჰქონდათ, სასმლად — ღვინო. მოქეიფეებს, სპეციალურად ამ დღისთვის მონჭეული მუსიკოსები, მოცეკვავეები და აკრობატები ამხიარულებდნენ.

სადილის დასასრულს, სტუმრებს ხელს აბანინებდნენ და ისტორიული სიმღერების მოსასმენად სხვა დარბაზში იწვევდნენ. ბალადები რაინდებისა და წმინდანების ცხოვრებას ასახავდა. საღამოს, სანთლების ფონზე, მსახურები ვახშმის სუფრას აწყობდნენ. ვახშმობის შემდეგ მასპინძელი სტუმრებთან გამოსამშვიდობებელ ბოლო ფიალა ღვინოს მიირთმევდა და წესის თანახმად, მათ ცხენებამდე აცილებდა. სტუმარი, რომელიც სახლში წასვლას არ ინდომებდა, მასპინძლის სასახლეში დილაამდენ ჩნებოდა.



იდუმალებით მოსული მოკლანები

✦ ვატერლოოს ბრძოლის დროს, 1815 წლის 18 ივნისს, ბელგიის ქალაქ ვერვიეს მოსახლეობა ცაზე შეიარაღებულ მეომრებს ხედავდა, მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლის ველიდან ქალაქ ვერვიემდე 105 კმ-ია. ამერიკის ქალაქ ბუფალოს მოსახლეობა ცაში ხანდახან ტორონტოს (კანადა) ეკლესიის ანარეკლს ხედავს, რომელამდეც 80 კმ-ია.

✦ 1977 წლის 7 ივლისს, ციდან

კინოთეატრში ორი ბავშვი მოკლა. 1980 წელს ასეთი ცეცხლოვანი სფერო კუალა-ლუმპურის (მალაიზია) მოსახლეობასაც დაემუქრა, — ადამიანებს ტანსაცმელს უწვავდა და რამდენიმე სახლში ხანძარიც გააჩინა.

✦ 1838 წლის 30 ივლისსა და 1954 წლის 12 ივლისს, ლონდონში ბაყაყების წვიმა მოვიდა. 1901 წლის 2 ივლისს გომბეშოების წვიმა მოვიდა მინეაპოლისშიც (აშშ). 1956 წლის 10 მაისს თევზების წვიმა დაფიქსირდა ალაბამაში (აშშ). 1972 წლიდან 1984 წლამდე ავსტრალიაში თევზების წვიმა 50-ჯერ მოვიდა.

✦ 1848 წლის 13 აგვისტოს სკაის კუნძულზე (შოტლანდია) ციდან ყინულის ნახევარტონიანი ნაჭერი ჩამოვარდა (ამ მოვლენას კრიომეტეორიტები უწოდეს). ანალოგიური შემთხვევა 1973 წლის 2 აპრილს, მანჩესტერში (ინგლისი) დაფიქსირდა; 1969 წლის 25



აპრილს — ლეიკუდში (აშშ) და 1970 წლის 8 მაისს — იაგონინაში (უკრაინა).

✦ 1986 წლის 21 აგვისტოს ტბა ნიოსის (კამერუნი) მახლობლად 1700 ადამიანი გაიგუდა. მსგავსი კატასტროფა 1984 წლის 15 აგვისტოს, ტბა მონოუნის (კამერუნი) მახლობლად მოხდა და ამჯერად 37 ადამიანი იმსხვერპლა. მეცნიერების ვარაუდით, ტბა ნახშირორჟანგს გამოყოფს, რაც ადამიანების დაღუპვას იწვევს. ტბა ნიოსი 25 კმ-ის რადიუსში „კლავს“ ადამიანებსა და ცხოველებს. მსგავსი ტბები აშშ-ში, იაპონიაში, საფრანგეთსა და გერმანიაშიც გვხვდება. ■



დაშვებულმა ცეცხლოვანმა სფერომ ჩინეთის პროვინცია ფუძიანის ღია

უსნაურობები ამომაპალი მზის ძვეყანაში

• იაპონიის ნაციონალურ დროშას „ხინომარუ“ ჰქვია. მასზე გამოსახული წითელი წრე მზის სიმბოლოა. იაპონელები სამშობლოს „ნიპონის“ — „მზის წარმომავლობას“ ეძახიან.

• სახელმწიფოში ყველაზე ხანდაზმული ადამიანები ცხოვრობენ.

• იაპონიაში წელიწადში 1500 მიწისძვრა ხდება. მის ტერიტორიაზე 200-ზე მეტი ვულკანი მდებარეობს.

• იაპონელების საყვარელი ბურღული ბრინჯია. მას საუზმეზე, სადილსა და ვახშამზე მიირთმევენ. ხილი ძვირი ღირს. ერთ ვაშლს ან ატამს 2 დოლარად შეიძენთ.

• იაპონური ბრძოლის ხელოვნების უძველესი ფორმაა კენდო, რაც „ხმლის გზას“ ნიშნავს.

• ქალაქების კეცვის ხელოვნებას ორიგამი ჰქვია.

• ბრინჯისა და თევზის დელიკატესის სუში ჰქვია.

• იაპონელები საჭმელს ჩხირებით — „ჰასით“ მიირთმევენ. აკრძალულია კერძში ჰასის ვერტიკალურად ჩარჭობა. მათი საყვარელი სასმელი ჩაი გახლავთ.

• კერძისთვის ახალ

ხორცს, თევზსა და ბოსტნეულს ყოველდღიურად ყიდულობენ. ამიტომაც, იაპონელებს ოჯახში ყველაზე პატარა ზომის მაცივრები აქვთ.

• პროდუქტებიდან უპირატესობას თევზსა და ზღვის პროდუქტებს, ძროხის, ღორისა და ფრინველის ხორცს ანიჭებენ.

• სახლში შესვლისას იაპონელები ფეხსაცმელს იხდიან. ასევე, სადილობის დროსაც ფეხშიშველები უნდა იყვნენ.

• სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, იაპონიაში ხმაურით ჭამენ. წვნიანი აუცილებლად ხმაურით უნდა შეხვიპოთ, თორემ მასპინძელს ეგონება, რომ კერძი დაუწუნეთ.

• უძველეს თეატრალურ ხელოვნებას



ნებას ნო ჰქვია. წარმოდგენა შესაძლოა, რვა საათსაც გაგრძელდეს.

• იაპონიის სოფლებში ქორწილში (დაკრძალვაზეც) სტუმრების დაპატიჟება მიუღებელია. წვეულება (სამძიმარი) საყოველთაო მოვლენად ითვლება. კერძების მომზადებაში ერთმანეთის დახმარება თითოეული იაპონელის ვალია. ■





რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარბივილი

რეკომენდაციები ბრივის დროს

გრიპი მძიმე ვირუსული დაავადებაა, რომლითაც შეიძლება ნებისმიერი ადამიანი დაავადდეს, სქესისა და ასაკის მიუხედავად. გრიპის ეპიდემია თითქმის ყოველ წელს ვრცელდება წელიწადის ცივ სეზონზე და მსოფლიოს მოსახლეობის 15% მოიცავს. გრიპი და ზემო სასუნთქი გზების ვირუსული დაავადებები ყველა ინფექციური დაავადების 95% შეადგენს. მსოფლიოში ყოველწლიურად 500 მილიონი ადამიანი ავადდება და აქედან 2 მილიონი კვდება. გრიპი განსაკუთრებით სახიფათოა ბავშვებში, მოსულებსა და ორსულებში.



ბები (პექტუსინი, ბრონქოლიტინი, ბრომპექსინი და სხვა) ინიშნება ექიმის მიერ;

დაავადების პირველ დღეებში რეკომენდებულია გვირილის, ყვითელგულას, პიტნის, სალბის ან კრაზანას ნაყენის ორთქლით ინჰალაცია;

აუცილებელია C ვიტამინი და პოლივიტამინები;

რეკომენდებულია ანტიბიოტიკური პრეპარატები (ტავეგილი, სუპრასტინი ან სხვა ანტიალერგიული საშუალება);

დაავადების პირველ დღეებში რეკომენდებულია ნატურალური პრეპარატები, რომლებიც ხელს უწყობენ იმუნიტეტის შენარჩუნებას (ინტერფერონი, აფლუბინი).

გრიპი მწვავედ იწყება. აღსანიშნავია, რომ კლინიკური გამოვლინება ვირუსის ორგანიზმში მოხვედრიდან 1-2 დღეში (ზოგჯერ 5 დღის შემდეგ) იწყება. დაავადების სიმძიმე ინფიცირებულის ჯანმრთელობის ზოგად მდგომარეობაზე, ასაკზე, ადრე გადატანილ გრიპის ინფექციაზე და სხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული. ამის მიხედვით ავადმყოფს შეიძლება განუვითარდეს გრიპის მსუბუქი, საშუალო, მძიმე და ჰიპერტოქსიკური ფორმა.

მსუბუქი ფორმის დროს სხეულის ტემპერატურა შეიძლება ნორმაში დარჩეს ან იყოს სუბფებრილური (38-მდე), ინტოქსიკაციის ნიშნები არ აღინიშნება ან სუსტადაა გამოხატული.

საშუალო სიმძიმის ფორმის დროს ტემპერატურა 38,5-დან 39,5-მდე იზრდება და დაავადების კლასიკური სიმპტომები ყალიბდება: ინტოქსიკაცია (ჭარბი ოფლის გამოყოფა; სისუსტე; სინათლის შიში; სახსრებისა და კუნთების ტკივილი; თავის ტკივილი); კატარალური მოვლენები (რბილი სასის და ხახის უკანა კედლის სინითლე; სკლერების ჰიპერემია (სინითლე)); რესპირატორული სიმპტომები (ტრაქეისა და ხორხის დაზიანება; ხმის შეცვლა; მშრალი, მტკიცეული ხველა; გულმკერდის არეში ტკივილი; სურდო; ცხვირისა და ხახის ლორწოვანი გარსის ჰიპერემია, ციანოზი (მოლურჯო ელფერი) და სიმშრალე; ფილტვების სემენტური დაზიანების სინდრომი — ფილტვ-გულისმიერი უკმარისობა, რომელიც გრიპის გავლასთან ერთად უკვალოდ ქრება. აბდომინალური

სინდრომი (მუცლის ტკივილი; ფალარათი).

მძიმე ფორმის დროს ტემპერატურა 40-40,5 გრადუსს აღწევს. ზემოაღწერილ სიმპტომებს ხშირად ემატება ენცეფალოპათიის ნიშნები (ფსიქოზური მდგომარეობა; კრუნჩხვითი შეტევები; ჰალუცინაციები), სისხლძარღვოვანი დაზიანებები (ცხვირიდან სისხლდენა) და ლებინება.

ჰიპერტოქსიკური ფორმა მეტად საშიშია ჯანმრთელობისთვის. შეიძლება განვითარდეს მენინგიტი, ენცეფალიტი და შემუშებითი სინდრომი (ფილტვების ან ტვინის შემუშება).

თუ გრიპი გართულების გარეშე მიმდინარეობს, ცხელება 2-3 დღეში გაივლის და 5-10 დღეში სრული გამოჯანმრთელებით მთავრდება.

გრიპის პირველი სიმპტომების გამოვლენისთანავე შემდეგი ღონისძიება უნდა გატარდეს:

ავადმყოფმა დიდი რაოდენობით სითხე უნდა მიიღოს (ცხელი ჩაი, კომპოტები, ბოჯომი რძით);

ტემპერატურის 38-ზე მაღლა ანევის შემთხვევაში საჭიროა სიცხის დამწვევი საშუალებების მიღება (პარაცეტამოლი, პანადოლი, კოლდრექსი და სხვა);

ცხვირის გაჭედვის შემთხვევაში საჭიროა ადგილობრივი სისხლძარღვების შემავიწროებელი ცხვირის წვეთების გამოყენება, მაგრამ არა უმეტეს 4-5 დღისა;

რეკომენდებულია მუკალტინი, ძირტებილას ფესვები, ალოეს ნაყენი და სხვა საშუალება ნახველის გასათხიერებლად და ადვილად ამოსახველებლად.

ხველის სანინალმდეგო საშუალებები

რა ვიწონო?

გრიპის პროფილაქტიკის ძირითადი მეთოდია გრიპის სანინალმდეგო აცრა, მაგრამ ვაქცინაცია შემოდგომაზე (სექტემბერ-ოქტომბერში) უნდა ჩატარდეს, რადგან ეპიდემია, როგორც წესი, ნოემბრიდან მარტამდე გრძელდება, იმუნიტეტის ჩამოყალიბებას კი აცრიდან დაახლოებით 3 კვირა სჭირდება და იმუნიტეტი 6 თვე ნარჩუნდება (შემდეგ იკლებს). ამიტომ არც ძალიან ადრეა აცრა რეკომენდებული და არც მისი დაგვიანება ივარგებს.

გრიპის პროფილაქტიკისთვის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ხელმისაწვდომი საშუალებაა მარლის პირბადე (ნილაბი). თუმცა, ეს არ არის საკმარისი დაავადებისგან თავდასაცავად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აუცილებელია C ვიტამინისა და პოლივიტამინების მიღება. ეს საშუალებები ინფექციების მიმართ ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს ამღებენ. დიდი რაოდენობით C ვიტამინს შეიცავს კომბოსტოს მწნილი, ლიმონი, კივი, ფორთოხალი, გრეიპფრუტი, მანდარინი.

გრიპის სეზონის წინ პროფილაქტიკის მიზნით შეიძლება ყოველწლიურად 2-3 კბილი ნივრის მიღება. პირის ღრუს ბაქტერიებისა და ვირუსისგან მთლიანად გასათავისუფლებლად საკმარისია ნივრის რამდენიმე ნუთი ღეჭვა. ასეთივე ეფექტი აქვს ხახვს.

გრიპის დროს რეკომენდებულია ცხვირის რეგულარული ტუალეტი. დაიბანეთ დღეში ორჯერ ცხვირი, განსაკუთრებით — ნესტოები. სასარგე-



ბლოა ცხვირის ღრუს გამორეცხვა თაფლიანი ხახვის წვენი (3 სუფრის კოვზ დაკვიპილ ხახვს დაასხით 50 მლ გადაღულული, თბილი წყალი, დაამატეთ 1/2 ჩაის კოვზი თაფლი, დააყენეთ 30 წუთი და 1-2 წვეთი ჩაინვეთეთ ორივე ნესტოში);

რეკომენდებულია ყელში მანგანუმის (მარგანცოვკა), ფურაცლინის, სოდის ხსნარის ან გვირილის ნაყენის გამოვლება, ასევე ინჰალაცია: 300-გრამიან ჭურჭელში ჩაასხით წყალი, აადულეთ, დაამატეთ 30-40 წვეთი ევკალიპტის ნაყენი, ან 1/2 ჩაის კოვზი სოდა და გაიკეთეთ ინჰალაცია.

ძალიან ეფექტიანია ფეხების აბაზანა. 5-10 წუთით ფეხები ჩაანყვეთ მდოგვიან, ცხელ წყალში და ამის შემდეგ ტერფები დაიზილეთ რომელიმე გამაზურებელი კრემით.

ექიმის მიერ დანიშნულ წამლებთან ერთად შეიძლება არამედიკამენტური საშუალებების გამოყენებაც, მაგალითად: ასკილის ნაყენი, ჩაი ლიმონით და თაფლით, ჟოლოსმურაბიანი ჩაი.

კარგ შედეგს იძლევა პროპოლისის პატარა ნაჭრის პირში გაჩერება. პროპოლისი არც დაღვჭოთ და არც წუნნოთ, უბრალოდ გაიჩერეთ პირში, მაქსიმალურად დიდხანს.

გრიპის დროს სასარგებლოა სოჭის ზეთის დაღვევა, გულმკერდის, ზურგის არეში შეზელა და ამ ზეთით ტერფების მასაჟი, დღეში 4-5-ჯერ. ყოველი პროცედურის შემდეგ ტერფები პოლიეთილენით შეიხვეთ, წინდები ჩაიცვით, თბილი პლედით დაიფარეთ და დალიეთ ნაყენი, რომელსაც ოვლმდენი მოქმედება აქვს (მაგალითად, ჟოლოსმურაბიანი ჩაი). მომინანქრებულ ქვაბში არსებულ მდულარე წყალს დაა-

მატეთ 3-4 წვეთი სოჭის ზეთი და გაიკეთეთ ინჰალაცია. სურდოს დროს შეგიძლიათ თითო-თითო წვეთი ზეთი ჩაინვეთოთ თითოეულ ნესტოში. სოჭის ზეთი ხველის შეტევასაც ხსნის. ამ მიზნით დილა-სალამოს ენაზე დაინვეთეთ 3-5 წვეთი სოჭის ზეთი.

ძლიერი ხველის დროს ეფექტიანია შემდეგი საშუალება: დაჭერით უმი ბოლოვი თხელ ნაჭრებად, მოაყარეთ შაქრის ფხვნილი, მიიღებთ ტკბილ წვენს. ყოველ საათში დალიეთ თითო-თითო სუფრის კოვზი წვენი. ან გახეხეთ სახეზე ბოლოვი, ჩაყარეთ მარლაში, გამოწურეთ წვენი, დაამატეთ თაფლი და დილა-სალამოს (ძილის წინ) დალიეთ 2-2 სუფრის კოვზი.

კარგად მოქმედებს 1:1-ზე გახეხილი, ნივრისა და თაფლის ნარევი. უნდა მიიღოთ ღამე, ერთი სუფრის კოვზი და დაყოლოთ ცხელი წყალი.

სწორი არ არის:

1. გრიპის ფეხზე გადატანა

ვირუსი ანგრევს იმუნიტეტს და დასუსტებული ორგანიზმი სრულიად დაუცველი რჩება ნებისმიერი ინფექციისგან. სწორედ ამ დაავადების მიმართ იოლი დამოკიდებულების შედეგია საკმაოდ ხშირი გართულებები და ლეტალური გამოსავალი. ამიტომ, რაოდენ მნიშვნელოვანი საქმეც უნდა გქონდეთ, მინიმუმ 3 დღე სანოლში უნდა გაატაროთ.

2. ანტიბიოტიკების მიღება

ეს მხოლოდ ექიმის ნებართვითა დასაშვებია. მათი უკონტროლო მიღება ორგანიზმს მხოლოდ და მხოლოდ დაასუსტებს და ვირუსებთან ბრძოლაში ხელს შეუშლის. გარდა ამისა, ეს პრეპარატები ანადგურებენ ნაწლავის სასარგებლო მიკროორგანიზმებს, რომლებიც სხვა ფუნქციებთან ერთად იმუნიტეტის ჩამოყალიბებაშიც მონაწილეობენ, ამიტომ მათი მიღებისას აუცილებელია ნაწლავის მიკროფლორის აღმდგენი საშუალებების დამატებაც. როგორც ნების-

მიერი ინფექციური დაავადების, ასევე გრიპის დროს უნდა იხელმძღვანელოთ შემდეგი წესით: თუ 3 დღეში ტემპერატურა ნორმას არ დაუბრუნდა, გართულებებზე (პნევმონია, პიელონეფრიტი, ჰაიმორიტი) უნდა იექვოთ და ექიმს ხელახლა მიმართოთ.

3. ზედმეტი სითბო

უფრო მეტად გაცივება დაავადებულს ნამდვილად არ სჭირდება, მისი იმუნიტეტი ხომ ვირუსთა შეტევის შემდეგ ისედაც დასუსტებულია, მაგრამ გრიპით მოავადე ადამიანის გაუნიავებელ ოთახში ხანგრძლივად ყოფნა კიდევ უფრო მეტი ზიანის მომტანია. ავადმყოფი განუწყვეტლივ გამოყოფს ვირუსებს, რომლებიც გაუნიავებელ ოთახში გროვდება. ამიტომ, რაც შეიძლება ფართოდ გააღეთ ფანჯარა და ოთახში სუფთა ჰაერი შემოუშვით. სითბოს მოყვარული ვირუსებისთვის ტემპერატურის ცვალებადობა და სიცივე დამლუპველია, რაც გამოჯანმრთელებასაც აჩქარებს.

4. ხველების სანინალმდეგო ნებისმიერი წამლის მიღება

შეცდომას ვუშვებთ, როცა ხველების ნებისმიერ წამალს დაუფიქრებლად ვიძენთ და არც კი ვკითხულობთ, როგორია მისი მოქმედების მექანიზმი. ხველების სანინალმდეგო საკმაოდ ბევრი პრეპარატის მიღება ექიმის უნებართვოდ დაუშვებელია. თვითმკურნალობისას ექიმის გარეშე დასაშვებია მხოლოდ ამოსახველებელი საშუალებების მიღება. ეს ის პრეპარატებია, რომლებიც ნახველს ათხელებს და ბრონქებიდან მათ გამოყოფას აადვილებს. რაც შეეხება უშუალოდ ხველის სინდრომის მოსახსნელ პრეპარატებს, ისინი აუცილებლად ექიმმა უნდა დანიშნოს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მშრალი ხველა ავადმყოფს თენთავს და ბალიშზე თავის დადების საშუალებას არ აძლევს.

განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო ამოსახველებელი და ხველების სანინალმდეგო პრეპარატების ერთდროული მიღებისას. არასწორი დანიშნულების შემთხვევაში შესაძლოა ნახველი ბრონქებში დაგროვდეს და დიდხანს არ გამოიდეწოს, ეს კი ჯანმრთელობას სერიოზულ ზიანს აყენებს.

5. უარი ჰიგიენურ პროცედურებზე

გრიპის დროს გაცივების თავიდან ასაცილებლად ბევრი შხაპსა და აბაზანაზე უარს ამბობს. არადა, ვირუსების აქტიური ცხოველქმედებისას ორგანიზმში აუარებელი ტოქსინი გროვდება, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი კანის მეშვეობითაც გამოიყო-





ფა. თუ ისინი კანიდან დროულად არ მოვიცილებთ, ორგანიზმის განმედა, შესაბამისად, მისი გამოჯანმრთელება გაჭიანურდება.

ასე რომ, დაბანა აუცილებელია, მაგრამ ფრთხილად (მაღალი სიციხის დროს არა), რათა სააბაზანოდან გამოსვლის შემდეგ ხელახლა არ გაცივდეთ.

სამკურნალო მცენარეები ყველასთვის ზიანდება

ერთი შეხედვით უვნებელი მცენარეებით თვითმკურნალობაც შესაძლოა მავნე აღმოჩნდეს. მაგალითად:

ალოეს წვენი თირკმლებისა და შარდის ბუშტის ანთებითი დაავადებების, ბუასილის, ორსულობისა და ქალური სისხლდენების დროს აკრძალულია;

შავნაყოფა ცირცელის მიღება არტერიული წნევის დაქვეითების, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების შემთხვევაში არ შეიძლება;

მცირე რაოდენობით უნდა მოვიხმაროთ კრაზანას ნაყენი, რადგან ეს მცენარე შეიცავს შხამებს, რომელთა დიდი ოდენობა ორგანიზმისთვის მავნებელია. ■

კაკალი აუმჯობესებს ორგანიზმის რეაქციას სტრესზე



პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ კაკლის ან მისი ზეთის მოხმარებით ადამიანი ორგანიზმს აძლიერებს და უფრო გამძლეს ხდის, სტრესული სიტუაციების მიმართ. კაკალი მდიდარია უჯერი ცხიმებით, რომელიც მოქმედებს არტერიულ წნევაზე, მოსვენებულ მდგომარეობაში და სტრესის დროს.

კვლევაში აჩვენა, რომ ომეგა 3-მჟავა, რომელსაც შეიცავს კაკალი და სელის ზეთი, აქვეითებს

დაბალი სიმკვრივის ლიპოპრუტეინებს, ანუ ცუდი ქოლესტერინის დონეს. კაკალი და სელის ზეთი ასევე აქვეითებს C-რეაქტიული ცილის და ანთების სხვა მარკერის დონეს სისხლში.

მეცნიერებმა გამოიკვლიეს 22 ჯანმრთელი ადამიანი, რომელთაც ჰქონდათ სისხლში ქოლესტერინის მაღალი დონე. მათი კვების რაციონი გაყვეს 6-6-კვირიან სამ პერიოდად. პირველ კვირას ხდებოდა ჩვეულებრივი კვება, შემდეგ კვირებში კი კვების რაციონი მდიდრდებოდა ჯერ კაკლით (ან მისი ზეთით) შემდეგ კი სელის ზეთით.

საკვებ მენიუში კაკლის შეტანისას ხდებოდა სტრესულ სიტუაციებში არტერიული წნევის დაქვეითება. სტრესის პროვოცირების მიზნით მონაწილეებს ფეხები ცივ წყალში ჩააყოფინეს. კაკალზე სელის ზეთის დამატებამ არ გამოიწვია წნევის შემდგომი დაქვეითება.

კვლევაში მონაწილეებმა გაიარეს სისხლძარღვების ექსკოპიური კვლევა, რამაც აჩვენა, რომ სელის ზეთი საგრძნობლად აუმჯობესებს არტერიების მდგომარეობას, ასევე აქვეითებს C-რეაქტიული ცილის დონეს, რითაც ამგვარი კვების ანთების საწინააღმდეგო მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს. ხოლო კაკალი ან მისი ზეთი უპირატესად იწვევს არტერიული წნევის დაქვეითებას სტრესულ სიტუაციებში. ■

თქვენი ოჯახის მკურნალი





ადამიანი

„ჯეოსტარის“ ყოფილი კონკურსანტის სასიფათო გატაცება

„ჯეოსტარის“ უკვე ყოფილი, ნიჭიერი მონაწილე, რაღაც გატაცებული ნინო მატრავილი კონკურსიდან გასვლის შემდეგ ცხოვრებას ოპტიმისტურად აგრძელებს: ცდილობს, როგორც სამუსიკო, ისე საავტომობილო ასპარეზზე წინ იაროს და ამ სფეროებში მოღვაწე ადამიანებს კონკურენცია გაუწიოს...

„როცა მანქანა სწრაფად დადის, „ფრთახს ვხლი“!

ითუ ყორღანაშვილი

— ვფიქრობ, ყველა ის ადამიანი, ვინც „ჯეოსტარში“ მოხვდა, თავის საქმეს პასუხისმგებლობით ეკიდება. პირადად მე, სიმლერის მხრივ დიდი გამოცდილება არა მაქვს: რამდენიმე წლის განმავლობაში მოსწავლეთა სასახლეში დავდიოდი და რაც შემეძლო, ყველაფერი ავითვისებ, მერე ერთი-ორი წელი გამოვტოვებ, სიმლერაში არ მოვმზადებულვარ. „ჯეოსტარის“ დაწყებამდე ერთი თვით ადრე, მეცადინეობა ვოკალის პედაგოგთან, გვანცა შალამბერიძესთან დავიწყებ, ხოლო რეპეტიციებისას პროფესიონალებთან ვურთიერთობდი. მოკლედ, ამ მცირე ხანში ძალიან დავიხვეწე და წარმოიდგინეთ, პროექტში რომ დავრჩენილიყავი, როგორი გავხდებოდი (იციინს)!..

— „ჯეოსტარის“ რამდენიმე ტურს წარმატებით გაართვი თავი, მაგრამ საბოლოო ჯამში, 12 კონკურსანტს შორის ვერ მოხვდი. იმედგაცრუებული ხარ?

— ღვთის წყალობით, ეს ფაქტი ძალიან მტკივნეულად არ განმიცდია. ყველაფერს ოპტიმისტურად ვუყურებ — რაც იქნება, იქნება! რა თქმა უნდა, შემდეგ ტურში გადასვლას ველოდი, მაგრამ ეს ხალხის გადასაწყვეტი იყო.

— ბოლო ტურში შენი წარუმატებლობა რამ განაპირობა?

— ვიცი, ძალიან ბევრი

ადამიანი მიჭერდა მხარს, რისთვისაც ყველას მადლობას ვუხედი, მაგრამ ალბათ, სხვებმა ჩემზე მეტი შეძლეს...

— „ჯეოსტარში“ მონაწილეობას რომ აპირებდი, ამის შესახებ ახლობლები წინასწარ გააფრთხილეს?

— მხოლოდ ოჯახმა იცოდა. საგულშემატკივროდაც მხოლოდ ძმა და ერთ-ერთი მეგობარი მიმყავდა ხოლმე. შემდეგ ტურებში რომ გადავედი, ინფორმაცია ნელ-ნელა გავავრცელე (იციინს). სხვათა შორის, „ჯეოსტარში“ რომ მივედი, ეს ჩემი მეგობრების დამსახურებაა. ისინი სულ მეუბნებოდნენ, — მიდი, იქნებ გაგიმართლოსო. ახლა ყველა გულდანყვებილია, მაგრამ არა უშავს (ილიმის)!..

— კონკურსებში მონაწილეობის გამოცდილება თუ გაქვს?

— 12 წლის ასაკში (მაშინ ვოკალისტთან არ ვემზადებოდი) მუსი-

კალურ ფესტივალში — „მელოდია“ ვმონაწილეობდი, სადაც ფინალისტთა ძირითად სამეულში მოვხვდი. ჰოდა, სწორედ მაშინ გადავწყვიტე, სიმლერისათვის სერიოზულად მომეყიდა ხელი და „მოსწავლეთა სასახლეში“ სიარული დავიწყებ. თუმცა, 3 წლის შემდეგ იქ სიარული შევწყვიტე — იმ პერიოდისთვის აბიტურიენტი გახდი.

— კონცერტებში მონაწილეობ?

— კონკურსში — „მელოდია“ — მონაწილეობა მანამდე შეგიძლია, ვიდრე პირველ ადგილს არ დაიკავებ. ამ კონკურსზე 2008 წელსაც ვცადე ბედი და პირველ ადგილზე გავიდი; შემდეგ „მელოდიის“ წარმომადგენლები (რამდენიმე „ჯეოსტარელი“: ბექა შოშიაშვილი, ირინა ბაირამაშვილი, სალომე ქათამაძე) რეგიონებში დავდიოდი და კონცერტებს ვმართავდი, ამან კი ცხადია, გარკვეული გამოცდილება შემძინა. ამჟამად კონცერტებში აქტიურად ჩართული არა ვარ, მაგრამ მალე გავაქტიურდები.

— „ჯეოსტარში“ შენი ფავორიტები თუ გყავს?

— ყველას ვგულშემატკივრობ! მერწმუნეთ, თითოეული კონკურსანტი ძალიან შემიყვარდა, მათთან გატარებული დრო ჩემთვის ბევრს ნიშნავს. ვფიქრობ, „ჯეოსტარის“ ყველა მონაწილე თავისებურად ნიჭიერია და ერთმანეთისგან განსხვავდება.

— თუ არის ისეთი ადამიანი, რომელიც კონკურსში ვერ მოხვდა და შენ ამის გამო გული დაგწყდა?

— კი, ჩემი მეგობარი — ლევან კვინიკაძე, რომელიც ისე კარგად მლერის, ვერ გამოგვმთ, ძალიან მაგარი ბიჭია! 3 წლის განმავლობაში „ჯეოსტარის“ ბოლო ტურამდე ვადიოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ძირითად თორმეტს შორის ვერ ხვდებოდა, წელს კი მეორე ტურიც ვერ გადალახა. ასე რატომ მოხდა, არ ვიცი. მართლა ძალიან ნი-



„ჯეოსტარში“ რომ მივედი, ეს ჩემი მეგობრების დამსახურებაა



ჭიერია და გული დამწყდა...

— ნინი, როგორც მითხარი, აბიტურიენტი იყავი. სად სწავლობ?

— ერთი წელი ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის ვემზადებოდი, მაგრამ სამწუხაროდ, უმაღლეს სასწავლებელში ვერ მოხვდი. ნორმალური ქულები მივიღე — ასეთი შეფასებით ხალხი უნივერსიტეტებში მოხვდა, მაგრამ მე გარეთ დავრჩი... ყველა მეუბნებოდა, — გააპროტესტეო, მაგრამ მერე „ჯეოსტარიც“ დაიწყო და მთლიანად ამ პროექტზე გადავერთე.

— სწავლის გაგრძელებას სად აპირებდი?

— ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, სოციალურ-პოლიტიკურ ფაკულტეტზე. ახლა მივხვდი, რომ ეს ფაკულტეტი მისი პოპულარობის გამო ავირჩიე. ამჯერად ალბათ, თეატრალურს ავირჩევ — მივხვდი, რა მინდა.

— როგორც შევტიყვე, რაღით ხარ გატაცებული. სპორტის ამ სახეობით როდის დაინტერესდი?

— საქართველოში მგონი, სპორტის ამ სახეობაში გოგონების ნაკლებობაა... სისწრაფე მომწონს! როცა მეგობრებთან ერთად სადმე მივდივარ, დედა მაფრთხილებს, — არ თქვა, რომ სისწრაფე გიყვარსო! მოგეხსენებათ, როცა საქვსთან მსხდომი ბიჭები იგებენ, რომ მათ თანმსლებ გოგონას სისწრაფე მოსწონს, მისთვის თავის მოწონების მიზნით, მანქანას სწრაფად ატარებენ (იცი-ნის)!

— მანქანის მართვა ვინ გასწავლა?

— მამამ, ძმამ... მეგობარიც რალისტი მყავს. ამ სფეროში ჯერ დახვეწა მჭირდება — იმედია, მომავალში ჩემგან კარგი რალისტი ქალი დადგება.

— საქვს რა ასაკში მიუჯექ?

— 15 წლის ვიყავი, როცა მამამ საქვსთან დამსვა და არ ამიხსნა, თუ რა უნდა გამეკეთებინა, ამიტომ ყველაფერს ერთდროულად დავაჭირე ხელი, შედეგად კი მანქანა ლამის გაფრინდა! არ შემშინებია, მაგრამ მამამ მითხრა: ჩქარა გადმოდიო!.. მერე დამცინოდა, — კარგი, დაჯექი, მაგრამ ზუსტად ვიცი, პირველივე ბოძს დაეჯახებო. ახლა ვუჩვენებ მათ „პირველი ბოძი“ (იცი-ნის)!

— ანუ მანქანას უკვე პროფესიონალურად მართავ?

— შეძლებისდაგვარად.

— მართვის მოწმობა გაქვს?

— არა, მაგრამ ახლა აუცილებლად უნდა ავიღო — უკვე 18 წლის ვარ.

— საქვის მართვის სწავლა გაგიჭირდა?

— არა. როცა რალაც ძალიან გინდა, დაბრკოლებებს არ უშინდები. მერწმუნე, ყველაფერი უცებ ავითვისე... ვიცი, მანქანის სწრაფად ტარებისას ბევრი იძაბება, მე კი ამ დროს „ფრთებს ვშლი“, ვისვენებ!..

— როგორ მანქანები მოგწონს?

— სპორტული. განსაკუთრებულად, „ბემევეს“ მარკის მანქანები მსიბლავს.

— მანქანა გყავს?

— არა. ტელესიუჟეტშიც მეგობრის (რომელიც დავტანჯე!) მანქანა იყო ნაჩვენები... იმედი მაქვს, მალე შევიძენ.

— შენი ოჯახიც გაგვაცანი.

— მყავს ჩემზე ერთი წლით უფროსი ძამიკო, დედა და მამა, რომელიც ძალიან კარგად მღერის. რაც შეეხება პაპას (მამის მხრიდან), ის სუბიშვილების ანსამბლში უკრავდა, ბებია და დიდედა მღეროდნენ. ვინც ჩემი ნამღერი მოისმინა, ყველამ აღნიშნა, რომ ჩემს ხმაში ჩემი წინაპრების ხმა ისმის (იცი-ნის): ბებიას მჭახე, ძლიერი ხმა ჰქონდა, დიდე ბებიას — თბილი, ტკბილი ანუ მე თბილი და ძლიერი ხმა მაქვს. გული მწყდება, რომ მამაჩემი დღეს სცენაზე არ დგას.

— წინათ მამა მუსიკალურ სფეროში მუშაობდა?

— ადრე მუსიკალური ანსამბლი — „ლალე“ არსებობდა; მამა იქ მღეროდა. მას საესტრადო სასწავლებელი აქვს დამთავრებული, მაგრამ მერე სიმღერას აღარ გაჰყვა. არ ვიცი, რამდენი უნდა ვიშრომო, რომ მამის მსგავსად ვიმღერო, ის მართლა ძალიან მაგარია!

— ოჯახის წევრები სიმღერაში ხელს გინყობენ?

— კი, ძალიან. მაგალითად, სიმღერას რომ ვინწყებ, მამა მომიჯდება და მამეცადინებს ხოლმე. მას მოსწონს, როცა ხალხურ სიმღერებს ვმღერო.

— ძამიკოს თუ აქვს მუსიკალური ნიჭი?

— სახლში 3 ხმაში როცა ვმღერო (დედაჩემსაც კარგი მუსიკალური სმენა აქვს), ძამიკოს სულ უნდა, თავდაც აგვყვეს და რალაცას ღიღინებს ხოლმე. მართალია, ძალიან მონდომებულია, მაგრამ ჯერჯერობით ისეთ შედეგს ვერ გვიჩვენებს, რომ აღვფრთოვანდეთ.

— ბიჭებთან უფრო მეგობრობ თუ გოგონებთან?

— როცა ჩემს მეგობრებს ჩემი



მანქანის სწრაფად ტარებისას ბევრი იძაბება, მე კი ამ დროს „ფრთებს ვშლი“

ძმის ძმაცაცებიც ემატებიან (ისინიც ხომ ჩემი მეგობრები არიან!), ბიჭები მეტნი გამოდიან... რადგანაც სატელევიზიო სიუჟეტში რალი ვახ-

სენეთ, ყურნალისტებმა მითხრეს, — მოდი, ვთქვათ, რომ ბიჭებს უფრო კარგად უგებო. სინამდვილეში, ორივე სქესის წარმომადგენლებს იოლად ვუმეგობრდები. უბრალოდ, სიუჟეტის გადაღების დღეს მეგობარი გოგონების უმეტესობას არ ეცალა, ბიჭები კი მოცლილები იყვნენ (იცი-ნის)...

— ნინი, შეყვარებული გყავს?

— არა. — თყვანისმცემლები გეყოლება. შენს ძმას მათთან როგორი დამოკიდებულება აქვს?

— ძამიკოს ძალიან ვუყვარვარ და რადგანაც მასზე უმცროსი ვარ, უნდა, რომ ყურადღება მომაქციოს. მართალია, იცის და სჯერა, არასოდეს არაფერს დავაშავებ, მაგრამ მაინც „მკაცრობს“...

— მომღერლის კარიერაზე სერიოზულად ფიქრობ?

— დიას. ქართველი მსმენელი ძალიან „ზუსტია“ — ყველაფერს სწორად აფასებს. თუ საქართველოში წარმატებული მომღერალი ვიქნები, დარწმუნებული ვარ, მთელ მსოფლიოში გზა ხსნილი მექნება. ქართველ მაყურებელს დიდ პატივს ვცემ.

— „ჯეოსტარში“ მონაწილეობას კიდევ აპირებ?

— ცუდია, როცა კონკურსანტის შეფასება მესიჯებზეა დამოკიდებული: შეიძლება ძალიან მაგარი ხარ, მაგრამ თუ მატერიალურად ძლიერი ნაცნობები არ გყავს, რათა ბევრი „ესემესი“ გამოგიგზავნონ (თუმცა, რა თქმა უნდა, უცხო ადამიანებიც ამესიჯებენ), დამარცხდები... ჟიურის წევრებმა დადებითად შემაფასეს. მერე ქალბატონმა მარინა ბერიძემ გამოაცხადა, რომ გაისად აუცილებლად მელოდება. მანამდე მთელი წელია... ვნახოთ, მოვიფიქრებ.



პანელი მუსიკოსის მხიარული თავგადასავლები და ქართული სიმღერით მონუსხული უსხოალები

იგი ვანის კოლორიტია. მისი მუსიკალური ნიჭის გამო ბევრმა იცის იური კორძაძის სახელი.

გახსოვთ ალბათ, მხატვრულ ფილმ „გარეგნობაში“ მარო ქალაქელ გოგონებთან მიტოს რომ აქვს: ისეთი ნიჭიერი და მშრომელია, გაგიკვირდებოდა — მღერის, მუსიკას წერს, ცეკვავს და ყველაფერს თვითონ აკეთებსო. ეს ხუმრობით, თუმცა ბატონი იური მართლაც, სიმღერისთვის დაბადებული კაცია — მღერის, მუსიკასაც წერს და თუ დასჭირდა, ცეკვავს კიდევ; მიუხედავად ამისა, მის სახლკარს მშრომელი და მზრუნველი ხელი მაინც ატყვია. იყო დრო, როცა თბილისში პრესტიჟულ, კარგ სამუშაოს სთავაზობდნენ, მაგრამ არ დარჩა, ვანსა და თავის შუამთას ვერ შეეღია. ვერც გაამტყუნებ: როცა შენი მშობლიური მხარე ასე ძალიან გიყვარს, მისგან შორს ყოფნა ძნელია.

მარინა ბაბუნაშვილი

შუამთა ტყეებით გარშემორტყმული ულამაზესი სოფელია. ალბათ ამიტომაცაა იქ ასე სუფთა და გამჭირვალე ჰაერი ზამთარ-ზაფხულს. გორაკის გადაღმა უკვე სურების ტყე იწყება... ბატონ იურისთან ჟურნალისტები სტუმრად გახლდით და იმ გარემოში წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე...

— სიმღერა პატარაობიდანვე მიყვარდა და გადანყვეტილი მქონდა, სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა საესტრადო-სამსახიობო და საცირკო სასწავლებელში გამეგრძელებინა. სასწავლებლის დამთავრებისთანავე ფილარმონიაში მუშაობა შემომთავაზეს, მაგრამ თავქუდმოგლეჯილი გამოვიქეციე ვანში. მერწმუნეთ, თბილისში დიდხანს ვერ ვძლებდი, ვიტანჯებოდი... მშობლიურ რაიონში დაბრუნებისთანავე რაიონულ ანსამბლ „საჩინოში“ დავიწყე სიმღერა. მაშინ ანსამბლში 11 ბიჭი ვიყავით და მხოლოდ ერთი გოგო გვყავდა, დოღო სურგულაძე, რომელიც ისტორიულზე სწავლობდა. ზაფხულსოებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გასტროლებს ვაწყობდით, ცოტაოდენ ფულსაც ვშოულობდით და ჩვენს ჭიასაც ვახარებდით. კარგი პერიოდი იყო, ყოველთვის ბევრი მსმენელი გვყავდა...

— ამ გასტროლებთან დაკავშირებით ბევრი რამ გექნებათ გასახსენებელი...

— რა თქმა უნდა! გასტროლებზე დოღოს წამოსვლასთან დაკავშირებით სულ პრობლემა გექონდა. მამამისს მთელი ანსამბლის ბიჭები მივადგებოდით ხოლმე და ვეხვეწე-



ბოდით, ქალიშვილი გამოეშვა. დოღოს მამა ყველას კარგად გვიცნობდა და გვენდობოდა, მაგრამ არ უნდოდა, სტუდენტი შვილი „ტაშფანდურს“ გადაჰყოლოდა და სწავლაზე გული აეცრუებინა. მე, როგორც ყველაზე უფროსმა, საკუთარ თავზე ავიღე პასუხისმგებლობა (არადა, მაშინ 25 წლის ვიყავი) და მამამისს ვუთხარი, — საქართველოს ისეთ კუთხეში მივდივართ, სადაც ბევრი ისტორიული ძეგლია და გპირდები, იქ ვამეცადინებ-მეთქი. დოღოს მალე საზაფხული სესია ეწყებოდა... გავემგზავრეთ კახეთში. სადაც მასპინძლები თან გადაგვყვნენ, ბოლო კონცერტის წინ კი დიდი სუფრა გავივალეს. სუფრას სტუმარ-მასპინძლებმა ჩვენი სამშობლოს ისტორია მიმოვიხილეთ, კახელები იხსენებდნენ გათათრების პერიოდს, ყიზილბაშობას. დოღოს სიცილით ვუთხარი, — ხომ ხედავ, როგორ გამოგადგა კახეთის გასტროლები, დღეს რამდენი რამ გაიგე-მეთქი... დოღო დაღლილი იყო, სუფრასთან დიდხანს ვერ გაძლო, ყველას მოგვიბოდიშა და დასაძინებლად წავიდა. ბიჭებს თვალი ჩაუკარი, — ახლანახუთ, რა სასახაობას მოვანყობ-მეთქი. როცა დავრწმუნდი, ღრმად ეძინა, მის ოთახში შევიპარე, დიდი თავშალი თავზე ჩალმასავით დავიხვიე, წელს შემოთ გავშვივდი, ტახტზე ფეხმორთხმით დაჯექი და

თათრულად შემოვცახე. დოღომ თვალები დააჭყიტა, ერთი კი იყვირა, — ვაიმე, თათრები შემოგვესივნენო და გარეთ გავარდა. ასეთი კურიოზი მრავლად გექონდა. ახალგაზრდები ვიყავით, ცხოვრება გვიხაროდა და ბედნიერები გახლდით იმით, რომ საყვარელ საქმეს ვაკეთებდით.

— როგორც ვიცი, მერე ფოლკლორმა გაგიტაცათ...

— ფოლკლორი ყოველთვის უსახლვროდ მიყვარდა. ქართული ხალხური სიმღერები ჩვენი საუნჯეა, რომელსაც დიდი მოფრთხილება სჭირდება. დედამინის ზურგზე არ მეგულება ერი, რომელსაც ისეთი პოლიფონია ჰქონდეს, როგორც ჩვენ გვაქვს. ქართველ კაცს, რომელსაც დაბადებიდან მოჰყვება სიმღერის ნიჭი, მასწავლებელი აღარ სჭირდება. ის ყოველ ბგერას სასწაულად გრძნობს, იცის, სად აუნიოს ხმას, სად დაუდაბლოს ან როგორ „ჩაახვიოს“. მახსოვს, თბილისიდან ახალი დაბრუნებული ვიყავი, როცა ვანის კულტურის სახლში დამიბარეს და რაიონის ფოლკლორული გუნდის ჩამოყალიბება დამავალეს. ერთ მშვენიერ დღეს, სოფელ ყუმურიდან მოვიდა 8 კაცი. მომღერლები ასე, 70-75 წლისანი იქნებოდნენ, მოცალეობის ჟამს იკრიბებოდნენ და მღეროდნენ თურმე. მათ ცოტა ცერად შევხედე; უფიქრე, — ამათ ისეთი რა უნდა იმღერონ, რომ გამაკვირვონ-მეთქი, მაგრამ ისეთი სიმღერა შემოსძახეს, ტანში ჟრუანტელმა დამიარა. კარგა ხანს ვერ მოვედი გონს, გარინდებული ვიყავი. ბოლოს, ამ უბადლო შემსრულებლების წინაშე ქედი მოვიხარე; ვანის კულტურის გამგეს კი ვუთხარი: ამათ მე რა უნდა ვასწავლო, აქეთ მასწავლიან ნამდვილ ხალხურ სიმღერას-მეთქი! რადგან ფოლკლორზე ჩამოვარდა ლაპარაკი, მინდა, ერთი გასტროლი გავიხსენო: რაიონის ანსამბლმა სიმღერის კონკურსში გავიმარჯვეთ და გასტროლზე პოლონეთში გავემგზავრეთ. 80-იანი წლები იყო და ჩვენში მაშინ საშინელებითა ფილმებს არ აჩვენებდნენ არც დიდა ეკრანზე, არც ტელევიზიით. იქ



ყოფნისას გადაწყვიტეთ, კინოში წავსულიყავით, რადგან დაგვანტერესა ფილმის სათაურმა (ახლა ვეღარ ვიხსენებ, რა ერქვა). მისი შინაარსი ასეთი იყო: ერთ სოფელს შეესევინა ვამპირები, რომლებსაც სოფლის მცხოვრებლები შეებრძოლებიან. შემდეგ ერთ-ერთი მათგანი მარიამ ღვთისმშობლის ხატს დაიჭერს ხელში, რომლის ძალითა და მადლით, ვამპირები სოფელს დატოვებენ. დასასრულს, ამოდის მზე, ისმის ქართული „წინწყარო“(!!!) და მთელ სოფელს ეფინება ნათელი. ეტყობა, ფილმის რეჟისორს ძალიან მოეწონა ჩვენი სიმღერა და ბოროტზე გამარჯვება მაყურებელს ამ საოცარი ჰანგების ფონზე უჩვენა. 1500-კაციანი დარბაზი გადავსებული იყო, ყველა გარინდებული შესცქეროდა ფილმს, წუთიც და თავის შეკავება ვეღარ შევძელით, ჩვენც ავყვეით ეკრანიდან გადმოღვრილ ჰანგებს. როცა დარბაზში შუქი აინთო, ყველა ჩვენ მოგვანერდა, ჩვენ კი ვეღარ ვჩერდებოდით; გვინდოდა, უსასრულოდ გვემღერა. რალა ბევრი გავაგრძელო და, მთელი დარბაზი ქართველებმა დავიპყარი. ძალიან ამაღელვებელი წუთები გახლდათ, ის საღამო არასოდეს დამავიწყდება...

მოსკოვშიც არაერთხელ ვიყავით გასტროლებზე და ერთ-ერთი გასტროლის დროს, როცა ქუჩაში დავინწყეთ სიმღერა, ხალხი გაჩერდა, ტრანსპორტის მოძრაობა შეწყდა და ნახევარი საათი ყველა მონუსხული გვისმენდა. მეორე დღეს „პრავდაში“ გამოქვეყნდა წერილი, ასეთი სათაურით — „სიმღერა, რომელმაც გააჩერა ტროლეიბუსი“.

— მერე რა მოხდა, როცა გასტროლები და შიდა კონცერტები წარსულს ჩაჰბარდა?

— მერე დაიწყო ის, რასაც კარგა ხანს ვენიანადმეგებოდი — ქორნილ-ნათლობებსა და პანაშვიდებზე დაკრული მდარე მუსიკა ჩემთვის მიუღებელი იყო. ჩვენს რაიონულ გაზეთში გამოვაქვეყნე კიდევ კრიტიკული წერილი — „გაიაფებული ხელოვნება ანუ რა ღირს სიმღერა“, მაგრამ გავიდა დრო და როცა სხვა გზა აღარ იყო, ჩემს მეგობრებთან ერთად მეც დავიწყე ქორნილებში სიარული. იმ პერიოდიდან უამრავი კურორტის გახსენება შეიძლება. ბევრჯერ სიმწირით კბილებიც გამიკრაჭუნებია. აბა, როგორია მთვრალი კაცების ატანა, რომლებმაც კარგად არც იციან, რას გიკვეთენ?! მაგრამ თურმე, ზოგჯერ გაჭირვება იმას გაგაკეთებინებს, რაც ადრე მიუღებლად მიგაჩნდა. ერთს კი თამამად ვიტყვი: არც ერთ ქორნილსა თუ სამხიარულო სუფრაზე უგულოდ,

მხოლოდ ფულისთვის არ მიმღერია, ამიტომაც ყოველთვის ბევრი მოდიოდა ჩემთან და მთხოვდა, მათთვის დამეკრა. წლების განმავლობაში მე და ჩემი მუსიკოსი მეგობრები ქართლში დავდიოდით. ყოფილა შემთხვევა, რომ ერთ ქორნილში 10-15 ათასი მანეთიც „გაგვიკეთებია“ და მერე თანაბრად გავგიყვია. ერთხელ, სოფელ რუისში 500-კაციან ქორნილში მიგვიწვიეს. ხომ იცით, რუისს როგორი სახელი აქვს? — არც ერთი ქორნილი თუ ქელები ისე არ ჩაივლიდა, ჩხუბი არ ატეხილიყო. ვზივარ ჩემს მუსიკოსებთან ერთად და გული მიკანკალავს, რადგანაც უპროგნოზო სიტუაციაა, არავინ იცის, როგორ განვითარდება ან რით დას-

რულდება ლხინი. რამდენიმე შეკვეთის მერე ატყდა ბათქაბუთქი: ზოგი თოფს ისვრის, ზოგიც რევოლვერს. ვფიქრობ ჩემთვის, — რა ეშველება ჩვენს ოჯახებს, თუ ბრმა ტყვია მოგვხვდება და აქედან ვანში მკვდრებს წაგვასვენებენ-მეთქი?! ვხედავ, ჩემთან ბანცალ-ბანცალით მოდის ერთი რუსიელი. მან რევოლვერი ცხვირთან დამიტრიალა და მითხრა, — იცოდე, ბოლო ტყვია შენიაო. — რას მერჩი, ბატონო, მუსიკოსად მომიწვიეთ, ვუკრავ, გამხიარულებთ და რატომ მკლავთ-მეთქი? — ვეკითხები, მაგრამ ვის ესმის ჩემი! გატრიალდა და წავიდა. შეკვეთა შეკვეთაზე მოდიოდა, ქეიფი შუალამმდე გაგრძელდა. მოკლედ,

„მსოფლიო დეპარტამენტის სიფი“
 ყოველ ორშაბათს! შურნალ „რეიტინგთან“ ერთად
 თითო კრიმინალური საქმე!

8 - დან - 16 ნოემბრამდე
ჯონ ლე კარა
 მკვლელობა ჯინტლენურად

ფასი 2 ლარი!
 (შურნალთან ერთად 3 ლარი)

უკვე გამოსული ნიგნები - საქმე №1-დან - №21-მდე
 (ჯაიფის კედლი ჩივირი, არტურ კონან დოილი, სიდნი შულდონი, აბათა კრისტო, ჯადსონ ფილიასი, როს მაკლონალი, ჯონ ლიქსონ კარი, ჯონ კორუზი, დევილ კეპითი, ზორის აკუნინი, ჩარლზ ა.სნოუ, ლიკ ფრანსისი, რაიმონდ ჩანდლერი, სმიტო მასუმოტო, სირილ კეირი, ფრიდრიხ ლიურანგატი, შორჟ სიგვინი, ბუალო-ნარსეჟაჟი, აჟი ელიგი და ფრედ პარბასი)
 შეიძინეთ ნიგნის მალაზიებში

16 ნოემბრიდან
კაინერ რანკი
 მწვანე მოწვევა



ჩვენ ძალიან დავიღალეთ, მაგრამ რუსიელებს დაღლა არ ეტყობოდათ... სულ იმ საეჭვო კაცზე მეჭირა თვა-

ამიანი. ერთხელ სოფელ წიფნარაში წამიყვანა ქორწილში. მაშინ „ლამბადა“ ახალი შემოსული იყო და ყვე-

დებიანო. მართლაც, დაგვინახეს თუ არა, მაშინვე გამოგვეგებნენ ჭირ-



ბედნიერი ვარ, რომ მათთან ერთად იმ მარგალიტებს ვაგროვებ, რასაც ქართული ფოლკლორი ჰქვია

ლი, რომელიც ბოლო ტყვიას „დამპირდა“. ის-ის იყო, აშლას ვაპირებდით, რომ დავინახე, „მტერი“ ჩემკენ დაიძრა. ვზივარ გაფითრებული და მივჩერებივარ სიკვდილს თვალეში. მოვიდა და მეუბნება, — ხომ გითხარი, რომ ბოლო ტყვია შენი იქნებოდა, აჰა, ძმაო და ისროლეო... თურმე ის შეჩვენებული გასროლას შემპირებია და არა მოკვლას, მე კი გავთავდი კაცი. იმ ქორწილში 13.000 მანეთი შემოვიდა... ერთხელ ვანში, ქორწილში ერთი მთვრალი გადამევიდა, — „ჭიშკარია“ დაუკარიო. გონების თვალი გადავაღლე ყველა სიმღერას, რაც კი ოდესმე გამიგონია, მაგრამ „ჭიშკარია“ ვერ გავიხსენე. — არ ვიცი, ბატონო, ეგ სიმღერა-მეთქი. ისეთი მთვრალია, ფეხზე ძლივს დგას, მაგრამ მაინც მემუქრება, — დაუკარი, თორემ ავიღებ ამ ბარაბანს და თავზე დაგამსობო. — აბა, წელიდინე ერთი მაგი „ჭიშკარია“ და ეგება, მივხვდე, რაც გინდამეთქი. წალიდინების ნაცვლად დაიზმუვლა და მაინც ვერ გამაგებინა ვერაფერი. შემდეგ მუშტი მომიღერა, — მოგელაპარაკები, როგორც საჭიროაო. ვზივარ და კვლავ ვფიქრობ, — რა დავაშავე ასეთი, რომ ამისთანა ხალხში მომიწია ყოფნამ-მეთქი?! ის კი ჩემს მეგობართან მიბანცალდა და იმასთან „მიჩივლა“, — „ჭიშკარია“ ვთხოვე და არ უკრავსო. ის მუსიკოსი სიცილით მომიახლოვდა: — უცხოური სიმღერა რომაა, „ში იზ გოდის“ (ის არის ღმერთქალი), ის უნდაო. ეს სიტყვები მას „ჭიშკარიად“ დაუმახსოვრებია და დარწმუნებული იყო, რომ სიმღერას ასე ერქვა... ძმაცაი მყავს ერთი, ვანო ცინცაძე. გურულია, ძალიან ხუმარა და საინტერესო ად-

ლა ამას მიკვებდა. დაუუკარი ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... იქვე ზის ვანოს მოხუცებული დედა და გაკვირვებული მეკითხება: ბიჭო, იურა, აი რა არისო? ვუთხარი, — ეს ახალი ცეკვაა-მეთქი. გადაირია ქალი, — აგია ცეკვა? ნახევარი ბალანე ქე გააკეთესო...

— ალბათ, პანაშვიდზეც და-გოკრავთ, არა?


— თუკი ქორწილში დაკვრავთ იოლად ვთანხმდებოდი, ახლობლებმა იცოდნენ, რომ პანაშვიდებსა და დაკრძალვაზე დაკვრა ძალიან მალნიანებდა, ყველას უარით ვისტუმრებდი. ამიტომ ერთ-ერთმა ეშმაკობას მიმართა — სახლში მესტუმრა მეგობარი მიშა და მითხრა: ურეკვი ნათლობაა და მუსიკოსები უნდათ; ე, ბიჭო, იურა, რამდენი ხანია, ფული არ „გაგვიკეთებია“ და უარს ნუ მეტყვი, მე კლარნეტზე დავუკრავ, შენ — აკორდეონზე, მეტი არც გვინდა, ფულს კარგად გადავიხდინაო. მოკლედ, ისე მეხვეწებოდა, უარი ველარ ვუთხარი. ჩავედით ურეკვი. მივედივართ შუკაში და ვხედავ, ერთს ყვავილების კალათა მიაქვს, მეორეს — თაიგორი, ძირითადად შავოსნები მიდი-მოდიან. ჩემ გვერდით მიმავალ მიშას ეჭვით გავხედე, მან კი თვალი ამარიდა და ჩაიბურტყუნა, — მეც არ ვიცოდი, იურა, მგონი, დაკრძალვაზე მოვედითო. გამობრუნებას ვაპირებდი, მაგრამ მიშა წინ გადამიდგა: არ გამომჭრა ყელი და არ ნახვიდე, გველო-

დებიანო. მართლაც, დაგვინახეს თუ არა, მაშინვე გამოგვეგებნენ ჭირისუფლები. რაღა უნდა მექნა? შევედით ოთახში, სადაც მიცვალებული ესვენა. ისეთი ვარ, დანა რომ დამკრან, სისხლი არ გადმომივა. კარგა ხანს თვალს ვარიდებდი მკვდარს; ჯერ სამგლოვიარო და-ვუკარიო, მერე გულდასათუთქი სიმღერებით გავაგრძელეთ. ყოველი სიმღერის მერე მიშას ვუკურთხებ, ის კი ვითომც არაფერიაო, ისე იქცევა. უცებ, მიცვალებულისკენ გამექცა თვალი და რას ვხედავ — პირში ათლარიანი არ უდევს?! კინალამ გადავირიე. მიშას ვანიშნე, მივდივარ-მეთქი. ის ისევე წინ გადამიდგა და არ მიშვებს, თან კლარნეტზე უკრავს, თან — მოთქვამს: ევეჰ, ჩემო ლავრენტი (მახსოვს, ასე ერქვა იმ ცხონებულს), როგორ გიყვარდა კარგი სიმღერა და მოლხენა, ამიტომაც მოვედით შენთან, ბოლო გზაზე გასაცილებლად; ისიც მახსოვს, რავე ხელგაშლილი იყავი, ფული არასოდეს დაგნანებია, მარა აწი რომ ველარ გადაიხდიო?.. გულმა რაღაცა ცუდი მიგრძნო... წუთიც და მიშა აგრძელებს, — იმ ქვეყნად წასვლის წინ მაინც ქე გინდა, რომ შენებურად გეისარჯო, მარა გოუნძრევლად რო ნეცხარ, ეგ მიკლავს გულს... არ დეიდარდო, ჩემო ლავრენტი, მე დაგეხმარებიო, — თქვა და პირიდან ათლარიანი ამოაცალა... თვალთ დამიბნელდა... იქ რა ან ვინ გამაჩერებდა?! გიუივით გამოგვარდი... ცოტა ხანში მიშაც გამომყვა. დარცხენილი მომიახლოვდა და, — მაპატიე, იურა, ძან მიჭირდა, თვარა კი ვიცი, ამ ფერ ადგილებში სიარული რომ არ გიყვარს; აჰა, გამომართვი აგიო, — და ფული გამომიწოდა. მთლად დასაბმელი გავხდი: რად მინდა ფული, მაგას ხელს როგორ დავაკარებ-მეთქი?! — და უკანმოუხედავად გამოვიქეცი.

— ვიცი, რომ ახლა ბიჭების ტრიოს ასწავლით ხალხურ სიმღერებს.

— დიას, ისინი ჩემთან მოდიან და აქ, ჩემს სახლში გვაქვს რეპეტიციები. ორი ძმაა — შოთიკო და პავლე რამიშვილები, მესამე — ჩემი მოგვარეა, ცოტნე კორძაძე. მათ ძალიან უყვართ ხალხური სიმღერები და ბევრი ჯილდო თუ სიგელი აქვთ მიღებული. ბედნიერი ვარ, რომ მათთან ერთად იმ მარგალიტებს ვაგროვებ, რასაც ქართული ფოლკლორი ჰქვია.

P.S. ბოლოს, ბატონმა იურიმ თავის ბიჭებს დაუძახა, რომლებმაც ისეთი კონცერტი ჩაგვიტარეს, კარგა ხანს სუნთქვაშეკრული ვუსმენდით...



პანაშვიდებსა და დაკრძალვაზე დაკვრა ძალიან მალნიანებდა



გოთური იმიჯი ანუ შავოსნები თეთრი სახეებით

რატომ მიიჩნევენ გოთებს ვამპირებად

ვინ არიან გოთები? საიდან მოვიდნენ ეს შავოსანი ადამიანები, უცნაური მაკიაჟითა და ვარცხნილობით? რატომ უწინდება მოზარდს სურვილი, საზოგადოებისგან განსხვავებული იყოს? — ამ კითხვებზე პასუხის გაცემას სშირად მთხოვენ თინეიჯერების მშობლები. ვინაიდან მოზარდობის ასაკში არც გოთი გახლდით, არც პანკი და არც — ემო, თქვენი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, გოთების შესახებ ინფორმაცია ინტერნეტში მოვიძიე.

ლი იმიჯით გამოირჩეოდნენ — სშირად ატარებდნენ როგორც ქალის, ისე კაცის ტანისამოსს, დღევანდელი გოთი მამაკაცი კი იმიჯზე სხვანაირად ზრუნავს ანუ შეიძლება ითქვას, რომ ზომიერად უცნაურია.

სხვათა შორის, სწორედ გოთების სუბკულტურაში წარმოიშვა პირსინგი (რა თქმა უნდა, იგი ადრეც არსებობდა, მაგრამ თანამედროვე მოდაში სწორედ გოთებმა დაამკვიდრეს); ასევე გოთების შემოღებულია ტყავის სპეციფიკური სამაჯურები, შარვლები და ა.შ.

აუცილებელია განვასხვავოთ გოთიკა, როგორც ჩამოყალიბებული სუბკულტურა და გოთიკა — როგორც მუსიკალური მიმდინარეობა. ცხადია, ისინი ერთიმეორისგან დამოუკიდებლად ვერ იარსებებენ, მაგრამ ფაქტია, რომ გოთიკური სუბკულტურა დღეს მოდისა და სტილის ნაწილი გახდა.

გოთიკ-სუბკულტურის საწყის ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ 1979 წელი, როცა გამოვიდა სინგლი Bauhaus — Bela Lugosi's Dead. როგორც ამბობენ, სწორედ ამ სიმღერის შემდეგ გახდა გოთიკა ისეთი, როგორიც ახლაც, სიმღერა კი მიედგინა უნგრელ მსახიობს, რომელმაც 1931 წელს გადაღებულ ფილმში დრაკულას როლი ითამაშა.

90-იანი წლებიდან გოთიკ-მუსიკა განსაკუთრებით გერმანიაში, ამერიკასა და დიდ ბრიტანეთში განვითარდა, ჩამოყალიბდა ახალი ქვემიმდინარეობები — dark-wave, ethereal, dark folk, ჩამოყალიბდა გოთების სხვადასხვა ტიპი, შეიქმნა გოთიკ-რადიოები, ჟურნალები, გაზეთები, კლუბები, გაერთიანებები და სხვა.

გოთებს ცხოვრების თავისებური ფილოსოფია, მუსიკა და მსოფლმხედველობა რომ აქვთ, ამაზე არავინ დაობს. გოთური სტილი გავრცელებულია როგორც ლიტ-

ლიკა ქავია

თურმე, XX საუკუნის 70-იან წლებში, როცა ინგლისში პანკის ეპოქა დასრულდა, მან აბსოლუტურად განსხვავებული სახე მიიღო, რომელსაც თავდაპირველად, პოსტ-პანკად მოიხსენიებდნენ. ამ პერიოდშივე გამოჩნდა ისეთი ჯგუფები, როგორიცაა: Siouxsie & the Banshees, Bauhaus, Sex Gang Children, Joy Division, Southern Death Cult, Specimen და ა.შ. სწორედ ამ ჯგუფებმა შექმნეს გოთიკ-პოსტ-პანკ მოძრაობა, მაგრამ სულ მალე გოთიკა პანკს საერთოდ გამოეყო და ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი მიმდინარეობა. პირველი გოთიკ-როკ-ჯგუფები იყვნენ: Sisters of Mercy, Fields of the Nephilim, The Mission და სხვა.

პირველად ტერმინი „გოთური“ ინგლისურ პრესაში გაჩნდა მაშინ, როცა მუსიკალურმა კრიტიკოსებმა ჯგუფი Joy Division გოთებად აღიარეს. 80-იან წლებში ლონდონში ღამის კლუბი — DAT-KEIVI — გაიხსნა, სადაც მთელი ინგლისის გოთები იყრიდნენ თავს.

ჩამოყალიბდა ახალი მუსიკალური მიმდინარეობები: გოთიკ-როკი, გოთიკ-მეტალი. მუსიკოსი გოთები გერმანიაში, კერძოდ კი ლაიფციგში ყოველწლიურად, მუსიკალურ ფესტივალზე იკრიბებიან.

აღსანიშნავია, რომ გოთები, როგორც ერთ-ერთი თანამედროვე სუბკულტურის წარმომადგენლები, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობენ. სუბკულტურა აღმოცენდა გაერთიანებულ სამეფოში (1980-იან წლებში), გოთიკური როკის სცენაზე, როგორც პოსტ-პანკის განშტოება. გოთური სუბ-



კულტურა ასოცირებულია განსაკუთრებულ მუსიკალურ გემოვნებასთან, ესთეტიკასთან, მოდასთან.

გოთებს თავისებური იმიჯი აქვთ: მათ ტანისამოსში შავი ფერი ჭარბობს. ზოგიერთი მათგანი ვიქტორიანული ეპოქისთვის დამახასიათებელ აქსესუარებს — მაქმანს, ხელთათმანს, ცილინდრს — იყენებს; ქალები გრძელ კაბას, მამაკაცები კი ფრაკს ანიჭებენ უპირატესობას. ყურადღებას იქცევს რკინის სამკაულები და მკვეთრი მაკიაჟი, რომელსაც მამაკაცებიც იკეთებენ. გრძელ თმას შავად ან წითლად იღებენ, უცნაურ ვარცხნილობას ატარებენ. 70-80-იან წლებში, განსაკუთრებით მამაკაცი გოთები ანდროგენუ-



ერატურაში — ედგარ პო, ენ რა- ისი, ბრემ სტოკერი, მერი შელი, — ისე კინემატოგრაფიაში („დრა- კულა“, „ფრანკენშტეინი“ და ა.შ.), მულტიფილმებსა თუ კომიქსებში.

როგორც წესი, ადრეულ გო- თურ რომანებში ცენტრალურ პერ- სონაჟად წარმოდგენილი იყო გოგონა, რომელიც არის ლამაზი, სასიამოვნო ადამიანი, კეთილი, მორცხვი და თითქოს, სწორედ ამ იდეალიზმის გამო, ბოლოს ბედ- ნიერი ცოლქმრული ცხოვრებითა და სიმდიდრით ჯილდოვდება; იგი არის ზედმეტად გულჩვილი და ზოგჯერ — მარტოსულიც. მას უყვარს ტყეებში სეირნობა, მთვა- რის შუქზე ოცნება და დაძაბულ მომენტებში კი ხშირად მისდის გული...

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ- სებობს გოთების რამდენიმე ტიპი: Mopey Goths-ის მიმდევრები- სთვის გოთიკა მთელი ცხოვრე- ბაა. ისინი მარტოსულები, დეპრე- სიულები, ჩაკეტილები არიან და სწორედ ამიტომაც მიიჩნევიან 100%-იან გოთებად.

Perky Goth-ის მიმდევრები აქ- ცენტს იმიჯზე აკეთებენ, მათთვის დეპრესია უცხო ხილია ანუ „ლაით“ გოთები არიან; მათთვის გოთიკა მხოლოდ ფეტიშია და მის მიმდევ- რებს ამიტომაც უწოდებენ „ძალით“ გოთებს.

Antiquity Goth — ასეთი გოთე- ბი იმოსებიან გარკვეული ეპოქის ტანისამოსით ანუ შეიძლება ითქ- ვას, რომ ისინი, ფაქტობრივად, სხვა ეპოქაში ცხოვრობენ.

kiber-გოთები თმას არაბუნე- ბრივ ფერად იღებენ, ვარცხნი- ლობაც გამორჩეული აქვთ და თვალბეჭდვით არაბუნებრივი ფერის

ლინზებს იდგამენ.

pank-გოთები რკინის სამკა- ულებს ატარებენ, დახეულ ჯინს- სა და ტყავის ქურთუკს ანიჭებენ უპირატესობას.

Corporate Slave Goth — ესენი არიან უბედური გოთები, რომ- ლებიც იძულებულნი არიან, კორ- პორატიული ტანისამოსი ატარონ, მაგრამ უნიფორმაში გოთური ელ- ემენტების შეტანას მაინც ახერხ- ებენ. მიუხედავად ამისა, რასა- კვირველია, თავიანთი სტილით არანაირად არ ჰგვანან გოთებს და ამიტომაც მოიხსენიებიან კორ- პორაციის მონა გოთებად.

Glitter Goth, Fairy Goth — ამ და- ჯგუფებაში მხოლოდ გოგონები არიან ანუ ისინი, ვინც ცდილობენ ფერიებსა და სხვადასხვა მითურ გმირს მიჰბაძონ. მათი ჩაცმის სტი- ლი ორიგინალური და ბავშვურია. კერძოდ — ზოლიანი ტანისამო- სი, მოკლე კაბები, ტოპი, ორიგი- ნალური თმის ფერი და სხვა.

Vampyre Goth — ისინი თავს ვამპირებად მიიჩნევენ და ხშირ- ად, ასეთები არიან. ბრიტანეთში არის რამდენიმე კლუბი, სადაც ვამპირი გოთები იკრიბებიან და იმართება ე.წ. Vampyre party. ხშირ- ად ისინი სახეს თეთრად იღებენ, რათა მიცვალებულებს დაემსგავ- სონ.

არსებობს კიდევ რამდენიმე და- ჯგუფება: ფეტიშ-გოთი, ვესტერნ- გოთი და ა.შ.

გოთიკის პოპულარიზაციაში დი- დი როლი ითამაშა ინტერნეტმა, სხვადასხვა ფესტივალმა: Wave Go- tik Treffen (გერმანია), Whitby Gothic Weekend (ინგლისი), Convergence (აშშ).

ალსანიშნავია, რომ 90-იან წლებ-

ში ჩამოყალიბდა გოთიკის მეტ- ალ-განხრა ანუ გოთიკ-მეტალი.

საზოგადოების უმეტესობა, გან- საკუთრებით საქართველოში, გო- თებს აკრიტიკებს. მათ სუიციდის (ზოგიერთი გოთი თვითმკვლელო- ბის ინსცენირებას ვენების ვითო- მდა გადაჭრით ახდენს. ბოლოს და ბოლოს, გოთები ხომ არტის- ტულობით გამოირჩევიან), დეპ- რესიის, სატანიზმის, ვანდალ- იზმისა და სხვა უარყოფითი მოვ- ლენების პროპაგანდაში ადანა- შაულებენ. მიიჩნევენ, რომ ისინი უჩვეულოდ შეუწყნარებლები, მო- ძალადეები, ვამპირები, სადომა- ზონისტები არიან.

მართალია, გოთებს აქვთ გან- საკუთრებული შეხედულება სიკვ- დილსა და სიცოცხლეზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ უყვართ სიკვდილი, რომ სუიციდ- ისკენ მიდრეკილნი არიან. დღევან- დელი გოთების აზროვნება და წარმოსახვა ძალიან ჰგავს ამავე სახელწოდების მქონე, ძველი ჩრდილოელი გერმანული ტომებ- ის წარმოდგენებს სამყაროზე. ისინი იყვნენ ბუნების შვილები და არა — მისი მბრძანებლები. ეს გოთური ტომები ყოველდღიურ ცხოვრებაში პრობლემებს აწყდე- ბოდნენ და მათ გადასაწყვეტად იბრძოდნენ. ალბათ, სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ გოთური მი- თოლოგია ძირითადად, მუქი სი- უფეტებითაა წარმოდგენილი და უმეტეს შემთხვევაში, მას ტრაგიკუ- ლი დასასრული აქვს.

ამბობენ, რომ გოთებს ღმერთი არ სწამთ და მიაჩნიათ, რომ მათ გარდა სამყაროში არავინაა; ვერ- ავის ამჩნევენ, დახეტებებიან საფ- ლავებზე და დროს ასე კლავენ... ზოგიერთის აზრით, ყოველ ჩვენ- განში შეიძლება იყოს მეორე მე, რომელიც ამა თუ იმ სიტუაციაში გვიბიძგებს იმისკენ, რომ ვიყოთ დეპრესიულიც, მელანქოლიურიც, მთვარის შუქზე მეოცნებეც, სამ- ყარო ბნელ ფერებში დავინახოთ და შავი ტანისამოსი ჩავიცვათ ანუ თითოეულ ჩვენგანში შეიძლება ცხოვრობდეს გოთი, რომელიც ხანდახან შეგვახსენებს თავს...

ხშირად გოთები ემოებში ეშლე- ბათ. სინამდვილეში, ემოები პანკე- ბისაგან ჩამოყალიბდნენ და ისინი ყველასაგან გამორჩეულები არიან, მათ „ჩოლკა“ ნახევარ სახ- ეს უფარავთ ანუ დაფარული სახ- ით გლოვობენ და ტირიან. მიიჩ- ნევა, რომ ემოები სიმართლის მოყვარულები არიან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ანგელოზე-





ბი გახლავან. პირიქით — ხშირად აფერისტობენ, ქუჩაში ყვირილით, ტირილით დადიან და საზოგადოების ყურადღებას ასე იქცევენ; უნდათ სხვებს დაანახონ, თუ როგორი უბედურები არიან. მოკლედ, მათაც თავიანთი სამყარო და წესები აქვთ.

გოთების სიმბოლოდ ანხი მიიჩნევა — ძველი ეგვიპტური ჯვარი ანუ „ნილოსის გასაღები“, როგორც მას ეგვიპტელები ეძახდნენ, მოდური ფილმის — „შიმშილი“ — გამოსვლის შემდეგ გახდა.

სტალკერ-ბოთები

გოთებზე საუბრისას, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ სტალკერ-გოთები ცნობილ ადამიანებს, რომლებიც უმეტესწილად, სხვადასხვა გოთური წრებიდან განდევნილი ხალხია და ამიტომაც, მათდამი ცუდი დამოკიდებულება აქვთ.

სტალკერებისთვის დამახასიათებელი იმიჯი ასეთია: გრძელი შავი თმა, შავი ჯინსი, გრძელი შავი ლაბადა, მოწყენილი თვალები, რომელსაც ხშირად, მუქი სათვალთ მალავენ. ისინი ემალებიან მზეს, უყვართ მარტოობა და ხეტიალი ძველ, დანგრეულ შენობებში. სტალკერ-გოთები ძირითადად, მალალი ინტელექტის მქონე, რთული ხასიათის ადამიანები არიან. ბევრი მათგანი თავს არარეალური ძალის მქონე პიროვნებად მიიჩნევს.

სტალკერ-გოთებმა ანუ შავი სუბკულტურის წარმომადგენლებმა მოღვაწეობა XXI საუკუნის დასაწყისში დაიწყეს. მართალია, ისინი დეპრესიულები არიან, მაგრამ სხვა გოთებისგან განსხვავებით, მათი დეპრესიის გამომწვევი მიზეზი დანგრეული შენობები, მიტოვებული სასაფლოებია. ჰოდა, სტალკერ-გოთებს ამიტომაც მიიჩნევენ გლობალური კატასტროფის, ცივი ომის, პირქუში ქალაქების შვილებად. ბევრი სტალკერი გატაცებულია მაგიით, მისტიკით და ცხადაა, შესაბამისი ლიტერატურის კითხვაც იზიდავთ. ისინი ცდილობენ, თავიანთი ექსპერიმენტები დანგრეულ ან ნახევრად განადგურებულ ადგილებში ჩაატარონ, რადგან სწორედ იქ პოულობენ აურას, რომელიც თურმე, რიტუალების ჩასატარებლად სჭირდებათ.

სტალკერების უმეტესობა ფოტოგრაფიითაა გატაცებული და როგორც წესი, სამყაროს შავ-თეთრ ფერებში აღიქვამს. ბევრი მათ-

განი სიამოვნებით პოზიორობს დანგრეული შენობის ფონზე.

ყოველდღიურ ცხოვრებაში სტალკერ-გოთები სხვებისგან არაფრით გამოირჩევიან, უბრალოდ, მათ კარჩაკეტილებად მიიჩნევენ, რადგანაც ქუჩაში იშვიათად გადადიან, ხალხმრავალ ადგილებს ვერ იტანენ.



სიმართლე გითხრათ, დიდხანს ვეძებდი ქართველ გოთებს, მაგრამ მათ ასავალ-დასავალს ვერ მივაკვლიე. სამაგიეროდ, მათ შესახებ საკუთარი მოსაზრების დაფიქსირება არა გოთ, პანკ ან ემო თინეიჯერებს, არამედ ჩვეულებრივ, სხვებისგან არაფრით გამორჩეული იმიჯის მქონე მოზარდებს ვთხოვე.

გიო, 16 წლის:

— მე არც გოთი ვარ და არც პანკი, მაგრამ მერწმუნეთ, მათ არასდროს ვაკრიტიკებ. არავის საქმე არაა, ვინ როგორ ჩაიცვამს, ქუჩაში რას გააკეთებს, იცინებს თუ არა.

— **საინტერესოა, თუ შეძლებ მეგობრობას ისეთ ადამიანთან, რომელიც გამუდმებით ცუდ ხასიათზეა, დეპრესიულია?**

— არა, ამას ნამდვილად ვერ შევძლებ. ეს რომ შემეძლოს, ალბათ, გოთიც გავხდებოდი. საბედნიეროდ, ძალიან მხიარული, სი-

ცოცხლის მოყვარული მეგობრები მყავს და მოწყენისთვის დრო არც გვრჩება.

ნია, 17 წლის:

— ასეთი მოზარდების არ მესმის. კაცო, ის არ გვეყოფა სადარდებლად, ოჯახში პრობლემები რომ გვაქვს? ძალით რატომ უნდა შევიქმნათ პრობლემები და ავიტყვივით აუტყვივარი თავი?

— **გოთების იმიჯი თუ მოგონოს?**

— რა მოსაწონია ჩაშავებული თვალების ან უძალიანესად გათეთრებული სახის კანის ყურება? არც შავებში გამონყობილი ადამიანები მომწონს. პირადად მე, შავი საცვალის კი არა მაქვს, ყველაფერი ფერადი მიყვარს.

სალი, 18 წლის:

— ქართველებს ნამდვილი გოთები არ გყავს. უბრალოდ, ზოგიერთ თავქარიან მოზარდს სურს, ხალხის ყურადღება მიიქციოს და ქუჩაში ჩაშავებული თვალებით გამოდის. ნამდვილ გოთებს ვიცი, რომ სასაფლაოზე ხეტიალი იზიდავთ, მათ ამის მოთხოვნილება აქვთ. აი, ქართველ გოთებს რომ ეხვეწო, — ღამით სასაფლაოზე შედიო, უარს იტყვიან, ხოლო თუ იქ ძალით შეიყვანთ, შეიძლება, შიშისგან მარცხიც მოუვიდეთ. ჰოდა, თავად განსაჯეთ, ჩვენი ე.წ. გოთები ასეთ იმიჯს რატომაც იქმნიან.

მამულირა, 19 წლის:

— პანკები მევასება, ძალიან სასაცილო და საყვარელი ხალხია, აი, გოთების კი რა მოგახსენო... საერთოდ, დეპრესიულ ადამიანებთან ურთიერთობა არ მიყვარს, მით უმეტეს, როცა ისინი პრობლემებს ძალით იქმნიან.

— **შენი აზრით, გოთები მართლა ვამპირები, სატანისტები არიან?**

— ნაღდ გოთებზე ვერაფერს გეტყვი, მაგრამ ქართველებზე ამას ვერ ვიტყვი. ვიცნობ გოგონას, რომელიც საკუთარ თავს გოთს უწოდებს, მაგრამ ეკლესიაშიც დადის და მოძღვარაც ჰყავს...

ზონა, 17 წლის:

— რის გოთები, რა გოთები?! დავიჯერო, საქართველოში გოთებიც გყავს? პირადად მე, ასეთი ადამიანი არასდროს ვემხვედრია და მათზე ვერაფერს ვიტყვი... მე თუ მკითხავთ, გოთებად არ უნდა მოვიხსენიოთ ის ადამიანები, რომლებიც მათ მხოლოდ იმიჯით პზა-ძავენ.



გიგლუსი

გიგლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია



ზენ ბაცალიგოს

ზენ ბაცალიგოს თოვლსა თოვს,
ქვენ ბაცალიგოს შრებისა,
თინიბეჯაურთ ციხესა
ყუთხე მარჯვენა სკდებისა.
ზედა ზის შავი ყორანი,
ლიბოში გველი ძვრებისა,
შიგა წევს თინიბეჯაი,
გულსუნადინოდ ჯვლებისა,
გვერდს უზის ცოლი ლამაზი,
სანთელივითა ღნებისა.

ხალხური

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოსცემული
ქართული ენის
ბანგარტაბითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით
შემდგენელი თეგურ ივანიძე

თ

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-44

თაყვანი — თაყვანს სცემს 1. ემსახურება როგორც წმინდა უზუნაეს ძალას, ლოცულობს მასზე; 2. მეტისმეტად დიდ პატივს სცემს — ეთაყვანება; 3. (ძვ.) მდაბლად თავის დაკვრით მიესალმება.

თახახი — ქსოვილის გასახამებელი ნივთიერება; სისმელე ზოგი ახალი, უხმარი ქსოვილისა.

თახჩა არაბ.-სპ. კედელში დატანებული სათავსი, ჩვეულებრივ უკარო, ჭურჭლისა და სურსათისათვის.

თაჯი არაბ. (ძვ.) — სამეფო გვირგვინი.

თაჯა — ჯავახური პური.

თებო — თმის ცხიმი და ჭუჭყი.

თეგი — მიწაში ჩარჩენილი მსხვილი ძირი მოჭრილი ფიჩხის ან გათიბული ბალახისა.

თეგი — ვარაყის დასაკვრელი ხელსაწყო — ტვიფრი.

თევზიზური — ირიბად ნაქსოვი ან ნაგები.

თეზაფი სპ. — აზოტმჟავასა და მარილმჟავას ნარევი, რომელშიც ოქრო იხსნება.

თელხი (კუთხ.) — სიო, ნიავი.

თემშარა — სოფლის შარაგზა.

თეო — ადგილი ცხვრის ბინის გარშემო, სადაც ძაღლები დარაჯობენ.

თერძი — მამაკაცის ტანსაცმლის მკერავი.

თეჯა — 1. ნაბდისგან შეკერილი ზედა ჩასაცმელი; 2. იგივეა, რაც ნაბადი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



სულხან-საბა ორბელიანი

სულხან-საბა ორბელიანი იყო დიდი მწერალი, მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწე, რომელიც 1658 წელს ბოლნისის რაიონის სოფელ ტანძიაში დაიბადა. შთამომავლობით სულხან-საბა დიდგვაროვანი ფეოდალი გახლდათ. მამა — ვახტანგ ორბელიანი ქართლის სამეფოს მდივანბეგი იყო, დედა — თამარი ზაალ არაგვის ერისთავის ასული. სულხან-საბა ორბელიანი ხშირად სტუმრობდა სამეფო კარს, სადაც თავის უფროს მამიდაშვილებთან, ვახტანგ V-ს ვაჟებთან ერთად იზრდებოდა. მან მიიღო შესანიშნავი განათლება, როგორც საერო, ისე სასულიერო დისციპლინებში. მომავალში მასვე დაევალა ტახტის მემკვიდრის ვახტანგ VI-ის (ლევანის ძის) აღზრდა. ორბელიანი ახალგაზრდობიდანვე აქტიურად იყო ჩაბმული სამწერლო და სამეცნიერო საქმიანობაში. მან შექმნა იგავ-არავთა კრებული — „სიბრძე სიცრუისა“, რომელშიც კარგი ქართული ენითა და იუმორით გადმოსცა თავისი დროის მონინავე იდეები და ზნეობრივი იდეალები. ორბელიანის მოღვაწეობა მწერლობის განვითარებასთან ერთად, მიზნად ისახავდა სამეცნიერო დარგების განვითარებას. ენციკლოპედიურ

ელემენტებს შეიცავს მისი ქართული ლექსიკონი — „სიტყვის კონა“, რომელიც გამოირჩევა იმ დროისათვის მონინავე მეთოდოლოგიის გამოყენებით, უმდიდრესი ფაქტობრივი მასალის მოხმობით. მის კალამს ეკუთვნის ასევე პროზაული ნაწარმოებები — „სწავლანი“ და „მოგზაურობა ევროპაში“. მხატვრული პროზის უბადლო ოსტატმა დაამუშავა მსოფლიო ლიტერატურის ჩინებული ძეგლი — „ქილილა და დამანა“. ეს პროზაული ნაწარმოები დიდი რაოდენობით შეიცავს სხვადასხვა ფორმის ლექსს... ორბელიანი გახლდათ არა მარტო პოეტი და პროზაიკოსი, არამედ აქტიური



გარეჯის, იოანე ნათლისმცემლის მონასტერში. გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებით, ორბელიანმა კათო-

„კეთილი ხე კეთილს მოიბამს, თვარა თავით თვისით ხილი უნერგი კარგი არ იქმნება, და არც ალქატი ხე რწყითა და კაზმით გაკეთდება“.
წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“

საზოგადო მოღვაწე. 1698 წელს პოლიტიკური მიზეზების გამო, იგი საბას სახელით ბერად აღიკვეცა დავით-



სულხან-საბა ორბელიანის სახლ-მუზეუმი ტანძიაში

„მცურავი ერთი მოჰქონდა წყალსა. თქვა: ღმერთო, მიშველეო! მეორე ამხანაგმა უთხრა: ხელი გაიქნიე, გახვალ და ნაშველი იქნებიო!“
არაკი „უგუნური მცურავი“



ლიკური აღმსარებლობა მიიღო. იგი დიპლომატიური მისიით მოგზაურობდა ევროპაში (საფრანგეთი, იტალია) და ცდილობდა, საქართველო დაეხსენა ირან-ოსმალეთის ტყვეობისგან. ამ მიზნით იგი შეხვდა საფრანგეთის მეფეს — ლუი XIV-ს, რომელმაც ცივი უარით გაისტუმრა ქართველი დიპლომატი. იმედგაცრუებულმა ორბელიანმა დიდი გაჭირვებით ჩამოაღწია სამშობლოში. 1724 წელს ვახტანგ VI-მ რუსეთში გადახვეწა გადაწყვიტა. მან წინასწარი მოლაპარაკებებისთვის მოსკოვში ორბელიანი გაგზავნა. ხანდაზმულ მწერალს არ დასცალდა უკანასკნელი მისიის აღსრულება, იგი მოსკოვში 1725 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია ვსევიატსკოეში.



ანტიმოზ ივარიელი

ლევან სანიასიძე „ნიგნი მოხაბათა“

ვახტანგ მეექვსის კიდევ ერთი საყვარელი ადამიანისათვის საბედისწერო გამოდგა 1716 წელი.

მან ისტორიაში დაივიანა ანტიმოზ ივერიელის სახელით.

დაიბადა დასავლეთ საქართველოში, 1650 წელს.

ყრმობის სახელი — ანდრია.

მამა — ივანე (ან იონა).

დედა — მარიამი.

გვარი — დღემდე არავინ იცის.

თექვსმეტი წლის ბიჭი მოითაცეს თურქებმა.

ჰყიდდნენ სტამბოლში, მონათა ბაზარზე.

ბიჭი იყიდა იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა.

იერუსალიმის საპატრიარქო მამინ სტამბოლში იყო და ოცდასამი წელიწადი აქვე დარჩა ანდრია.

ალბათ, იმჟამად დაერქვა ახალი სახელი — ანტიმოზ.

იგი უთარგმნიდა საქართველოს კათალიკოსის წერილებს იერუსალიმის პატრიარქს და უდგენდა საპასუხო ეპისტოლეებს ქართულ ენაზე, საქართველოში გამოსაგზავნად.

საოცარი ნიჭიერება და მისწრაფება გამოაჩნდა სწავლა-განათლებლისადმი, ბრწყინვალედ შეისწავლა საღვთისმეტყველო და საერო ლიტერატურა, ფილოსოფია, რიტორიკა და ხელოვნების დარგები. სრულად დაეუფლა ბერძნულ, არაბულ და თურქულ ენებს. იმეფათი უნარი ჰქონდა ძერწვისა, ქვაზე და ხეზე მკვეთლობისა, ოქრომჭედლობისა, მხატვრობისა, კალიგრაფიისა, ხუროთმოძღვრებისა, სასტამბო ხელოვნებისა.


1690 წელს ვალახეთის მთავარმა კონსტანტინე ბრინკოვიანუმ, რუმინეთის დიდმა კულტურულმა რეფორმატორმა, წაიყვანა ანტიმოზი სტამბოლიდან ბუქარესტში. წაიყვანა, რამეთუ მისი ხალხისა და ქვეყნისათვის მოუხმარა ამ საოცარი ქართველი კაცის მრავალმხრივი განათლება და ოსტატობა.

ვალახეთში ანტიმოზი მალე დაეუფლა რუმინულ და საეკლესიო სლავურ ენებს.

1691 წელს ანტიმოზ ივერიელმა ბუქარესტში დააარსა სტამბა და იმავე წელსვე დაბეჭდა პირველი ნიგნი, გადმოთარგმნილი ძველბერძნულიდან ახალ ბერძნულ ენაზე — „შეგონებანი ბასილი მაკედონელისა თავისი ძის ლეონისადმი“. ამას მოჰყვა „ბერძნულ-რუმინული ლიტურგია“ და „ფსალმუნნი“. ყოველი ნიგნი განყოფილი იყო დიდი ოსტატობით, მაღალი გემოვნების სამკაულებით, გრავიურებით. თვი-

თონ ანტიმოზის ნახელავეებით.

1694 წელს ანტიმოზი გადავიდა სნაგოვს, ბუქარესტიდან ოცდასთმეტ კილომეტრზე. აქ ტბაზე და კუნძულზე ნახევრად დანგრეული და დავიწყ-



ებული მონასტერი იყო. ანტიმმა (ასე ეძახდნენ მას რუმინეთში) მონასტერი ალადგინა და იქვე დააარსა ახალი სტამბა.

სულ მალე სნაგოვი ქვეყნის დიდი კულტურული შუაგული შეიქნა. აქ იბეჭდებოდა ნიგნები ბერძნულ, რუმინულ და არაბულ ენებზე. სტამბის გვერდით ანტიმოზმა ტოპოგრაფიული სკოლაც გახსნა. სასულიერო სამსახურიც მას ებარა, ვითარცა სნაგოვის მონასტრის ილუმენს.

მაგრამ ანტიმოზსაც მალე აედევნა მარადიული მტერი მაღალგონიერი კაცისა და მოღვაწისა — შური!.. არავინ იცის, როგორ და რანაირად, მაგრამ მოახერხეს კი მის მიმართ მეუფის გულისწყრომის გამოწვევა. და ანტიმოზი იძულებული გახდა სნაგოვი დაეტოვებინა. იგი ასეთ წერილს სწერს კონსტანტინე ბრინკოვიანუს: „... სნაგოვის მონასტერიც ძალით არ ჩამიგდია მე ხელში. ეს შეიძინა წელიწადი, როცა მე იქ ვმუშაობდი, ბევრი რამ სასიკეთო გამიკეთებია ჩვენს საგანეთა საკეთილდღეოდ (გამიკეთებია არა სახლის რაიმე შემოსავლებით, არამედ ჩემი სახიდანვე ჩამოქცეული ოფლით. ჩემს შესახებ ჩემი საქმენი მეტყველებენ). და თუმცა თქვენს უდიდებულესობას არ სურდა იქიდან ჩემი წამოსვლა, მაგრამ დარჩენაც არასგზით აღარ შემეძლო, ხოლო ვისაც ეს სურდა, დაე ღმერთის წინაშე აგოს პასუხი. მიუხედავად ყოველივე ამისა,

მე იქიდან წამოველ სუფთა პატიოსნებით, თუმცა არავის მადლობა არ უთქვამს ყოველივე იმისათვის, რაიც მე გავაკეთე და დავამატე ჩვენი სავანის დიდებამოსილებისათვის. მე არაფერი არ გამიფუჭებია და, ღმერთი ჰხედავს, არც ვალები არ დამიტოვებია“.

ბრინკოვიანუ მალე მიხვდა, რომ ანტიმოზ ივერიელისადმი მისი გულისწყრომა უსაფუძვლო იყო.

1705 წელს ანტიმოზი განაწესეს რიმნიკის ეპისკოპოსად.

ჩასვლისთანავე რიმნიკში სტამბა გახსნა ივერიელმა.

მანამდე რუმინეთში საეკლესიო სამსახური ან სლავურ ენაზე წარმოებდა, ან ბერძნულ ენაზე და აი, ანტიმოზ ქართველი გახლდათ პირველი, რომელმაც გადაწყვიტა, წირვა-ლოცვა და სასულიერო თუ საერო ნიგნის კითხვა ხალხისთვის მშობლიურ რუმინულ ენაზე შემოეღო. ამისთვის უპირველესად ყოვლისა, საჭირო იყო ნიგნების თარგმნა და ბეჭდვა რუმინულ ენაზე. და ყველაფერი ეს გააკეთა ისევე ანტიმოზ ივერიელმა: შექმნა სტამბა რუმინულ ენაზე, თარგმნა და ბეჭდა რუმინულ ენაზე, დაიწყო სასულიერო-საეკლესიო სამსახური რუმინულ ენაზე.

ეს სწორედ რომ დიდი კულტურულ-ეროვნული რეფორმა იყო.

1708 წელს ანტიმოზ ივერიელი შეიქნა სრულიად ვალახეთ-რუმინეთის ეკლესიის უმაღლესი საჭეთმპყრობელი — მიტროპოლიტი.

მიტროპოლიტად კურთხევის დღეს ანტიმოზ ივერიელმა წარმოთქვა ბრწყინვალე სიტყვა რუმინულ ენაზე. ანტიმოზი წამდვილი სასულიერო მამა შეიქნა რუმინელი ხალხისა.

ყველაზე მძაფრად თურქული მბრძანებლობის სიმწარეს განიცდიდა თურქთაგან მოტაცებული და თურქთაგან გაყიდული კაცი. ორივე სამშობლო — საქართველოც და რუმინეთიც — ერთიანი უღლის ქვეშ ეგულებოდა დიდ მამულისშვილს, ამიტომ რუმინეთის გათავისუფლებისათვის ბრძოლა საქართველოსთვის ბრძოლის წყურვილს ურწყულებდა საქართველოდან გადაკარგულ კაცს.

პატარა რუმინეთს დიდ თურქეთთან ბრძოლა ძალიან უნდა გასჭირვებოდა. ამიტომ ანტიმოზ ივერიელი „ერთმორწმუნე რუსეთთან“ და მის ხელმწიფე პეტრე პირველთან კავშირს მოუწოდებდა რუმინეთის სახელმწიფო მესვეურებს.

1711 წელს, თურქეთსა და რუსეთს შორის ატეხილ ომში, პრუტზე გამართული ბრძოლის დროს, ანტიმოზ ივერიელმა აიძულა რუმინელი სარდალი თომა კუზინო, თავისი ჯარით რუსთა მხარეზე გადასულიყო.



ამან განარისხა კონსტანტინე ბრინკოვიანუ, რომელსაც ამ ომში თურქთა მხარე ეჭირა. ისევ ისარგებლეს მო- შურნე ლაყეთავიანებმა და შეუჩნდნენ ბრინკოვიანუს, მოიშორე თავიდან „ეგ უცხოელი“.

1712 წელს ანთიმოზს ბრინკოვიან- ნუმ კაცი გაუგზავნა და მიტროპოლი- ტობიდან თავის ნებით გადადგომა ურჩია. ყველაზე მძიმე ბრალდებად ანთიმოზს წაყენებული ჰქონდა „მთავ- რის ინტერესთა დალატი“ და „უცხო- ური წარმომავლობა“.

ანთიმოზმა ორჯერ გაუგზავნა წე- რილი ბრინკოვიანუს. პირველი ბრალ- დების უსაფუძვლობა ადვილად დაა- საბუთა, მეორეს კი რას მოუხერხებდა — აკი მართლაც უცხოელი იყო!

და თვითონვე ითხოვა მიტროპო- ლიტობიდან გადადგომა.

კონსტანტინე ბრინკოვიანუ ისევ მიხ- ვდა თავის უსამართლო განჩინებას და ისევ აიღო ხელი ივერიელის „დევ- ნაზე“.

თურქებმა ზედიზედ სიკვდილით და- საჯეს კონსტანტინე ბრინკოვიანუ და სტეფან კანტაკუზინო და მათ ნაც- ვლად მთავრად დანიშნეს მავროკორ- დატი, თურქთა ყურმოჭრილი მონა და რუსეთის დიდი მოძულე.

ეს დიდი უბედურება უნდა ყოფი- ლიყო უპირველესად ყოვლისა ანთი- მოზ ივერიელისათვის.

მას უამსვე ატყდა ომი თურქეთსა და ავსტრიას შორის. რუმინეთის მიტ- როპოლიტი, ანთიმ ივერიელი, თურ-

ანთიმოზი ნამდვილი სასულიერო მამა შეიქნა რუმინელი ხალხისა.

ქეთის მტრად დარჩა. მავროკორდატი უწყალოდ გაუსწორდა ანტითურქუ- ლი მოძრაობის მეთაურებს. მისი ბრძა- ნებით ანთიმ ივერიელი, ვითარცა „რე- ვოლუციონერი და მოაჯანყე“, გადა- ყენებული იქნა მიტროპოლიტის ტახ- ტიდან და მიესაჯა სამუდამო გადა- სახლება სინას ნახევარკუნძულზე, წმიდა ეკატერინეს მონასტერში.

მიტროპოლიტის მიტრა მოჰხადეს და მისთვის ყველაზე საძულველი თავსარქმელი — თურქული წითე- ლი ფესი დააკოსეს. ბორკილები და- ადეს, საბარგულზე დააგდეს და ია- ნიჩარებით გარშემორტყმული სამ- ხრეთისაკენ გაუყენეს.

მაგრამ გადასახლების ადგილამდე მიყვანით არ შეუწუხებიათ თავი. ად- რიანოპოლს რომ მიუახლოვდნენ, ან- დრია ქართველი (მას უკვე აღარ ეძახ- დნენ ანთიმოზს) თურქმა იანიჩარებმა ხმლებით დაჩხეს, დააფუშოვეს და

ნაწილ-ნაწილად მდინარე დაუჩიაში ჩაუშვეს.

ეს მოხდა 1716 წლის 12 სექტემ- ბერს.

ასე ალესრულა კიდევ ერთი ქარ- თველი, სამშობლოდან მწარე და ბო- როტი ბედისწერის წყალობით გადა- კარგული, „უცხო ხალხის“ ეროვნული ისტორიის მჭედელი, განმანათლებე- ლი, სულიერი და სარწმუნოებრივი მოძღვარი, რეფორმატორი და „რე- ვოლუციონერი“, ვახტანგ მეექვსის თა- ნამდგომი („თანამესტამბე“) მისი სვე- გამწარებული სამშობლოს სულიერი აღზევებისათვის ბრძოლაში.

ქართული პრინციპის საგანძური

ტომი №37
ლევან სანიკიძე
ნანილი II

ლევან სანიკიძე
ნიანი მოწაპითა

37 ნანილი II

თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის!

ყოველ ხუთშაბათს, ყურნალ „გზასთან“ ერთად შეიძინეთ ცნობილი ქართველი მწერლების თითო ტომი

თამაზ ჭილაძე	ლეო ქიარელი	ვაჟა გიგაშვილი

უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში

- №1 ბურაბ დონაშვილი
- №2 მიხეილ ჯავახიშვილი
- №3 ნოდარ დუმბაძე
- №4 ილია ჭავჭავაძე
- №5 ბურაბ რეპულიშვილი
- №6 ვახ-ფშაველა
- №7 რეზო ჭიჭიშვილი
- №8 აკაკი წერეთელი
- №9 ბურაბ ბაგაშიძე
- №10 ფაბიო კლდიაშვილი
- №11 ოტია იოსელიანი
- №12 ბრიგოლ აბაშიძე (ნიანი-I)
- №13 ბრიგოლ აბაშიძე (ნიანი-II)
- №14 არჩილ სულაკაური
- №15 ნიკო ლორთქიფანიძე
- №16 გოდერძი წიხელი
- №17 ლევან გოთუა
- №18 აპო მორჩილაძე
- №19 ვახტანგ ბარნოვი
- №20 თამაზ გიგაშვილი
- №21 რეზო ინანიშვილი
- №22 ნიკო ლომოური
- №23 ბურაბ ფანავიძე
- №24 კონსტანტინე ბაგსახურდია (კარი-I)
- №25 კონსტანტინე ბაგსახურდია (კარი-II)
- №26 კონსტანტინე ბაგსახურდია (კარი-III)
- №27 ელიზარ ყიფიანი
- №28 ლავრენტი არღანიანი
- №29 მირაზ ელიოზიშვილი
- №30 ალექსანდრე ყაზვავი
- №31 ნუგზარ შატაიძე
- №32 უიარაღო (კონდრაძე თათარიშვილი)
- №33 დიმიტრი შინგალია
- №34 იაკობ გოგებაშვილი

წიგნის ფასი **3** ლარი!
11-დან - 18 ნომბრამდე!

გამოიწერეთ **გზა** და საგანძურის ყველა ტომს ადგილზე მოგართმევთ „**კვანძი**“ ბაზ: 38 26 73; 38 26 74



ნანარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

ინტერვიუ მიცვალებულთან

დასაწყისი იხ. „გზა“ №24-44

რუსუდან პერიკა

— დარწმუნებული ხართ? — გოცებისგან თვალები გაუფართოვდა ლაშას.

— რა თქმა უნდა.

— ნამდვილად არაფერი გეშელება? — მაინც ჩაეძია ლაშაფური.

— არა-მეთქი, გეუბნები, აქ არიან ის დასანავაგები, აქ! — რუკას თითი ისე გამეტებით დააჭირა გიგამ, თითქოს გახვრეტას უპირებსო. — აკი გითხარი, რომ როგორც კი ბენზინით სავსე კასრს მიუჯახლოვდი, მაშინვე ჰაერში აიტაცეს და ჩემკენ გამოაქანეს. ბენზზე ვარ გადარჩენილი და შენ კიდევ მეკითხები, ხომ არაფერი გეშელებაო?

— ისევ იმ სისულელეს უყვები, ხომ? — უსაყვედურა ქმარს ოთახში შემოსულმა შორენამ. — ნუ დაღალე ეს პათიოსანი ადამიანი. ნამგზავრია, ძილი და მოსვენება სჭირდება.

— სულაც არა! — იუარა ლაშამ. — ბატონი გიგია ძალიან საინტერესო ამბავს მიყვება და მგონი, ფილმიც საინტერესო უნდა გამოვივიდე. ნამდვილი სენსაცია იქნება თუ უცხოპლანეტელების გადაღებას მოვახერხებ.

— და მერე როგორი სენსაცია, — კვერი დაუკრა ლაშაურს გიგამ.

— იქნებ, ის ადგილი ხვალვე მაჩვენოთ.

— გაჩვენებ, აბა, რას ვიზამ? ხვალ დილიდანვე გაუდგებით გზას. როცა საკუთარი თვალთნახავ იქ, რაც ხდება და გადაიღებ კიდევ, მერეც ილაპარაკონ ზოგ-ზოგებმა, გიგამ გარეკა და რაღაცები ელანდებო...

— ხვალ, გაღმა სოფელში ხარ გადასასვლელი, — გააწყვეტინა ქმარს შორენამ.

— იქ რაღა დამრჩენია? — გაუკვირდა გიგიას.

— დაგავინცა, მოყვრებს რომ შეპირდი, შემოგივლითო?

— როდის შეპირდი?!

— როდინობის კვირაში! — ხმას აუნია ქმრის მიუხევედრელობით განინმატებულმა შორენამ.

— ნუ ღელავთ, ქალბატონო შორენა, — დამშვიდება დაუწყო დიასახლისს ლაშამ, — თუ ბატონ გიგიას არ სცალია, არა უშავს, იმ ბუნკერის სანახავად მარტო წავალ.

— მოყვრებს ზეგ რომ შეეუარო, ქვეყნა დაიქცევა? — თავისას მაინც არ იშლიდა გიგია.

— დაიქცევა. — მოკლედ მოუჭრა შორენამ ქმარს და შემდეგ ლაშას მიუბრუნდა: — მაინც აჰყევი ხომ ამის სისულელეებს.

— აყევი კი არა, ისე სერიოზულად დავინტერესდი, რომ სანამ იმ ბუნკერს და მის ბინადართ, საკუთარი თვალთნახავ, არ მოვისვენებ.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს! — მხრები აჩეჩა შორენამ. — თუმცა ეშმაკების ნახვაში ღმერთი ხელს როგორ მოგიმართავს?

ლაშა დიდხანს არწმუნებდა ნათიას, შენი წამოსვლა სახიფათოა და შორენასთან დარჩიო, მაგრამ გოგონამ მაინც თავისი გაიტანა და მეორე დღეს ქალ-ვაჟი წასასვლელად დილაადრიან გაემზადა. დარცხვენილი გიგია კი მათ თვალს ვეღარ უსწორებდა.

— მამატიე, მაგრამ მართლა ვერ გამოგყვებით, — ხმადაბლა გადაულაპარაკა მან ლაშას და, თან, ლუმელთან მოფუსფუსე შორენაზე

ანიშნა: — ცოცხლად შემჭამს ეს უპატრონო...

— არა უშავს, არ დავიკარგებით, — დამშვიდა მასპინძელი ლაშამ, — მეც მაქვს ასეთ ადგილებში სიარულის პატარა გამოცდილება.

— დაკარგვით მართლა არ დავიკარგებით, მაგრამ იქ ასვლით კი ძალიან რისკავთ...

— ჩვენი პროფესიაც ხომ ეს არის: რისკი, რისკი და კიდევ ერთხელ რისკი! — ხელი მეგობრულად ჩამოართვა მას ლაშამ. — იმედი დავიტოვოთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება და მალე უცხოპლანეტელებს შევხვდებით.

— ეს წვიმაც რაღა ახლა დაიწყო! — აწუნუნდა გიგია. — გზაში არ გაცივდეთ, იქნებ, საცოლვე მაინც დაგეტოვებინა, — მზრუნველად გადახედა მან ნათიას.

— არა, რას ამბობთ! — იუარა ნათიამ. — მე ხომ ლაშას ოფიციალური თანაშემწე ვარ და ყველგან თან უნდა ვახლდე.

— ჰო, ალბათ... — დაბნეულად ჩაილაპარაკა გიგამ, — დილით უბანშიც ვიყავი გასული და ბიჭებს ველაპარაკე, მაგრამ თქვენი მეგზურობა ვერავინ ითავა. ხომ იცი, შიშს დიდი თვალები აქვს.

— თქვენ ამაზე არ იდარდოთ, — ლაშამ გიგიას გაუღიმა და ქმრის გვერდით ჩაფაროვით მდგარ შორენასაც გახედა: — ქალბატონი შორენა არ გამიბრაზოთ, თორემ ცხელ-ცხელ ხაჭაურებს აღარ დავგახვედრებ.

— თქვენ მშვიდობით დაბრუნდით და ხაჭაპურს დაგამადლით? — მაშინვე ლაპარაკში ჩაერთო დიასახლისი. — მაგრამ რაღაც გული კარგს არ მიგრძნობს. იქნებ, ერთი-ორი დღით მაინც გადაგედოთ ეს უცნაური მოგზაურობა. გამოიდარებდა და მერე წახვიდოდით. იცი, ამ დროს მთაში რა ნისლი იცის?

— რას ამბობ, ქალო! — შეუღრიწა გიგამ ცოლს. — ორ-სამ დღეში ეს წვიმა შეიძლება, თოვლში გადაიზარდოს და მერე იქ ვინლა ავა?

— კარგი, ჰო, ნუ გადაირიე!.. — შეწუხდა შორენა. — შენი მოსაწონი ხომ ველარაფერი მითქვამს...

წვიმა უკვე გადაღებული იყო, როცა ნათია და ლაშა გზას გაუდგნენ. რამდენიმე დღის სამყოფი საგზლის გარდა, შორენამ ისინი თბილი ტანსაცმლითაც საგულდაგულოდ მოამარაგა. ნათია შორენას ტანსაცმელში პატარა ბავშვივით ჩაკარგულიყო, ლაშას კი გიგიას თბილი ქურთუკი ცოტა კიდევ ეპატარავებოდა.

სოფელს გასცდნენ თუ არა, ტყის პირას სანვიმარში გახვეული მამაკაცი დაინახეს, რომელმაც მაშინვე ხელი დაუქნიათ.



— ნეტავ, ეს ვინლა? — გაუკვირდა ლაშას.

ამის თქმა იყო და მამაკაცმა კაპიუშონი გადაიძრო და წყვილმა შოთიკო მაშინვე იცნო.

— შოთიკოს გაუმარჯოს! — შორიდანვე მიესალმა მას ლაშა. — შენებმა მითხრეს, მეზობელ სოფელში აუცილებელ საქმეზე წავიდაო. ეტყობა, უცბად მოილიე ყველაფერი?

— ფეხიც არსად გამიდგამს, — გაეღიმა შოთიკოს, — დედაჩემს რომ არ ენერვიულა, იმიტომ მოვიმიზეზე იქ წასვლა. ისე, არც მამაჩემი აპირებს სადმე წასვლას. ეგ უკვე დედაჩემმა მოიგონა, რომ მთაში არ გამოეშვა.

— ჰო, ეგ მეც ვიცი. ახლა საით გაგინწვია?

— თქვენთან ერთად მოვდივარ.

— ეგ როგორ? — გაუკვირდა ლაშას.

— როგორ და გამოქვაბულამდე უნდა აგიყვანოთ.

— შენ? — გაუკვირდა ლაშას.

— ჰო, ოღონდ შიგნით ვერ შემოგყვებით. არ იფიქროთ, რომ მეშინია, მაგრამ რამე რომ დამემართოს, ჩემი მშობლები ამას უბრალოდ ვერ გადაიტანენ.

— ისედაც, ჩვენი გულისთვის რატომ უნდა გარისკო?

— იმიტომ, რომ ჯერ ერთი, თქვენ, როგორც ჟურნალისტს, დიდ პატივს გცემთ. თან სოფლისაც მრცხვენია. რა ვუპასუხო, რომ მკითხავენ, სტუმრები ბედის ანაბარად რატომ მიატოვეო?

— რა არის, იცი? — შეფიქრიანდა ლაშა. — დიდი მადლობა, მაგრამ ნამდვილად ვერ გავრისკავ და შენს წინადადებას ვერ მივიღებ. ასე რომ, ახლავე შინ უნდა დაბრუნდე.

— არც იფიქროთ! — იუარა შოთიკომ. — მაინც უკან გამოგყვებით და არ სჯობია, წინ გამიშვათ? ასე უფრო ნაკლები საქმე მექნება. იქაურობას ჩემი ხუთი თითივით ვიცნობ და „ეშმაკის კლდესაც“ თვალდახუჭული მიგაგნებინებთ.

— ისე, მართლა რომ წამოვიდეს, რა მოხდება? — ლაშასთვის სრულიად მოულოდნელად შოთიკოს აუბა მხარი ნათიამაც.

— ჰო, მაგრამ... — სათქმელი ვეღარ დაასრულა გაოცებულმა ლაფაურმა.

— ბუნკერამდე მიგვაცილებს და გარეთ დაგველოდება.

— როგორც მიბრძანებთ, — შესცინა შოთიკომ ნათიას.

— არა, როგორც კი ბუნკერი გამოჩნდება, მაშინვე უკან,

სოფელში დაბრუნდება, — სიტუაციის სადავეების ბოლომდე ხელიდან გაშვება მაინც არაფრით სურდა ლაფაურს...

— მოსულა! — ხელი ხელზე გამეტებით დაჰკრა ლაშას გახარებულმა შოთიკომ...

— კიდეც დიდხანს უნდა ვიაროთ? — გადაულაპარაკა გვარიანად დაქანცულმა ნათიამ ლაშას და მათ წინ მიმავალი შოთიკოს ფართო ზურგს უცნაურად მიაშტერდა.

— სულ ცოტალა დარჩა, — უკან არც კი მოუხედავს, ისე გამოსახა მას შოთიკომ და გზა განაგრძო.

ამის შემდეგ ათ ნუთსაც კი არ გაუვლია, რომ ნისლში რაღაც სილუეტი გამოიკვეთა.

— მგონი, ეს ადგილი უნდა იყოს, — ნამოიძახა ლაშამ და თან რუკას ჩააშტერდა.

— ჰო, ეს არის, — დაეთანხმა მას შოთიკო, — მაგრამ... — სათქმელი ვეღარ დაასრულა მან, რადგან იმ ადგილზე, სადაც გამოქვაბულის შესასვლელი ეგულებოდა, უზარმაზარი ლოდების გროვალა დახვდა...

ლაშასთვის თავისი საიდუმლოს გამხელის შემდეგ გიგია გახალისდა. ან სხვაგვარად როგორ იქნებოდა, როცა ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდა ადამიანი, ვინც მარტო კი არ მოუსმინა, დაუჯერა კიდეც. ახლა კი თბილისელი ჟურნალისტი და მისი თანმხლები გოგონა უკვე იმ საშინელი ადგილისკენ მიემართებოდნენ და მალე ალბათ, მფრინავ ბენზინის კასრსაც გადაიღებდნენ. კასრის გახსენებაზე გიგიას ტანში უსიამოვნოდ გააჟრჟოლა და უკვე ცოტა გაუხარდა კიდეც,



რომ შორენამ ლაშას და ნათიას მეგზურობა არ დაანება. „მართალია, ჩემი ცოლი, — ფიქრობდა იგი, — მეყოფა, რაც გული გავიხეთქე. ახლა ჯობს, შინ ვიჯდე და დაველოდო, ჟურნალისტები მთიდან როდის დაბრუნდებიან. თუ გაუმართლათ და ყველაფერი გადაიღეს, ამის შემდეგ ხომ საერთოდ ვეღარავინ გაბედავს ჩემს გიჟად მოხსენიებას. პირიქით, ყველა აღფრთოვანებით გამოიშვერს ჩემკენ ხელს და იტყვის, რომ ეს სწორედ ის გიგია გიგოძია, მფრინავი თეფში საკუთარი თვალით პირველმა რომ ნახაო“. გიგია უკვე იმაშიც მტკიცდებოდა იყო დარწმუნებული, რომ ამ აღმოჩენისთვის ფუფიანი ჯილდო ეკუთვნოდა. „როგორც კი საიდუმლოებით მოცული ბუნკერის ამბავი გახმაურდება, ჩვენს სოფელს ტურისტები მოაწყდებიან. მე კი ალბათ, გიდად დამნიშნავენ და ამაშიც ფულს გადამიხდინან, — კმაყოფილებას ველარაფრით მალავდა იგი, — ამიტომ ჟურნალისტი რომ დაბრუნდება, ამაზეც აუცილებლად უნდა დავეღაპარაყო“.

ასე რომ, გიგიამ საკითხი თითქმის გადაჭრილად მიიჩნია და გარეთ გასვლა და უბნის კაცებთან დაღვევა გადაწყვიტა.

სახლიდან გასულ გიგიას, გზაში, ვიღაც უცხო მამაკაცი შემოხვდა.

— გიგია გიგოძე ბრძანდებით, ხომ? — მიახლოებისთანავე ჰკითხა მას მამაკაცმა.

გიგიამ უცნობს უნდოდ შეხედა: — მე ვარ, მერე?

— სწორედ თქვენ გეძებთ, — გაეღიმა უცნობს, — რაიონული გაზეთის ჟურნალისტი ვარ. ჩვენამდე უკვე მოაღწია ხმებმა, რომ საკუთარი თვალით გინახავთ მფრინავი თეფში.

— ვნახე, მერე? — მოკლედ მოუჭრა გიგიამ და გულში გაუხარდა, რომ მისი პოპულარობა ასე სწრაფად იზრდებოდა.

— დამავალებთ, თუ ცოტა დროს მაინც გამონახავთ და მიამბობთ თქვენი აღმოჩენის შესახებ.

— ვითომ რატომაო? — გაეჯგინა მამაკაცს გიგია. — რატომ უნდა მოუყვე ამის შესახებ რაიონული გაზეთის „ჭყ-ჰყ ჟურნალისტს“, როცა ამის თაობაზე გუშინ ჩემთან უკვე მთლად თბილისელი ტელეჟურნალისტები იყვნენ.

— მართლა? — გაუკვირდა უცნობს.

— აბა, ტყუილად? — გაღიზიანდა გიგია. — და იცი, ამ ინფორმაციაში რამდენი გადამიხადეს?

— მეც გადაგიხდით, — მასმინვე ჯიბისკენ წაიღო ხელი უცნობმა.



— მოიცა! — შეაჩერა ის გიგამ. — არავინ დაგინახოს. მოდი, იცი, რა ვქნათ? ჩემთან, სახლში შევიდეთ. იმ ამბავსაც მოგიყვები და ფულსაც იქვე გადამიხდი.

— კარგი, — დაეთანხმა გიგიას უცნობი, — ოღონდ არ მინდა, ეს ამბავი კიდევ ვინმემ გაიგოს, თორემ ხომ იცით, როგორც ხდება ხოლმე?

— როგორ? — ვერ მიუხვდა გიგია.

— როგორ და, საკმარისია, სოფელში ჩასული ჟურნალისტი დაინახონ, რომ მაშინვე ყველა თავისი პრობლემით მიანყდება ხოლმე. მე კი მართო თქვენი ამბის მოსმენა და სასწრაფოდ უკან დაბრუნება მაქვს დავალბებული.

— მეც ეგ მინდა, რომ არავინ გაიგოს, — მაშინვე ხმას დაუნია გიგამ... სახლში შევიდნენ თუ არა, გიგამ განჯინიდან არყის ბოთლი და ხაჭაპურის რამდენიმე ნაჭერი გამოიღო.

— ძალიან გთხოვთ, ნუ წუხდებით.

— რა შეწუხებაა, შე კაცო. წუხელ მე და ჩემმა სტუმარმა ცოტა დავლიეთ და ახლა „პახმელიაზე“ თუ არ გამოვედი, ვერაფერს მოგიყვები...

— თუ ასეა, იქნებ, ჩემი სასმელი გაგვესინჯა?! — ზურგჩანთიდან არყის ბოთლი ამოიღო უცნობმა. — უბრალო არ გეგონოთ, „აბსოლუტია“. აქეთ რომ მოვდიოდი, სწორედ იმ მომენტში უცხოელი ჟურნალისტები გვესტუმრნენ და ერთ-ერთმა მისახსოვრა, მთაში გამოგადგებაო.

— აკი გამოგადგა კიდევ, — გაელიმა გიგიას და უცნობს ჭიქა მიუშვირა, — აბა, ჩამოახსი ერთი ეგ შენი „აბსოლუტი“...

უცნობმა ბოთლს თავი სწრაფად მოხადა და გიგიას ჭიქა პირამდე შეუვსო.

— შენთვის რატომ არ იხსამ? — მეორე ჭიქაზე ანიშნა მას გიგამ.

— მაპატიეთ, ახლავ! — მეორე ჭიქაც შეავსო უცნობმა.

— აბა, ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს! — ჭიქა მიუჭახუნა და სასმელი სწრაფად გადაკრა გიგამ.

— გაუმარჯოს! — გაიმეორა უცნობმა, თუმცა დაღვეა არ უჩქარია.

— მართლა, რა მითხარი, რა მქვიაო? — ჭიქა ხმაურით დადგა გიგამ და მაშინვე ყელში იტაცა ხელი.

— მე არაფერი არ მითქვამს, შენ კი ცოტა უფრო ფრთხილად უნდა ყოფილიყავი, რადგან უცხოელებიც ხშირად აკეთებენ უხარისხო არაყს, — უპასუხა უცნობმა და როგორც კი გიგამ იატაკზე ზღართან მოადინა, მაშინვე საქმეს შეუდგა.

მაშაყაცმა თავისი ჭიქიდან სასმელი — ისევ ბოთლში, თავად ბოთლი

კი ზურგჩანთაში ჩააბრუნა, შემდეგ ჭიქა საგულდაგულოდ განმინდა და განჯინაში შეინახა, გიგიას ჭიქა კი მისივე გამოხდილი ჭანჭურის არყით შეავსო და სახლიდან შეუშინეველად გავიდა...

მთიდან მობრუნებულმა ახალგაზრდებმა შორიდანვე მოჰკრეს თვალი გიგიას სახლის წინ შეგროვილ ხალხს.

— მეგონი, ჩემს თავს რაღაც უბედურება ხდება! — ფეხს აუჩქარა შოთიკომ.

— ეტყობა, მართლა რაღაც ცუდი ამბავი მოხდა, — გულმა რეჩხი უყო ლაშასაც.

სახლს რომ მიუახლოვდნენ, შორენას მოთქმაც მოისმა. მათ დანახვაზე ხალხი მდუმარედ გაიყო და ახალგაზრდები სახლში შევიდნენ. იქ, შუა ოთახში მდგარ ხის ტახტზე გიგიას ცხედარი ესვენა.

— ეს რა ჩაიდინე? ეს რა დღეში ჩამაგდე? — მოთქვამდა შორენა, რომელიც თვალგაფართოებული შოთიკოს დანახვაზე უცბად გაჩუმდა და შვილს ისე მიაშტერდა, თითქოს პირველად ხედავსო.

— რა მოხდა, დედა? — კი არ ჰკითხა, თითქმის უღრიალა მას შოთიკომ და თავში ხელი გამეტებით ნაიშინა...

როცა შოთიკო ცოტათი დაწყნარდა, ნათია მიცვალბულის გარშემო შემომსხდარ ქალებთან ჩამოჯდა, ლაშა კი კართან დამნაშავესავით ატუზულ ერთ-ერთ ახალგაზრდას მიუახლოვდა და ხმადაბლა ჰკითხა:

— რა დაემართა?

— გული გაუჩერდა.

— ეგ როგორ?

— აბა, რა ვიცი? შორენა დეიდა შინ რომ დაბრუნდა, გიგია ბიძია იატაკზე უსულოდ ეგდო, მაგიდაზე კი არყის ბოთლი, საცხე ჭიქა და საჭმელი ენყო. ეტყობა, დაღვევაც კი ვერ მოასწრო სანყალმა.

— ექიმს გამოუძახეთ?

— ექიმი აქამდე ფეხით ამოსვლას დღე-ნახევარს მაინც მოანდომებდა. ან კი რაღას უშველიდა, უკვე მკვდარი იყო.

— ჰო, მაგრამ ხომ უნდა გაიგონ, კონკრეტულად რამ მოკლა?

— შორენა დეიდამ გაკვეთაზე უარი თქვა: რისთვისღა უნდა ვანვალოო...

შელამებულზე გიგიას სახლში შეგროვილი მეზობლები ნელ-ნელა წავიდნამოვიდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა კი ლაშას და ნათიას მასთან გადასვლა ღამის იქ გათევა შესთავაზა, მაგრამ დედა-შვილმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: სანყალმა გიგამ რაც ამათი გამოჩენით გაიხარა, ცოცხა-

ლი რომ იყოს, გვისაყვედურებდა, სხვაგან როგორ გაუშვითო. მეზობლის წასვლის შემდეგ შორენამ კიდევ ერთხელ ხმადაბლა ნაუტირა:

— ძალად მოიკლა თავი საცოდავმა. თითქოს მის გარდა ციხეში არავინ მოხვედრილიყოს, ისე განიცდიდა და გულთან ახლოს მიჰქონდა ეს აბავი...

გივიან ღამით, როცა შოთიკომ შორენა ქმრის გაცივებულ ცხედარს რის ვაი-ვაგლახით ააგლიჯა და დასაძინებლად წაიყვანა, ნათია და ლაშაც თავიანთ ოთახში განმარტოვდნენ.

— კიდევ ერთხელ დამასწრო, — თავი ხელებში ჩარგო სანოლზე ჩამომჯდარმა ლაშამ.

— ვისზე ლაპარაკობ? — დაინტერესდა ნათია.

— ვისზე და არეშიძეზე.

— არეშიძე რა შუაშია?

— შუაში კი არა, თავშია. ვერ ხვდები, რომ გიგიას სიკვდილიც მისი ნახელავია?

— კი, მაგრამ როგორ? რანაირად? ჩიტი ხომ არ არის, რომ ბუნკერიდან უცბად აქ ამოეყო თავი?

— ჯერ არ ვიცი, როგორ, მაგრამ ფაქტია, რომ ეს სწორედ მან ჩაიდინა, ჩვენ კი ხელი ვერაფრით შევუშალეთ. ის კი არა და, სანყალ გიგიას ჩვენი აქ ჩამოსვლით მეგონი, სიცოცხლეც კი მოვუსწრაფეთ.

— შეიძლება, ასეც იყოს, მაგრამ ხომ იცი, რომ თუ არეშიძემ ვინმეს მოკვლა გადაწყვიტა, ადრე თუ გვიან, მიზანს მაინც მიაღწევს.

— შენც მართალი ხარ, — ამოიხარა ლაშამ.

— მაგრამ გული მაინც არ უნდა გაიტეხო, — მაშაყაცს თავზე ხელი ნახად გადაუსვა ნათიამ, — შენ ნამდვილად ყველაფერი გააკეთე, რომ ეს საქმე ასე არ დასრულებულიყო. უბრალოდ, არეშიძე მოსალოდნელზე ბევრად უფრო ცბიერი და დაუნდობელი აღმოჩნდა. ასე რომ, დროა, ყველაფერს თავი დავანებოთ და სახლში დავბრუნდეთ.

— რაო? — გაკვირვებით შეხედა გოგონას ლაფაურმა. — დავბრუნდეთ და მშვიდად დაველოდოთ, ზურგში მახვილს როდის ჩაგვცემს?

— აბა, რა უნდა ვქნათ? ხომ ხედავ, რომ ყველგან ერთი ნაბიჯით მაინც გვასწრებს და თავის შავ საქმეს მაინც აკეთებს. იქნებ, დროებით სადმე შეგვეფარებინა თავი და მოვლენების განვითარებისთვის შორიდან გვედევნებინა თვალი.

— შენ რა, კიდევ ვერაფერს მიხვდი? — სევდიანად გაელიმა ლაშას.

— რას უნდა მივმხვდარიყავი?

— იმას, რომ მისგან დამალვა შეუძლებელია. სადაც უნდა წავიდეთ,



მაინც ყველგან მოგვაგნებს.

— აბა, რა უნდა ვქნათ?

— ძებნა უნდა განვაგრძოთ და რადაც უნდა დაგვიჯდეს, მისი ადგილსამყოფელი მანამ დავადგინოთ, სანამ აქეთ გვიპოვის და გაგვისწორდება.

— კი, მაგრამ სად ვეძებოთ? ჩვენ ხომ საკუთარი თვალით ვნახეთ, რომ მისი ლაბორატორიისგან აღარაფერი დარჩა.

— არაფერიც არ გვინახავს. უფრო სწორად კი მხოლოდ ის ვნახეთ, რისი ჩვენებაც თავად უნდოდა. თუმცა ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ბუნკერის შესასვლელთან ერთად მისი ლაბორატორიაც განადგურდა. დარწმუნებული ვარ, რომ ან მთელი თავისი აღჭურვილობა იქვე დატოვა და მხოლოდ შესასვლელი ამოქოლა, ანდა, სხვა უფრო საიმედო ადგილზე გადაიტანა.

— თუ შენი ვარაუდი სწორია, მაშინ, გადატანის შემთხვევაში, ახალი ლაბორატორია სადღაც ბუნკერის სიახლოვეს უნდა იყოს. აბა, ამდენ რამეს მთიდან ასე ადვილად სად ან რითი გადათრევდა?

— ნამდვილად ლოგიკურია, — გამოცოცხლდა ლაშა, — ასე რომ, ძებნა უნდა განვაგრძოთ...

მეორე დილით, როცა შორენა დაბლა ჩამოვიდა, ნათია და ლაშა გიგას ცხედარს უკვე აქეთ-იქიდან ჭირისუფლებივით უსხდნენ.

— ასე ადრე რამ აგაყენათ? — გაუკვირდა ქალს.

— არ დაგვეძინა, — უპასუხა ლაშამ.

— არც მე მომიხუჭავს თვალი, — ამოიოხრა შორენამ. — რალა უნდა ვქნა ახლა, არ ვიცი?

— ძალიან ვწუხვართ, ქალბატონო შორენა, რომ ყველაფერი ასე დამთავრდა, — დაიწყო ლაშამ, — თან თავს დამნაშავედაც კი ვგრძნობთ, რომ ცუდი ფეხი შემოგიტანეთ ოჯახში.

— არა, თქვენ რა შუაში ხართ, — ამოიოხრა შორენამ, — ეს ბევრად უფრო ადრე დაიწყო. ციხემ გატეხა სანყალი. ძალიან თავმოყვარე კაცი იყო და იმიტომ. მერე კიდევ მფრინავმა თეფშებმა თუ კასრებმა აუბნია თავგზა. მართლა, იპოვეთ ის დასანჯავი ბუნკერი?

— არა. იქ მხოლოდ ქვების გროვალა დაგვხვდა.

— ასეც ვიცოდი, — კიდევ ერთხელ ამოიოხრა შორენამ, — მაგრამ ვინ დაგიჯერა...

ნაშუადღევს გიგომეების სახლი ისევ სამძიმარზე მოსული მეზობლებითა და თანასოფლელებით აივსო. ლაშა ეზოში გავიდა და სოფლის კაცებთან გააბა საუბარი, ნა-

თია კი მეზობლის ქალებთან ერთად, გრძელ სკამზე ჩამოჯდა და ფიქრს მიეცა. უცბად მას წელში ოთხად მოკაკეკული, ხელჯოხზე დაყრდნობილი დედაბერი მიუახლოვდა და სახელოზე დაქანა. ფიქრებში წასული ნათია ისე დაფეთებული წამოხტა, რომ კინალამ დედაბერი გადააბრუნა.

— მაპატიეთ... დაბრძანდით... — თავისი ადგილი შესთავაზა მან შემდეგ დედაბერს, თუმცა ამ უკანასკნელს მისი სიტყვებისთვის ყურადღება საერთოდ არ მიუქცევია, ისე ჩაიჩიფრდა:

— გამოყვივი, გოგო!

ნათია კარისკენ ხელჯოხის კაკუნით მიმავალ დედაბერს მონუსხულივით უკან გაჰყვა. ეზოში რომ გავიდნენ, დედაბერი გოგონას მოუბრუნდა და ისევ აჩიფრდა:

— წიგნის კაცი ქვაბში ზის. ქვაბში დიდი წყალია. გადაცურეთ წყალი და იპოვით კაცს.

— რა ბრძანეთ? — ჩაეკითხა ნათია, მაგრამ დედაბერმა მაშინვე ზურგი აქცია და ჭიშკრისკენ წაკაკუნდა. საბოლოოდ დაბნეული ნათია კი ისევ სახლში შებრუნდა.

— რა უნდოდა შენგან იმ დასამინებელს? — ჰკითხა თავის ძველ ადგილზე დამჯდარ ნათიას ერთ-ერთმა მეზობლის ქალმა.

— ვერ მივხვდი, — უპასუხა გოგონამ.

— არც არის საჭირო; მაგას სოფელში კუდიან მამოს ეძახიან და დიდი და პატარა ერიდება. მოსუცი ქალები ჰყვებიან, რომ ახალგაზრდობაში კუდიანების სერობებზე ცოცხზე გადამჯდარი დადიოდაო.

— და ეს ვინმემ საკუთარი თვალით ნახა?

— ნახეს რომელია? ერთი ჩვენი სოფლელი ქალი ამის გამო სამუდამოდ დაამუნჯა, მეორეს კი მახსოვრობა წაართვა.

— ახლაც ასეთი ძალა აქვს? — დაინტერესდა ნათია, რომელიც ამ ამბავმა უკვე ცოტა კიდევ გაახალისა.

— ახლა ბევრი აღარაფერი შეუძლია, მაგრამ თავისას მაინც არ იშლის. ისე, ჯერ არ ყოფილა, ვინმეს მაგის ნათქვამი არ ახდენოდას.

— მაშინ წინასწარმეტყველი ყოფილა.

— წინასწარმეტყველი კი არა, ბოროტი კუდიანია-მეთქი, გუუბნები. დადის კარდაკარ და ანთხევს ბალამს. ისე, უცხო ხალხს სათოფზე

არ ეკარება და ნეტავ, შენ რატომ ამოგარჩია?

— ნამდვილად არ ვიცი, — უხალისოდ უპასუხა ქადაგად დავარდნილ ქალს ნათიამ...



— იმ დედაბერს რა უნდოდა შენგან? — ჰკითხა ძილის წინ ნათიას ლაშამ.

— დედაბერი კი არა, ის ქალი ამ სოფლის კუდიანი ყოფილა, — გაელიმა ნათიას.

— ეგ თვითონ გითხრა?

— არა, მეზობელმა. თვითონ რალაც უაზრობა მითხრა.

— მაინც?

— წიგნის კაცი ქვაბში ზის. ქვაბში დიდი წყალია. გადაცურეთ წყალი და იპოვით კაცსო.

— რაო? — თვალეზი დაჭყიტა გაოგნებულმა ლაშამ.

— რა იყო? — გაუკვირდა ნათიას. — ასეთი მაინც რა გითხარი?

— და შენ ამას უაზრობას ეძახი?

— აბა, სად ხედავ აქ აზრს? — უხალისოდ ჰკითხა ნათიამ, რომელსაც იმ წუთში დაძინების გარდა აღარაფერი აინტერესებდა.

— იცი, როგორ შეიძლება, შენი დედაბრის ნათქვამის გაშიფვრა?

— არ ვიცი და არც მაინტერესებს, — საბანში მოხერხებულად გაეხვია ნათია და თვალეზი მილულა.

— მეცნიერი ისევ გამოქვაბულშია, სადაც დიდი წყალი დგას. გადაცურეთ წყალი და იპოვით არეშიძესო. გამოდის, რომ...

— ლაშკო, გემუდარები! — გაანყვივინა ლაფაურს ნათიამ. — იცი, როგორ დავილაღე? აღარც არეშიძე გამაგონო და ალაც მისი ბუნკერი! უკვე ისიც კი მგონია, რომ ეს კაცი საერთოდ არ არსებობს, ჩვენ კი რალაც მოჩვენებას დავდევთ.

— კარგი, დამშვიდდი, — თავზე ხელი მზრუნველად გადაუსვა ლაფაურმა გოგონას, — მოჩვენებების დევნას თავს ვანებებთ და სვალვე სახლში მივდივართ...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



რომანტიკა

თუ

დანაშაული?

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“ №31-44

იმ ღამეს წესიერად არ მიძინებია. ყველაზე მტანჯველი იმაზე ფიქრი იყო, რატომ არ მოვიდა ნიკა. ვერაფრით დავიჯერებდი, რომ მეტად აღარ სურდა ჩემთან ყოფნა, ეს გამოვრიცხე. ნუთუ რამე მოხდა? იქნებ ისეთი რამ შეემთხვა, რომ დარეკვა ვერ მოახერხა? დარდი მკლავდა. ვაითუ, სამსახურში მისულს მითხრან, ავარიში მოყვა და დაიღუპო. არა! ამას ვერ გადავიტან! ეს არ მოხდებოდა! ამ ფიქრებით აფორიაქებულმა მანქანა სადგომზე დავაყენე, ჩავკეცი და შენობისკენ გავემართე. ნახევარი საათით დავაგვიანე, მაგრამ ეგ აღარ მადარდებდა.

ოფისის შესასვლელთან მარიკას შევეჩრეხე, სადღაც გადიოდა.

— ლოლა, რა კარგია, რომ გნახე! ქვეყნის ახალი ამბავი მაქვს შენთვის! — სახეგაბრწყინებულმა გადამოკცნა. — ორ ნუთში დავბრუნდები და მოგიყვები!

— ხომ მშვიდობაა? — ტანში გამცრა.

— მერედა, როგორი! ახლავე მოვალ, ყავა და შაქარი უნდა ვიყიდო! — უკანმოუხედავად მომამხა და სირბილით გააგრძელა გზა.

თედოსთან შევიჭყიტე. კაბინეტში არავინ დამხვდა. კარგია, რომ მოვასწარი, დავგვიანებისთვის ვერ მისაყვედურებს.

დაახლოებით თხუთმეტ ნუთში მარიც გამოჩნდა.

— ეს ისევ მეტრეველთანაა? — მკითხა და თავი თედოს კაბინეტისკენ გაიქნია.

ნიკას გვარის გაგონებაზე შევკრთი

და ერთიანად „ავალმურდი“.

— საშინელ ხასიათზეა ჩვენი პრეზიდენტი. წელან დამიბარა და... — გააგრძელა მარიკი.

„დამპალი! ესე იგი, არაფერიც არ მოსვლია! მე კი ლამის გამოვიტირე!“
 — რა ხდება, რისთვის დაგიბარა? — სუნთქვა შემიგუბდა პასუხის მოლოდინში.

— ახლავე მოგიყვები, თან ყავა დავლიოთ.

— მე არ მინდა, მარი, უკვე დავლიე. — კარგი, მაშინ არც მე მინდა, — ხელი ჩაიქნია და გვერდით მომიჯდა.

— აღარ ვიცი, საიდან დავინწყო... გული დამწყდა, ბანკეტზე რომ არ იყავი, არ იცი, რა ამბები მოხდა. ამაზე მერე, ახლა კი მთავარი — ნიკა უკან მამბრუნებს, ჩემს ადგილზე.

— რას ნიშნავს „ჩემს ადგილზე“? — გაოცებისგან წარბები შუბლზე ამიცივდა.

— ანუ... შენს ადგილზე, რა. შენ კი სხვაგან გადაწყავხარ.

მე რომ სხვაგან გადავყავდი, უკვე ვიცოდი, მაგრამ მარიკას თუ დაბრუნებდა თედოს მდივნად, ნამდვილად სიახლე იყო ჩემთვის.

— მერე? შენ თანახმა ხარ?..

— თანახმა კი არა, ისეთი გახარებული ვარ, ვერ წარმოიდგენ.

— მარი! თავს რომ იღუპავ, თუ ხვდები? აქ თუ დარჩები, ჩაღებები მდივნად, თანაც...

— არა, არა, ლოლა. ყველაფერი შეიცვალა. შენ არ იცი, რა მოხდა. ამ დღით, მოვედი თუ არა, მეტრეველის მდივნა დაამირეკა, ნიკა გიბარებსო. მივედი... თბილად შემხვდა, მომიკითხა. თუმცა, ისეთ ცუდ ხასიათზე იყო, რომ არ ვიცი... ასეთი არასდროს მინახავს... მკითხა, არ გინდა, შენს ადგილზე დაგაბრუნონ? კი გამიკვირდა, მაგრამ ვიფიქრე, ალბათ თედოს სურვილია-მეთქი და ვუპასუხე, როგორც

საჭიროა, ისე მოიქეცი-მეთქი. ხელფასსაც მოგიმატებო, დააყოლა. მეც დავთანხმდი. ხელფასის მომატების გარეშე არ ვეცყოდი უარს, მაგრამ ამ წინადადებაზე ორმაგად გამახარა. მერე ვკითხე, ლოლას რას უპირებთ-მეთქი. ის სხვაგან გადაწყავსო.

— და იცი, სად გადავყავარ?

— რა იყო, ცუდ ადგილას? — შემფოთდა მარიკა.

— არა, ცუდ ადგილას არა, მაგრამ... გუშინ მელაპარაკა და ვიტალის თანამდებობა შემომთავაზა. ჯერ მითხრა, დაფიქრდიო, მერე კი დააყოლა, აჯობებს, შევეგუო ამ აზრს, უარს არ მივიღებო.

— რა მაგარია! ეს არ ვიცოდი! — მარიკას გაუხარდა, მე კი ვწერვიულობდი, ეწყინება-მეთქი.

— კი მაგრამ, შენ რატომ გიხარია ასე ძალიან აქ დაბრუნება?

— იმიტომ, რომ... როგორც იქნა, თედომ შემამჩნია.

ლამის ყბა მომეცქა, ეს რომ მითხრა. საზიზღარი კაცი! როგორ სარგებლობს მისი სიყვარულით!

— სად, ბანკეტზე? — ჩამქრალი ხმით ვკითხე.

— ჰო, ბანკეტზე. მთელი ღამე გვერდიდან არ მომცილებია. მეცეკვა, დალია ჩემთან ერთად, მეფერა, კომპლიმენტების ზღვა მომიძღვნა... აქამდე როგორ ვერ მივხვდი, ასეთი კარგი თუ იყავი, როგორი საინტერესო გოგო ყოფილხარო.

— და შენც... — კინალამ წამომცდა, შენც დაიჯერე-მეთქი? მაგრამ დროზე დავაჭირე ენას კბილი.

რომ მეთქვა, მისი შენით დაინტერესება სიყალბეა-მეთქი, ტვინს გამომიჭამდა, შენ საიდან იციო. მაშინ ყველაფერი უნდა მეთქვა. ეს კი გულს ატყენდა, ამიტომაც გაჩუმება ვამჯობინე.

— სხვათა შორის, ნიკამ შენზეც გამომოკითხა რაღაც-რაღაცებში.

უსიამოვნოდ მომხვდა გულზე მისი სიტყვები.

— ჩემზე? ჩემზე რა აინტერესებდა?

— უფრო ოჯახური ამბები.

— მერე შენ რა უთხარი?

— განსაკუთრებული არაფერი, მხოლოდ შიშველი ფაქტები ჩამოვუბულულე. სხვა რა უნდა მეთქვა? მეტი არც არაფერი ვიცოდი. თედოზე უფრო ბევრი რამ ვიცი, ვიდრე შენზე, — გაიცინა.

— ჰო, — ყრუდ დავთანხმე.

— ახლა მთავარი უნდა გითხრა და არ გამეიდო... იმ ღამეს ჩემსა და თედოს შორის ყველაფერი მოხდა, — ტუჩები ლამის ყურთან მომადო და მიჩურჩულა.

ამ ინფორმაციამ საბოლოოდ დამშოკა. ესეც ჩემნაირი სულელი ყოფილა, რასაც ვერ წარმოვიდგენდი. ისეთი განონანსორებული იყო, ისეთი დინჯი, მეგონა, ცხოვრებაში ყველა ნაბიჯს გამიზნულად დგამდა.



— მერედა, გიხარია? — უხალისოდ შეეხედე.

— აბა, რა! მთავარია, ცოლს გაშორებულია. ან მე ვიცი, როგორც მოვიქცევი. გასაქანს არ მივცემ. ეგ მე არ მიცნობს, მაგის ყოფილ მდივნებს კი არ ვგავარ!

„მათ შორის მეც მოვიხარები ვითომ?“

— კარგია, თუ იცი. შენი მხოლოდ ბედნიერება გამიხარდება, ხომ გჯერა? — სევდიანად გავუღიმე.

— ვიცი, ჩემო სიხარულო, ვიცი და ამიტომაც მხოლოდ შენ გაგიმხილე ეს საიდუმლო. ჩვენ მეტმა ჯერ არავინ იცის. შენი „ამურული“ საქმეები როგორ მიდის?

ამ დროს ნიკას მდივანმა დარეკა, ათ წუთში თათბირი იწყება და ყველანი სააქტო დარბაზში შეიკრიბეთო.

— ალბათ შენ უნდა წარგადგინოს ახალ თანამდებობაზე. რა მაგარიაა! — შესძახა მარიკამ და ძლიერად ჩამიხუტა.

სათათბიროში იმდენი უცხო მამაკაცი დავინახე, გამიკვირდა. ნუთუ ყველანი ჩვენი თანამშრომლები არიან? აქამდე რატომ არ მინახავს ისინი? ალბათ ჩვენზე ადრე გადმოვიდნენ ამ შენობაში და იმტომ? ნაცნობს და უცნობს, ყველას ვესალმებოდი, თან მსიამოვნებდა, მათ გაცნობდა მზერას რომ ვიჭერდი. ვგრძნობდი, რომ განსაკუთრებულად გამოვიყურებოდი და ამიტომაც გავხდი საყოველთაო დაინტერესების „ობიექტი“. რატომაც არა? ფიგურა — სუპერი! მამაკაცებს მოსწონთ მაღალი ქალები, გრძელი ფეხებით, კოსტა თეძობითა და მკვრივი მუცლით... და თუ იმასაც აღიარებენ, რომ ორი ზომის მკერდიც მკერდია, უნდა ჩავთვალო, რომ ნადია აუერმანს არაფრით ჩამოვუფარდები. ჩემი ბედი, რომ უძილობაც ვერაფერს მაკლებს, თორემ ახლა რომ ჩატეტვილი მქონდეს სახე, ზედაც არავინ შემომხედავდა... ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ იმას რომ დავინახავ, როგორ მოვიქცე? მოჩვენებითი მხიარულებით ვერ „შევიმოსები“, რადგან არ გამომივა. რომ დავიბნე? არ უნდა დავიბნე, ამიტომ აჯობებს, თვალბში არ შევხედო. რამე რომ მკითხოს? ისე როგორ ველაპარაკო, რომ არ შევხედო?.. როგორმე უნდა მოვერიო თავს, ამ გამოცდას უნდა გავუძლო.

მარიკას გვერდით დავჯექი. — მოდის! — დაიძახა ვილაცამ და იმავე წამს სათათბიროში უჩვეულო სიჩუმემ დაისადგურა.

ამაკანკალა. ყველაზე მგრძნობიარე ამ დროს ჩემი მკერდი აღმომჩნდა — მისი ხმის გაგონებაზეც კი „აფორიაქდა“...

ნიკა ჩქარი ნაბიჯებით შემოვიდა, ყველას მიესალმა და მაგიდის

თავში დაჯდა. უკან თედო მოჰყვებოდა, რომელმაც მის გვერდით, პირველსავე სკამზე დაიკავა ადგილი. ორივეს რალაცით უკმაყოფილო სახე ჰქონდა... თან პირქუში... თან გალიზიანებული... და დაღლილიც.

— დიდხანს არ მოგაცდენთ, სულ ორიოდვე წუთს წაგართმევთ. ორი ამბავი მაქვს თქვენთვის, კარგი და ცუდი. ალბათ აჯობებს, ცუდით დავიწყო. წუხელ ვიტალი საავადამყოფოში გადაიყვანეს, რუნიმაციულ განყოფილებაში. ყველანი ხვდებით, ალბათ, რის გამოც. გადაჭარბებული დოზა... ძლივს გამოვგიღვეთ სიკვდილს ხელიდან, თუმცა ჯერ ისევ რთულია მდგომარეობა... ეს ერთი... ახლა მეორე და უფრო მნიშვნელოვანი... — მან ღრმად ამოისუნთქა, თითები ერთმანეთს გადააჭლო და თანამშრომლებს სათითაოდ მოავლო თვალი, ბოლოს მზერა ჩემზე შეაჩერა. უნებლიეთ ჩავლუნე თავი, ვერ გავუძელი მის გამოხედვას.

— მინდოდა, ვიტალის შემცვლელის კანდიდატურაზე ვაკანსია გამოემცხადებინა, მაგრამ დრო არ ითმენს. ვიცი, რომ აზრთა სხვადასხვაობა აუცილებლად იქნება, ამიტომაც თქვენამდე თედოსთან ვითათბირე და გადაწყვეტილებაც ერთად მივიღეთ, — აქ მცირე პაუზა გააკეთა, — დღეიდან ვიტალის ადგილს ჩვენი ახალი თანამშრომელი, ლოლიტა კანდელაკი დაიკავებს. ახალი მენეჯერი გვეყოლება. ვიცი, ამ საქმეში გამოცდილება არა აქვს, მაგრამ დავხმარებით, ვასწავლით და საერთო ძალებით გამოვძირონავთ მისგან პროფესიონალ კადრს. ასე არ არის?

— უკაცრავად, თუ შეიძლება... შეკითხვა მაქვს! — ჩემგან სამიოდე ად-



ამიანის დაშორებით მთავარი ბუღალტრის ხმა გაისმა.

— დიას, გისმენთ, ბრძანეთ, ქალბატონო ზეინაბ! — თავი დაუქინა ნიკამ.

— ჩვენ ამ გოგონას საწინააღმდეგო, რა თქმა უნდა, არაფერი გვაქვს, მაგრამ რის საფუძველზე შეაჩერეთ მასზე არჩევანი, ხომ უნდა ვიცოდეთ? აქ უფროსი თქვენ ხართ და თქვენ წყვეთ ყველაფერს, თუმცა ჩვენც...

— მესმის თქვენი, ქალბატონო ზეინაბ და ახლავე მოგახსენებთ. ამ გოგონას განათლება უცხოეთში აქვს მიღებული, — პირველი ტყეპილი დაახეთქა ნიკამ, — დამთავრებული აქვს ბიზნესის ფაკულტეტი, ფლობს სამ უცხო ენას, აქვს კავშირები საზღვარგარეთ, რაც მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია... ეს საკმარისია თქვენი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად?

— დიას, ეს გვანიტერესებდა მხოლოდ. ძალიან კარგი, მშვენიერი კადრი ყოფილა, — ხელები გამალა დაბნეულმა ბუღალტერმა და უხერხული ღიმილით მიმოიხედა, ვინმე ხომ არ გავალიზიანეო, მერე მე მომმართა, — იმედაია, ჩემმა შეკითხვამ არ გაგანწყენათ.

— ნუ გეშინია, ზეინაბ! ლოლა იმ გოგონების კატეგორიას არ მიეკუთვნება, ვინმეს თავს რომ დააჩაგვრინებს, — ჩემ მაგივრად უპასუხა თედომ და ორაზროვანი მზერა მესროლა, — ასე არ არის, ლოლა?

— და როგორ გოგონებს მივეკუთვნები მე, ბატონო თედო? — გალიზიანებულიმა თვალები დავაკვესე და აბილილებულმა კბილი კბილს დავაჭირე, რომ ხალხში არ შემომლანძლოდა.

— ყოველ შემთხვევაში, იმათ არა, ვისაც შეიძლება, უსიამოვნება შეემთხვეს, — გადააკეთა ნათქვამი ჩემი რეპლიკით შეცბუნებულმა დირექტორმა.

— უსიამოვნება შეიძლება, ნებისმიერ ადამიანს შეემთხვეს, — მსუბუქად შენიშნა ნიკამ, — ახლა კინკლაობის დრო არ არის. უამრავი საქმე გვაქვს. თქვენი არ ვიცი და ჩემი დრო ჩემთვის ძალიან ძვირფასია. თუ არავინ არის წინააღმდეგი, დავიშალოთ და საქმეს მივხედოთ.

ისე ვიყავი ნერვებმოშლილი, ცახცახი ვერ დავიოკე. მარიმ ხელი მომიჭირა, დაწყნარდით. — ლოლა, თქვენ ჩემთან წამობრძანდით, კაბინეტში, თუ შეიძლება, — მითხრა ნიკამ, სანამ ავიშლებოდი და დარბაზიდან პირველი გავიდა.

— გნახავ მერე, დამირეკე, რომ გამოხვალ, — მიჩურჩულა მარიმ, როცა დერეფანში გამოვედი.

დამძიმებულმა თავი დავუქინე და გაუბედავი ნაბიჯე-



ბით შევალე პრეზიდენტის სამდივნოს კარი.

მისი მდივანი სულაც არ იყო პატარა გოგო, საკმაოდ „ზრდასრული“ ჩანდა, დაახლოებით იმ წლოვანების, ნიკას რომ მოსწონდა. ეს კარგია თუ ცუდი? მსწრაფლ ჩემი საყვარელი შეკითხვა ამომიტივტივდა გონებაში და სანამ სავარაუდო პასუხს მივგანებდი, ბაღბაგის ასაკის ქალბატონმა კაბინეტის ოდნავ გამოღებული კარისკენ მიმიითხა, გელოდებოდით... შევედი.

— მოდი, — თბილად მითხრა ნიკამ და მზერით მომეაღწერა.

იმწუთას სულ გადამავიწყდა, მასზე ნაწყენი რომ ვიყავი. მისი ერთი ასეთი მზერა და ერთიანად დავდანი, დავიღვევით.

— დალევ რამეს? რა დაგისხა? წვენი... „ნაბეღლავი“... კონიაკი... მარტინი... — ჩამოთვალა ნიკამ და მაგიდაზე შემოლაგებულ ბოთლებს გადახედა.

„ნეტავ, რატომ ულაგია აქ, ბარში ვერ გადაიტანს? თუ მდივანი ვერ ემსახურება სათანადოდ?“

— ნუ შენუხდები, არ არის საჭირო შენი მომსახურება. თუ რამე მომიწია, თავად მოვემსახურები ჩემს თავს, — ცივად ვთქვი.

— ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს შეგიძლია, — გაცინა, — მაგრამ ამაში როდია საქმე. ჯენტლმენი ყოველთვის ყურადღებიანი უნდა იყოს მანდილოსნის მიმართ, — შემრიგებლური ტონით შენიშნა და ისე გამიღიმა, წამსვე განმეიარაღა.

ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა იძულებული გავხდი, ბოლო სიტყვა მამაკაცისთვის დამეთმო. სხვა გზა არ მქონდა, ფარ-ხმალი დავყარე.

— გაბრაზებული ხარ, არა? იფიქრე, რომ მოვტყედი, ხომ? — ზურგს უკან დამიდგა და თმაში შემიცურა თითები.

ურუანტელმა დამიარა. უძღური ვიყავი ამ თითებთან, მათი შეხება თავბრუს მხვევდა.

— პო, — ყრუდ ვუპასუხე და თვალები მიველულე.

— მაპატიე. სხვანაირად არ შემეძლო. ნუხელ მთელი ღამე მე და თედომ საავადმყოფოში გავატარეთ. ის ჩვენი მეგობარია, ბავშვობის მეგობარი, ხომ გესმის?

— მესმის.

— შენ კი მირეკავდი, არა?

— გირეკავდი? ეს ის სიტყვა არ არის! მთელი ღამე შენს ავტომობილს ესთან მქონდა რომანი გაჩაღებული, — ვუსაყვედურე.

— მერე? გამოგივიდათ რამე? როგორი იყო? — გამეხუმრა და თმა ამიბურდა.

— ერთი ზარისთვის რომ გეპასუხა, არ შეგეძლო? ან მესიჯი მოგეწერა? ღამე გამათენებინე, — გამოვუშვი დაგროვილი ბოღმა.

— არ შემეძლო... და უნდა დამიჯე-

რო, ამას რომ გეუბნები. სამაგიეროდ, სულ შენზე ვფიქრობდი.

სასიამოვნო სიტბო ჩამელვარა სხეულში, მაგრამ არაფერი ვუპასუხე.

— შენი თმა ისე ბრწყინავს, როგორც მზე ზღვის ტალღაზე, — ხმადაბლა თქვა.

— ძალიან რომანტიკული ნათქვამია, — ირონია არ დავიშურე.

— აბა, რა, მე ხომ მოწოდებით რომანტიკოსი ვარ, — ის სიტუაციის დათბობას ცდილობდა.

ვგრძნობდი, ასე დიდხანს ვერ გავძლებდი და შევეცადე, სხვა რამეზე გადამეტანა საუბარი.

— როგორ არის ვიტალი?

— აბა, რა გითხრა... — ხელი შემიშვა, მაგიდას მოუარა და სავარძელში ჩაჯდა. — საზღვარგარეთ მოუწევს მკურნალობის კურსის გავლა, ღვიძლებზე რომ არაფერი ვთქვათ, გულიც ვერა აქვს წესრიგში, ორი კუნთი მოდუნებულია, ოპერაციის გაკეთება მოუწევს.

— რა საშინელებაა... ჯერ ისეთი ახალგაზრდაა... რა ღირს ოპერაცია?

— დაახლოებით 30 ათასი დოლარი.

— მართლა? ეს ბევრი არ არის?

— არც ისე ბევრია, რომ სიკვდილი მოატყუო, — თავის კანტურით მიპასუხა და გამიღიმა.

— მერედა, საშუალება?

— ცოტას ჩვენ წავეხმარებით, ეგ არაფერია. დაივიწყე!.. შენზე მელაპარაკე.

— რა ვიცი, რა უნდა ვთქვა?

— ხვალღან ვიტალის კაბინეტში გადახვალ. შენს ადგილს კი მარიკა დაიკავებს. ჩემთანაც გაივლი კონსულტაციებს და თედოსთანაც. მართალია, თედო თავიდან წინააღმდეგი იყო, მაგრამ არა უშავს, ბოლოს მაინც მოვთვინიერე.

— წინააღმდეგი? რატომ?

— არ ვიცი, ალბათ არ ეთმობოდი,

— ეშმაკურად ჩამიყუჟუნა თვალები.

— ნუთუ? — ცინიკურად ჩავიცინე.

— აბა, რას იტყვი? მზად ხარ, ახალ ამბულანსში შეუდგე მუშაობას?

— რა თქმა უნდა.

— როგორ ფიქრობ, შეძლებ? ხომ არ გაგიჭირდება?

— არ გამიჭირდება. იმაზე ადრე ავითვისებ ყველაფერს, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია, — დავიტრახაბე.

— „არასახუმარო“ ამბიციები გქონია, — სიცილი აუტყადა, უკან გადაიხარა, ნიკაბი მალლა ასწია და შემომაჩერდა.

— ამ ქვეყანაში ქალებს ნებადართული აქვთ, ჰქონდეთ ამბიციები, — ამბიციურად ვუპასუხე.

— იცი, რას მავონებ? — თქვა და წინ გადმოიხარა. — სუფთა ჰაერის ყლუპს... შენს შესუნთქვას არაფერი სჯობს.

უტიფრად გავუსწორე მზერა.

— სიამოვნებით შეგისუნთქავდი კიდევ ერთხელ... როდის შევხვდეთ?

ამ კითხვაზე კოპები შევკარი, ხოლო შეკითხვა უპასუხოდ დავტოვე.

— რა იყო, უკან დახევა ხომ არ განიზრახე? შემთხვევით, უარის თქმას ხომ არ აპირებ? — თვითონაც ზუსტად ისეთი სახე მიიღო, როგორიც მე მქონდა.

— არა, მაგრამ ძალიან გთხოვ, არ იფიქრო, რომ ერთი ხელის დაქნევა და შენვე კისრისტებით გამოვიქცევი. მეც მაქვს ჩემი სიამაყე, — მისი სიტყვებით გათამამებული არ ვუთმობდი.

— მაგრამ შენც ხომ გინდა ჩემთან? მართალი მითხარი.

— მინდა... და რა მერე?

— მაშინ სიამაყეზე ნულარ მელაპარაკები. სიამაყე მხოლოდ საბაბია, არ გამოჩნდებ ისეთი, სინამდვილეში როგორიც ხარ.

— როგორი „ისეთი“?

— ვიცი, რასაც ვლაპარაკობ და შენც მშვენივრად ხვდები, რისი თქმაც მინდა. ნააგებ, თუკი „ფიშკას“ სიამაყეზე დადებ. დროა, სიმართლეს თვალეში შეხედო.

— და რაში მდგომარეობს ეს სიმართლე?

— იმაში, რომ შენ ჭკვიანი, დამოუკიდებელი გოგო ხარ, ძლიერი ხასიათით, მაგრამ სექსში მორჩილებას ამჯობინებ. ამაში სამარცხვინო არაფერია, შენ კი გიჭირს ამის აღიარება.

შევიშმუშნე. ის მართალი იყო. იმ ღამეს ძალიან მომწონდა, თავად რომ განაგებდა ლოგინში სიტუაციას, მაგრამ მე გამოუცდელი ვიყავი ამ „სფეროში“ და მორჩილი ამიტომ უფრო ვიყავი.

— გამოტყედი, რომ ჩემზე ნაკლებად არ მოგწონს ეს პროცესი... სექსი... ვე-ლური სექსი.

— არ გინდა, ასე ნუ მელაპარაკები, — ავიღენე.

— რატომ? სექსი რა, დანაშაულია? რატომ გიჭირს აღიარება?

— მე წავედი, — ვთქვი და ნამოვხტი, მიძინებდებოდა მასთან ამ თემაზე ასე ურცხვად ლაპარაკი.

— არ ნახვიდე, გთხოვ... არ შეიძლება, ექიმმა ჩემნაირი პაციენტი კრიტიკულ მდგომარეობაში მიატოვოს.

— რატომ, რა განუხებს?

— გული მაქვს გაბზარული, — ტუჩებით კოცნა გამომიგზავნა.

— მაგრამ მე ექიმი არ ვარ, — მაინც ვჯიუტობდი.

— ჩემი ექიმი შენ ხარ და უნდა შეეგუო ამას, გასაგებია? წადი, მაგრამ დამახსოვრე, რომ მე აუცილებლად მოვალ, რადგან ის ფრონტის ხაზი უნდა ვნახო, სადაც ბრძოლა მომიწევს, — ადგა და მომიხალკოვდა, — ოღონდ დღეს არა. სხვა დროს.

— ო! — მხოლოდ ამის თქმა შევძელი შეხვედრის გადატანით იმედგაცრუებულმა, ამავდროულად, ათრთოლებულმა და სწრაფად გამოვედი კაბინეტიდან.

ნიკას მდივანი ფრჩხილებს იქლიბავ-



და და იდუმალი ხმით ვილაცას ებაასე-
ბოდა ტელეფონზე.

ჩემს ოთახში რომ შევედი, მობილ-
ური რეკავდა. ნომერს დახედე, ბები
მირეკავდა იტალიიდან...

კარგა ხანს ველაპარაკე. მო-
ვეყვი ჩემი დანინაურების შესახ-
ებ... სიხარულისგან იტირა. მერე
მითხრა, ათასი ევრო გამოგიგზა-
ვნა ბაბუაშენმა „ვესტერნ უნიონ-
ით“ და აიღეო, თან კოდი ჩამან-
ერინა.

— იცოდე, მხოლოდ ტანსაც-
მელი იყიდე. ახლა შენ ლამაზად
უნდა გეცვას, სხვა სისულელეებ-
ში არ დახარჯო ფული! — „სას-
ტიკად“ გამაფრთხილა, — იმ
თვეში კიდევ გამოგიგზავნი.

— მიყვარხართ ორივე! — პა-
ტარა ბავშვით ავჭყლოპინდი. —
სალამო სკაიპში შემოვალ და
დაგელაპარაკებით... ძალიან მომ-
ენტრეთ, ძალიან!

— იმედია, შენს უნახავად არ
მოვევდები, შვილო. იქნებ მოახ-
ერხო და ერთხელ ჩამოხვიდე, — გული
აუჩუყდა ჩემს ბებოს.

— აუცილებლად ჩამოვალ, როგორც
კი შევძლებ. მომიკითხე იქაურები, —
მეც ამიჩუყდა გული და თვალები ცრემ-
ლით ამევსო, როცა მობილური გაე-
თიშე.

ესეც ასე. ას ევროს გადავახურდაე-
ვებ და მამაჩემს გაუგზავნი, დანარჩენს
მე მოვიხმარ, იქამდე ხელფასიც წამომენ-
ევა. ასე თუ გააგრძელეს ჩემმა იტალ-
იელმა „მეურვეებმა“, ერთ წელიწადში
გავმდიდრდები კიდევ. გამეცინა.
გაგიჟდება ბაბუაჩემი, ჩემი ნონო, ჩემს
ამბავს რომ გაიგებს და ძვირფას საჩუ-
ქარსაც არ დაიშურებს ჩემთვის. ალ-
ბათ ბრილიანტისთვის საყურეს მიყ-
იდის, შარშან რომ შევავალიერეთ
ერთად ფლორენციაში, პალაცო პიტინე,
სადაც მსოფლიო ბრენდების ბუტიკე-
ბია განლაგებული. თვალები ამიჭრელ-
და, იმდენი შოკის მომგვრელი რამე
ვნახე, ყველაფერი ერთად მიწოდდა. ჩემმა
გულუხვმა ბაბუამ სამი ათასი ევრო
დახარჯა იმ დღეს ჩემთვის. იქ ძალიან
ძვირია ყველაფერი, თან ფასდაკლება,
შევაჭრება და ეგეთი რალაცები არ მო-
სულა.

მოულოდნელად ხარი დაირეკა და
წითელი ლილაკი აინთო. აუჰ! როგორც
ჩანს, თედო ძალიან გაბრაზებულია.
ალბათ იმაზე, მის „მკერდს რომ მო-
მგლიჯეს“ და სხვაგან გადამისროლეს.
სიცილი ძლივს შევიკავე. ასეთი სახით
რომ შევიდე, ვერ გადავურჩები. ჯო-
ბია, დავსერიოზულდე.

— გისმენ! — კარი შევაღე და ზღურ-
ბლზე შევედექი.

— მოდი აქ! — გაღიზიანებულმა
მომმარტა.

კარი გამოღებული დავტოვე, კიდევ
არ დამიწყოს ლლაბუტი-მეთქი, მოტ-
მასნილი ქვედაბოლო დაბლა დავექაჩე

და წელი სვლით მივუხსლოვდი.

— დაჯექი!

დაჯექი. ერთხანს გამომცდელად
მიყურა, მერე დამცინავად ჩაიღიმა და
ლურჯი კალამი მაგიდაზე დააკაჟუნა.



— კმაყოფილი ხარ? —
თვალბომოჭუტულმა მკითხა.

— გააჩნია, რითი.

— იმითი, რომ ხვალიდან ჩემთან
ალარ იმუშავებ.

— ეგ რა შუაშია, შენთან მუშაო-
ბით უკმ...

— რატომ დაგინშა მენეჯერად, მაგ-
აზე გიფიქრია? — ცივად მელაპარაკე-
ბოდა.

რალაც ცუდად მენიშა მისი სიტყვები
და ავლედი.

— ვერ გავიგე... — წარბები შევიჭ-
მუნხე.

— გგონია, შენ პირველი ხარ, ვინც
თანამდებობაზე დანიშნა? ჰკითხე აბა,
ერთი! — ბოროტად უელავდა თვალე-
ბი.

გაფვითრდი, ეს სიტყვები ავის მო-
მასწავებლად მეჩვენა.

— არ მესმის შენი... იქნებ უფრო
გასაგებად მითხრა, რას გულისხმობ,
— ძლივს ამოვთქვი, ხმა საოცრად შემ-
ცვლიდა.

— სულელი ხარ, შტერი, მიამიტი
და გულუბრყვილო! — იფეთქა უცებ,
— გარიგება შემოგთავაზა, არა? დაუ-
წექი, ხომ? ალიარე, რომ ასეა, თქვი,
რომ მიეცი, თქვი!

ფეხზე წამოვიჭყერი და ვიგრძენი,
როგორ ამიკანკალდა მუხლები.

— შენ მე შეურაცხყოფას მაყენებ,
— დავიჩურჩულე თავზარდაცემულმა.

— შენ არ გაყენებ შეურაცხყოფას,
შენს საქციელს ვგმობ, უტვიროვ! თან-
ამდებობის გამო როგორ დანებდი, ამიხ-
სენი, რა გრჯიდა? ყველა ერთნაირი
როგორ ხართ, გამაგებინეთ! ნუთუ მხ-
ოლოდ ამისთვის ჩამოდიხართ პრო-
ვინციიდან ეს ცხვირმოუხოცავი ღლა-
პები! სხვა უფრო ღირებული მიზანი
არაფერი გაგაჩნიათ?!

ამის მოთმენა უკვე შეუძლებელი იყო.

— ერთი წუთით, თუ შეიძლება...
არ გაქვს უფლება, ასე მელაპარაკო! —
ჩემდა უნებურად, მეც ავუნე ხმას, —
ჯერ ერთი, თუნდაც ასე იყოს, შენი რა
საქმეა? — თავზარდაცემა მრისხანებამ
შეცვალა. — მე შენი
საკუთრება არ ვარ! და
მაქვს უფლება, როგორც გა-
მიხარდება, ისე ვიცხოვრო!
სხეული ჩემია და ვისაც მიწ-
და, იმას ვაჩუქებ! დანარ-
ჩენი შენ არ გეხება!

— ცდები! — მთელი
ხმით იყვირა, — მეხება! —
უეცრად წამოხტა, მომეჭრა,
მკლავებში მომიმწყვდია და
კოცნა დამიპირა.

რაც ძალი და ღონე
მქონდა, ხელი ვკარი და
გვერდზე მივაგდე. სკამს
გამოეღო და წაიფორხილა.
ამით ვისარგებლე და მაგ-
იდაზე მდგარ წყლიან გრა-
ფინს დავავლე ხელი.

— არ მომეკარო,
თორემ თავზე დაგაფშვნი ამ გრაფინს,
შე დამპალო! — გველივით წავისისინე.

ალბათ საშინელი გამომეტყველება
მქონდა, რადგან გაცემისგან თვალე-
ბი გაუფართოვდა, ორივე ხელი ასწია,
დამშვიდდიო და თავის სავარძელში
ჩაჯდა.

— დადე ეგ მაგიდაზე, — უმშვიდე-
სი ხმით მითხრა, თუმცა კი ხმაშალა
სუნთქავდა, — დაჯექი და მომიმინე.

— შენთან სალაპარაკო არაფერი
მაქვს! — გრაფინი თავის ადგილზე დაე-
აბრუნე, მაგრამ დაჯდომა არც მიცდია.

— სამაგიეროდ, მე მაქვს. მართა-
ლია, ის ჩემი ძმაცაცია, მაგრამ არც
ისეთი მამა აბრამის ბატონია, ქალის
რომ გგონიათ. შენნაირად ბევრი გაუთე-
ლავს და ბევრისთვის უტკენია გული.
მერე კი, ვალში რომ არ დარჩენილ-
იყო, ყველა დაუსაქმებია. ხათუნას მან-
ქანა უყიდა და სამკაულების სექციის
გაუხსნა ბაზრობაზე, ნანკა თავის მან-
ლაზიაში მენეჯერად დანიშნა, სოფოს
კი დირექტორობა აჩუქა და ყველა
საწყობი გადააბარა, გესმის? ახლა
მინც ხვდები, რისი თქმაც მინდა? შენც
ამიტომ დაგინშა მენეჯერად. ამიტო-
მაც გითხარი, სულელი ხარ-მეთქი.
მამინვე მივხვდი, რაც მოხდა, იმიტომ,
რომ სხვანაირად ამას არ იზამდა. მის-
გან ეს პირველი შემთხვევა არ არის.
ჯერ შეაცდენს ქალს და მერე თანამ-
დებობებს ურიგებს.

ერთიანად დაჭიმული სხეული უე-
ცრად მომიმწვარდა, თვალთ დამიბნელ-
და და რომ არ ნავეცუულიყავი, სკამის
საზურგეს ჩავეჭიდე. რალაცის თქმა
დავაპირე, მაგრამ არ დამცალდა...

მე და თედომ თითქმის ერთდროუ-
ლად გავიხედეთ შეღებული კარისკენ...
ზღურბლზე გახევებული მარნიკა იდგა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



უცნაური მგზავრები

ინგა ჯაყელი

უკვე თითქმის შუალამე იყო და ტაქსის მძღოლი უშანგი აღარც ელოდა მგზავრის გამოჩენას. დამსაქმებლის შიში რომ არ ჰქონოდა, სახლისკენ გადაუხვევდა, მაგრამ ღამის პირველ საათამდე არ ჰქონდა სამუშაოს მიტოვების უფლება.

ამ დროს რესტორნებთან უფრო ღირდა ჩავლა და ამიტომ ერთ-ერთისკენ აიღო გეზი, მაგრამ მანამდე აუნია ხელი საშუალო ასაკის ფაშფაშა ქალბატონმა. მაშინვე გაუჩერა და კარც გაუღო...

სანამ ჩაჯდებოდა, ქალმა უკან მიიხედა და სიბნელეში ვილაცას დაუქინა ხელი: „ყაჩაღები არ იყვნენ, ასე უცნაურად რომ იქცევიან“, — გულმა რეჩხი უყო და გაქცევაც კი დააპირა, მანქანა დაქოქა, მაგრამ ქალმა ყელი გამოიღარა:

— ოღონდ აქ ნუ დაგვტოვებ და ხუთმაგს გადაგიხდი!..

ამ დროს დაინახა სწორედ კაცი, რომელსაც წელს ქვემოთ ჰქონდა შემოხვეული თეთრი ნაჭერი, ალბათ ზენარი და მანქანასთან ფეხშიშველი მოტანტალდა. უცებ ჩახტა უკან და მძღოლს მანამ უთხრა სათქმელი, სანამ უშანგი გაპროტესტებას მოასწრებდა:

— კაცი ხარ და კაცურად გამიგე... ჯერ ეს ქალბატონი მივიყვანოთ სახლში, სანამ გული არ გახეთქია შიშით და მერე მე მიშველე. განუულ სამსახურს ნამდვილად დაგიფასებთ, პირობას გაძღვეთ...

— ჰო! — დაიკვნესა ქალმა და ჟაკეტის საყელო აინია. აშკარად სახის დამალვას ცდილობდა...

ჯერ ქალი მიიყვანა მითითებულ მისამართზე. გადასვლისას ქალმა მძღოლს ასვეროიანი დაუგდო სავარძელზე:

— თქვენი სიკეთის სანაცვლოდ, ესეც ცოტაა!..

...როცა მარტონი დარჩნენ, ტიტლიკანა კაცს გული მიეცა და ყველა ქალს ერთიანად უგინა მკვდარი და ცოცხალი. მათ შორის, ცოტა ხნის წინ მანქანიდან გადასულსაც:

— ჩემი შეფია. ორჯერ იყო გათხოვილი და არც საყვარლები დაუკლია, მაგრამ არ გაძლა მაინც მისი მუცელი. მეც იმიტომ ამიყვანა სამსახურში, რომ მაშინვე, როგორც კაცს, ისე დამადგა თვალი... კარგა ხანს არ ვიმჩნევდი, მაგრამ მერე პირდაპირ მითხრა — ან გახდები ჩემი საყვარელი, ან



არა და, სამსახურს დაკარგავო... სამი ათასი ლარი მაქვს ხელფასი და როგორი დასაკარგავია ჩვენს დროში ასეთი სამსახური?! მით უფრო, რომ ორი წყება ცოლ-შვილი მყავს სარჩენი... ნავინწყმიდე სული და... არადა, დედად შემეფერება ეგ შობელძალი, 16 წლითაა ჩემზე უფროსი...

აქ აგარაკი აქვს და როცა ინდომებდა, სულ აქეთ მოვდიოდით... დღესაც წამომიყვანა და საძინებელში ერთ ამბავში რომ ვიყავით, მაშინ არ მოვიდა მისი ქმარი და არ მოიყვანა ვილაც ჩათლახი?!

ჩვენ საძინებელში კი ვიყავით, მაგრამ ტანსაცმელი მისაღებშივე გავიხადე და იატაკზე დავეყარე... კიდევ კარგი, სახლი ერთსართულიანია. მოვიხვიე ზენარი და ბაღში გადავხტი. ეს საძაგელი ქალიც გამმოვართიე და კიდევ კარგი, ის მაინც იყო ჩაცმული, საძინებელში ჩემსავით დედიშობილა არ შემოტანტალუდა...

— კი, მაგრამ იატაკზე დაყრილ შენს ტანსაცმელს რომ ნახავდა ის კაცი?! — გაუკვირდა უშანგის.

— ეგ რალა ჩემი სადარდებელია, მთავარია, რომ ცოცხალი გამოვასწარი. გამოძიებელია და ტყვიას ტყვიაში აჯენს... მისმა ცოლმა იმართლოს თავი. თუ ვერ იმართლებს და მოკლავს ქმარი, მეც

მოვისვენებ და ისიც...

როცა მინიშნებულ მისამართზე მივიდნენ, უშანგი შენუხებული მიუბრუნდა კაცს:

— ასე ტიტლიკანა როგორ ახვალ სახლში, ან ცოლს რას ეტყვი?

— უნდა მიშველო... მათხოვე შენი ჯინსი და მაისური... ათ წუთში ჩამოგიტან უკან...

სხვა რა გზა იყო და ხვნიშა-კვნესით გაიძრო ტანსაცმელი და უცნაურ მგზავრს გადაანოდა, თან შეეხვეწა:

— თუ ძმა ხარ, არ გადაამადო, თორემ ტიტველი რომ მივიდე სახლში, დამენგრევა სიმნრით აწყობილი ოჯახი.

— გეკადრება?! — ინყინა კაცმა, რომელიც მართლა ათ წუთში დაბრუნდა უკან. ტანსაცმელიც დაუბრუნა უშანგს, ასდოლარიანიც აჩუქა და ძვირფასი კონიაკიც: — ჩემი გადარჩენისა დალიე. ხომ იცი, ამ დროს სახლში ვერ აგიყვან, თორემ მეფურ სუფრას გაგიშლი-

დი!..

უკვე პირველი საათიც შესრულებულიყო. შინ დაბრუნებაც შეეძლო.

უნდოდა, ცოლისთვის მოეყოლა თავს გადახდენილი, მაგრამ... ბოლოს თავი შეიკავა: ქალია მაინც და რატომ უნდა იცოდეს, კაცს რა „გაჭირვება“ აღარ გადახდებო?!.

ვახშობის თავიც აღარ ჰქონდა, წყალი გადაივლო და პირდაპირ საძინებლისკენ აიღო გეზი. საწოლთან მისულს, ფეხებში რალაც ნამოედო. დაიხარა და აიღო, შარვალი იყო. გონება დაუბნელდა:

— ვისი შარვალია, ქალო, ეს? — იყვირა გაოგნებულმა და ეჭვით გათანგულმა. თავისი უცნაური მგზავრის აგარაკზე მიტოვებული სამოსი გაახსენდა.

ნელიმ სინათლე აანთო:

— რა ჭირი გეტაკა, შენი სპორტულია და ვერ ცნობ?! — იქით შემოუტია. — რომ ადგები დილით და ნიფხვით დატანტალე ნახვამდე, მაშინ დაგივარდა, ალბათ...

კი, ნამდვილად მისი შარვალი იყო! შერცხვა და სახე მოარიდა ცოლს:

— გეხუმრე! — გაღიმება სცადა. არადა, ელდამ ძილიც არ შეარგო: მთელი ღამე ესიზმრებოდა — როგორ პოულობდა საძინებელში სხვის დატოვებულ შარვლებს...

ნოემბრის ნომერი

№12

ათიანში

ნოემბერი, 2010

ჟურნალი, რომელსაც კითხულობენ



**ჭაბუჩა
ამირეჯიბი:
ჭყუით,
ქართველებო!..**

შპსი 5 ლარი

**დათო
ტურაშვილი**

ბუდნევი
ბაბიტონის
ხუტმნიფე

**აკა მორჩილა
სამი**

**ცინს
სუვედონ**

ავტორთა ნაკრები:
აკა მორჩილა,
ილია ბაბუნაშვილი,
დათო ტურაშვილი,
ედიშერ ბერაქა,
ლუა ბაბუნია,
გაბა გობრონიძე,
დავით კოვზირიძე,
კობე ჯანდიარი,
ლელა ჯიყაშვილი,
სოსო ცინკარიშვილი,
ნინო რახვიაშვილი...

გზის გზნილები

„ჩამოვები“ და გაწვდილი მარჯვენა

მარი ჯაფარიძე

გასული საუკუნის იმ პერიოდში, როცა ქართული პოლიცია პრაქტიკულად თვეების განმავლობაში უხელფასოდ მუშაობდა, დათა ერთ დანაყოფს ხელმძღვანელობდა. მას შუახანს მიტანებულმა ზემდეგმა თხოვნით მიმართა: — უფროსო, ნუ გამიშვებ სადმე გადასაკარგავში, აგერ, გაგარინის მოედანზე ვიტრიალებ, დისლოკაციითაც გვეკუთვნის და პოლიციის განყოფილების მიმდებარე ტერიტორიასაც ყურადღებას მივაქცევო. დათას უარი არ უთქვამს, თუმცა ის დღე იყო და ის დღე, ზემდეგ ჯემალს ყოველ საღამოს მოჰქონდა დათასთვის რამდენიმე ცალი კარტოფილის ღვეზელი და „კოკა-კოლა“. თავიდან დათას უარის თქმა უნდოდა, თანაც, „კოკა-კოლას“ არ მიირთმევდა, მაგრამ ასაკით უფროს თანამშრომელს უარი ვეღარ უთხრა. შემდგომ — შეეგუა. რამდენჯერმე მეც გამიმასპინძლა და აღნიშნა, „კოკა-კოლა“ და კარტოფილის ღვეზელი ასეთი გემრიელი არასოდეს მომჩვენებია, იმავე ადგილზე ვიყიდე და ასეთი გემრიელი არ იყო, ნეტავ „სპეცზაკაზით“ ხომ არ ამზადებინებსო?!

თურმე ნუ იტყვით და, ზემდეგი ჯემალი პოლიციის მიმდებარედ „სტიანშიკობდა“ და დათასთვის იქ მოგროვებული მცირედი თანხით ყიდულობდა ენ. „ლანჩს“. შემდეგ დათა დაანინაურეს და ქალაქის სამმართველოში გადაიყვანეს. ჯემალი იქაც ეწვია და თავისი გასაჭირი უამბო — ახალი უფროსი როგორც კი მოვიდა, დამიბარა და თუ გინდა, მაგ პოსტზე კი არა, დანაყოფში დაგტოვო, ყოველთვიურად 300 ლარს მომიტანო.

დათას ბევრი აღარ უფიქრია და ჯემალი ნავთლულის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე გაამწესა, თან ჩაიცნა: „იქ გაცილებით მეტი გექნება მისატანი უფროსობასთან, მაგრამ



არა უშავს, გიღირდეს იქნება“. სიმართლე უნდა ითქვას, ჯემალს თავისი უფროსი მერე აღარც გახსენებია, მაგრამ დათას ახსოვდა და დღესაც ახსოვს ღვეზლისა და „კოკა-კოლას“ განუმეორებელი გემო.

ზაფხულის ერთ ცხელ დღეს დათა სამგორის რაიონს სტუმრობდა და იქვე, ბაზართან რაიგანყოფილების უფროსს ელოდა. შორიხლოს ნაცნობ „ასობისტებს“ (პირადი შემადგენლობის ინსპექციის შინაურულად „ასობს“ ან „ილს“ უწოდებდნენ) მოჰკრა თვალი და მიესალმა. საუბრისას გაირკვა, რომ პირადი შემადგენლობის ინსპექციას ვინმე ჯემალის ფაქტზე აყვანის მიზნით ოპერაცია ჰქონდა დაგეგმილი. ის თურმე საცოდავ მესაზამთროებს უმოწყალოდ „წენავდა“ და რაც მთავარია, „მაღალაც“ არაფერი მიდიოდა. ამ დროს კი საპირისპირო მხრიდან ჯემალი მათ დანდობილად უახლოვდებოდა. დათა რომ დაინახა, ფეხს აუჩქარა და თან გარე-

მოვაჭრებს გამოწვდილ 5 და 10-ლარიანებს ართმევდა. დათას ბევრი აღარ უფიქრია და მალულად, ხელით ანიშნა, გაეცალე აქაურობასო. ერთ-ერთმა „ასობისტმა“, ლაშამ, თვალი შეასწრო დათას გამაფრთხილებელ მოძრაობას და იმავე ნუთში მისკენ ზურგით დადგა. დათა მადლიერების გრძნობით განიმსჭვალა, თუმცა ლაშას მხარზე გადაკიდებული ოპერატიული ხელჩანთისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია. ჯემალს თითქოს მიწამ უყო პირი, უეცრად გაუჩინარდა და მოვაჭრეებში მიიშალა.

დათა ნაცნობებს დაემშვიდობა, თავისი საქმეები მოილია და სამსახურში კმაყოფილი დაბრუნდა. განსაკუთრებით ლაშას საქციელი უხაროდა. მაინცდამაინც დიდი მეგობრები არ იყვნენ, მაგრამ აივნიდან

სიგარეტის გადანოდების ფაქტები, არყით სავსე მათარების გაცვლა-გამოცვლა და ერთობლივი მორიგეობები ხშირად ჰქონდათ.

თავის კაბინეტში რომ შევიდა, აივნის კარი გამოაღო და შიდა ტელეფონმაც დარეკა... უცებ ვერ გაარკვია, „ასობის“ უფროსის ხმა აივნიდან შემოდიოდა თუ ტელეფონის ყურმილიდან ესმოდა...

რამდენიმე წუთის შემდეგ დათა გაოგნებული, სახეაჭარხლებული იდგა პირადი შემადგენლობის ინსპექციის უფროსის კაბინეტში და ტელევიზორის ეკრანს თვალს არ აცილებდა. სიბრაზისაგან არანაკლებ ანთლებული „ასობის“ უფროსი (სხვათა შორის 5 (ქალი)შვილის მამა და ხელოვანი, საკმაოდ ნიჭიერი მხატვარი) კი ყვირილით აკეთებდა კომენტარს:

— „მატ“ ტერეზა... „ბლინ“... შეხედე, შეხედე, რა კოხტად უქნევს ხელს... რა ოპერაცია ჩამიგდო... ახლა მეც დაგიქნევ ხელს, — და ის შესტი



გაიმეორა, რაც კამერას ჰქონდა დაფიქსირებული, — ოღონდ ეგ ნიშნავს — მიბრძანდი შენი ფეხით აქვე, შორს ნუღარ წახვალ, პირველ სართულზეა „კა-პე-ზე“, — დამარცვლა შალვოვიჩმა. — ახლა ახსნა-განმარტებას მე თვითონ ჩამოგართმევ, რანგით გეკუთვნის, — ისევ უკბინა.

დათას დანა პირს არ უხსნიდა, მაგრამ თავი გაიმხნევა, „საშინელი დასასრული ჯობია უსასრულო საშინელებას“ (გენიალური ნაწარმოებია „დათა თუთაშხია“) — გაიფიქრა, სავარძელში მოკალათდა და „ასობის“ უფროსს მოკლედ მოუყვა ჯემბალთან ურთიერთობის ამბავი. არც „კოკა-კოლა“ და დღეებლები გამორჩენია და არც ის გარემოება, რომ თუ რამე ისე არ ხდებოდა როგორც საჭირო იყო, მიზეზი ზედა რგოლებში უნდა მოეძიათ და ბოლოს და ბოლოს, ვირთხების („კრისების“) დასაჭერად ხაფანგებიც დაე-

გოთ. შალვოვიჩს პირქუში გამომეტყველება არ შესცვლია, მხოლოდ მოხდენილი, სშირი უღვაშის ცმაცუნით გამოხატავდა თავის ემოციას:

— შენ რა, გინდა, შენი სენტი-მენტალიზმით ამაგდო?! ვერ მოგართვი! — თან სამი თითის კომბინაცია უჩვენა; წამოდგა, მძიმე ნაბიჯებით დათას მიუახლოვდა და ფართოდ გაშლილი ხელი მისკენ წაიღო... და დათამ თავისი ხელი შეაგება. გულში ჩაიკრა პირქუშმა უფროსმა ახალგაზრდა ოფიცერი. მერე კი კარისკენ უბიძგა:

— მიდი, მიდი, მთელი დღეა, ლუკმა არ ჩაგვლია პირში... — და უღვაშში ჩაიციხა.

კაბინეტიდან გამოსული პირდაპირ ლაშას შეეჩეხა. დათას უტყვე შეკითხვაზე — „რატომ?“ მშვიდად უპასუხა: „ჩემი სამსახურია ასეთი, შენ რას გამოიდე თავიო?!“ და შერი-

გების ნიშნად ხელი გაუწოდა. დათამ გამოწვდილ ხელს ზედაც არ დახედა და თავის კაბინეტში შევიდა.

„ხატი და რჯული, ღმერთი და ხატი“ დათას არ ჰქონდა ის გრძნება „კრული“.

ბოლმა კი არ ჰქონდა გულში, ადამიანი და ადამიანურად ეწყინა... თუმცა, მერე ეს წყენაც სანანებელი გაუხდა. ლაშა ტრაგიკულად დაიღუპა ავტოავარიის დროს, რომ დათამ ვეღარ მოასწრო გამოწვდილი ხელისთვის თავისი მარჯვენის შეგება. ლაშას სახელისა და გვარის უკვდავყოფა ქალაქის სამმართველოში დადგმულ მემორიალზეც ვერ მოხერხდა, რადგან იქ მხოლოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა გვარ-სახელები ამოტივიფრა. მას მერე ხშირად მეუბნება დათა: „არავისზე წყენა და ბოლმა არ ჩაიდო გულში, მიუტყვე ადამიანებს“. ულიბკა.

გათაგაზებული ტრაგედია

ეს ამბავი ალბათ ბოლო 2 ნომრის თემას შეეფერება. „ადამიანი, რომელმაც ჩემი ცხოვრება სამუდამოდ შეცვალა“ და „გამოუსწორებელი შეცდომა“. ამას წინათ „მინრომანში“ გენერათ, რომ... აუსრულებელი ოცნების ყველაზე დიდი „მინუსი“ ისაა, რომ შენი ოცნება ვიღაც სხვას უხდება და მიაჩნია, რომ მან შენი ბედნიერება დაიმსახურა. ჰოდა, ჩემი საქმეც ასეა. დანარჩენს კი დრო იტყვის. ბანალურია და ჩვენ ერთმანეთი ინტერნეტით გავიცანი. „ოდნოების“ მეგობრის მეგობრებში ჩემმა ლამაზმა სახემ გაანათა და იმ სურათმა დამღუპა ზუსტად. ერთი წელი მხოლოდ ჩვეულებრივი ნაცნობები ვიყავით. საერთო ნაცნობის წყალობით სალაპარაკო ბევრი გვექონდა, ჩემთვის მხოლოდ საინტერესო, მხიარული მოსაუბრე იყო. მისი პიროვნებით უფრო ღრმად არ დავინტერესებულვარ და ზოგადად, დიდი ცნობისმოყვარეობის მიუხედავად, არც მის პირად ცხოვრებაზე მიკითხავს არასოდეს. თურმე იმ დროს დაკავებული იყო, რამდენიმეწლიანი რომანი ჰქონია. მისგან უდიდეს პატივისცემას, მონივნებას ვგრძნობდი და მივიჩნევდი, რომ ვიმსახურებდი კიდევ. თანაც, მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის განვხილავებული ვიყავი გარშემო მყოფთა სიყვარულითა და ზრუნვით, მაინც ეჭვიანი და სკეპტიკურად განწყობილი, არავის ვენდობოდი. მივიჩნევდი, რომ ჩემთან თამაშს ვერავინ გაბედავდა. სამსახურში ძალიან დაკავებული იყო და ამის გამო ჩვენს ურთიერთობას მხოლოდ პერიოდული ხასიათი ჰქონდა. ერთხელ გამიმხილა, რომ შეყვარებულს დაშორდა, ცუდად იყო. ჩემი ნომერი შეიტყო და დამირეკა. მითხრა, რომ დრომ გაიარა, მის ცხოვრებაში ერთი ეტაპი დამთავრდა და სურდა, მეორე ჩემთან ერთად დაეწყო, რადგან ზოგადად, როგორც პიროვნება, ყოველთვის მოვწონდი, მაგრამ სანამ თავისუფალი არ იყო, ამ თემაზე ვერ დამელაპარაკებოდა. — გასართობს არ ვეძებ, ვიცი, როგორი უკარებაც ხარ და შენს ნდობას აუცილებლად დავიმსახურებო. თავიდან ცივი ვიყავი მის მიმართ, ვაბრაზებდი, არ ვენდობოდი და არ ვუჯერებდი არც ერთ სიტყვას, მერე კი ჩვენი ურთიერთობა თანდათან დათბა, მისი ძალისხმევით. დაძაბული გრაფიკის მიუხედავად, გადაჭარბებული ყურადღებითა და სითბოთი, ჩემი გული თითქმის შეხვედრამდე მოიგო. სულ ვუმეორებდი, რომ მხოლოდ ამ 2 ფაქტორის გამო ვაფასებდი და არა — გარეგნობის ან სხვა პრივილეგიის გამო. იყო დაუფინყარი თვეები, როცა მხოლოდ მე ვიცოდი, რას აკეთებდა ყოველ წუთს, რით სუნთქავდა, ვგრძნობდი, სიამოვნებდა ჩემთან ურთიერთობა, ნებისმიერი ემოციის გაზიარება. ზოგადად ჩაკეტილი, რთული ხასიათის, ბავშვური გულუბრყვილობითა და ღიმილით პასუხობდა ჩემს ნებისმიერ, პირადულ, უტაქტო შეკითხვას და ამის მიღმა თუ კიდევ რამე იმალებოდა, ვეღარ დავუშვი. გარშემო მყოფებთან მისი მუდმივი კონფლიქტის მიზეზები



მხოლოდ მე მესმოდა და ეს ფაქტი ორივეს გვაოცებდა და გვაბედნიერებდა. უსახლვროდ მგრძნობიარეს, ყოველთვის ყველა ემოცია სახეზე ეწერა, ვერაფერს მალავდა და სწორედ ეს მაიმედებდა, რომ არ ტყუოდა. ამის გამო, დღემდე მივიჩნევ, რომ ამდენი ხნის მანძილზე და ასეთი თამაში ყველაზე ნიჭიერ მსახიობსაც გაუჭირდებოდა. მას — მით უმეტეს... შეუძლებელია, იმ ემოციების გადმოცემა და სიყალბის დარქმევა. სხვას რომ თავი დავანებოთ, მხოლოდ იმ საერთო ახლობლის გამო არ მოგატყუებო, მეუბნებოდა... რა თქმა უნდა, ბევრ შეკითხვას უპასუხა თავის ცხოვრებაზე, ყოფილ შეყვარებულთან დაკავშირებით. თავიდანვე



მაჩვენებდა იმ აზრს, რომ მე მისი ბოლო სიყვარული, მეუღლე და შვილების დედა უნდა ვყოფილიყავი. რაც, რა თქმა უნდა, შეხვედრამდე აბსურდად მიჩვენებდა. როგორც იქნა, ვნახე. უბედურიერი იყო, როცა დაშინდა. დიდი, ლამაზი თვალები უელავდა და ეს სხვებმაც შენიშნეს. მეუბნებოდა, ნახვა მხოლოდ შენ დაგეხმარება გადაწყვეტილების მიღებაში, მე აზრს არ შევიცვლიო და ასეც იყო. რეალურად ბევრად უკეთესი აღმოჩნდა ფიზიკურად, ვიდრე სურათზე. ცხოვრებაში პირველად მესიამოვნა ადამიანის გვერდით ყოფნა, მისი ყურება, მინდობა, დრო არ გასულიყო. საკუთარი თავი მათეობდა. მეორე დღეს ცოლობა კატეგორიულად მთხოვა, მაგრამ უკვე სხვადასხვა ქალაქში ვიყავით და ერთმანეთი მალე ვეღარ ვნახეთ. ამის მერე ყოველი ზარი ცოლად გაყოლის მოთხოვნით, მომავალი ოჯახური იდილიის დახატვით, სიკვდილამდე ერთგულების შეფიცვით იწყებოდა. ამბობდა, რომ უკვე დიდი ხანია, მიცდის და ერთი სული აქვს, როდის ვიქნებით ერთად. მიუხედავად ამისა, ვერ ავმჩატიდ და ერთხ-

ელ ნანახ ადამიანს ცოლად ვერ გავყვები. ვთხოვდი, დამლოდებოდა, თუმცა ფსიქოლოგიურად თანდათან ვემზადებოდი ამ ნაბიჯისთვის და მზად ვიყავი, საკუთარ თავზე ეს პასუხისმგებლობა ამელო, მიუხედავად მოსალოდნელი ბევრი აშკარა სირთულისა. ბოლო დღემდე იდეალური ურთიერთობა გვქონდა. ვერ ვხვდები, როდის განწყდა ძაფი ჩვენ შორის, სად შევცედი და რატომ შემელია ასე იოლად, როცა ჩემთან თავს ასე კარგად გრძნობდა. როგორ შეიძლება, მეტი დამაჯერებლობისთვის აღდგომის დღეს ნათქვამი სიტყვა — „მიყვარხარ“ ყალბი იყოს უკანასკნელდაც 2-ჯერ დამირეკა, მითხრა, რომ ვუყვარდი, მალე ვიქნებოდი ერთად, ახალ ტელეფონს იყიდდა, მალე შემეხმიანებოდა და... აორთქლდა... ცოტა ხანს ველოდე, მერე მის ნათესალებს ვკითხე, რომლებიც მიცნობდნენ და აღფრთოვანებული იყვნენ ჩემით. ზოგად და ურთიერთგამომრიცხავ პასუხებს იძლეოდნენ, რომ პრობლემები აქვს, ცუდად არის, მალე გამოჩნდება და აგისხნის ყველაფერს, ფსიქოლოგიური და ჯანმრთელობის პრობლემები

ნამდვილად არ გამკვირვებია, მჯეროდა, მეცოდებოდა და ვლოცულობდი, კარგად გამხდარიყო. ყველანაირად ვცდილობდი სიმართლის გაგებას. ერთხელ კი, როგორც ჩანს, მოჰბურღადათ ვერსიების თხზვა და მითხრეს, ერთ-ერთ ექსპეკარებულს შეურიგდა, ცოლად ირთავს, დივიწყყო და თანაც იმას არა, მე ვისზეც მიამბობდა. ამ ხნის მანძილზე ჩსუბობდნენ, ახლა ყველაფერი გაირკვა და შენც გაიგეო. თუ მართლა ასეა, რალა მეთქმის? ცოტა ხანში ვნახავ, როგორ აუხდება ჩემი ოცნება სხვას (თუ ქორწილის ცერსია მართალია), მაგრამ მისი ვერლის ალბათ არ უნდა მშურდეს, მე ახლა ცხოვრების ყველაზე საშინელი ეტაპი მაქვს. დამშვიდობება და რამის ახსნაც არ იკადრა, ისე ლაჩრულად გაუჩინარდა. არ ვიცი, ოდესმე დავიბრუნებ კი, ადამიანების მიმართ რწმენას? ღმერთმა მათათვის სასწრაფოვეთილება. ვიცი, თანდათან გაივლის ეს ტკივილი, მაგრამ მე ახლა მისი ავად ვარ. უზომოდ მენატრება, მიყვარს, მეზიზღება ერთდროულად, ამ გათამაშებული ტრაგედიის გამო. შენი ოცნების ქალი.

შესდომა, რომლის გამოსწორებაც დაგვიანებულია

გამარჯობა, ძვირფასო მკითხველო. „გზავნილების“ სახეცვლილება ალბათ უკვე შენაშნეთ და კითხვის ნიშნებიც გააჩნდათ. ნუ შეშფოთდებით, არსებითად, არაფერი შეცვლილა, უბრალოდ, საუკეთესო მესიჯები სხვა ფორმატში დაიბეჭდება. იმედია, ეს სტიმულს მოგცემთ, რომ გონება მოიკრიბოთ, მის სიღრმეში არსებული, საუკეთესო ამბები „მოქექოთ“ და გამოიმგზავნოთ. სიახლის შესახებ თქვენი აზრიც მაინტერესებს და თუ არ დაიზარებთ და მომწერთ, „მოკლე ჩართვასაც“ აღვადგენ. ჰო, კიდევ რისი თქმა მინდადა: წინა კვირაში რედაქციაში ქალბატონი ნანი დუმბაძე მესტუმრა და ძალანაც გამაბარა. სითბოთი და სიყვარულით სავსე რეგულიც გადმომიცა, რომელიც რუდუნებით შეუქსია, გაუფორმებია და თავისი თბილი გულის ნაწილი შიგ ჩაუდგია. დიდი მადლობა მას ამისთვის. ახლა კი თქვენს მესიჯებს გავეცნოთ.

„ბირჟალოთოგიურის“ სტუდენტის მოულოდნელი ქორწინება

„როგორც ბიჭების უმრავლესობამ, ლევანსაც, სკოლის დასრულებისთანავე, „ბირჟალოთოგიურზე“ ჩააბარა და იმის მერე ქუჩა მისი „მშა“ და „მეგობარი“ გახდა. ისიც ქუჩის ერთგული იყო და მისი წესებით ცხოვრობდა, მაგრამ დიდხანს ვერ გაქაჩა და ბირჟასა და მის საძმოს უღალატა. ერთადერთმა ბებიაშვიდმა უმტყუნა და მიუხედავად იმისა, რომ იმ ქვეყნად წასვლა ძალიანაც არ უნდოდა, ბედისწერამ მაინც თავისი ქნა და მიქელგაბრიელთან გაისტუმრა. დარჩა ლევანი მარტო, ამხელა სასლ-კარის პატრონად. 30 წელსაც მალე მიუკავუნა და მერე კი დაფიქრდა ცხოვრებაზე. ცოლი ხომ არ მოვიყვანო, გაიფიქრა, მაგრამ მალევე გადაიფიქრა. ცოლი რომ მოყვანა, უნდა ერჩინა, მას კი ხელის განმრევვა შავი ჭირივით ეზარებოდა. მალე სოფლიდან, ბავშვობის მეგობარი ესტუმრა; გადავიდა, ერთი

გოგო უნდა გაგირიგო, ჩემი სოფელელიაო. ლევანიც დაფიქრდა. გავიდა ერთი კვირა და ლევანმა ბავშვობის მეგობარს, დათოს მიაკითხა. რა თქმა უნდა, დალიეს, ტვინი გადაუტრიალდა ლევანს და არიქა, ცოლი უნდა მოვიყვანო, ატყდა. მოკლედა, იმ სოფელელი გოგოს ოჯახში გაეშურნენ. დათომ ოჯახს გადახედა, ეზო სავსე იყო ქათმებით. ჩაფიქრდა, მერე ოჯახის უფროსს ლევანზე თვალთ ანიშნა, ეჩქარება, 50 ფრთა ქათამი და ამდენი ხარ-კამეჩი უპატრონოდ ჰყავს დატოვებულიო. სასიამოროს ესიამოვნა და სტუმრები შინ შეიპატიჟა. ბოლოს, შეთანხმდნენ, რომ თავის შვილს გაატანდა. გავიდა რამდენიმე კვირა, ისევ დათვრა ლევანი და საცოლე რომ ჰყავდა სოფელში, მაშინ გაასხნდა. წავიდა, დათოც თან გაიყოლა, დიდი ვაი-ვიშით ის გოგო მოიტაცეს. სიმამრი ორი დღის მერე ჩასულა ქალაქში, სადა ქათამი, ან ხარ-კამეჩი, უკითხავს. აგერ, დათო გეტყვისო, ლევანს უთქვამს. დათო არ დაბნეულა — სადაა, ჩემო ბატონო და სანამ თქვენი შვილი მოვიტაცეთ, გაპარულანო. სიმამრს ლევანისთვის მხარზე

ხელი დაურტყამს, შენ არ იღელვო, შვილო და სოფლიდან ქათმები და შინაური ცხოველებიც ჩამოუყვანია ლევანისთვის. მოკლედა, ლევანის ცოლი, რომელიც ერთი შეხედვით წყნარი ჩანდა, დიდი ქოფაკი ვინმე აღმოჩნდა. კაცი არ გატყაპნებულა ლევანის სახლში, მისი შიშით. მუჭში მოიხმწყვდია ლევანი, ისიც დამჯერი შვილივით, მის დარულზე ცეკვავს, სხვა რა გზა აქვს? არ იცეკვებდა და კარგი დღე არ დაადგებოდა, თუ ცოლის, თუ სიმამრის ხელში. რას არ გაგაკეთებინებს სიმთვრალე, თორემ ლევანი ცოლის მომყვანი იყო? შერჩა ასე ქოფაკი ცოლი და ბირჟავიც მთავავესაც დასაუფლოდა და დაემშვიდობა. ეს ამბავი დიდი ხნის წინ მოხდა, პაპამ მიაბო. ლუნა“.

„შეცდომით“ რძალი

„წინელი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ სოფელში დაიბადა და გაიზარდა... გოგონა ყველას აკვირვებდა თავისი გარეგნობითა და გონებრივი შესაძლებლობებით. ჩემს სანახავად მუზობელი სოფლებიდან მოდიოდნენ, ისხნენ ხოლმე გულდანყვევით... ასაკის მატებასთან ერთად, ცხოვრებაზე, ადამიანებზე, სამყაროზე შეხედულებებიც ცვლდებოდა... არ ხიბლავდა სოფელში გათხოვება, თავი ძროხებისა და ღორების გარემოცვაში ვერ წარმოედგინა. 18 წლის ასაკში ბარგი შეკრა და სასწავლებლად თბილისში ჩამოვიდა. თავდაუზოგავი მეცადინეობისა და უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრის უდიდესი სურვილის წყალობით, გამოცდები ჩააბარა, ოცნება აიხდინა... უნივერსიტეტში წასვლის პირველი დღისთვის საგანგებოდ გამოეწყო და ოცნებასთან ხელშეახებად გაემართა... ავტო-



ბუსიდან ჩამოვიდა, მიზნისკენ პირველი ნაბიჯები გადადგა და...

— არა! ვინ ხარ? გეშვლები! — აზრზეც ვერ მოვიდა, ისე შეჩურთეს მანქანაში. :)

— თავიდან ყველა უარზე ხართ, მერე კი... ჩვენი ბედნიერები ვიქნებით! — მიუგო გამტაცებელმა. როდესაც მიტომ ნინელი კახეთისკენ მიმავალ გზას გაუყენა, სახეზე კარგად დააკვირდა თავის არჩევანს და შეყვირა, დავიღუპე... „დაღუპვამ“ შედეგი გამოიღო, დღეს მათი შვილი, მამო, 17 წლის, ულამაზესი გოგოა. თავიდან წყვილი ერთმანეთს ვერ ეწყობოდა, მაგრამ დრომ თავისი გაიტანა, ოჯახი შედგა და „სოფელიც აშენდა“. ნინელიმ თავისი ენაგვიმტობითა და სტუმართმოყვარეობით მაღლემ მოახერხა კახელებისთვის თავის შეყვარება... წყველაკრულვის „საფუძვლებსაც“ მაღლემ ჩასწვდა და აითვისა... ჯან-ღონით სავსე იყო, „შეცდომით“ რძალი. თავის ტკივილი რომ თავის ტკივილია, ის არ იცოდა, რა იყო. დაახლოებით 2 წლის წინ კი, მუცლის არეში საშინელი ტკივილები დაეწყო. ბევრ ექიმს გაესინჯა, მაგრამ ვერაფერი გაუგეს. ბოლოს, როგორც იქნა, გამოიწვია „ყოვლისმცოდნე“ ექიმი — ნალელის ბუშის ბრალიაო, გამოუტანა განაჩენი და 3 დღეში ამოაჭრა კიდეც. ქალი გამოჯანმრთელდა და ჩვეულ ცხოვრების რიტმს დაუბრუნდა. მართალია, უნაღვლისბუშთოდ იყო, მაგრამ ეს ხელს სულაც არ უშლიდა, მუშაობასა და საოჯახო საქმეების კეთებაში. ხარივით ჯანმრთელი ვარო, ამყოფდა. 2 დღის წინ კი მუცელში ისევ რაღაც ნაშთს ვიხსენებოდა, ახლა რაღა ჯანდაბა მეტაკა, მოდი, ექიმთან წავალ, თან ე პოლისიც ეგრე მიიბრუნებოდა, არაფერში გამომდგომია და ბარემ გავესინჯებო. აქაოდა, უფსაოაო, მთლიანად გაესინჯა და გაშუქდა ნინელი. დიაგნოზის მოლოდინში კი პოლიმ მოუთმენლად აწრიალდა. 2-სათიანი, დამლელი ლოდინის შემდეგ ექიმმა კაბინეტში იხმო და დამწუხრებული სახით აცნობა: ქალბატონო, საქმე ცუდადაა, ნალელის ბუში სულ კენჭებით გაქვთ სავსეო. აქ კი იფეთქა ნინელი — შე უვიცო, ამას არც პიოკორატე შეგარჩენს და არც მე შეგარჩენო, დაემუქრა ექიმს და კაბინეტის კარი გამოიხურა. იმდენი ქნა, იმდენი იარა და ილაპარაკა ნინელიმ, მაინც გაათავისუფლებინა ის ექიმი. რუსისპირი“.

გზავნილეთი — ავტობუსში

„რისთვის არ შეგვიდარებია ჩვენი გზავნილეთი: ქალაქისთვის, ოჯახის თუ ბლოგისთვის, მაგრამ ჩემი აზრით, ყველაზე მეტი საერთო ყვითელ ავტობუსთან აქვს. აქ მძღოლი მარია, კარს ყველას უღებს, თუმცა არაა ბევრი ამოსაშვები. სკამები ძველ მგზავნელებს გვიკავია. მე, პირადად, პირველ რიგში ვზივარ, მარისგან მარჯვნივ. ახლა იტყვიტო, რატომ — შენო? თუ მეტყვიტო, ვინ არის ჩემსავით ერთგული მგზავნილი, ვინც წლებია, მარის „მგზავრია“ და დღემდე სწერს, მივიჩნობ და დაგსვამთ. მოკლედ, დანარჩენ ადგილებზეც სტაჟიანი და საპატიო ხალხი ზის, ელისოს თამადლობით. გაჩერებებზე ახლები გვემატებიან და ავტობუსიც ივსება, მაგრამ ჩვენს ყვითელ რაშს ხომ ზომა არ აქვს. მარის კეთილი გულივით, ყველას გვიტყვს. ძლივს იხურება კარი და ახალამოსულნი კინკლაობენ: ჩემი ადგილია, ადაბამარეთ, ნუ მბიჯებო, ვის უბედავთ და ა.შ. მაგრამ არიან კეთილშობილი მგზავნელები, რომლებიც ადგილს ღირსეულ ახლებს უთმობენ და ჩამოსვლისას, თავის ბილეთს უტოვებენ. ვილაც სა-

ცობებზე დარდობს, ვილაც — რატომ ხშირად არ დადის ავტობუსიო (ანუ „გზა“ კვირაში ერთხელ არ მყოფისო). ასაკოვნები ყმანვილებს ტუფსავე, ბიჭი გოგონას გაცნობას ცდილობს (ლექსს უძღვის) და მიქრის ჩვენი „ყვიტულა“ (შავტუხა ფურცლებით). მე ჩემთვის, წყნარად ვზივარ. არც ატვილ კამათში ვერევი და რა ვქნა, მშაპტივით, ვერც ბილეთს დავითმობთ ჩემსას, უფადოა და უძვირფასესი. თან აქედან ახლოსაა ის, ვისაც სიცოცხლეს — როგორც მძღოლს და სულს — როგორც მარის ვანდობ. ხშირად გავხვდავ და გული გამითბება. ის ხომ ჩვეულებრივი მესაქე არ არის, მას ჩვენი ფიქრები და ემოციები „მიჰყავს“. ჰოდა, ამიტომაც მიყვარს! გკოცნი. შენი პარიყენა“.

„თხლიშნოი დოჟედ“

„ანტიკვარიატის ხსენებაზე ყველას ალბათ ძველი ნივთები ახსენდება, მე კი ეს სიტყვა ჩემს „ხაზეიკას“ (მამაკაცია) მაგონებს. გენიალური მომღერალია, რომელსაც თან გე-

ყურადღება! თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანანეწროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.

ნიალური კურორტები ახლავს. იმდენია, არ ვიცი, რომლით დავინყო. ეს ჩემი „ანტიკვარია“ რუსული ენის საფუძვლიანი ცოდნით არ გამოირჩევა, აი, რუსი გოგონები კი ნამეტანი იზიდავენ. ჰოდა, ერთხელაც რუსმა გოგონამ მოწონებით ჰკითხა, როგორ ესროლა ბურთი კალათში. იმანაც სრული სერიოზულობით უპასუხა, „დვა ნაბიჯი ე ვსტრე-ლიაეტო“. მერე იყო და მაგარი რუსი ნაზა გაჩითა, საცეკვაოდ გაიწვია და უნდა ეკითხა, „მოყნა ს ვამი ფოტოგრაფიროვატსაო“, მაგრამ იკითხა, „მოყნა ს ვამი სინიატასა?“ ნაშოჩკამ გაფართოებული თვალებით იკითხა, „სდესქ?“ იმანაც ამაყად უპასუხა, კიო. ერთხელ ბულვარშიც შენიშნა რუსი ლამაზმანი, მიუჯდა და ეუბნება, „ძევაჩკა, ძევაჩკა, ტი მარტოშკა? პაიდიმ ნა ხრეშები, პაშოლ ნა ზღვეუ პაყლაპამ ცივი ვოშდუს“. მის ენაზე სწრაფი წვიმა არის „თხლიშნოი დოჟედ“. გამოუსწორებელი შეცდომაა, აბა რა, ამან რომ რუსული არ იცის. ერთ დღეს ამ ჩემს „ანტიკვარს“ ხმა ჩაუვარდა და მესმის ჩხუბი, — მაგ ცივ ლუდს რომ სვამ, მაგის ბრალია, რა, ცხელი რომ დალიო არ შეიძლება? თქვენ გენახათ ჩემი და ილინის ისტერიკული სიცილი. მერე ტუწზე რაღაც გამოუვიდა და მოჰყვა წუნუნს. მისმა დედიკომ ყური მოჰკრა, რაღაც რომ აწუნებდა, ჰოდა, მესმის ყვირილი — რომ გუბნები, პრეზერვატივი იხმარე, არ გესმის და შენს თავს დაბარალეო. ნუ, ახლა ტუწთან პრეზერვატივს რა უნდა, ჯერ ვერ გავარკვეე, მაგრამ ის კი ვიცი, ამ მესიჯს რომ ნახავს, სახლიდან თუ არ დამასკამა, „აკე მინიმუმ“, ქათამივით ცხელ წყალში გამფუფუქავს, მაგრამ „გზავნილების“ სიყვარულს რა ვუთხრა, არ გამიძლო გულმა, არ მეთქვა. SCARLET“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული, მოკლე მესიჯები

„ჩემი შეცდომის გამოსწორება მართლაც

„ჩემს ცხოვრებაში მოხდა მოველენა, რომელმაც მთლიანად შემცვალა. ვაფანატებ ძაღლებზე და ყოველდღე ვწუნუნებები, ძაღლი მიყიდეთ-მეთქი, მაგრამ ჩემს ოჯახში არავის უყვარს ცხოველები. ამ ზაფხულს ნათესავის ზარმა ამატირა და ამაკვილა. ლაბრადორი მაჩუქეს, რომელიც სიგიჟემდე შემიყვარდა. ისე ვუვლიდი, როგორც პატარა ბავშვს. აღარავინ მიწიწიდა, მის გარდა. უბედნიერეს ადამიანად მივიჩნევი თავს, მაგრამ ამ ბედნიერებად მხოლოდ 5 თვე გასტანა. მომიკვდა და გული მატკინა ძალიან. დღე არ გავა, რომ არ გამახსენდეს და არ ავტირდე. ამ ამბის მერე ძალიან შევიცვალე. სამწუხაროდ, ვერავინ მიგებს. ვერ ნარმოუდგენიათ, როგორ შეიძლება ცხოველის ასეთი სიყვარული“.

„იყო დრო, როცა ბავშვური ცხოვრებით ვცხოვრობდი. გულუბრყვილო ვიყავი. ყველასი მჯეროდა. ერთ დღესაც გამოიწვია ადამიანი, რომელმაც უკეთესი გამხადა, ცხოვრება მიხაროდა. დღეები მიფრინავდა. იმ იმედით ცხოვრობდი, რომ გვერდით მყავდა ადამიანი, ვინც უზომოდ მიყვარდა, მაგრამ თითქოს ამ ყველაფერმა ჭკუა მასწავლა. ყველაფერი ერთი კარგი სიზმარი იყო. ყველაფერი დასრულდა და ჩემი ცხოვრება მთლიანად შეიცვალა. აღარავისი მჯერა. დათოსი კი მაღლობელი ვარ, რომ ეს თვეები მაჩუქა. სალო18“.

მომდევნო ნომრის თემა იქნება
— „სიძე-სიდედრიანი და რძალ-დედამთილიანი“. **ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომრზე: 8.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com**

„პატარა ღვთის სარუჟარია“

„ფეხმძიმობის ხელოვნურად შეწყვეტა უზვილობას იწვევს“

„გზის“ №43-ში დაიბეჭდა უცნობი მოსწავლის მესიჯი. შეგახსენებთ, გოგონა გენერდა, რომ ის პირველი კლასიდან კერძო სკოლაში სწავლობს და ძალიან კარგი მოსწავლეა. „10-იანებზე დაბალი ქულა არ მიმიღია, ყველა კარგ მომავალს მინინასწარმეტყველებს. მამამ მითხრა, — სასწავლებლად ინგლისში გაგვივებო, რამაც ძალიან გამახარა... მშობლების მადლიერი ვარ და მინდა, მათ ამაგი დავუფასო, მაგრამ... მეექვსე კლასიდან მყავს შეყვარებული, რომელიც ძალიან კარგი ბიჭია; მიყვარს და ვიცი, რომ მასაც ვუყვარვარ. ჩვენი ურთიერთობის შესახებ დედამაც იცის და ჩემი „ლოვე“ მოსწონს. მოკლედ, ყველაფერი კარგად იყო მანამ, ვიდრე სულელურად არ მოვიქეცი — „ლოვესთან“ ვინეტი. მართალია, ამან ჩვენი სიყვარული გაამყარა, მაგრამ ცოტა ხნის წინ გავიგე, რომ ორსულად ვარ. აღარ ვიცი, რა ვქნა... რომ გავთხოვდე და ბავშვი გავაჩინო, ჩემი მომავალი და ოცნებები დასამარდება, მშობლებსაც გაუფრუებ იმედს... არადა, აბორტის გაკეთებასაც ვერ ვბედავ, არ შემიძლია“.

ლიკა ქავაია

უცნობი:

„კარგია, რომ 10-იანებზე სწავლობ და სწავლის გასაგრძელებლად მამიკო ინგლისში გიშვებს, ე.ი. სულელი არ ხარ. ჰოდა, თუ ასეა, ისიც უნდა გცოდნოდ, რომ შეყვარებულთან დანოლის შემდეგ დაფეხმძიმდები. ახლა მამაშვილურ რჩევას მოგცემ: თუ ფეხმძიმედ ხარ და თანაც, ის ბიჭი გიყვარს, ცოლად გაჰყევი, ოჯახი შექმენი. ბავშვის გაზრდაში უფროსები დაგეხმარებიან, შენ კი სწავლას გააგრძელებ! ჩემი თხოვნაა, აბორტი არ გაიკეთო, ბავშვი არ მოკლა, ცოდო არ დაიდო. იცოდე, პირველი ფეხმძიმობის ხელოვნურად შეწყვეტა უშვილობას იწვევს“.

უცნობი ბოზო:

„არ გაბნეო და ბავშვი არ მოიშორო. არანაირი წარმატებისა და კარიერის გამო არ ღირს ახალი სიცოცხლის მოსპობა. იცოდე, აბორტს თუ გაიკეთებ, შვილსაც დაკარგავ და შესაძლოა, საყვარელმა ადამიანმაც მიგატოვოს. ცნობისათვის, ჩემს ჯგუფში ყველაზე აქტიური და მშრომელი გოგონას სახელი იცი, ვის აქვს? — გათხოვილ და შვილთან გოგონას. საქმე ყოველთვის გექნება და ამის გამო შვილი არ უნდა გააჩინო? მით უმეტეს, რომ დედა მხარში გიდგას და ძიძის აყვანაც შეგიძლია. შენს ადგილას აბორტზე არც ვიფიქრებდი“.

აურა:

• ვიცი, დადგება ის დრო, როდესაც შემეძრება და მიმბატოვებ, მე ამისათვის მზად ვარ იცოდე, ნინასწარ მინდა ეს მიხაროდეს. მე ველი იმ დღეს, ძვირფასო, როცა შენ მოხვალ ჩემთან და მეტყვი ანა. უნდა ნახვიდე აუცილებლად, როდესაც უკვე სხვისი დრო დადგა! და თუკი ადრე შენ იყავ ჩემთვის, ყველაზე დიდი ფიქრი და ნატვრა, გახვალ, მაპატიე, რადგანაც უკვე იმ გატაცებამ გადაიარა. მომეძალბა ალბათ იმ წამში შურიც, ცრემლებიც და სინანულიც, მე შეიძლება ავტირდე მაშინ, გამოვიგლოვო ის სიყვარული. მომიახლოვდები, ხელს ჩამომართმევ, გულგრილად მეტყვი სიტყვას „შვიდობით“ ერთ თბილ კოცნასაც ვერ გაიმეტებ, თვალს დახრი და გადგები შორით. მაშინ გეტყვი რომ მსურს შეგიძლო, რომ მინდა მშურდეს მორიგი მსხვერპლის, მაგრამ რა მომდის, ოჰ, ღმერთო ჩემო, მაინც მიყვარხარ და მეცოდები. თუმცა, რა მეთქმის, მე დავაშავე, რას გასყვედრობ, საკითხავია, თუ შენ ტყუობ და ვერ მიგინვდი, რას იზამ, ეს რა შენი ბრალია? სულ, სულ პირველად როცა გითხარი, რომ სამუდამოდ შენთან მოვედი, მე შევცდი, უნდა მივხვდარიყავი, მუდამ კი არა, გასურდი დროებით. მაშ ნადი ჩემგან, არ გწყველი, გლოცავ, არაფერს ვნახო ახლა სრულებით, დაგამთბო ძვირფასო... და უშეშობს ალბათ როგორმე შევეგუები. შენ ნახვალ სხვასთან და დამივიწყებ... დაგავიწყდება ჩემი ალერსი, მინდა იცოდე, მიყვარდი ძლიერ, ისევ მიყვარხარ და მეყვარები!

• ღმერთებს გრძობებდი არ გააჩნიათ, მათ ეს თვისება მიანიჭეს ადამიანებს... და უსაზღვროდ დასაჯეს ყველა, ვინაც უსაზღვროდ გააღმერთა ადამიანი.



გილოცავ!

• ჩემს საყვარელ მამიდულას, გულიკო ბაღდაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 3 ნოემბერს. მრავალს დაესწარი. ყველაზე მაგარი მამიდა ხარ, მსოფლიოში. მიყვარხარ. საბა ბაღდავაძე.

• შორენა ჩადუნელს ვულოცავთ დაბადების დღეს. მრავალს დაგასწაროს უფალმა, ოჯახთან ერთად. გისურვებთ სიხარულს და ბედნიერებას. ნათლული ანანო ბინაძის ოჯახი.

• შორენა ჩადუნელს ვულოცავთ დაბადების დღეს. ჯანმრთელობა და ბედნიერება არ მოგაკლოს უფალმა. დაესწარი მრავალს, ოჯახთან ერთად. გკოცნით. ნიკა სტურუა, ნათლული.

• სოფელ ისლარში საყვარელ ბებოს, თამარ ჭიპაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, 6 ნოემბერს, 87 წლის შესრულებას. ვუსურ-

ვებთ კარგად ყოფნას და უფლის წყალობას. საყვარელი შვილიშვილები.

• 15 ნოემბერს სენაკში დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს მახლიშვილებს, გოგია და ფიქრია ხურციებს. გისურვებთ სიყვარულს, დიდ, ადამიანურ ბედნიერებას, ჯანის სიმრთელეს, სულის სიმხნევს, ლამაზი დღეების სიმრავლეს, ყველაფერ ლამაზს და მშვენიერს, რაც კი არსებობს ცხოვრებაში. გფარავდე თუფალი და დედა ღვთისმშობელი. 15-ში თქვენთან ვარ ბავშვებო და ერთი მაგრად მოვილხინოთ. კეთილი სურვილებით, ნანა ბიცოლა. იდუმალი-ქალი.

• ირმა სარალიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 13 ნოემბერს. ბედნიერი და ჯანმრთელი იყავი, შენს საყვარელ ქმარ-შვილთან ერთად. უფალი ჰფარავდეს შენს ოჯახს. გაიხარე. ციური და ნიკა.

• მორიელი იონა, გლოცავ დაბადების დღეს. გულზე მომხვდა შენი გზავნილი. ჩემი გაგება უჭირთ და ალბათ იმიტომ, რომ ვცდილობ, ყველას გაუგო. გულს ნუ გაიტყე! ჯ.ხავი.

• მარიკა ოდიკაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 12 ნოემბერს. გისურვებ ყოველივე კარგს: ბედნიერებას, ჯანმრთელობას, სიხარულს, რაც კი გულით გაგიხარდება. ასევე გისურვებ, მალე გემოვოს ნამდვილი სიყვარული, რომელიც მთელი ცხოვრება გაგყვება... გფარავდეს უფალი! ლუი.

• ჩემო მონატრებულო და უსაყვარლესო ლელა, გლოცავ დაბადების დღეს, მრავალს დაგასწაროს ღმერთმა, შენს ქმარ-შვილთან ერთად. უკვე მეოთხე დაბადების დღეს გილოცავ, შორიდან. მიყვარხარ და ღმერთმა ჯანმრთელობა და გამძლეობა მოგცეს. მიყვარხარ და მენატრები. გოჩა ქარჩხაძე.

• მაია ნუბლიძეს და ლამარა ინტელექტის ვულოცავთ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, საყვარელი ოჯახებით. გისურვებთ ჯანმრთელობას და კარგად ყოფნას. გაიხარეთ, გამრავლდით, უფალი გფარავდეთ. გილოცავთ მეგობარი, ნიურა.

• ჩემს საყვარელ მეგობარს, მაია ტყემულაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ჩემო ლამაზო ქალბატონო, გისურვებთ ჯანმრთელობას, სიყვარულს ულევ სიხარულს, შენს ლამაზ და დიდ ოჯახთან ერთად. ამტანიანობას, გამტანიანობას, ღმერთის წყალობას, სვებედნიერ საქართველოში ცხოვრებას. გკოცნი, გეხვევი, შენი ლამრო.

„მოზილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მოზილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტრე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მოზილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ფურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გააშუქვწყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.



ბაიბ-აუბი

სად ისურვებდით დასვენებას?

ავსტრალია

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში საომარი მოქმედებები კვლავაც მიმდინარეობს, ზოგიერთი ტურისტული სააგენტო მოგზაურებს ქვეყანაში გადარჩენილი კულტურული და არქიტექტურული ღირსშესანიშნაობების დათვალიერებას სთავაზობს. საინტერესოა უძველესი ქალაქები, სადაც ადამიანები ათასი წლის წინაც ცხოვრობდნენ.

წყალქვაბა სასტუმრო

სასტუმროს ნომრები წყალქვეშა განლაგებული. ოთახში დაგვდებათ — სანოლი, საპირფარეშო, ნახშირორჟანგის შემწოვი მოწყობილობა და ველოსიპედი. მას ორი დანიშნულება აქვს — თან ივარჯიშებთ, თან ელექტროენერგიას გამოიმუშავებთ. ოთახში საკვებს აკვლანგისტი-მიმტანი მოგართმევთ.

ლიბიაუბის ქვეყანა


თუ გსურთ, თავი გულივერად წარმოიდგინოთ, სამხრეთ ჩინეთში მდებარე, ლილიპუტებით დასახლებულ ქალაქს ენვიეთ.

დასვენება მილიონ დოლარად

1 მლნ დოლარად ან მდიდრულ ვილას შეიძენთ, ან აბუ დაბის სასტუმრო Emirates Palace resort-ში ერთი კვირით დაისვენებთ. ღირებულებაში ასევე შედის ქალაქის ღირსშესანიშნაობების დათვალიერება და აღმოსავლური ხალიჩის ქსოვის შესწავლა.

მოგზაურობა აოსმოსში

თუ მთვარისა და ვარსკვლავების ხილვა გსურთ, კომპანია Space Adventures-ს მიმართეთ. მოგზაურობამდე 4-თვიანი ვარჯიშის გავლა მოგიწევთ. დედამიწას კი კოს-



მოსიდან გადმოხედავთ. კოსმოსურ ხომალდში ორი ადგილი 100 მლნ დოლარი ღირს.



მინეაპოლისში, (აშშ) ალუბლისა და კოვზის ძეგლი დგას.

ჟენევის ტბაში, ჭამის მუზეუმის მახლობლად, კომპანია „ნესტლემ“ უჟანგავი ჩანგალი „ჩააარჭო“. 10-მეტრიანი ჩანგლის ძეგლი დგას სპრინგფილდშიც (მისური, აშშ). იგი ერთი სარეკლამო კომპანიის თილისმია.

ლონგ ბიჩში (აშშ) გურმანები ტაფის ძეგლთან პოზირებენ.

უსნაური ძეგლები

კანადის ერთ-ერთ ქალაქში ღვებლის ძეგლი დგას. ქალაქ მანდერიში კი — ძხვის.

საზამთროს ძეგლს **დიარბაკირში** (თურქეთი) შეხვდებით, ქემერში — ბრონეულისას, კუმლუჯაში (ანტალიის პროვინცია) — პომიდურისას. ანტალიაშივეა ლობოსა და წინაკის მონუმენტი. რამდენიმე ქალაქში დგას ფორთოხლის ძეგლი და შადრევანი.

იერუსალიმში ძეგლი მოკბეჩილ ვაშლს დაუდგეს.

პლეინსში (ჯორჯიის შტატი, აშშ) მიწის თხილის ძეგლთან შეგიძლიათ, ფოტო გადაიღოთ.

სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს კვერცხის, კიტრის, პომიდურის, ხახვის, კარტოფილის, კანფეტის, შოკოლადის, ორცხოხილას, ვაშლისა

და გოგრის ძეგლი.

პოლტავაში (უკრაინა) კი 2006 წელს, ძეგლი ეროვნულ კერძს — გალუშკას დაუდგეს, მამონოვოში (კალინინგრადი) — შპროტს.

სარაევოელმა მხატვარმა ძეგლი მოშუშული ხორცის კონსერვს დაუდგა. მას სურდა, იმ ჰუმანიტარული ორგანიზაციებისთვის დაეცინა, რომლებიც ომის დროს მშვიდობიან მოსახლეობას ამ პროდუქტით ამარაგებდნენ. საქმე ისაა, რომ მხატვრის აზრით, მათ ვადაგასულ კონსერვებს ურიგებდნენ, რის ჭამასაც შინაური ცხოველებიც კი არ კადრულობდნენ.


სხვადასხვა ქვეყანაში შინაური ცხოველების ძეგლებსაც შეხვდებით. ყველაზე მეტი მონუმენტი ღორს, კატასა და ცხენს დაუდგეს.



დასაწყისი იხ. გვ. 16

სანათას ხვარამზეს თემაზე დაწერილი ლექსების წიგნი — „ნისლებ დავსქელებ რითმებზე“ გადაეშალა და ფანდურზე ამღვრებდა თურმე, პოეტი რომ სტუმრებია. სანათას უთქვამს, — კარგ სცენარისტს შევუკვეთ სცენარს და შენი შემოქმედებითი საღამო მოვანყობო. თონას უპასუხია: ჩემი საღამო კი არა, ხვარამზეზე დაწერილი სცენარი, იმის საღამო გავმართოთ და იქ ნახე, როგორი ხვარამზე ვიქნებით! სცენარიც დაინერა — ბევრი უწვავალია პოეტ ნინო სადლობელაშვილის იდეის სცენარად გადასაქცევად, ასაკინდად. „ფშავის აღორძინებისა და განვითარების კავშირს“ პოეტი ქალებისთვის ერთი ლექსის კონკურსიც დაუარსებია, თიანეთის გამგებელს, გიორგი აბაშიელსაც მამინვე აუტაცია და ხვარამზეობის ჩატარება სოფელ არტანუში აგვისტოს ბოლოსთვის ან სექტემბრის დასაწყისისთვის დაუთქვამთ, მაგრამ ხევისურეთში დატრიალებულ ტრაგედიას — თონა ქუმსიაშვილის დაღუპვას ყველაფერი თავდაყირა დაუყენებია...

„უფალო, ხვარამზეს ნათელი დააყენე. უფალო, გაგვიმრავლე ხვარამზეები. ღმერთო, სულ ასე დამლაღე, დამქანცე ამ ტალახიანი, ბალახიანი, წვიმიანი და იშვიათად მზიანი მიწის სამსახურში“, — ამბობდა იმ საღამოს თიანეთში მარიამ ხუცუთაშვილი. ქალბატონი ელდინო სალარაძის შეგირდები — ახალგაზრდა მსახიობები, ღია სტუდიის, მედია კახიძის, მიშა ლანიშაშვილისა და სხვათა ლექსებს გასაოცარი ემოციით კითხულობდნენ, ქორეოგრაფ ანზორ გვარამაძის მოცეკვავეები ქარიშხალს აყენებდნენ, საღამოს ერთ-ერთი ორგანიზატორის, თიანეთის რაიონის კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების ხელმძღვანელის, ქეთევან შარშიაშვილის აღზრდილების (სხვათა შორის, თონა ქუმსიაშვილიც მისი ერთ-ერთი პირველი მოსწავლე იყო)



გარიელ ხარხელაური

ნამღერი თითქოს ძვალსა და რბილში ატანდა და რეჟისორ ივანე ხუციშვილის მიერ დადგმულ ულამაზეს მხატვრულ-მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ წარმოდგენას უემოციოდ და უტრემლოდ არც არავინ დაუტოვებია.

პატივან ზარამაშვილი:

— არ შემიძლია, ეს მუხტი, ჟრჟოლა, ჩემს სხეულზე „ჭიანჭველების სიარული“ არ გაგიზიაროთ. ალბათ, თითოეულმა თქვენგანმა იგივე განიცადეთ. ჩვენ — ქალები, ვინც ამ დარბაზში ვისხედით, მართლაც, ხვარამზეები ვიყავით. დღეს სხვანაირად დავინახე ხვარამზე, გაცივანი და გავითავისე. თამაშად გეტყვით, რომ ძალიან ბევრი დაკარგა იმ თიანეთში, იმ ადამიანმა, ვინც დღეს ამ დარბაზში არ იმყოფებოდა. ამ კედლებს ასეთი ემოციური მუხტი დიდი ხანია, არ განუცდია...

ერთ-ერთ ხვარამზეს ვესალმები — მარიამ ხუცუთაშვილს, იმავე სანათას:

გამარჯობა, ხვარამზე!

— ხომ კარგი იყო? არადა, უამინდობამ რამდენი შეაშინა და ჩვენამდე ვერ მოიყვანა! ზოგიერთი გზიდანაც კი გაბრუნებულა. ისე კი ხვარამზეს მოტრფიალე ვინც იყო, აქ არის.

თითქოს „ისიც“ აქ იყო, ვაჟიკას ცოლი, სანათასეული, და იცით, რა გრძობით ეკითხებოდა ხვარამზეს? — „იორს ამასდევ ნყალდაწყალ, ლექსად აუღერებ ფულლილთა/ ვინა ხარ, ქალავ, ჩემ ქმარს რო მთელ საქალეთად უღირხარ?! მოხველ ქალბნელი, დაგისვდი ქალთარაფურა, ქალმინა/ ვერცა ქალობით, ვერც თმენით, — ხვარამზეობით გამისწარა!“

პოეტი მიშა ლანიშაშვილი კი, არ იცით, რა გზაზე გადმოვიდა ამგვარიდან თიანეთში...

ბატონო მიშა, თქვენი ხვარამზე როგორი არის?

— თედო რაზიკაშვილი წერს, ხვარამზეს ვაჟიკამ მთხოვნელი მიუგზავნა და ხვარამზემ უარი უთხრაო. მერე ხომ ვაჟიკამ ცოლი შეირთო, ხვარამზე გათხოვდა და მეც შეიღაცნაირად, ხვარამზე დავამუხანეთე, — შენ რატომ არ გაჰყევ თავის დროზე-მეთქი (იცინის)? თუშეცა... უჰ, ხვარამზე იდეალურია. ასეთი სასიყვარულო ამბის პერსონაჟი ქალი მე არ ვიცი. რად ღირს ის ეპიზოდი (ამ სცენაზე კარგად გააცოცხლეს), როდესაც ის თავისი შეყვარებულის ცხენის ნაფეხურს შემოლობავს! „ჰაი, ხვარამზე, ხვარამზე, აგენტებოდა სხვა რა მზე/ ერთი მზე უნდა გნთებოიო იორზედაც და არაგვზეც“, — აი ასეთია ჩემი ხვარამზე (ილიმის).

ბატონო თამაზ, აქაური ბრძანდებით; ხვარამზეზეც ალბათ ბევრი გსმენიათ. როგორი წარმოდგენათ დღემდე და ახლა როგორი დაინახეთ?

თამაზ იარაჯაშვილი, თიანეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი:

— ზუსტად ისეთი, როგორც დღეს გვიჩვენეს ახალგაზრდებმა. ეს წარმოდგენაც იმის დადასტურებაა, რომ ნამდვილ სიყვარულს, წრფელ დამოკიდებულე-



მიშა ლანიშაშვილი

ბას სიყვარულში მარადიულობის ძალა აქვს. წარმოგიდგენიათ, რამდენმა თაობამ გაიარა და ის სიყვარული უფროც კი გამძაფრდა! დრომ ის სიყვარული კი არ დაავიწყა ადამიანებს, არამედ უკვდავად აქცია თითქოს. დღევანდელ ღონისძიებას ხიბლი არ აკლდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, გაისად უფრო მასშტაბურად აღვნიშნავთ.

პოეტი ნინო სადლობელაშვილი ვერ დაესწრო ხვარამზეობას და პოეტ მარიამ ნიკლაურს სთხოვეს, ნინოს ლექსი — „დაგვიანებული სიმღერა ხვარამზეს“ — წაეკითხა.

მარიამ ნიკლაური:

— დღეს ერთი ულამაზესი და უმშვენიერესი და, ასე ვთქვათ, გონივრული დღეა, რადგან ჩვენს საქართველოს ახლა მართლაც სიყვარული და პოეზია აკლია, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი პოეტი გვყავს, ბევრი ლექსიც იწერება. ეს არ არის ვალის მოსახდელად მოწყობილი დღე. ეს არის ძალიან გააზრებული დღე, რომ ჩვენ — ადამიანებმა ხვარამზეს სული, ფიქრი, პოეზია განვაგრძოთ, გავაცოცხლოთ, დავაფესვიანოთ. თიანეთისკენ რომ მოვდიოდით იმ არაჩვეულებრივ საბადურის ტყეში, თავსხმასა და ნისლში, ვიფიქრეთ: 150 წლის წინ როგორ იფიქრებდა ხვარამზე, რომ დღეს ამდენი სტუმარი ეყოლებოდა მის პოეზიას?! დიდება მის სულს! „...გული საით გიდევს, ხვარამზეო? — ეგ მოშიშხინე ვარდი ნალამზეო... ამოვა ხვალაც მზე... ამოვა ხვალაც მზე...“

სანათა:

— უდავოდ, ამოვა ხვალაც მზე. გითხარით, ხვარამზეს ლექსზე გაიდარებს-მეთქი. უკვე გადარებულიც არის, დღეს ლექსის მოყვარული და ამ წვიმით ვერშეშინებული ამდენი ადამიანი, ხვარამზეს ამდენი გადმონათი რომ არსებობს! ნახეთ, გაისად სოფელ არტანუში როგორ ხვარამზეობას მოგიწყობთ — ღია ცის ქვეშ, კოცონებთან მთელ ღამეს ლექსის კითხვაში რომ გაგათენებინებთ...

P.S. იმ დღეს წვიმამ მართლაც გადაიღო, მეორე დღეს კი გამოიადარა... ამოვა ხვალაც მზე, ხვარამზე!



სოსხალი მუსიკის ზეიმი ანუ

21 ნოემბერს, 19 საათზე სპორტის სასახლეში, კომპანია „ტიფლის ივენთის“ (TIFLIS EVENT) ორგანიზებით, ცოცხალი მუსიკის კონცერტი გაიმართება. მონაწილეობენ: ჯგუფები — „მგზავრები“, „ფრანი“ და სალომე კორკოტაშვილი.

სკორბის სასახლეს „მგზავრები“, „ფრანი“ და ჯორჯოტა დაიხყრობენ

მაცაცო კველიშვილი, „ტიფლის ივენთის“ დირექტორი:

— ამ კონცერტს დიდი ხნის განმავლობაში ვგეგმავდით. ჯერ კიდევ ზაფხულში, აჭარაში გვინდოდა გაგვემართა, მაგრამ რიგი მიზეზების გამო გადაიდო. შემდეგ 5 ნოემბერს დაგვემეთ, მაგრამ... ამჯერად კი უკვე აღარ გადავდებთ — 21 ნოემბერს, 19 საათზე ამ მუსიკოსების თაყვანისმ-

გაამართლებს. რაკი რეკლამა ვახსენებ, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო „მედიპალიტრას“, მის კრეატიულ დირექტორს — მარიკა დარჩიას, უურნალების — „გზისა“ და „რეიტინგის“ რედაქტორებს, რომ



მათი გამოცემების ამ ღონისძიების პარტნიორები გახდნენ. კონცერტის მუსიკალური მხარდაჭერები არიან რადიოე-

ბი — „ფორტუნა“ და „არ დაიდარდო“. მუსიკოსების ჩაცმულობაზე მოდების სახელი „თიკო და ნინო“ ზრუნავს. უდიდესი მადლობა ნატალია ზუევას — კომპანია „პიარ-ოფისის“ დირექტორს, რომელმაც ენერჯია არ დაიშურა იმისთვის, რომ კონცერტს წარმდგენი ჰყოლოდა ისეთი ძლიერი კომპანიის სახით, როგორც „რომ-

პეტროლ საქართველოა“. მადლობა კომპანია „ბილაინის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს — თეონა ბაღდავაძეს. აღნიშნული კომპანია უკვე მეორედ ამოუდგა მხარში „ტიფლის ივენთს“, ჩვენი ერთ-ერთი პროექტის — „ფოტომანი 2010“-ის განხორციელებისას; ფაქტობრივად, ჩვენი ცხოვრებით ვაცხოვრებ და ალბათ დავგალებით კიდევ... რომ არა ეს ორი კომპანია, ღონისძიების ჩატარებას ვერ შევძლებდით. ასევე უდიდესი მადლობა სპორტის სასახლის დირექტორს — ზურაბ ნაყურს: ის რჩევებითაც დაგვეხმარა და შეღავათიც გაგვინია. კონცერტს დაცვისა და უსაფრთხოების ელიტური სამსახური — „გისსონი“ დაიცავს. ეს კომპანია იზრუნებს, როგორც კონცერტში მონაწილე მუსიკოსების, ასევე მათს ურებელთა უსაფრთხოებაზეც.

„ტიფლის ივენთი“ 2010 წლის აპრილში დაფუძნდა. კომპანიის მიერ განხორციელებული პირველი პროექტი 16 მაისს, დიდ საკონცერტო დარბაზში, „მგზავრების“ კონცერტი — „თუკი საქართველო გიყვარს“ — გახლდათ, რომელიც წარმატებული აღმოჩნდა. მეორე პროექტი — „ფოტომანი 2010“ „საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაციასთან“ ერთად ჩატარდა.



ცემლებს სპორტის სასახლეში გელოდებით. მაქსიმალურად ვეცდებით, რომ იყოს საუკეთესო ხმა და განათება, რაზეც კომპანია „ჯეი ეს ლაითი“ იზრუნებს. ეს არ არის ჩვენი ერთობლივი მუშაობის პირველი შემთხვევა — 16 მაისს, დიდ საკონცერტო დარბაზში „მგზავრების“ პირველ, მასშტაბურ კონცერტზე მუშაობისას ვითანამშრომლეთ და იმედი გვაქვს, რომ 21 ნოემბრის კონცერტიც ისეთივე ლამაზი და ხარისხიანი გამოვა. ალბათ გაინტერესებთ, თუ რატომ შევარჩიეთ სწორედ ეს ჯგუფები. პასუხი მარტივია: ისინი დღეს ყველაზე რეიტინგულები არიან — ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავთ. ხშირად ისმის კითხვა, — ზოგადად, მომღერლების მისამართით, — თუ რატომ არ მართავენ ისინი ხშირად კონცერტს? — რაზეც პასუხობენ, — დღევანდელ რეალობაში კონცერტის გამართვა შეუძლებელიაო. „მგზავრები“ და „ფრანის“ წევრები კი საპირისპიროს ამტკიცებენ. მაგრამ მიუხედავად მათი პოპულარობისა, კონცერტის გამართვის რისკი მაინც დიდია, რადგანაც სპორტის სასახლის არენდა, სცენა, ხმა, განათება ძალიან ძვირი სიამოვნებაა, — აღარაფერს ვამბობ რეკლამაზე. და მაინც, იმედი მაქვს, რომ ჩვენ მიერ დაგეგმილი ღონისძიება

ათო ყორღანაშვილი

მომღერალმა ეკა კვალიაშვილმა საკუთარ — „ეკა-სტუდიაში“ მიგვიწვია. სტუდიაში, რომლის დამფუძნებელიც და დირექტორიც თავად გახლავთ, საპროდიუსერო ჯგუფიც იმუშავენ. პროფესიონალებით დაკომპლექტებულ გუნდთან ერთად, ეკა კარგ „მასალებს“ პროფესიონალ მომღერლებად აქცევს და საპროდიუსერო ჯგუფის — „გრანპრი“ საშუალებით, საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსებში ნიჭიერი ახალგაზრდების მონაწილეობაზეც იზრუნებს. რაც მთავარია, სტუდიაში სწავლის მსურველთა ასაკი შეზღუდული არ არის.

ეკა კვალიაშვილი:

— ამ პროექტის განხორციელების სურვილი დიდი ხანია, მაქვს. ესაა სიმღერის შესასწავლი სტუდია, რომელსაც „ოცნებების ასრულების სტუდია“ დავარქვით, რადგან ჩვენთან ასაკი მუშაობისთვის: 4 წლიდან, სტუდიაში მოსვლა ნებისმიერ მსურველს შეუძლია — თუნდაც 100 წლის ადამიანი მოვიდეს და ბოლო სიმღერა იმღეროს, პრობლემა არ არის (იცინის)! არაპროფესიონალთა, მოყვარულთა ჯგუფიც გვაქვს, რომელშიც დიასახლისებიც არიან გაერთიანებული. მათ მთელი ცხოვრების განმავლობაში, ოცნებად ჰქონდათ — მიკროფონი ხელში დაეჭირათ და ემღერათ. სხვათა შორის, სტუდიაში ზოგმა შვილები მოიყვანა და შემდეგ თავდაც დარჩა, ოღონდ დედები მოყვარულთა ჯგუფში იქნებოდნენ. ყველა ბავშვი მეტ-ნაკლებად ნიჭიერია და ჩვენ „მასალას“ ბოლომდე დავამუშავებთ: სასცენო ხელოვნებაში, მეტყველებაში (რომელსაც თამარ მაყაშვილი ასწავლის) ვამეცადინებთ. არაჩვეულებრივი კომპოზიტორი — მარინა ლევიშვილი გვყავს... დღეს სტუდიაში ერთი გოგონა მოვიდა, რომელსაც თავად შევთავაზე, რომ ინივიდულურად იმეცადინოს და ჯგუფში მერე „ჩაჯდეს“. ასე მივიჩნიე საჭიროდ. მშვენიერი გოგონა... მოკლედ, ჩვენთან უფროსი ასაკის ადამიანებიც სწავლობენ, უმცროსებიც... მეცადინეობა უკვე დავიწყეთ. სიმღერის შესასწავლად მსურველები რაც უფრო მალე მოვლენ, უკეთესია. ჩვენთან მოსწავლეებს ერთმანეთთან ძალიან ჰარმონიული დამოკიდებულება აქვთ. მინდა, რომ სტუდიაში ერთმანეთთან მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდეთ, ჩვენკენ ყველას მოუხაროდეს...

— სტუდიაში თავად რა ფუნქცია გაქვთ?

— მე ამ სტუდიის დამაარსებელი,



ეკა კვალაშვილი „ოსნაზების ასრულების სტუდიის“ დირექტორი გახდა

მეპატრონე, დირექტორი და, რა თქმა უნდა, მასწავლებელი ვარ.

— ეი. გაკვეთილებსაც ჩაატარებთ?

— ქალბატონ მარინასთან ერთად, მასტერკლასებს ჩავატარებ. მარინა აკომპანემენტს „გაკეთებს“, მოსწავლეებს სიმღერებს ასწავლის, მე — დავამოუშავებინებ, მაგრამ მუშაობას ჯერ ვოკალის საფუძვლებით ვინებთ. წლების განმავლობაში მოსწავლეები მყავდა. საერთოდ, ადამიანები მიყვარს, ბავშვები — მით უმეტეს! პატარების დანახვა, მათი ჟრიაბული ძალიან მახარებს.

— რა ასაკის ბავშვებთანაა მუშაობა ყველაზე რთული?

— ეს რთული საერთოდ არ არის, თუ ბავშვებს სწორად მიუდგები. როცა 4-5 წლის პატარები მოდიან, რა თქმა უნდა, სწავლას თამაშის სახე უნდა მისცე, რომ მათთვის საინტერესო იყოს. უფროსები, ვინც პროფესიონალური მომზადებისთვის მოდიან, საქმეს შეგნებულად ეკიდებიან. საერთოდ, ფსიქოლოგიური მიდგომა ყველა ასაკის ადამიანთანაა საჭირო. ფაქტია, რომ ვინც ჩვენთან მოუყვანიათ, ნასვლა აღარ უნდათ. როგორც ხედავთ, კედლებზე ნოტები, ვიოლინოს გასაღებებია მიხატული. „პიუსტონების“, „ვანდერების“, „ემინემების“ პლაკატებით აჭრელებული კედლები და სარკე არ მინდა, რადგან მოსწავლეებს მათკენ თვალი გაექცევათ; სარკე, სურათები, გონებას ძალიან ფანტავს. მასტერკლასების დროს, როცა ბავშვებს რომელიმე მომღერლის ვიდეოჩანაწერს უჩვენებ და „სამზარეულოს“ უხსნი, ეს სხვა საკითხია.

— ეი. სამუშაო გარემოს დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ.

— რასაკვირველია. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ყველაფერი გავითვალისწინებთ. სტუდიაში ბევრი ოთახი გვაქვს. საკუთარი დიზაინერი და 1 ახალგაზრდა მასწავლებელი გვყავს, რომელიც თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, მუსიკალურ კონკურსებზე წასასვლელ ბავშვებს გაკვეთილებს ჩაუტარებს.

— ყველაზე ასაკოვანი მოსწავლე რამდენი წლისაა?

— მამაკაცი 52 წლისაა, ქალი — 50-ის. იმედი მაქვს, კიდევ უფრო ასაკოვნებიც შემოგვიერთდებიან (ილინის).

— საინტერესოა, ეს ადამიანები



რას საქმიანობენ? სიმღერის ამ ასაკში შესწავლა რატომ გადამწყობს?

— სრულიად განსხვავებული საქმით არიან დაკავებული, მაგრამ მღერიან. როგორც ჩანს, სიმღერის სურვილი მთელი ცხოვრება ჰქონდათ, მაგრამ ვერ მოახერხეს. ახლა საშუალება მიეცათ, ოცნება აიხდინონ.

— ასაკოვანი მოსწავლეების მონაწილეობით კონცერტებს თუ გამართავთ?

— აუცილებლად. ყველას აქვს საშუალება, სტუდიაში მოვიდეს, იმღეროს, გაერთოს და ასე ვთქვათ, თავისი ჭია გაახაროს!

— თქვენს სტუდიაში სწავლის მსურველებმა კასტინგი უნდა გაიარონ?

— რა თქმა უნდა. შეიძლება, ვიღაცამ ლაფსუხებით იმღეროს, მაგრამ სმენა ჰქონდეს, რომელსაც „ამოქაჩვა“ დასჭირდება. აი, „ყურზე

დაბიჯების“ შემთხვევას კი ვერაფერს უშველის...

— როგორი უნდა იყოს კარგი მომღერალი?

— ჩემს სტუდიაში უნდა იაროს! ყველაზე მთავარი ის არის, რომ სტუდიაში საპროდიუსერო ცენტრიც გვაქვს: სხვადასხვა ქვეყანასთან ხელშეკრულებებს ვაფორმებთ და ბავშვების კარიერის შემდგომ განვითარებაზე იმ მხრივ ვიზრუნებთ, რომ მოსწავლეებს საერთაშორისო კონკურსებზე გავგზავნით. ამისათვის ბავშვი ყველანაირად მომზადებული უნდა იყოს. ჩვენი სტუდიის მოსწავლეებმა (უკლებლივ ყველამ) სწავლების სრული კურსი უნდა გაიარონ. როცა მივიჩნევთ, რომ მოსწავლე რომელიმე კონკურსში მონაწილეობისათვის მზადაა, მხოლოდ ამ შემთხვევაში გაემგზავრება. თუ

სრულ კურსს არ გაივლის და კონკურსში მონაწილეობას მხოლოდ საკუთარი ნებით გადამწყობს, მასზე პასუხისმგებელი არ ვიქნები. საერთოდ, უფლება არ აქვს, რომ ჩემი სტუდიის სახელი ახსენოს...

— თქვენი გოგონა სტუდიაში თუ დანიტერესდა?

— როგორ არა?! ჩემ მიერ ნახსენები ახალგაზრდა პედაგოგი სწორედ ნუკაა. ვფიქრობ, რომ დღეს ის ჩემზე უკეთესად მღერის. მთელი ცხოვრება უსმენდა — ბავშვებს სიმღერაში როგორ ვამზადებდი. მას დიდი სკოლა აქვს გავლილი (იციინის). ის მასტერკლასებს ჩემი მეთვალყურეობითა და მონაწილეობით ჩაატარებს. ნუკა ძალიან კარგი იმპროვიზატორია. ობიექტური ადამიანი ვარ, ამიტომ შვილზე არ ვიტყვი, მაგარი-მეთქი, თუ მართლა მაგარი არ არის.

— როგორ ფიქრობთ — ახალგაზრდა მომღერლებს ეს სტუდია სჭირდება?

— ყველას გზის მიცემა, გაფართოება, მეცადინეობა უნდა. მაგალითად, მე მთელი ცხოვრება ვმეცადინეობდი: ვოკალის სკოლა გავიარე, პიანისტი ვარ... გაჩერებას არ ვაპირებ — კარიერას, „შინაგან ვინდას“ განვაგრძობ. რაც უფრო მეტნიჭიერ ბავშვს აღმოვაჩენ, უფრო გავაქტიურდები — კონცერტების გამართვა უფრო მეტად მომინდება და მათში თავადაც სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას.



„ტელევიზია ჩემთვის ძლიერი ნარკოტიკია, რომელზეც დამოკიდებული გავხდი“

„კლასიკური საბავშვო ლიტერატურიდან ბევრი ნაკითხული არც მაქვს“, — ამბობს ჟურნალისტი მანუ სანანი. ახლა მას ყველაზე მეტად პოლიტიკური და სპორტული ლიტერატურა იზიდავს. ქართველი მწერლებიდან ოთარ ჭილაძის შემოქმედებით არის დაინტერესებული. უყვარს ანტიკური ლიტერატურაც, განსაკუთრებით — ჰომეროსი.

თაშუა კინიკაპი

პრეზიდენტის მამიკა

— ვახო, სკოლაში ყველაზე კარგად რომელ საგნებს სწავლობდი?

— ძალიან მიყვარდა მშობლიური ენა და ლიტერატურა, გეოგრაფია და ისტორია, მაგრამ მათემატიკა, ფიზიკა და ქიმია — არა. ახლა ვხვდები, რომ ტექნიკური საგნებიც უნდა მიყვარებოდა. საერთოდ, ცელქი ბავშვი ვიყავი, მასწავლებლის მაგიდიდან რვეულებს ვიპარავდი და ამოხსნილ მაგალითებს ვიწერდი.

— წიგნებსაც ხომ არ იპარავდი?

— რალა დაგიმალო და მომიპარავს. ბევრი სკოლა მაქვს გამოცვლილი, წარმოშობით აფხაზეთიდან ვარ, ერთი პერიოდი, იმერეთში ვცხოვრობდი. ზოგიერთ სკოლას კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდა. ცდუნებას ვერ ვუძლებდი და... არ მგონია, წიგნის მოპარვა დანაშაული იყოს, მით უმეტეს ბავშვობის ასაკში.

— რომელი ლიტერატურული პერსონაჟი მოგწონს ყველაზე მეტად?

— ანტიკურ ლიტერატურაზე ვგიჟდები. ძალიან მომწონს აქილევსი. ეს ადამიანი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ მისი სახელი ისტორიაში დარჩენილიყო. დედამისმა (რომელიც ღმერთი იყო) უთხრა, თუ ტროას ომში წახვალ, შენს სახელს არ დაივიწყებენ, ხოლო თუ შინ დარჩები, გეყოლება ბევრი შვილი, შვილიშვილი, მაგრამ შენი სახელი მათ გარდა, არავის ეცოდინებაო. აქილევსმა მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, რაც მოუვიდოდა, ომში წასვლა არჩია.

— როგორ გგონია — რით ჰგავხარ აქილევსს?

— რით ვგავარ (ფიქრობ)? პასუხის გაცემა ცოტა რთულია. მომწონს მისი სიმამაცე. ის ლიდერია. მიუხედავად იმისა, რომ ტროას ომში წამყვანი ფიგურა აგამემონონია, აქილევსი მას არ ემორჩილება. ძალიან დამოუკიდებელია, ყოველთვის იმას აკეთებს, რაც სურს. აქვს მიზანი და იბრძვის. დაუმორჩილებლობის ელემენტები ჩემს ხასიათშიც არის. მყუდრო ცხოვრებაც ალბათ კარგია, მაგრამ მე აქილევსის გზა უფრო მხიბლავს.

— „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატიონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“...

— (მანვევტიანებს) ამ სიტყვების ავტორი ილია ჭავჭავაძეა.

— სხვა რამეს გეკითხები. დაასახელე, რომელი ნაწარმოებიდან არის ეს ამონარიდი?

— ვაიმე! ილიას პუბლიცისტიკიდან არის; ამ ნარკვევის სახელწოდება ზუსტად არ მახსოვს.

— „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდამ „შეშლილი“-ს თარგმანზედა“. უნგრეთის ერთ-ერთი ქალაქის არქივში იპოვეს 100 წლის წინანდელი დოკუმენტი, რომლის მიხედ-

ვითაც ქალაქის ზოგიერთ მცხოვრებს უნდა გადაეხადა ე.წ. ბოლის გადასახადი. ეს თანხა სახანძრო სამსახურის შესანახად გამოიყენებოდა. ვის ახდევინებდნენ ამ გადასახადს?

— კითხვა ვერ გაგიგე, გთხოვ, გამიმეორე. (გამეორების შემდეგ) რამე მინიშნებას ვერ მეტყვი?

— შენს სამუშაო მაგიდაზე დევს ნოტი, შემოდია, გითხრა, რომ უნგრეთში იმ პერიოდში რომ გეცხოვრა, ამ გადასახადს აუცილებლად გადაგხდევინებდნენ.

— (მაგიდას ათვალელებს) მივხვდი, სიგარეტს გულისხმობ.

— კითხვაზე პასუხი არ მიმიღია.

— გამოდის, რომ მწველებს ახდევინებდნენ.

— ყველას გვახსოვს ფრთიანი გამონათქვამი: „რელიგია — ეს ხალხისთვის ოპიუმი“. რომელი სიტყვით შეცვალა სიტყვა — „რელიგია“ ნიქსონმა?

— ტელევიზიით.

— თავად შენთვის რა არის „ოპიუმი“?

— (იცინის) ამ შემთხვევაში ოპიუმი დასაბოლებელ საშუალებასთან არის გაიგივებული. მე არ „ვბოლდები“, ტელევიზია ჩემთვის უფრო ძლიერი ნარკოტიკია, რომელზეც დამოკიდებული გავხდი.

— კლასიკური ნიუ-იორკული საუზმე გულისხმობს სამ ელემენტს: ერთი გახლავს ცხელი, მეორე — თბილი, მესამე — ახალი. ცხელი ეს ყავაა, თბილი — ფუნთუშა, რა არის ახალი?

— არ ვიცი.

— გაზეთი „ნიუ-იორკ თაიმსი“. რაფიელ ერისთავის რომელ ცნობილ სიტყვებს (ფრაზას) უწოდა გაზეთმა „დრობამ“ XI მცნება?

— „როგორც უფალი სამშობლო ერთია ქვეყანაზედა“.

— „ამქვეყნად არც რაინდია ისეთი, რომელსაც რისამე წინაშე შიში არ ეგრძნოს ოდესმე, არც თუ ბრძენია სადმე, ერთხელ მაინც სისულელე არ ეთქვას“. რომელი ქართველი კლასიკოსია ამ სიტყვების ავტორი?

— კონსტანტინე გამსახურდია.

— ნაწარმოების დასახელება შეგიძლია?

— „დიდოსტატის მარჯვენა“.

— შემდეგი კითხვა გეოგრაფიიდან არის.

— გიპასუხებ, ეს ჩემი საყვარელი საგანი იყო.

— ეს სრულტე საკმაოდ გრძელია და განიერიც, მაგრამ მას ხშირად, ინგლისის არსს უწოდებენ. მისი სიგრძე 578 კილომეტრია, მინიმალური სიგანე — 32 კილომეტრი. ჩრდილოეთის ზღვას და ატლანტის ოკეანეს აერთებს. რომელია ეს სრულტე?





— ლა-მანში.
 — როგორ არ მინდა, ძლიერო სენო,/ ლექსში ქართულად რომ მოგისხენო/ როგორ არ მინდა, ჩემს სიტყბუკეს/ დააჩნდეს შენი შავი ჩრდილები/ ეს რა უშრეტო ცეცხლით დამბუგე,/ პირს მარიდებენ ქალიშვილები!“ დაასახელე ამ სტროფის ავტორი?
 — ლადო ასათიანი.
 — ვინ არის ფილმის — „გიორგი სააკაძის“ რეჟისორი?
 — მიხეილ ჭიაურელი.
 — ვინ ასრულებს პაატა სააკაძის როლს ბავშვობაში?
 — ვერ ვიხსენებ.
 — მიგანიშნებ, ის ახლა ცნობილი რეჟისორია.
 — რეჟისორი? დამაბნე.
 — ეს როლი მერაბ კოკოჩაშვილმა ითამაშა.
 — მართლა არ ვიცოდი.
 — მზის სისტემის რომელი პლანეტა ანდომებს ლერძის გარშემო შემობრუნებას ყველაზე მეტ დროს?
 — მარსი, არა?
 — ცდები.
 — მაშინ (ფიქრობს) ვენერა?
 — გამოიცანი. რა წარმოიშობა წვიმის წვეთებში სინათლის სხივების გარდატეხისა და დაშლის შედეგად?
 — ახლა ვნანობ, სკოლაში ფიზიკას და ქიმიას რომ არ ვსწავლობდი.
 — ვერ მიპასუხებ?
 — კითხვა გამიმეორე. (გამეორების შემდეგ) თოვლი წარმოიშობა, რა გაცინებს, ასე არ არის?
 — სწორი პასუხია — ცისარტყელა. ქრისტიანული მსოფლმხედველობით მაცხოვრის მიერ 7 საიდუმლოებაა დაწესებული, შეგიძლია, დამისახელო?
 — ნათლისღება, სინანული, ზიარება, მირონცხება, ქორწინება, მღვდლობა და (ფიქრობს) რომელი გამომორჩა?
 — ზეთის კურთხევა. რომელი მთების სახელწოდების მიხედვით ეწოდა მთამსვლელობას ალპინიზმი?
 — ალპების.
 — რომელი ჯირკვლის ამოკვეთა ხდება გლანდების ოპერაციის დროს?
 — წარმოდგენა არ მაქვს.
 — ნუშისებრი ჯირკვლის. შემდეგი კითხვა მათემატიკიდან...
 — (მანყვეტინებს) ვაიმე!
 — მარტივია, არა მგონია, პასუხის გაცემა გაგიჭირდეს.
 — შენთვის წინა კითხვაც მარტივი იყო.
 — რიგში დგას 25 ბავშვი. მერამდენე ბავშვი დგას შუაში?
 — (პაუზის შემდეგ) მე-13 ბავშვი.
 — „ჟურნალისტი მენაგვეა, რომელიც ცოცხის მაგივრად კალამს ხმარობს“. ვინ არის ამ გამონათქვამის ავტორი?
 — ქართველია? მინიშნება მითხარი, გთხოვ.
 — ეს პიროვნება საფრანგეთში 1769-1821 წლებში ცხოვრობდა.
 — ნაპოლეონ ბონაპარტი ყოფილა.
 — ეთანხმები?
 — მის სიტყვებში არის სიმართლის ელემენტები.
 — ინდოეთი, ავღანეთი, კამბოჯა, კორეა — ჩამოთვლილთაგან რომელ ქვეყანაში არ არის განვითარებული სარკინიგზო ტრანსპორტი?
 — ავღანეთში.

— ჟორჟ სიმენონი — კომისარი მეგრე, ართურ კონან დოილი — შერლოკ ჰოლმსი... რომელი ლიტერატურული გმირი უკავშირდება აგათა კრისტის სახელს?
 — ერკიულ პუარო.
 — რა გვარია მიხეილ ჯავახიშვილის პერსონაჟი მარგო?
 — ვერ გიპასუხებ.
 — ყაფლანიშვილი.
 — გული დამწყდა, რომ ვერ გავიხსენე.
 — ინგლისელი პოეტი ოდენი ამ ქვეყანას ასე ახასიათებდა: „აქ მხოლოდ სამნაირი პეიზაჟია: ქვები, ქვები და ქვები“. დაასახელე ეს ქვეყანა. აქვე მინიშნებასაც გეტყვი, იგი დანიის სრუტით გრენლანდიას უკავშირდება.
 — ისლანდია. ხომ გითხარი, გეოგრაფიას კარგად ვსწავლობდი-მეთქი.
 — და ეს დაამტკიცე. რომელი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს ცნობილი კურორტები — ნიცა და კანი?
 — ხმელთაშუა ზღვის.
 — რომელი ფრინველი დებს კვერცხს სხვის ბუდეში?
 — გუგული.
 — რომელი ცხოველი ზრუნავს თავის ნაშიერზე ყველაზე დიდხანს — დათვი, კატა თუ სპილო?
 — კატას გამოვრიცხავ, დათვი ან სპილო იქნება.
 — სპილო. პატარა სპლიცი დედასთან 10 წელიწადს რჩება. ტრადიციისამებრ რა ნიშანს იძლევიან საკვამურიდან ტაძარში შეკეტილი კარდინალები პაპის არჩევის დადასტურებად?
 — თეთრ ბოლს უშვებენ.
 — პლატონი აღნიშნავდა, სპარტელები სიტყვა-ძუნწი ადამიანები არიან, ათენელებს შორის უფრო მეტი ლაპარაკის მოყვარული ადამიანის ნახვა შეიძლებაო. რას უწოდებდნენ ასეთ ადამიანებს?
 — პოლიტიკოსებს, არა?
 — ცდები, მათ ფილოლოგებს უწოდებდნენ. ერთ-ერთი ბრძენის აზრით, რომელმა ქალმა იცის ყოველთვის, თუ სად იმყოფება მისი ქმარი?
 — არ ვიცი.
 — ქვრივა.
 — (იციინს) რა მაგარია! ეს კითხვა ყველაზე მეტად მომეწონა.
 — ძველ შეიარაღებულ ძალებში რა თანამდებობა ჰქონდათ ადამიანებს, რომლებსაც მკერდზე ტატუირებული ჰქონდათ თუთიყუში?
 — მგონი, თარჯიმნები იყვნენ, არა?
 — დიას. რა ერქვა ქალაქს, რომლის ადგილზეც ახლა მკვდარი ზღვა მდებარეობს?
 — არ ვიცი.
 — სოდომი. ვინ არის ავტორი მემორიალისა: „კიდევაც დაიზრდებიან“?
 — მერაბ ბერძენიშვილი.
 — რას ეძახიან ახალდაქორწინებულებს მთიულეთში?
 — არ მახსოვს.
 — ახალყოილი. დასრულე დოსტოვესკის ცნობილი გამონათქვამი: „თუ გინდათ, კარგად გაიცნოთ ადამიანი, მიაქციეთ ყურადღება არა იმას, თუ როგორ ლაპარაკობს იგი, როგორ ტირის, ან როგორ აღელვებს კეთილშობილი იდეები. დააკვირდით მას, როდესაც ის...
 — დუმს.
 — სწორი ვერსიაა — „როდესაც ის იციინს“.



გონების საპარჯიშო

**„გზის“ ერთგული
მართხვალისათვის
(ა ი თ ხ ვ ა ბ ი)**

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვებისაჩნ არ გაგაქცეთ თვალი

- რომელმა ფირმამ დაამზადა პირველი ფიჭური ტელეფონი?
- ადრე რუსები ამბობდნენ — „ჩა-ჩი“, „ჩაბ-ჩი“, „ჩაბაჩაბა-ჩი“. დაასახელეთ თავდაპირველი სიტყვა, რომლისგანაც ეს დანამატი წარმოიშვა.
- რომელ ქართველ პოეტს უწოდა ვახუშტი კოტეტიშვილმა XX საუკუნის ფრანსუა ვიონი?
- რომელი იტალიელი მხატვრის ნამდვილი სახელი და გვარია ალესანდრო დი მარიანო ფილიპუბი?
- ვინ იყო ისრაელის პირველი პრემიერ-მინისტრი?
- რომელი ქართველი პოეტი ამბობდა, ანგელოზი მკარნახობს, თორემ მე ლექსების წერისთვის სადა მცალიაო?
- ქართული ჭაჭა თუ გაგისინჯავსო, ეკითხებოდა სტალინი სომხური კონიაკის მოტრფიალე ამ პოლიტიკურ მოღვაწეს. დაასახელეთ იგი.
- სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისაში“ სედრაქი უფლისწულს ურჩევს, იყოს ერთგული — როგორც ძაღლი, ძლიერი — როგორც ჭიანჭველა და გონიერი, როგორც ...?
- რომელი ქვეყნის ისტორიული პროვინციებია კონაქტი, ნენსტერი, მანსტერი და ოლსტერი?
- შეთქმულების დროს პირველმა ვინ დასცა იულიუს კეისარს მახვილი?
- დაასახელეთ ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟი, რომელმაც საკუთარ მამას ცელით მოჰკვეთა ასო და ისე გამოასალმა სიცოცხლეს.
- რა არის ხვიფლი?
- „ალუდა ქეთელაური კაცია დავლათიანი, საფიხნოს თავში დაჯდების, სიტყვა მაუდის გზიანი“, — წერდა ვაჟა-ფშაველა. რას ნიშნავს სიტყვა „საფიხნო“?

ანექლოცენი



* * *

შეჯიბრებაზე ბირთვის კვრაში ერთი სპორტსმენი ეუბნება მეორეს:
— დღეს უნდა მოვინდომო, ტრიბუნაზე ჩემი სიდედრი ზის.
— ეჰ, ამ სიშორიდან მაინც ვერ მოახვედრებ.

* * *

სტუმრად მიმავალი ქმარი ცოლს ეკითხება:
— როგორ ფიქრობ, ძვირფასო, რომელი პერანგი ჩავიცვა, ორი ღილი რომ აკლია, თუ საყელო რომ აქვს დასვრილი?

* * *

ღამის 3 საათზე პოლიციელი გამველეს აჩერებს:
— სად მიბრძანდებით?
— ლექციაზე, ბატონო!
— ნუ ლაზღანდარობთ, მოქალაქე, ვინ კითხულობს ლექციებს ასეთ დროს?
— ჩემი ცოლი!..

* * *

ქმარი მოულოდნელად ბრუნდება შინ და ხედავს, მისი ცოლი საყვარელთან წევს:
— აქ რას აკეთებთ?
ცოლმა საყვარელს გადახედა:
— ხომ გითხარი, იდიოტია-მეთქი.

* * *

ხუთი წლის პატიმრობის შემდეგ ქმარს სახლში ცოლი ეგებება ჩვილი ბავშვით ხელში.
— ეს რა, შენი შვილია?!

* * *

— რა თქმა უნდა, ჩემია, — პასუხობს ცოლი, — წესიერად რომ მოქცეულიყავი, შენიც იქნებოდა!

ქმარს და ძალიან ნერვიულობს:
— ოთარ, კარი ჩაკეტე!
— უკვე ჩაკეტე.
— ურდული ორჯერ გადაატრიალე?
— ჰო.
— ზედა საკეტიც ჩაკეტე.
— ჩაკეტილია.
— აბა, ფანჯრიდან გადაიხედე, ჩემი ქმარი ხომ არ ჩანს?
— არა, სინყნარეა.
— კარგი! აბა, ოთარ, ნუგზარ, ჯემალ, ვახტანგ, თენგიზ, ნოდარ დავინყეთ!

* * *

— ჩემს სიდედრს არასდროს ვეჩხუბები!
— რატომ, გერევა, შე ჩემა?

* * *


საპირფარეშოში შესული მთვრალი შარვალში იქექება.
— რამდენჯერ უნდა ვუთხრა ჩემს ცოლს — აიღებ რაღაცას, იხმარ, დადე რა, თავის ადგილზე!

* * *

შინ დაბრუნებულმა ქმარმა ცოლს საყვარელთან შეუსწრო.
— შემოგვიერთდი, — ეუბნება ცოლი, — შანსი მოგეცა შენც ისწავლო რამე.

* * *

მიხოსთან სახლში ტელეფონი რეკავს. ყურმილს მისი ძმა შაქრო იღებს.
— ალო, სამშობიაროდან განუხებთ. მიხო სახლშია?
— ხომ მშვიდობაა?
— მიხოს უთხარით, ხუთი წუთის წინ სამი ტყუპი გოგოს მამა გახდი-თქო.
— ხო, კარგი, კარგი, ოლონდ მოგვიანებით ვეტყვი, ახლა წვერს იპარსავს.





— შარვალს დამიუთოებ, მანქანას გამირეცხავ, ჩექმებს გამინმენდ. მე კი ცოტას წაფუძინებ, ამაღამ უფროსთან ვარ დაპატიჟებული, ორასკაციან სუფრას უნდა ვუთამადაო!

— ოჰ, ღმერთო ჩემო! რა იქნებოდა, მეც რომ ქალად დავბადებულყავი!

ანგინით დავადებული მამაკაცი ექიმთან რეკავს და ჩურჩულით ეკითხება:

— ექიმი სახლშია?

— არა, — ჩურჩულით პასუხობს ექიმის ცოლი, — და თუ მოდიხარ, დროზე მოდი.

— ცოლს კულინარიული წიგნი ვუყიდე, მაგრამ ნაღდად არ გამოადგება.

— რატომ?

— თითქმის ყველა რეცეპტი ასე იწყება: „აიღეთ სუფთა ქვაბი...“

— აფსუს, რა საჭაპურების გამოცხოვა იცოდა ბებიაჩემმა!

— ბებიას რა დაემართა?

— ბებია კარგადაა, ყველი გაძვირდა!

— მიხო, მოგნონს უჭკუო ქალები?

— არა!

— უსუფთაოები და მწველები?

— არა!

— გემრიელ სადილს რომ ვერ აკეთებენ?

— არა!

— აბა, გაანებ ჩემს ცოლს თავი.

მინისძვრის შემდეგ სახლის ნანგრევებში მდგარ ვანოს მეზობელმა გადმოსძახა.

— არ დაიჯერებ და, ვიცოდი, რომ მინისძვრა იქნებოდა.

— ჰო, ცხოველები წინასწარ გრძნობენ ხოლმე, — შეუღრინა ვანომ.

— ვერ გამიგია, რას პოულობენ ამ კლაუდია შიფერში? ბოლოს და ბოლოს, თუ არ ჩავთვლით ვარცხნილობას, ტანის მოყვანილობას და სახეს, რაღა დარჩება? — ამბობს ცოლი.

— დარჩები შენ! — პასუხობს ქმარი.

— ნახე, იმ ტიპს როგორი მიჭყლეთილი ცხვირი აქვს.

— აუ, მაგას ვიცნობ, ქალების აბანოში მუშაობს მინების მწმენდავად.

— რაფერ ხარ, ძამა? — ეკითხება გურული კახელს.

— შენი ძმობალა მინდა, ისედაც გარდერობის თავზე მძინავს!

— წარმოგიდგენია, ჩემმა ცოლმა ჯგუფური სექსი მომინდომა.

— მერე რა მოხდა, შე კაცო, შენც ადექი და სცადე ერთხელ. იქნებ ისეთი რამეა, ქვეყნად რომ არაფერი სჯობია...

— ჯგუფში ვის შევყავარ, რო?

ქუჩაში მამაკაცთან ახალგაზრდა ქალი მივიდა.

— მგონი, თქვენ ჩემი ერთ-ერთი ბავშვის მამა ბრძანდებით!

— მეე?! — კინალამ ინფარქტმა გლიჯა კაცს.

— ნუ შეშინდით, მე მასწავლებელი ვარ.



გონების სავარჯიშო

„ზვის“ ერთჯადი მართხვალისათვის

(პასუხები)

1. „მოტოროლა“.
2. „ჩირბბბბ“. შემდეგში მისგან მხოლოდ ერთი ასოლა დარჩა (ჩირბბბბ-ჩრბბბ-ჩრ-ჩ).
3. ნიკო გომელაურს.
4. სანდრო ბოტიჩელის.
5. ბენ ჰურიონი.
6. გალაკტიონ ტაბიძე.
7. უინსტონ ჩერჩილი.
8. ვირი.
9. ირლანდიის.
10. კასკამ.
11. კორონოსი (ზევის მამა).
12. ქვის ხავსი.
13. საფხვინოს, იმავე საფხვინოს ხევსურეთში იმ ადგილს ეძახდნენ, სადაც მამაკაცები სასაუბროდ და დასასვენებლად იყრიდნენ თავს. საფხვინოში მყოფთ ფეხონი ერქვათ, ხოლო ერთად ყოფნას და ბაასს — ფეხნობა.

რენიფორსოგანაა





ჰოროსკოპი

11-17 ნოემბერი

ვიზიტი

იმიჯს შეიცვლით, წარმატება გარანტირებული გექნებათ. მთავარია, სიახლეებსა და ცვლილებებს არ შეუშინდეთ.

კუჩრი

ახალი დამატებითი საქმიანობა მატერიალურ კეთილდღეობას მოგიტანთ, მაგრამ დიდ დროსა და ენერჯიას ნაგართმევთ. ძალებს ალსადგენად ივარჯიშეთ.

ტყუპები

გრანდიოზული საქმეების შესრულებას ნუ ეცდებით. წარმატებას მოგიტანთ სპორტულ შეჯიბრებებში და ინტელექტუალურ კონკურსებში მონაწილეობა. სიყვარულშიც გაგიმართლებთ.

კირჩხიბი

თქვენს სასიკეთოდ გადაწყდება მემკვიდრეობასთან და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხები. სასმელსა და აზარტულ თამაშებს მოერიდეთ.

ლომი

მნიშვნელოვანი და გრანდიოზული მიზნების შესრულებასა უმნიშვნელო დაბრკოლება ნუ შეგაფერხებთ. კომპეტენტური პირები დაიხმარეთ და სანადელს მიაღწევთ.

ქაფი

დაღლილობასა და მოთენთილობას დილით, ბუნებაში ვარჯიში მოგიხსნით. ჭორების გმირი რომ არ გახდეთ, საშხარებრივ რომანს, თანაც დაქორწინებულ ადამიანთან, არ გირჩევთ.

სასწიწი

დრო დასვენებისთვის სამსახურებრივ და საოჯახო საქმეებს შორისაც გამოიხატეთ. კარგი პერიოდია ახალი ბიზნესგეგმის განსახორციელებლად.

მირიანობა

სამსახურის საქმეების პარალელურად, მთელი კვირის მანძილზე, საოჯახო საქმეებით იქნებით დაკავებული. შეიძლება, ნათესავების პრობლემებიც თქვენი მოსაგვარებელი გახდეს.

მშვიდი

თუ გარშემო მყოფების მიმართ თავზაიანი და ზრდილობიანი იქნებით, მეტ მეგობარსა და თანამოაზრეს შეიძენთ. კვირის ბოლოს საკუთარ თავს განტვირთვის საშუალება მიეცით.

თხრი

ნუ გარისკავთ და ნებისმიერი ნაბიჯი გათვალეთ. ელექტრონულ-საწყობთან სიფრთხილე გამოიჩინეთ. წვეულებაზე გაიცნობთ ადამიანს, რომელიც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს.

მეფე

კვირის განმავლობაში თვითრეალიზებას შექმნით. კარგი დროა მგზავრობისთვის და სწავლის დასაწყებად. წარმატებას მოგიტანთ სამეცნიერო სამუშაო. საყვარელ ადამიანთან კონფლიქტს მოერიდეთ.

თევზი

საკუთარ თავში ჯადოსნურ ნიჭს აღმოაჩინეთ; რასაც ისურვებთ, ყველაფერი აგისრულდებათ. ამიტომ, მხოლოდ კარგზე იფიქრეთ და ოჯახის კეთილდღეობისთვის ილოცეთ.

პაემანი ზოდიაქოს ნიშნებთან

ვერძი მხიარული კომპანიონია. პაემანი შესაძლოა, ნებისმიერ ადგილას დაგინიშნოთ. ჩაცმულობას განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევს. მთავარია, დრო სასიამოვნოდ გაატაროს.

კუროს ერთი ნახვით არასდროს შეუყვარდება. ის ყველაფერს ანალიზებს და გონებით მოქმედებს. გურმანია. ამიტომ, თუ მის გვერდით ყოფნა გადაწყვიტეთ, გემრიელი კერძი თავად მოუშაბადეთ.

ტყუპს მალე უყვარდება, მაგრამ პაემანს ათასჯერ მაინც გადაგადებინებთ, რადგან მუდამ მოუცლელია. მას სიახლეები უყვარს და ავანტიურისტია. პაემანზე შესაძლოა, იმდენი ილაპარაკოს, რომ სიტყვის თქმაც ვერ მოახერხოთ.

კირჩხიბი პაემანს აუცილებლად მყუდრო კაფეში დაგინიშნავთ. რომანტიკული გარემო მოსწონს. უგონოდ შეყვარებულიც რომ იყოს, პირველ პაემანზე საკუთარ გრძობებს არ გაგამჟღავნებთ. ძალიან ფრთხილია. თქვენმა ერთმა უხეშმა სიტყვამ ან ქცევამ შესაძლოა, გული ატკინოს.

ლომთან შესვედრა ყველაზე მოდურ კლუბში მოგიწევთ. პაემანი პატარა წარმოდგენას ჰგავს. იგი, რა თქმა უნდა, მთავარ როლში უნდა იყოს. აავსეთ ქათინაურებით, მაგრამ გახსოვდეთ, რომ

მას შესაფერისი პარტნიორი სჭირდება. ამიტომ, თავადაც ელევანტურად უნდა გამოიყურებოდეთ.

ქალწული ზედმეტად კრიტიკულია. ყველა დეტალს ყურადღებას აქცევს. უყვარს ჭკვიან ადამიანებთან საინტერესო



თემებზე საუბარი. გაუნათლებელ ადამიანთან იგი მოიწყენს და, რაც მთავარია, მასთან პაემანზე არ დააგვიანოთ.

სასწორი რომანტიკული ადამიანია. უყვარს ლამაზი ნივთები და ადამიანები. მასთან პაემანზე ელევანტურად უნდა გამოიყურებოდეთ. თქვენი ნაყიდი ყვავილები რომ არ დაინუნოს, თაიგული მასთან ერთად შეარჩიეთ. ხელოვნებაზე ან მოდურ ტენდენციებზე ესაუბრეთ. **მორიელმა** — ზოდიაქოს ყველაზე

სექსუალურმა ნიშანმა, პაემანი შესაძლოა, საკუთარ სანოლში დაგინიშნოთ. თავი ძლიერ და განათლებულ ადამიანად უნდა მოაჩვენოთ. სუსტებს ჩაგრავს, უვიცებს კი მასხრად იგდებს.

მშვიდოსანი თავისუფლების მოყვარული, მხიარული და ენერჯიული ადამიანი. არ უყვარს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება. გახსოვდეთ, რომ მას გართობა უფრო იზიდავს, ვიდრე — ქორწინება.


თხის რქა სერიოზული ნიშანია და საკუთარ თავში დარწმუნებული, ძლიერი ადამიანები ხიბლავს. შესაძლოა, მის გვერდით თავი უხერხულადაც კი იგრძნოთ, რათა თქვენს ყოველ სიტყვას და ქცევას აკვირდებოთ. თუ მოუწონეთ, ქორწინებაზეც დაგითანხმდებიან.

მერწყული თავისუფლების მოყვარული ნიშანია და თავიდან მოგიშორებთ, თუ თავს მოაბეზრებთ. აცადეთ, თავად დაგინიშნოთ პაემანი. შესვედრა მხიარულ და სასიამოვნო ატმოსფეროში ჩაივლის. მთავარია, მხარი აუბათ და საკუთარ თავში არ ჩაიკეტოთ.

თევზები საკმაოდ რომანტიკული და სენტიმენტალური ნიშანია. მასთან ერთად ბუნებაში გაისეირნეთ. ხშირად შეაქეთ, იზრუნეთ მასზე. მიახვედრეთ, რომ მის მიმართ გულგრილი არ ხართ და თვითონაც დადებითად განწყობა თქვენ მიმართ.



		1. ციტრუსი				2. პატარა მუთი	3. ჩარხზე მომუშავე ოსტატი		4. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი
		5. ბედი, იღბალი		6. გრამატიკული კავშირი					
		7. ზოგი ცხოველის საცხოვრებელი							
		8. გზის საფარი						9. გამადიდებელი შუშა	
10. უდიდესი საამოვნება						11. სასროლეო			
12. პატარა მგალობელი ჩიტი						13. ჯგუფ „DOORS“-ის სოლისტი	14. დამუხტული ნაწილაკი		
15. დურბინდი						16. ვაჭიკვილი		17. ეულებანი იტალიაში	
								18. მარცვლეული კულტურა	
		19. ქართული ლიტურგიული კრებული		20. კვიპროსის დედაქალაქი					
21. ... პუგაჩოვა				22. სედა	23. სიცარიელე ხის ტანში				
					24. ქვევანა სამხრეთ ამერიკაში				
25. მსხვილი თოკი	26. საბრძოლო ნადავლი					27. უხვევადრა უმაღლეს დონეზე			
28. ბილიარდის ჯოხი		29. მოგრძოდ წამოზიდული გორა							
		30. თბილისის გარეუბანი	31. ქალაქი ესპანეთში				32. ... კინერი		
33. თეთრყურმანიანი ვაზის ჯიშში	34. ქვევანა ბალტიისპირეთში						35. ზღაპრული ცხენი		
36. უბანი თბილისში									
37. ბულგარეთის დედაქალაქი	38. პარფიუმერიული სითხე								




წინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. კელაპტარი; 2. პაიკი; 3. სატელიტი; 4. რენომე; 5. რაიკონენი; 6. ნოტა; 7. რეალიზება; 8. ლორი; 9. სეიმი; 10. ბუკი; 11. ბულდოგი; 12. ლამბაქი; 13. ჰონორი; 14. მე; 15. ლი; 16. მორიელი; 17. ჯეტა; 18. ჯირითი; 19. კამბოჯა; 20. უნია; 21. დოლი; 22. ილო; 23. ბრიჯი; 24. ვაზარი; 25. ბარი; 26. არტერი; 27. მარინა; 28. მენი; 29. ნაბიჯი; 30. ობლიგაცია; 31. ექო; 32. ოკინავა; 33. ჯეკ; 34. იო; 35. ბია; 36. რანდა; 37. კანტი; 38. კოკინი; 39. გატი; 40. ქოცო; 41. კურო; 42. ისარი. **სურათებზე:** 1. კარლა გუჯინო; 2. კრის როკი.

სტუდია „სანო“ და ბობი ხარაბაძე წარმოგიღებენ
 ახალი წარეთლის საიუბილეო აუდიოფიზს

„სენსი 170“

ქროზა, ჭოგისა და ჭებრეტისცეცა



მხოლოდ „ბიბლუსის“
 წიგნის მაღაზიათა ქსელში
 სპეციალურ ფასად

29 ლარი!



www.bibulusi.ge ☎ 307-402

ბიბლუსი

წიგნის მაღაზიათა
 ქსელი მთელ
 საქართველოში

Books



www.bibulusi.ge

წიგნის უახლესი ხოლმეციაბი

„ბიბლუსი“!

შვიძინა და გახდი საუბათესო ბიბლიოთეკის
 მფლობელი!

☎ 307 402

ბიბლუსი

წიგნის მაღაზიათა ქსელი „ბიბლუსი“
 დაგროვებითი ბარათი!

- ბიბლუსში დაბარებულ ყოველ 15 ლარზე დაგროვებული ვარსკვლავებით შეიძლება შეიძინოთ „ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში ნებისმიერი წიგნი.
- შვიდმოცულობითი წიგნები, ნაყოფიერი მთები და დაგროვებული ვარსკვლავებით შეიძლება შეიძინოთ „ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში ნებისმიერი წიგნი.

0000001

წიგნის მაღაზიათა ქსელი „ბიბლუსი“
 შეიძინე წიგნები.
 დაგროვებ ვარსკვლავებს და მიიღებ საჩუქრებს!

1 = 1 ლარი

**ჩაიკეთებ წიგნებს -
 უსაფრთხოდ იყავები!**

670/42


„კვირის პალიტრის“ კოლექცია „დიდი მხატვრები“

ნიგნის სერია რჩეულ ფერმწერებზე - მეღვრეები და ისტორიები
წიგნი XIII

რემბრანტი

დაცნობა - 22 ნომბრამდე

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მეთხვეთისთვის სპეციალური ფასი 15 ლარი!



დიდი მხატვრები








რემბრანტი

კვირის პალიტრა
დაცნობა 15-დან



„კვირის პალიტრის“ ხელმოწერითა საყურადღებოდ! წიგნის შუქნის მსურველები დაუკავშირდით „ელვაჯი“-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ

ფოტოკუჩიონები



ექსტრა

თერაფლიუ®

ვაზლისა და დარიჩინის არომატით

ავადმყოფობის დრო არ არის!

ექსტრა ძლიერი ფორმულა პარაცეტამოლის გარეგანგებულ რაოდენობით გრივისა და გაციების სიმპტომების სამკურნალოდ:

2X ძალით გრივის წინააღმდეგ

- მაღალი ტემპერატურა
- ტანუი მტვრევა
- უემცივნება
- თავისა და კუნთების ტკივილი
- სურდო
- სხვირით სუნთქვის გაძნელება,
- ცემინება, სრემლდენა



NOVARTIS
 ნოვარტისი, შვეიცარია
 გ. ტაბიძის ქ. №18;
 ტელ.: 98 27 30; 98 27 50

გამოიყენება 12 წლის ზემოთ:
 1 პაკეტი 3-ჯერ დღეში (პაკეტი იხსნება 1 ჭიქა ცხელ წყალში)
 შემაღბენლობა: პარაცეტამოლი 650მგ,
 ფენილეფრინი 10მგ, ფენირამინი 20მგ

პრეპარატის გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს